

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ახალი ქართული ენის კათედრა

ოთარ ბაჩუაძე

**გორისღებული ახალ
სალიგერაგურო ქართულში
(ლექსიკონით)**



თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 1979

ნაშრომში ახალი სალიტერატურო ქართულის მასალებზე დაყრდნობით ვაწუ-
ჭებულია შორისდებულთან დაკავშირებული საკითხები, ძირითადად სტრუქტუ-
რულ-სემანტიკურ თავისებურებათა ჩვენების თვალსაზრისით. შრომის ბოლო ნა-
წილი წარმოადგენს ლექსიკონს, სადაც სხვადასხვა კონტექსტში ნაჩვენებია ცალ-
კელი შორისდებულის ნაირ-ნაირი მნიშვნელობის გამოხატვის შესაძლებლობანი.

წიგნი განკუთვნილია სტუდენტი-ფილოლოგების, პედაგოგებისა და საკითხით
დაინტერესებულ პირთათვის.

რედაქტორი პროფ. შ. ძიძიგური

შ ე ს ა ვ ა ლ ი

შორისდებულთა კვლევის ისტორიიდან

ტერმინისათვის. შორისდებული, როგორც ტერმინი, ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში ანტონ პირველიდან მომდინარეობს¹. იგი რთულფუძიანი სიტყვაა და შედგება ორი ნაწილისაგან: შორის+დებული. ქართველი გრამატიკოსები თავიანთ სახელმძღვანელოებში ძირითადად ამ ტერმინს ხმარობენ. გამონაკლისია პ. კვიციანიძე, რომელსაც შორისდებულის ნაცვლად გამოყენებული აქვს ტერმინი კართომი².

ზ. შანშოვანის გრამატიკაში შორისდებული შეტანილია ზმნის სართებში და ავტორს მისთვის სამწუხარონი შეურქმევია. „ხოლო ზმართულთა თანა მწყობრ არიან და სამწუხარონი ესენიცაო“³, — ამბობს იგი და იქვე ასახელებს შორისდებულის რამდენიმე ჯგუფს.

თანამედროვე სასკოლო გრამატიკაში შორისდებულის გვერდით ნახმარია მეორე სახელწოდება: სულიერი განწყობილების გამომხატველი სიტყვები⁴.

ზოგიერთი გრამატიკოსი შორისდებულის, როგორც რთულფუძიანი სიტყვის, შემადგენელ კომპონენტებს წერის დროს ცალ-ცალკე გამოყოფს: ანტონ I და ი. ქართველიშვილი წერენ უდღეისოდ, ხო-

¹ ქართული ლრამატიკა. შედგენილი ანტონ I-ის მიერ, თბილისი, 1885, გვ. 114.

² ქართული სწორმეტყველება, საშინგი სახელმძღვანელო, შედგენილი პ. კვიციანიძის მიერ, გამოცემული ზ. კიკინაძის აგან, თბილისი, 1888, გვ. 157.

³ მოკლე ლრამატიკა ქართულისა ენისა, ქმნული ზურაბ შანშოვანიისაგან 1737 წელსა, გამოცემული ალ. ცაგარელიისაგან, სანკტ-პეტერბურღი, 1881, გვ. 72.

⁴ ა. შანიძე, ი. იმნაიშვილი, ლ. კვაჭაძე, ქართული ენის გრამატიკა, ნაწ. I, მორფოლოგია, თბილისი, 1974, გვ. 4.

ლო პლ. იოსელიანი და თ. ჟორდანია — დეფისით. სხვა გრამატიკოსებთან შორისდებულის ფუძე წარმოდგენილია მთლიანი სახით.

ტერმინი შორისდებული ყველა ენაში ლათინურის ყაიდაზეა შექმნილი და დამკვიდრებული. ცალკე მეტყველების ნაწილად იგი რომაელმა გრამატიკოსებმა აღიარეს და სათანადო ტერმინიც მათ შეიმუშავეს. ქართული ტერმინი შორისდებული ლათინური ტერმინის interiectio-ს შესატყვისი თარგმანია. ამ ტერმინს, რომელიც მტკიცედაა დანერგილი თანამედროვე ქართულ გრამატიკულ სახელმძღვანელოებში, ტრადიციული ვაგება აქვს და იგი პირობითადაა მიღებული.

შორისდებულის ადგილი მეტყველების ნაწილებში. მეტყველების ნაწილთა პირველი დამთავრებული სქემა მოცემულია დიონისე თრაკიელის მიერ დაწერილ ბერძნული ენის გრამატიკაში, მაგრამ მასში შორისდებული წარმოდგენილი არაა. შორისდებული მეტყველების ნაწილებში პირველად რომაელმა გრამატიკოსებმა შეიტანეს. აი, რას წერს არნ. ჩიქობავა ამის შესახებ: „პირველი დამთავრებული სქემა მეტყველების ნაწილთა მოცემულია დ ი ო ნ ი ს ე თ რ ა კ ი ე ლ ი ს“ „ტექნე გრამატიკე“-ში (გრამატიკულ ხელოვნებაში), რომელიც ეკუთვნის მეორე საუკუნეს ჩვენს წელთაღრიცხვამდის. ეს გრამატიკა ბერძნული ენის გრამატიკაა. მასში რვა მეტყველების ნაწილია; სახელდობრ: 1. სახელი, 2. ნაცვალსახელი, 3. ნაწევარი ანუ ართრონი, 4. ზმნა, 5. მიმღეობა, 6. ზმნისართი, 7. კავშირი და 8. წინდებულები.

ამ კლასიფიკაციაში მეტყველების ნაწილების დახასიათებისას მხედველობაში იყო მიღებული როგორც სიტყვის მნიშვნელობა, ისე სიტყვის ფორმა“...¹

როგორც ვხედავთ. „დიონისე თრაკიელის სქემაში გვაკლია: 1. ზედსართავი სახელი, 2. რიცხვითი სახელი, და 3. შორისდებული. ამათგან შორისდებული რომაელმა გრამატიკოსებმა დაურთეს: ლათინურში სახელს ნაწევარი არ დაერთვის; ამიტომ ნაწევარი კლასიფიკაციიდან ამოიღეს და მერვე წევრად შემოიტანეს შორისდებული“².

შემუშავდა ე. წ. ტრადიციული სქემა, რომელიც მხოლოდ სიტყვის მნიშვნელობას უწევს ანგარიშს, კლასიფიკაციის დროს სიტყვის

¹ არნ. ჩიქობავა, ზოგადი ენათმეცნიერება, I, თბილისი, 1939, გვ. 125.

² იქვე. 126.

ფორმა მხედველობაში არ მიიღება. ამიტომ კლასიფიკაცია საყოველთაო ხდება. როგორც არნ. ჩიქობავა ამბობს, „ის გამოსადეგია ყველა ენისათვის იმიტომ, რომ არც ერთი ენის სიტყვათა აგებულებას არ უწევს ანგარიშს“¹.

ანტონ პირველის ქართულ გრამატიკაში წარმოდგენილი მეტყველების ნაწილების სქემა ბერძნულ-ლათინური გრამატიკიდან მომდინარეობს² და მასში შორისდებულისაა მოთავსებული. ანტონის გრამატიკის „გავლენა შემდგომი დროის გრამატიკოსებზე დიდზე დიდი იყო“³ და ამის ვამო მეტყველების ნაწილთა შორის თავის ტრადიციულ ადგილს შორისდებულს იმკვიდრებს. რომელსაც გრამატიკოსები, ჩვეულებრივ, ბოლო ადგილზე ათავსებენ.

ა. შანიძის „ქართული გრამატიკის საფუძვლებში“ შორისდებულს მეტყველების ნაწილებში რიგით ბოლო ადგილი უკავია და ის ფორმალურ სიტყვებშია შეტანილი. ა. შანიძე წერს: „მორფოლოგიური თვალსაზრისით ქართული სიტყვები ორ დიდ ჯგუფად იყოფა: ერთ ჯგუფს შეადგენს ფორმა-ცვალებადი სიტყვები, მეორეს კი — ფორმა-უცვალებადი. ფორმა-ცვალებადთა ჯგუფში შედიან სახელები (არსებითი, ზედსართავი, რიცხვითი, ნაცვალსახელი), ზმნები და ნაწევრები. ფორმა-უცვალებელთაში კი — უდებრები: ზმნიზედა, მსლებელი (ნაწევრის გამოკლებით, ე. ო. თანდებული, კავშირი, ნაწილაკი) და შორისდებული“⁴.



განვიხილოთ, როგორ ინტერპრეტირებას აძლევენ შორისდებულს ქართველი გრამატიკოსები.

ანტონ I წერს: „არჩან იგინი, რომელნიცა ერთითა ნაწევროან ოხრკითა დადათუ თავით თჳსთ არსებისა არ არჩან მნიშვნელ, არამედ ჰნიშვნენ სხარულსა, ანუ მწუხარებასა სულისა კაცობრივისა, ანუ განკვრეებასა მხიარულებითთა, ანუ განკვრეებითთა ჳმითა. მაჯალითებრ: ვ ა შ ა. ვ ა შ ა! ვ ა ა ჩ ე მ დ ა! ე ჳ ა რ ა ბ ა მ და სხტანი.“

¹ არნ. ჩიქობავა. სოვ. დი ენაშეცინიერება. 1. თბილისი, 1939, გვ. 126.

² იხ. ე. ბაბუნაშვილი, ანტონ პირველი და ქართული გრამატიკის საკითხები, თბილისი, 1970, გვ. 11.

³ იქვე, გვ. 3.

⁴ ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1. მორფოლოგია, მე-2 გამოცემა, თბილისი, 1973, გვ. 35.

„ხოლო ესე გუარნი იწოდებიან შორისდებულებად“¹.

ანტონის მიერ ამ განსაზღვრებაში იმ დროის კვალობაზე კარგადაა გამოვლინებული და ჩამოყალიბებული შორისდებულის დამახასიათებელი თავისებურებანი — შორისდებული, როგორც ადამიანის სიხარულის, მწუხარების, გაკვირვების და სხვა სულიერი განცდებისა და გრძნობების გამომხატველი, რომლის წარმოთქმა ხდება თითოეული ამ გრძნობისათვის დამახასიათებელი შესაფერისი ხმით: „...განკურვებასა მხიარულებითითა, ანუ განკვრევებითითა კმითა“. ავტორი ხმაში აქ მისი მნიშვნელობის გადმოცემ ტონს გულისხმობს. განსაზღვრებაში მეტად საინტერესოა აგრეთვე ყურადღების გამახვილება შორისდებულის ერთ-ერთ სპეციფიკურ ნიშანზე: „დაღათუ თავით თვისით არსებისა არ არიან მნიშვნელ, არამედ ჰნიშვნენ სიხარულსა...“, ე. ი. ავტორის მტკიცებით, შორისდებული საგანს კი არ აღნიშნავს (არ ასახელებს), არამედ გამოხატავს ადამიანის გრძნობებს.

გაიოზი, რომელიც თავისთავს ანტონის მოწაფედ თვლიდა, შორისდებულის განსაზღვრებას გეთავაზობს ასე: „შორისდებული არს ნაწილი სიტყუსა. რომელიცა მხოლოდ ოდენ ბუნებითითა ნაწევრობითა კმითა დაჰნიშნავს ვითარსამე ვნებითსა მოძრავობასა სულიასასა“².

„შორის დებული არს ნაწილი სიტყუსა, რომელიც აღნიშნავს სხუა და სხუთა მოძრაობათა სულიერისა ვნებისათა“³, — განმარტავს ი. ქართველიშვილი.

„შორისდებულნი იჴმარებიან გამოთქმისათვს სულიერთა მოძრაობათა და შეთხზვიან რომელნიმე წრფელობითსა და რომელნიმე წოდებითისა ბრუნვსა თანა, მაგალ. ა ჰ ა გ ზ ა მ ი მ ყ ტ ა ნ ე ბ ე ლ ი ნ ე ტ ა რ ე ბ ი ს ა დ მ ი, შ ი ღ მ ე რ თ ო და სხუანი; ხოლო რომელნიმე მიცემითისა ბრუნვსათანა, მაგ. ვ ა ჯ მ ე ც ო დ ვ ლ ს ა, შ მ ე უ ნ ა ნ ე ლ ს ა და სხუანი“⁴, — ამბობს ს. დოდაშვილი. ავტორი შორისდებულის ამ მოკლე განმარტებასთან ერთად აქ სწორად შენიშ-

¹ ქართული ლრამპატია, შედგენილი ანტონ I-ის მიერ, თბილისი, 1885, გვ. 121.

² გაიოზ რექტორი, ქართული ლრამპატია, გამოცა ე. ნიკოლაიშვილიმ, თბილისი, 1970, გვ. 119.

³ ი. ქართველიშვილი, ქართული ლრამპატია, თბილისი, 1815, გვ. 127.

⁴ შემოკლებული ქართული ლრამპატია, გამოცემული სოლომონ დოდაშვილის მიერ, ტფილისი, 1830, გვ. 66.

წავს და მიუთითებს სახელის იმ ბრუნვის ფორმებზე, რომლებთანაც სწორად გვხვდება შორისდებული.

„შორის-დებული არს ნაწილაკი სიტყვსა, რომელიცა ხმისა ბგერითა აჩუჭნებს რომელთამე გულისა გრძნობათა, მაგ. შ მ ე, ე ა ა მ ე კ ა ც ს ა ბ ო რ ო ტ ს ა! და სხვა“¹, — გვამცნობს პლ. იოსელიანი.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სახელის ბრუნვის ფორმებთან შორისდებულის ხმარების შემთხვევებს განიხილავს პლ. იოსელიანიც სპეციალურად შერჩეული სათაურის ქვეშ — „შეთხზესათვის შორისდებულთა“, სადაც იგი წერს: „შორის-დებულნი ითხოვენ სხჳათა და სხჳათა ბრუნჳათა: ა. სახელობითსა, მაგ. შ უ ბ ა დ რ უ კ ი! შ ს ი ლ რ მ ე ს ი მ დ ი დ რ ი ს ა და მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ი ს ლ ჳ თ ი ს ა! და სხვ. ბ. ნათესაობითსა, მაგ. ე ა ა კ ა ც ი ს ა მ ა გ ი ს! და სხვ. გ. მიცემითსა, მაგ. ე ჰ ა მ ხ ნ ე ს ა კ ა ც ს ა! და სხვ. დ. წოდებითსა, მაგ. მ! მ ო ყ ვ ა ს ნ ო ჩ ე მ ნ ო; ჰ ე მ ე ფ ე ო, რ ა დ ე მ დ უ რ ვ ი ა ნ უ ღ მ ე რ თ ს ა, ა ნ უ ბ ე დ ს ა“².

„შორისდებული იმ ხმას და იმ სიტყვას ჰქვია, რასაც კაცი უნებლიედ წამოიძახებს მწუხარებით, სიხარულით, მრისხანებით და სხვა ამგვარი გრძნობით“, — გვაუწყებს დ. ყიფიანი³.

3. კვიცარიძე თავის გრამატიკაში შორისდებულის ვრცელ დახასიათებას იძლევა და ძალზე საინტერესოდაც, მაგრამ რაიჲ ჩამოყალიბებული განსაზღვრება შორისდებულისა მას არ მოუცია. თუ რა სახის კვლევა-ძიება აქვს ჩატარებული პ. კვიცარიძეს ჩვენთვის საინტერესო საკითხზე, ამის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი.

„შორისდებული არის ისეთი უცვლელი სიტყვის ნაწილი, რომელიც გამოხატავს სულის მოძრაობის სხვადასხვა მიმოხრას“, — ასე განსაზღვრავს მას არ. ქუთათელაძე⁴.

„ო ხ, ჰ ე, ჰ ო პ, ჰ ე რ ი, ჩ უ, — ამისთანა სიტყვები გვიხატავს სულის სხვადასხვანაირ მოძრაობას: ზოგი მწუხარებას, ზოგი აღტაცე-

¹ პირველ — დაწყებითი კანონი ქართულისა ლრამმატიკისა, შედგენილი პლატონ ეგნატისა—ძის იოსელიანისა მიერ. თფილისი, 1851, გვ. 73.

² იქვე, გვ. 112—113.

³ ახალ ქართულ გრამმატიკა, სხარტულად დაწერილი მამისაგან შეილებიასათვის დიმიტრი ყიფიანისა, სანკტ-პეტერბურლი, 1882, გვ. 136.

⁴ პირველ—დაწყებითი ქართული გრამმატიკა, შედგენილი არ. ქუთათელაძისაგან, ტფილისი, 1894, გვ. 130.

ბას, სიხარულს, გაკვირვებას. — ამისთანა სიტყვებს გრამატიკაში შორისდებული ეწოდება“, — წერს ს. ხუნდაძე¹.

„შორისდებული ეწოდება ვულის კრთომას, გულიდან ამოხეთქილ სიტყვას. იგი არის პირველსახე (ა ხ ! ე ა ი!) და წარმოებული, მაგ. ა ი ! ე მ ა ნ დ ე ! ე გ ე ! როგორც ვულის კრთომა სხვა და სხვანაირია, ისე შორისდებულებიც ნაირ-ნაირია“, — ამბობს მ. ჯანაშვილი².

შორისდებულის ზემოთ წარმოდგენილ განსაზღვრებათა შედარებრიდან ჩანს, რომ ისინი თითქმის ყველა ერთგვაროვანია. გრამატიკონები შორისდებულს ახასიათებენ, როგორც ადამიანის სულიერი განწყობილების (სიხარულის, მწუხარების, გაკვირვების და ა. შ.) გამოვხატველს.

შორისდებულის სპეციფიკას ზედმიწევნით გადმოგვცემს განსაზღვრებები, რომლებიც შემუშავებულია თანამედროვე ქართველ ენათმეცნიერთა მიერ. ა. შანიძე წერს: „შორისდებული ჰქვია ბგერას, ბგერათა კომპლექსს ან სიტყვას, რომელიც ადამიანს აღმოჰხდება პირიდან ბუნების ამა თუ იმ მოვლენის თუ საზოგადოებრივ ურთიერთობათა რომელიმე კონკრეტული ვითარების განცდის გამო, როგორც მოკლე, სწრაფი და უშუალო გამოძახილი ამ განცდისა“³ ლ. კვაჭაძის განმარტებით. „შორისდებული ჰქვია უცვლელ ბგერას, ბგერათა ჯგუფს ან სიტყვას, რომელიც ადამიანის გრძნობასა და ნება-სურვილს გამოხატავს, მაგრამ ისე, რომ არ ასახელებს მათ“⁴.

ქართველ გრამატიკოსთა მიერ შორისდებულების კვლევა ძირითადად მხოლოდ მათი ერთი რომელიმე სემანტიკური ნიშნის მიხედვით დაჯგუფებას ემყარება. განვიხილოთ თუ როგორაა შორისდებული კლასიფიცირებული ამ ნიშანთა მიხედვით ცალკეულ გრამატიკოსთან.

არნ. ჩიქობავა თავის წიგნში „იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია“ მაჯოს გრამატიკის იმ ნაწილსაც აანალიზებს, სადაც შორისდებულებზეა ლაპარაკი. ნაშრომში ვკითხულობთ: „ემშვიდე თავი ეხება შორისდებულს, მერვე მეტყველების ნა-

¹ ქართული გრამატიკა, სილოვან ხუნდაძის მიერ შედგენილი, ქუთაისი, 1907, გვ. 14—15.

² მ. ჯანაშვილი, ქართული გრამატიკა, ტფილისი, 1906, გვ. 133.

³ ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, თბილისი, 1973, გვ. 621.

⁴ ლ. კვაჭაძე, ქართული ენა, ნაწ. I, თბილისი, 1969, გვ. 325.

წილს. მაჯო ჩამოთვლის სხვადასხვა მნიშვნელობის შორისდებულებს: ჰუი! ჰე! ვეჰ!... ვაი, ვაი! ვაჰ! ვაი მას! ვუაი, ვუაი! ვუაი! ახა! სუ! სულე! შორისდებულებშია შეტანილი: მას, აბა (გვ. 108)... რას ამბო! (ე. ი. რას ამბობ?!)... შენი ჩირიმე! არ ჩემდა! ne hilum quidem (ე. ი. „არც არაფერიო“)... ჩამომეხცენი! (ე. ი. ჩამომეხსენი)... ჯა. ჯა. ჯა. (სიცილის ხმა)¹.

ავტორი აქვე წარმოგვიდგენს მაჯოს მიერ შორისდებულებში მოქცეულ შინაური ცხოველებისა და ჯრინველების მოსახმობ სიტყვებსაც. მაგ.: ბატების მოსახმობს — ბული, ბული, ბული!; კატისას — წი, წი. წი, ნიაუ და სხვ.

როგორც აღვნიშნეთ. ზ. შანშოვანს შორისდებულები შეტანილი აქვს ზმნისართებში. მაგრამ ისინი ზმნისართებისაგან გამოცალკევებულია. ზ. შანშოვანი ასახელებს შორისდებულების შემდეგ ჯგუფებს: „სანეტარო: ნეტაჲ. ვაშვაშ, ვახვახ. საადებოსი: ვაჲ, ახვაჲ. საამოსათუს: ვიშ, ვიჲ. სამიმროსათუს: ოჰ, ოჰო. უში². ამასთან ერთად, ავტორი კიდევ ჩამოთვლის შორისდებულების რამდენიმე ჯგუფს სათანადო ნიმუშებით.

ანტონ I-ის ღრამმატიკაში შორისდებულებს ვრცელი ადგილი აქვთ დათმობილი. ანტონი მათ სემანტიკურ კლასიფიკაციას აწარმოებს ცალკეული პარაგრაფების მიხედვით:

§ 141. „შორის დებულთანი მრავალნი ვიდრემე არიან სახეხი, რომელთანი რომელნიმე არიან სანეტარნი, მაგალითებრ: ნეტარ, ნეტართუმცა, ვაშა, ვაშა! ნეტარძი და სხუანი: § 142. რომელნიმე ითქმიან ჯანცხრომთად. მაგალითებრ: იშ! ეახ! და სხუანი: § 143. რომელნიმე ითქმიან საგანსაკვრვოდ. მაგალითებრ: ზი! ეჰა! რაბამ? ეჰა. რაბამ? და სხუანი: § 144. რომელნიმე ითქმიან შეწყალებითად, მაგალითებრ: საწყალობელი! ვაჲ! ვაგლახ! და სხუანი: § 145. რომელნიმე ითქმიან სასალმობად, მაგალითებრ: ზი! ეეჰ! ვაჲ ჩემდა! და სხუანი, § 146. რომელნიმე ითქმიან შინაგან მგზებარეობითად: ვაჲმე! ზიმე! უვე! უ! და

¹ არნ. ჩიქობავა. იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია. თბილისი. 1965, გვ. 46—47.

² მოკლე ღრამმატიკა ქართულისა ენისა. ქმნული ზურაბ შანშოვანის აგან 1737 წელსა. გამოცემული ალ. ცაგარელიისაგან, სანქტ-პეტერბურლი, 1881, გვ. 72.

სხუანი: § 147. რომელნიმე ითქმიან ვალალებითად და არიან იგინი შინაგან მგზებარეობითისა გუარნივე: § 148. რომელნიმე ითქმიან უხამსობითად. მაგალითებრ: უ ხ ა მ ს ი, უ გ ტ ა ნ ი, შ ე უ რ ა ც ხ ი და სხუანი: § 149. რომელნიმე ითქმიან ბასრობითად. მაგალითებრ: ე ჰ ა! ჰ ა ჰ ა! მ ე! მ ე ა! და სხუანი; § 150. რომელნიმე ითქმიან შორს წოდებითად. მაგალითებრ: ა ჰ ა! ჰ ა ჰ ა! მ ე ა! მ ე ა! მ ე ა! და სხუანი: § 151. რომელნიმე ითქმიან იღუმალობითად, მაგალითებრ: ს უ! ს უ უ! ს ს უ უ! დ უ მ ე ნ! დ უ მ ე ნ ი ნ! და სხუანი; § 152. რომელნიმე ითქმიან განკჳნობითად, მაგალითებრ: შ ა ბ ა! შ ა ბ ა! შ ა ბ ა! და სხუანი“¹.

როგორც ვხედავთ, ანტონ I-ს შორისდებულები დაუჯგუფებია ზოგადსაკლასიფიკაციო ერთ-ერთი სემანტიკური ნიშნის მიხედვით კონტექსტის გარეშე. მიუხედავად ამისა, უნდა ითქვას, რომ მისი მნიშვნელობა ძალზე დიდია, რადგან ქართული გრამატიკის სახელმძღვანელოების ავტორთაგან პირველი და სერიოზული ცდა შორისდებულების შესწავლისა ანტონ I-მა მოგვცა. ანტონს შორისდებულებში შეაქვს ისეთი სიტყვები, რომლებიც მეტყველების სხვა ნაწილებს განეკუთვნებიან: ნ ე ტ ა რ, ნ ე ტ ა რ თ უ მ ც ა, ნ ე ტ ა რ ძ ი (§ 141). ს ა წ ყ ა ლ ო ბ ე ლ ი (§ 144). უ ხ ა მ ს ი, უ გ უ ა ნ ი, შ ე უ რ ა ც ხ ი (§ 148). დ უ მ ე ნ, დ უ მ ე ნ ი ნ (§ 151). ავტორი მოცემულ შემთხვევაში, ჩანს, გულისხმობს ამ სიტყვების შინაარსობრივ მსგავსებას შორისდებულთან, როცა ისინი თავისებური ინტონაციით წარმოითქმიან და ამ ინტონაციის შესაბამისად იძენენ შორისდებულურ მნიშვნელობას. ე. ი. დროებით იცლებიან თავიანთი ლექსიკური გაგებისაგან. ამ ენობრივი ფაქტის გამო სხვა მეტყველების ნაწილების შორისდებულად მიჩნევის ანალოგიური ვითარება გვაქვს შემდგომი პერიოდის ზოგიერთი სხვა ქართველი გრამატიკოსის ნააზრევშიც.

გაიოზ რექტორის „ღრამმატიკაში“ შორისდებული დაჯგუფებულია ამგვარად: „განკვრვებითნი: ე ჰ ა! ო ჰ ი! შ ი! ა ი! ო ჰ ო ჰ ო! და სხუანი. დამტკიცებითნი ჰ ო! ა გ რ ე! და სხუანი. საღმობითნი ვ ა ა! შ ი! ვ ა ა მ ე! ჰ ო ი მ ე! უ ვ ი! უ ვ ი უ ვ ი! ვ ა ა ვ ა ა! დაღადებითნი ო ჰ ი! შ ი! შ ი ღ მ ე რ თ ო! წოდებითნი ე ჰ ა! მ ე ი! მ ე ი მ ე ი! შ ი! და სხუანი. ქირდებითნი ჰ ა! ჰ ა ჰ ა! მ ე ი მ ე ი მ ე ი! დაღუმებითნი

¹ ქართული ღრამმატიკა, შედგენილი ანტონ I-ის მიერ, თბილისი, 1885, გვ. 114.

ს უ ს უ! ჩ უ მ ა დ! დ უ მ ე ნ ი ნ! შეურაცხებითნი ანუ რისხვითნი ფ უ! ფ უ ფ უ! და სხუანი“¹.

გაიოზი წერს, რომ „შორისდებულთა შორის არიან კმარებულნი ზმნანი ბრძანებითისა სქესისანი და ზმნისზედანიცა. მაგალ. ჩ ა მ ო - დ ე გ! შ ო რ ს! და სხუანი. რომელთაცა ჯერ-არს გამოდგა მსგავსად შორისდებულთა დაწერად მისითავე ნიშნით და მე სიმრავლესათვის არა ესაჯე დადებად აქა“².

ამ დებულებით გაიოზმა ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში პირველმა გამოთქვა თავისი შეხედულება, რომ ზოგიერთი სხვა მეტყველების ნაწილი ზოგჯერ შეიძლება აღიჭურვოს შორისდებულის მნიშვნელობით.

ი. ქართველიშვილის 1815 წელს პირველად გამოცემულ გრამატიკაში შორისდებულები კლასიფიცირებულია ასეთი სახით: განკვირვებითნი: ო ჰ, ე ჰ ა, მ და სხვ. საღმობითნი: ე ა მ, მ, ე ა მ ე, მ მ ე და სხუანი. შუშბითნი: ე ი შ, ე ა ხ და სხვანი. შეურაცხუყოფითნი: ფ უ, ფ უ ფ უ და სხვ.“³ ამათ გარდა, ავტორი კიდევ ასახელებს შორისდებულების რამდენიმე ჯგუფს. მასაც ტრადიციის გავლენით შორისდებულებში შეაქვს სიტყვები: ჩ უ მ ა დ, ჰ დ უ მ ე ნ ი ნ, ს ა წ - ყ ა ლ ი, ნ ე ტ ა, ნ ე ტ ა რ ძ ი; დამატებულია გა დ ი⁴.

ს. დოდაშვილი თავის „ღრამმატიკაში“ სიტყვასიტყვით იმეორებს ი. ქართველიშვილის მიერ კლასიფიცირებულ შორისდებულებს⁵.

პლ. იოსელიანი თავის შემოკლებულ ღრამმატიკაში. რომელიც პირველად 1851 წელს გამოიცა. ხოლო მეორედ 1863 წელს, შორისდებულებს ისე ჩამოთვლის, რომ არ ახდენს მათ დაყოფას ჯგუფებად. აი ზოგიერთი მათგანი: ა! ა ი! ა ხ! ა ხ! ა ხ! ა ჰ ა! გა გ ა! გა ც ი! გა ა ჰ! ე ჰ ა!“⁶.

¹ გაიოზ რექტორი, ქართული ღრამმატიკა, თბილისი, 1970, გვ. 119.

² იქვე.

³ ი. ქართველიშვილი, ქართული ღრამმატიკა, თბილისი, 1815, გვ. 127--128.

⁴ იქვე.

⁵ შემოკლებული ქართული ღრამმატიკა, გამოცემული სოლომონ დოდაევისა მიერ, ტფილისი, 1830, გვ. 55.

⁶ პირველ-დაწებებითი კანონნი ქართულისა ღრამმატიკისა, შედგენილი პლატონ ეგნატის-აძის იოსელიანისა მიერ, 1851, გვ. 73.

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ პლ. იოსელიანი პირველი შეესო შორისდებულების ფორმაცვალებად სიტყვად ქცევის საკითხსაც. იგი წერს: „შორისდებულები რავდენნიმე გარდავლენ სხუად ნაწილად სატყვსა და იბრუნვიან, მაგ. ვაჲ, ვაება, ვვაებ“¹. ავტორი მსგავს მაგალითებს იქვე კონტექსტშიც წარმოგვიდგენს.

ცნობილი ქართველი მეცნიერის დ. ჩუბინაშვილის მოკლე ქართულ გრამმატიკაში მოცემულია შორისდებულთა შემდეგი კლასიფიკაცია: „ოჰ, ოჰო, ჰოჰ! ეჰ, ჰოი! ვეჰ! ბეჩავი! — აღსანიშნავად განცვიფრებისათვის; ვაჲ, ვაჲმე, ჰოიმე, ოჰჲ! ოჰე მნე! ვაგლახმე! — აღსანიშნავად მწუხარებისათვის; ვიშ, ვახ! ვაშა-ვაშა! ნეტარძი — აღსანიშნავად სიხარულისათვის; სუ, სუსუ! — სიჩუმის დაცვისათვის; ეჰა, ეი, ჰეი, ჰეი! აი! — მოხმობისათვის; აი! — მითითებისათვის; ჰო! — დადასტურებისათვის; ფუ, ფუ! — ზიზისათვის; აბა! — ძალის დატანებისათვის“². დ. ჩუბინაშვილს შორისდებულების ამგვარივე კლასიფიკაცია აქვს მოცემული გრამატიკის მეორე გამოცემაშიც (1887 წ. გვ. 28).

დ. ყიფიანი თავის გრამმატიკაში კლასიფიკაციის გარეშე ჩამოთვლის შორისდებულთა შემდეგ ნიმუშებს: „აჰ, ოჰ, ეჰ, იჰ, უჰ, ვაჰ, ვეჰ, ვაჲ, ვაჲ შენ! არიქა, ეეჰუ, ვიშ-ვიშ! აჰაჰა! სსს! ჩუ! ნეტა! ოჰ, ოჰ, ოჰ! ჰა, ჰა, ჰა! ერიჰაა! ბარაქალა!“³.

ავტორი აქვე დასძენს, რომ „შორისდებულად ზოგი ზმნიზედა იხმარება, ზოგი თანდებულად. ზოგი კავშირიცა და ზოგი ზმნაცა“. ამის საილუსტრაციოდ დამოწმებულია მაგალითები: „ჩქარა, ჩქარა! მალე, მალე! ნუ-ნუ! აჰაჰა! ზე, ზე! ნუიქ, ნუიქ! მიშველეთ!“⁴.

შორისდებულის ფორმაცვალებად სიტყვად ქცევის შესახებ მითითებული აქვს დ. ყიფიანსაც⁵.

¹ პირველ-დაწყებითი კანონი ქართულისა დრამმატიკისა, შედგენილი პლატონ გენატისა-ძის იოსელიანისა მიერ, 1851, გვ. 73.

² Краткая грузинская грамматика Д. Чубинова, Санктпетербургъ, 1855, стр. 47.

³ ახალი ქართული გრამმატიკა, სხარტულად დაწერილი მამისაგან შეილებისათვის დიმიტრი ყიფიანისა. სანკტ-პეტერბურლი, 1882, გვ. 136—137.

⁴ იქვე, გვ. 137.

⁵ იქვე.

შორისდებულის საკითხთან დაკავშირებით სხვა გრამატიკოსებთან შედარებით ფართო კვლევა ჩაუტარებია პ. კვიციანიძეს, რომელიც, როგორც ზემოთ ვთქვით, შორისდებულს კართომის სახელწოდებით აღნიშნავს. ავტორს ფაქტების რამდენადმე სწორი ანალიზითა და საყურადღებო დასკვნების გაკეთებით კიდევ უფრო მეტი სინათლე შეაქვს შორისდებულის თავისებურებათა გაგებაში. პ. კვიციანიძე გვამცნობს: „როცა რომელიმე შინაგანი გრძნობა უეცრად აღიძვრის ადამიანის გულში, მაშინ იგი. ადამიანი ველარ ასწრებს გულდასმით გამოსაქვოს გარეგან მასზე მიღებული აღბეჭდილება გრძნობათა ლელვისაგან. მაშინ ადამიანის მკერდი აღძრევილის მდგომარეობის გამო აღმოაყვებებს, სამეტყველო ორგანოების დახმარებით, შესაბამის ბგერებს, რომელიც შედგების ერთის (ძვირათ ორის) მარცვლისაგან. ამით ეძლევის საშუებელი წუთიერს მოზღვავებულს გრძნობას. ადამიანი ამ წუთს გამოსულა ჩვეულებრივის მდგომარეობიდან. ერთი სიტყვით, ასე, თუ ისე, სამხიარულოთ თუ სამწუხრათ შემკრთალია. თავის დონეზე რომ იღგეს, მაშინ იგი თავის გრძნობას გამოსტქმიდა რამდენისამე სიტყვით, მარა ისე მკერმეტყველათ ვერა, როგორც გამკრთალს მდგომარეობაში“¹. პ. კვიციანიძე თავისი აზრის ნათელსაყოფად ასეთ მაგალითებს განიხილავს: „ვიე“ — ამას წარმოგსტქმთ ხოლმე მაშინ, როცა რაიმე გეზიზღება და გვიდა განკვიტხოთ. გულდასმით რომ ეს გრძნობა გამოგსტქმთ, ან სხვას ვუამბოთ შემდეგში, ასე ვიტყვით: რა საძაგელი რამ არის! „ვაი“ — ამას წარმოვიტყვით მაშინ, როცა რამე ავთ შეგეზარავს. დინჯათ ვიტყოდით: ძლიერ მეშინია, რა ძლიერ ვწუხვარ! და სხვ. მაგრამ ეს ისე ხელწამოსაკრავი და მკათიო ვერაა, როგორც თვითონ კართომი, რომლითაც სასწრაფოდ გადმოიცემის თვით არსებითი მხარე საგნისა, თუ მოვლენებისა“².

როგორც ვხედავთ, პ. კვიციანიძეს აქ მეტად საყურადღებო დაკვირვებები აქვს მოცემული. ამის შემდგომ ავტორი შორისდებულებს უფს ჯგუფებად. მისი ვარაუდით, „კართომნი“ იმდენისავე გვარისანი არიან, რამდენიც შინაგანი გრძნობა ადამიანის გულში სუფევს, უმთავრესნი კართომნი არიან: ა. კმუნვითნი: ვ ა ი! ვ ა პ!

¹ ქართული სწორმეტყველება, სამიწი საბეღმძღანელო შედგენილი პ. კვიციანიძის — მიერ, გამოცემული ზ. კიკინაძის საგან, თბილისი, 1888, გვ. 157.

² იქვე, გვ. 157.

ვ ა გ ლ ა ხ! ი ჰ! გ ლ ა ხ! ბ. შვებითნი: ხ ა. ხ ა! ჰ ო! ჰ ო! ჰ ო! გ. მრის-
ხანებოინი: ო! ო! ჰ მ!“¹ პ. კეცარიძე კიდევ ასახელებს რამდენიმე
მაგალითს. ზოგიერთი გრამატიკოსისაგან განსხვავებით, მას შორის-
დებულებში არ შეაქვს სხვა მეტყველების ნაწილებიდან მომდინარე
სიტყვები და არც სხვაგან გვეუბნება რაიმეს მათ შესახებ.

3. კეცარიძემ პირველმა სცადა ვრცლად შეენსაწავლა სულიერისა
(ცხოველების, ფრინველების) და უსულო საგნების გამოცემული
ხმების აღმნიშვნელი სიტყვები, რომელთა ძირებს „კრომებს“ (ე. ი.
წორისდებულებს ო. გ.) უწოდებს, ხოლო მათგან ნაწარმოებს — (სა-
ხელებს, ზმნებს) ხმაბაძვით სიტყვებს. იგი წერს: „პირუტყვთაგან
გამოღებულნი კრომნი არიან: მ უ უ; ყ ე ა ა; ყ ი პ, ყ ი პ; წ ი. წ ი;
ჩ ხ ი, ჩ ხ ი; ყ ო, ყ ო! და სხვ.“² ავტორი განაგრძობს: „უსულო საგ-
ნებსაც შეუძლიათ გამოიღონ მსგავსი რამ ბგერანი, როცა ისინი
ჩვეულებრივის, ინერციულის მდგომარეობიდან გამოდიან და მოძ-
რაობაში შედიან. მაგ. წყლის დენას გააქვს ბგერა რამ: შ შ შ,
ჩ ქ რ რ: ქუხალს — გ რ რ, კარის ღებას — ჰ რ რ და სხვ. ესე-
ნიც კრომთა ჯგუფს ეკუთვნიან“³.

შორისდებულთა ამგვარი საინტერესო და საგულისხმო ახსნა-
დახსიათების შემდეგ პ. კეცარიძე გადადის იმ ხმაბაძვითი (ონომა-
ტოპეურბ — ო. გ.) სიტყვების განხილვაზე, რომლებიც, ავტორის
ტერმინით რომ ვთქვათ, „კრომებისაგან“ გაჩენილან: „ამ კრომე-
ბისაგან აღრევე გაჩენილან ე. წ. ხმაბაძვითი სიტყვები. ეს ის სახე-
ლებია და ზმნები, რომელნიც ადამიანს გამოუთქომს ბუნებაში, განა-
გონ ბგერათა მიბაძვით. მაგალითად ადამიანს დაუნახავს ერთი სულ-
დგმული, რომელსაც გაფრენის დროს მოუხდენია ესრეთი ბგერა!
„ფრრრ“ და დაურქმევია მისთვის „ფრინველი“. ფრინველის ყოველ-
თვისებათა შორის ადაიანზე (ამ შემთხვევაში პირვანდელ ქართველ-
ზე) უმოაერესი შთაბეჭდილება მოუხდენია ამ თვისება-ფრენას. რო-
მელსაც „ფრრრ-ით“ გამოითქმოდა: ეს დადებულა სიტყვის ფეს-
ვოდ და მასზე აღმოცენებულან სიტყვები: ნაფრენი, საფრენი, ფრთო-
ვანი, აღფრთოვანება და მ.“⁴ ავტორს ამ დებულებაში გამოთქმული.

¹ ქართული სწორმეტყველება, საშინჯი სახელმძღვანელო, შედგენილი პ. კ ე რ-
ც ა რ ი ძ ი ს მიერ, გამოცემული ზ. ქ ი ჰ ი ნ ა ძ ი ს ა გ ა ნ, თბილისი, 1888, გვ. 158.

² იქვე.

³ იქვე.

⁴ იქვე, გვ. 159.

აზრის სიცხადისათვის კიდევ მოჰყავს მსგავსი მაგალითები და ზოგერთ მათგანს აანალიზებს კიდევ.

არ. ქუთათელაძის გრამატიკაში ვკითხულობთ, რომ შორისდებულები გამოხატავენ: 1. მწუხარებას: „აი! ოი! აჰ! ოჰ! ეჰ! ვაი! ვამე! ჰოიმე! ვაგლახმე! 2. სიხარულს: ვიშ! იჰ! 3. განკვირვებას: ა! აჰ! ვა! უი! ვაჰ!“ ამათ გარდა, აქვეა მოთავსებული შორისდებულთა სხვა ჯგუფებიც და მთლიანად აღებული ეს ჯგუფები არ განსხვავდება მისივე გრამატიკის სხვა გამოცემებში (1888 წ., 1889 წ., 1907 წ.) მოცემულ შორისდებულთა ჯგუფებისაგან.

გრამატიკის ავტორის, თედო ჟორდანიას, ყურადღება მხოლოდ შორისდებულებში იოტას ხმარების შემთხვევამ მიიპყრო, რაზედაც ამ შრომაში სხვაგან გვექნება საუბარი.

სილ. ხუნდაძე 1907 წელს გამოცემულ თავის გრამატიკაში¹ შორისდებულზე წინამორბედ გრამატიკოსთაგან განსხვავებულ რაიმე დამატებით ცნობას არ გვაწვდის. პირიქით, თავის გრამატიკაში მას შორისდებულის მოკლე დახასიათება აქვს მოცემული და არც რაიმე ცვლილება ჩანს მისი გრამატიკის სახელმძღვანელოს სხვადასხვა დროის გამოცემებში (1904 წ., 1912 წ., 1917 წ., 1919 წ. და სხვ.).

მ. ჯანაშვილის გრამატიკაში შორისდებულთა ჯგუფების ვრცელი სურათია წარმოდგენილი, მაგრამ იგი შორისდებულებში ათავსებს, როგორც თვითონ უწოდებს, „წარმოებულ“ შორისდებულებს: ჩუ-მათ! ნეტა! ნეტარძი! ნეტარ! დიახ! ვნახოთ! ძირს! ზიზღი! ნუ! ნუმცა! ფრთხილად! ნელა! წყნარად!² მ. ჯანაშვილს ხმაბაძვითი სიტყვებიც შორისდებულებად მიაჩნია, რადგან ხმაბაძვითი სიტყვებისაგან ნაწარმოებ სიტყვებს შორისდებულებისაგან ნაწარმოებ სიტყვებად თვლის. მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს: „კაკ! კაკ! კაკუნო. ტრტ! ტოროლა. ჩხიკ! ჩხიკ! ჩხიკვი, ჩხაკუნი“³.

¹ პირველ-დაწყებითი ქართული გრამატიკა. შედგენილი არ. ქუთათელაძისაგან, ტფილისი. 1894. გვ. 130.

² ქართული გრამატიკა (ეტიმოლოგია და სინტაქსი), თხუთი და გამოცემული თედო ჟორდანიასაგან, ტფილისი. 1889, გვ. 11.

³ ქართული გრამატიკა, სილოვან ხუნდაძის მიერ შედგენილი, ქუთაისი, 1907, გვ. 14—15.

⁴ მ. ჯანაშვილი, ქართული გრამატიკა, ტფილისი. 1906, გვ. 133.

⁵ იქვე.

ი. ნიკოლაიშვილი შორისდებულთა სემანტიკური ნიშნების მიხედვით დაჯგუფების ტრადიციის მიმდევარია. იგი წერს: „შორისდებული გამოხატავს: მწუხარებას: ვაი! ვაიმე! ეჰ! ოხ! უჰ! ვახ! ვაგლახ! სიხარულს: ჰაჰაჰა! ვიშ! იფ! ქებას: ვაშა! ყოჩაღ! ბარაქალა! შაბაშ! ვიშ! აფერუშ!“¹ იქვე ავტორი კიდევ ასახელებს სხვა ჯგუფებსაც. შორისდებულთა დაჯგუფების ასეთივე სურათია სხვა გამოცემებშიც (1912 წ., 1913 წ., 1917 წ., 1919 წ., 1923 წ. და სხვ.).

შორისდებულებს შეეხნენ აგრეთვე გრამატიკოსები: მ. კელენჯერიძე² და დ. კარიჭაშვილი³, მაგრამ შორისდებულთა კვლევის საქმეში მათ რაიმე დამატებითი სიახლე არ შეუტანიათ.

როგორც ქართული შორისდებულების შესწავლის ისტორიის ანალიზმა ცხადყო, გრამატიკოსთა ძირითადი ნაწილი, მოყოლებული ანტონ I-დან. ტრადიციულად შორისდებულთა სემანტიკურ კლასიფიკაციაში ერთიან პრინციპს იცავს. ისინი შორისდებულების მცირე ჯგუფებს გამოყოფენ ზოგადად და არ განიხილავენ მათ კონტექსტში, რის გამოც არ ჩანს ერთი და იმავე შორისდებულის მრავალმნიშვნელობათა გამოხატვის უნარი. ამიტომაც, რომ ერთი რომელიმე შორისდებული ცალკეული გრამატიკოსის მიერ შეტანილია სხვადასხვა სემანტიკურ ჯგუფში, ანდა საქმე გვაქვს პირუტყუ შემთხვეულასთან: ფორმით განსხვავებული შორისდებულები დასახელებულია ერთი რომელიმე გრძნობისა და განცდის გადმომცემად. მაგალითად, გაკვირების გამოხატვა შორისდებულების ერთ-ერთი მთავარი სემანტიკური ნიუანსია. ამ გრძნობის გამოხატველად სხვადასხვა გრამატიკოსი სხვადასხვა შორისდებულს ასახელებს. მაგალითად, ში! ეჰა, რაბამე? ეჰა, რაბამე? (ანტონ I); ოჰ! ეჰა! ში! (ს. დოდაშვილი); ოჰ, ოჰო, ჰოჰ, ეჰ, ჰოი, ვეჰ, ბეჩავე (დ. ჩუბინაშვილი); ა! აჰ! ვა! უი! ვაჰ! (არ. ქუთათელაძე); ბა! ბა! პაი! პაი! (ი. ნიკოლაიშვილი); აჰ! უჰ, უხ! ოჰ! ქა! ვა! პა-პა-პა! (დ. კარიჭაშვილი); ბა-ბა-ბა! ჰე-ჰე-ჰე! ჰაი-ჰაი-ჰაი; ჰაი გიდი, გი-

¹ ქართული ენის გრამატიკა, შედგენილი ი. ნიკოლაიშვილის მიერ, ტფილისი, 1927, გვ. 106.

² მ. კელენჯერიძე, ქართული პრაქტიკული გრამატიკა, ქუთაისი, 1925, გვ. 20—21, 61.

³ დ. კარიჭაშვილი, ქართული ენის გრამატიკა, ეტიმოლოგია, ტფილისი, 1927, გვ. 128.

დი, გიდი (მ. კელენჯერიძე). ეს მაგალითები ცხადყოფს, რომ სხვადასხვა შორისდებულის დასახელება ჯგუფებში ერთი რომელიმე გრძნობის დასახასიათებლად ქმნის მეტად ჭრელ სურათს და ერთგვარ უზნერხულობასაც კი იწვევს. ამ უზნერხულობის თავიდან აცილების ცდად უნდა მივიჩნიოთ ის, რომ პლ. იოსელიანი, დ. ყიფიანი, ს. ხუნდაძე არ იძლევიან შორისდებულთა სემანტიკურ ჯგუფებს და მათი საერთო ჩამოთვლით კმაყოფილდებიან.

ა. შანიძის როგორც მეცნიერულს, ისე სასკოლო გამატიკაში მოცემულია ზოგადი, მაგრამ პირველი მეცნიერული გამოკვლევა ქართული შორისდებულებისა. ავტორი „ქართული ენის გამატიკის საფუძვლებში“¹ შორისდებულებს ძირითად ჯგუფებად ყოფს შინაარსის მიხედვით და განიხილავს ამ ჯგუფებში შემავალ შორისდებულებს როგორც ფორმის, ისე მნიშვნელობის მხრივ. საინტერესოაა გაანალიზებული შორისდებულების სტრუქტურულ-სემანტიკური თავისებურებანი აგრეთვე ს. ჟღენტის სტატიაში: „შორისდებული ახალ სალიტერატურო ქართულში“². ალ. ყაზბეგის ენაში დადასტურებული შორისდებულების სემანტიკა გარკვეულია შ. ძიძიგურის მიერ³. შორისდებულების ვრცელი დასახასიათების სურათია წარმოდგენილი ლ. კვაჭაძის სახელმძღვანელოებში: „ქართული ენა“⁴ და „თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი“⁵. რ. შამელაშვილი თავის მონოგრაფიულ გამოკვლევაში — „განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები ქართულში და მათი სწავლების მეთოდია“⁶ — შორისდებულებსაც განიხილავს. ავტორს აქ მხოლოდ სინტაქსის საკითხები აინტერესებს, ისიც მხოლოდ მთავარ ხაზებში. დასახელებულ ავტორთა შრომებში წარმოდგენილ კვლევის შედეგებზე აქ არ

¹ ა. შანიძე, ქართული გამატიკის საფუძვლები, თბილისი, 1973, გვ. 621—628.

² ს. ჟღენტი, შორისდებული ახალ სალიტერატურო ქართულში: ქართულურ ენათა ფონეტიკის საკითხები, თბილისი, 1965, გვ. 177—186.

³ იხ. ალ. ყაზბეგის თხზულებათა ტომებში (ტ. I, II, 1948; ტ. III, 1949; ტ. IV, 1950) მოთავსებული მასალის ლექსიკონი.

⁴ ლ. კვაჭაძე, ქართული ენა, ნაწ. I, თბილისი, 1969, გვ. 325—332.

⁵ მისივე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბილისი, 1966, გვ. 309—310.

⁶ რ. შამელაშვილი, განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები ქართულში და მათი სწავლების მეთოდია, თბილისი, 1958, გვ. 72—90.

შეჩერდებით, რადგან მათი დებულებები გათვალისწინებულ და დაპოვნებული გვაქვს წინამდებარე შრომაში.

შორისდებულთან დაკავშირებულ ცალკეულ საკითხებს სხვადასხვა დროს გამოქვეყნებულ მონოგრაფიებსა თუ სტატიებში, რომლებიც სპეციალურად შორისდებულს არ ეძღვნება, შეეხნენ გ. ახვლედიანი, არნ. ჩიქობავა, ვ. თოფური, შ. ძიძიგური, ქ. ლომთათიძე, ი. იმნაიშვილი, ალ. ლლონტი, ან. კიზირია, ფ. ერთელიშვილი, ტ. გუდავა, ბ. ფოჩხუა, აკ. დავითიანი, ალ. გვენცაძე და სხვები.

შორისდებულს მათთვის დამახასიათებელი ენობრივი ნიშნების მიხედვით მიაკუთვნებენ ხმაბაძვით სიტყვებსაც. ა. შანიძის „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლებში“ ხმაბაძვითი სიტყვები განხილული არ არის. მისი თანავეტორობით შედგენილ საშუალო სკოლის „ქართული ენის გრამატიკის“ სახელმძღვანელოში ხმაბაძვითი სიტყვები შეტანილია შორისდებულებში და რამდენიმე სიტყვით დახასიათებულია ასე: „შორისდებულებს უახლოვდება ხმაბაძვითი სიტყვები: „კივ! კივ! კივ! — შემოსძახა ბელურამ“ (რაზ.); „ძინ! ძინ! ძინ! — გადსძახის ზარის ხმა“ (ლომთ.)¹.

ერცელი საილუსტრაციო მაგალითებით შორისდებულებში წარმოგვიდგენს და ანალოგიურ შეფასებას აძლევს ხმაბაძვით სიტყვებს აგრეთვე ლ. კვაჭაძე სახელმძღვანელოში „ქართული ენა“².

დასასრულს უნდა აღვნიშნოთ, რომ შორისდებული ქართულში სპეციალური მონოგრაფიული კვლევის ობიექტად დღემდე არავის გაუხდია. ცოტა რამაა გაკეთებული შორისდებულის გრამატიკულ-სემანტიკურ საკითხებთან დაკავშირებით, სრულიად შეუსწავლელია შორისდებულის სტილისტური ფუნქციები, სათანადოდ არაა გარკვეული მისი ადგილი ენის სისტემაში და სხვ.

* * *

შორისდებულის პრობლემატიკაზე რუსულსა და სხვა უცხო ენების საენათმეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია ორი ერთმანეთის საწინააღმდეგო თვალსაზრისი³.

¹ იხ. ა. შანიძე, ი. იმნაიშვილი, ლ. კვაჭაძე, ქართული ენის გრამატიკა, ნაწ. I. მორფოლოგია, 1974, გვ. 197.

² ლ. კვაჭაძე, ქართული ენა, ნაწ. I. თბილისი, 1969, გვ. 328—329.

³ იხ. В. Алатырев, Проблема междометий, Ученые записки Карело-Финского государственного университета, т. III, вып. I, Петрозаводск, 1949, стр. 95—107.

ენათმეცნიერთა ერთი ჯგუფი (მ. ლომონოსოვი, ა. ვოსტოკოვი, თ. ბუსლაევი, ა. შახმატოვი, ვ. ვინოგრადოვი და სხვ.) შორისდებულს თვლის დამოუკიდებელ მეტყველების ნაწილად: მეორენი (კ. აქსაკოვი, ა. პოტენია, ვ. ბოგოროდიცკი, ა. პეშკოვსკი, დ. ოესიანიკო-კულიკოვსკი, ლ. შჩერბა და სხვ.) ამტკიცებენ, რომ შორისდებული არ არის სიტყვა და ამიტომ იგი არ შეიძლება ჩაითვალოს მეტყველების ნაწილად. ამ უკანასკნელთა შეხედულების ერთ-ერთი დამცველი ვ. ბოგოროდიცკი წერს: „წარმოშობით, შორისდებულები წარმოადგენენ რეფლექტორულ ბგერებს, რომლებიც გამოწვეულია ამა თუ იმ ძლიერი ემოციური მდგომარეობით, მაგ. ტკივილის, სიხარულისა და ა. შ. გრძნობით. ენის შემდგომი განვითარების პროცესში ისინი ხდებიან ემოციის გამომხატველი სიტყვიერი წამოძახილის სიმბოლოებად“¹.

ა. პეშკოვსკის აზრით, „წინადადების ორგანიზმში მათი უცხოობა ნათლად და სრულად აიხსნება იმით, რომ ისინი არიან გრძნობებისა და არა წარმოდგენების ნიშნები. ყველა დანარჩენი სიტყვა ენაში (შორისდებულების მონათესავე წამქეზებელი სიტყვების გარდა) წარმოდგენების ნიშნებია“².

დ. ოესიანიკო-კულიკოვსკი პირდაპირ აცხადებს, რომ „შორისდებული, როგორც გრძნობისა და არა აზრის გამომხატველი, არ წარმოადგენს ნამდვილ მეტყველების ნაწილს“³.

ასეთივე შეხედულებისაა ლ. შჩერბაც, რომელმაც შორისდებულს „მეტად გაურკვეველი და ბუნდოვანი კატეგორია“ უწოდა⁴.

შორისდებულს მეტყველების ნაწილად არც ფრანგი ენათმეცნიერი ჟ. ვანდრიესი მიიჩნევდა: „უპირველეს ყოვლისა, მეტყველების ნაწილებიდან უნდა ამოირიცხოს შორისდებული. რაოდენ დიდიც უნდა იყოს მისი მნიშვნელობა მეტყველებაში, მასში არის ისეთი რალაც, რაც მას აცალკევებს სხვა მეტყველების ნაწილებისაგან“⁵.

¹ В. Богородицкий, Общий курс русской грамматики, изд. 5. М. — Л., 1935, стр. 198.

² А. Пешковский, Русский синтаксис в научном освещении, изд. 7. М., 1956, стр. 411.

³ Д. Овсяннико-Куликовский, Синтаксис русского языка, изд. 2. СПб., 1912, стр. 49.

⁴ Л. Щербя, Избранные работы по русскому языку, М. 1957, стр. 67.

⁵ Ж. Вандриес, Язык. пер. с франц., Соцэкгиз, 1937, стр. 114.

რუსული შორისდებულის მეცნიერული შეფასება ჯერ კიდევ საყოველთაოდ ცნობილმა მეცნიერმა მ. ლომონოსოვმა მოგვცა. პან შორისდებულის მიიხნია მეტყველების ნაწილად და ზუსტად განსაზღვრა მისი თავისებურება — „შორისდებულის წარმოადგენს ადამიანის სულის მოძრაობას მოკლედ“¹. მ. ლომონოსოვი დაასკვნის, რომ განცვიფრება შეიძლება გადმოიცეს როგორც რთული წინადადებით „მე განცვიფრებული ვარ, რომ შენ გხედავ აქ“, ისე შორისდებულთ „Ba“².

მ. ლომონოსოვის დაწყებული საქმე განავითარეს მისი თეორიის მიმდევრებმა: ა. ეოსტოკოვმა, ფ. ბუსლაევმა, განსაკუთრებით ა. შახმატოვმა. რომლის გამოთქმულმა საყურადღებო მოსაზრებებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა იმ მხრივ, რომ შორისდებულის სერიოზული მეცნიერული კვლევის ობიექტი გახდა.

ა. შახმატოვის დადასტურებით, „ეს მეტყველების ნაწილი (შორისდებული — ო. გ.) მოიცავს სიტყვებს როგორც წამოძახილის ან ხმაბაძეითი ფორმით, ასევე იმ ფორმით, რომელიც დამახასიათებელია სხვა მეტყველების ნაწილებისათვის. ისინი გამოხატავენ, გამოავლენენ მოუბრის შინაგანსა და გარეგან გრძნობებს, აგრეთვე მის ნება-სურვილს. მაგრამ არ წარმოადგენენ მათს სახელწოდებებს“³.

ვ. ვინოგრადოვმა, რომელმაც საბჭოთა ენათმეცნიერთა შორის პირველმა შეძლო ფართო მასშტაბის საკვლევადიებო მუშაობა ეწარმოებინა შორისდებულის პრობლემაზე. საფუძვლიანად განიხილა ა. შახმატოვის კვლევის შედეგები და დადებითი შეფასება მისცა მას⁴. თავის მხრივ, ვ. ვინოგრადოვი გვაუწყებს: შორისდებულები „გამოხატავენ ემოციებს, განწყობილებებს, ნებასურვილებს, არ აღნიშნავენ და არ ასახელებენ მათ. არ ფლობენ რა ნომინატიურ ფუნქციას. შორისდებულებს აქვთ კოლექტივის მიერ შეცნობილი აზრობრივი შინაარსი“⁵. შორისდებულების გრამატიკულისა და სემანტიკურ თავისებურებათა გამოსარკვევად სწორ მეთოდოლოგიურ პრინ-

¹ М. Ломоносов, Полное собрание соч., том VII, изд. АН СССР, М. — Л., 1952, стр. 406.

² იქვე, 407.

³ А. Шахматов, Синтаксис русского языка, вып. II, изд. АН СССР, Л., 1927, стр. 100.

⁴ В. Виноградов, Русский язык, изд. 2, М., 1972, стр. 586—588.

⁵ იქვე, გვ. 584.

ციკებზე დამყარებულმა მიდგომამ საკითხისადმი ავტორი იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ შორისდებულები „ხშირად ატარებენ ინტელექტუალური ენის გავლენის ნათელ ანაბეჭდს..., ფუნქციონალურად უახლოვდებიან სხვადასხვა მეტყველების ნაწილებს..., ამავე დროს არიან სიტყვებისა და უფრო ხშირად წინადადების ეკვივალენტები“¹.

ვ. ვინოგრადოვის გამოთქმულ ამ დებულებებში შორისდებულის, როგორც ენობრივი მოვლენის, ობიექტური შეფასებაა მოცემული. ამით კი მყარი მეცნიერული საყრდენი შეექმნა შორისდებულის მეტყველების ნაწილად აღიარების თეორიას და ამავე დროს პასუხი გაეცა მათ, რომლებიც ამის საწინააღმდეგო თეორიის დამცველებად გამოდიოდნენ.

გ. ალატირიოვი თავის სტატიაში „შორისდებულის პრობლემა“- დაწვრილებით განიხილავს შორისდებულზე არსებულ სხვადასხვა თეორიას და წერს, რომ „ჯერ კიდევ ანტიკურ სამყაროში, როდესაც პირველად დაისვა საკითხი სიტყვების მეტყველების ნაწილად კლასიფიკაციის შესახებ, წარმოიშვა შორისდებულის პრობლემა“².

ავტორის დებულების თანახმად, ის „თეორია, რომელიც შორისდებულს არ აცხადებს სიტყვად, მეტად მავნე თეორიას წარმოადგენს“³. ურთიერთგამომრიცხვე კონცეფციათა წარმოშობა კი იმით იყო განპირობებული, რომ ზოგიერთი ენათმეცნიერული თეორია, რომელიც შორისდებულს განიხილავდა ენისაგან მოწყვეტილად, დაკავშირებული იყო მცდარ თეორიებთან ენის წარმოშობის შესახებ (ხმაბაძვითი, შორისდებულებისა და სიმღერის თეორიები). ეს თეორიები ჩაისახა ანტიკურ ფილოსოფიასა და ფსიქოლოგიაში, რომელნიც სხვადასხვა ვარიანტით ვრცელდებოდა XVIII, XIX და XX საუკუნეებში⁴.

არნ. ჩიქობავა ამასთან დაკავშირებით წერს: „ეს თეორიებთვალსაჩინოდ განსხვავდება ერთმანეთისაგან, მაგრამ სამივეს ერთი რამ აქვს საერთო: სამივე გულისხმობს ცალკეულ ინდივიდს, ერთ ადამიანს, რომელიც, ერთ შემთხვევაში ხმის მიბაძვით არქმევს სა-

¹ В. Виноградов. Русский язык, изд. 2. М., 1972. стр. 585.

² В. Алатирев. Проблема междометий. стр. 95.

³ იქვე, გვ. 96.

⁴ იხ. А. Погодин. Язык как творчество. Вопросы теории и психологии творчества, том IV. Харьков. 1913.

ვანს სახელს. მეორეში — წამოძახილებით იწყებს „ლაპარაკს“, ახლა კიდევ სიპლერაში ვამოგვივლენს მღღარ ემოციებს. ადამიანთა კოლექტივს (ჯგუფს) არც ერთი ამ თეორიათაგანი არ საჭიროებს: სამივე თეორია ინდივიდუალისტურია პრინციპში“¹.

საბჭოთა ენათმეცნიერებაში შორისდებულის კვლევა ფართო ხასიათს 40-იანი წლებიდან იღებს და უკანასკნელ ხანებში უფრო ინტენსიური ხდება. სხვა ენებთან შედარებით საფუძვლიანად რუსული ენის შორისდებულება დამუშავებული. ამ მხრეც დიდი მუშაობა აქვთ გაწეული ა. გერმანოვიჩს, რომელმაც მონოგრაფიულად გამოიკვლია რუსული ენის შორისდებულები: ვ. ალატირიოვის, გ. დაგუროვის. ნ. კასატკინს, ნ. შვედოვას, ა. ისკოხსა და ა. ლენკოვას². ფ. კასიმს³. შ. სარიბაევს⁴ და სხვ.

თუ როგორი ერთიანი და მართებული აზრი დამკვიდრდა შორისდებულზე თანამედროვე საბჭოთა ენათმეცნიერებაში, თვალსაჩინოებისათვის მოვიყვანთ ზოგიერთ დებულებას მკვლევართა ნაშრომებიდან. ა. გერმანოვიჩი წერს: „თანამედროვე გრამატიკოსებს შორისდებული უდავოდ შეაქვთ მეტყველების ნაწილების შემადგენლობაში, აღიარებენ, რომ შორისდებული აუცილებელი რგოლია სალაპარაკო ენის სისტემაში...“⁵ ა. გერმანოვიჩის მტკიცებით, შორისდებულის „სპეციფიკური თავისებურებანი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მათი მნიშვნელობა ინტონაციათა გამოიხატება“⁶.

ვ. ალატირიოვის შეხედულების თანახმად, „შორისდებულები არ არიან უცხო და მეორეხარისხოვანი ენისათვის. მათ მეტად დიდი მნიშვნელობა აქვთ მეტყველებაში. შორისდებული ცოცხალი და პროდუქტიული მეტყველების ნაწილია“⁷.

¹ არნ. ჩიქობავა, ზოგადი ენათმეცნიერება, 1, თბილისი, 1939, გვ. 41.

² აქ ჩამოთვლილ ყველა ავტორის ნაშრომებზე არ მივუთითებთ, რადგან ისინი გაცილებსწინებულთა წინამდებარე გამოკვლევაში.

³ Ю. К а с и м, Междометия украинского языка, Автореферат, Одесса, 1951.

⁴ Ш. С а р ы б а е в, Междометия в Казахском языке, Алма-Ата, 1959.

⁵ А. Г е р м а н о в и ч, Междометия русского языка, Киев, 1966, стр 36.

⁶ იქვე.

⁷ В. А л а т ы р е в, Проблема междометий, стр. 96.

ა. ისკოზი და ა. ლენკოვა იმ აზრს ავითარებენ, რომ „თუ შორისდებულები გამოხატავენ განზოგადოებულ, გააზრებულ ემოციურსა და ნება-სურვილის განცდებს. მაშინ ძნელია უარყვოთ ჩვენი ცნობიერების მონაწილეობის უნარი ამ პროცესში. მაშასადამე, ძნელია უარყვოთ შორისდებულების არა მარტო გრძნობისა და ნება-სურვილების, არამედ ცნების გამოხატვის უნარიც მათ შესახებ“¹.

დასასრულ, რაც შეეხება ქართულ გრამატიკულ სახელმძღვანელოებს, როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები, მათში ანტონ I-დან მოყოლებული მეტყველებას ნაწილთა შორის შორისდებულს კანონიერად აქვს მიჩნეული კუთვნილი ადგილი. აზრთა სხვაობა და დავა ქართველ ენათმეცნიერთა შორის მის ირგვლივ არ წამოკრილა. ის კია, რომ სხვა ენების მკვლევართა უარყოფითი დამოკიდებულება შორისდებულის მიმართ უკან ეწეოდა მისი კვლევის საქმეს ჩვენშიც.

¹ А. Искоз, А. Ленкова, Выражают ли междометия понятия? Ученые записки, Вопросы лексикологии и стилистики германских языков, изд. ЛГУ, 1958, стр. 69.

ქართულ შორისდებულთა აგებულება

თანამედროვე ქართულში შორისდებულები თავიანთი წარმოშობითა და წარმოქმნით შეიძლება დაიყოს: 1) პირველად შორისდებულებად და 2) მეორეულ შორისდებულებად.

პირველად შორისდებულებად გამოიყოფა ეროი ან რამდენიმე ხმოვანი. აგრეთვე — ხმოვნისა და თანხმოვნის, ხმოვნისა და თანხმოვნების ან პირუკუ: თანხმოვნისა და ხმოვნის, თანხმოვნისა და ხმოვნების. ანდა ხმოვანთა და თანხმოვანთა შეერთებით შედგენილი ბგერათა კომპლექსები. ზოგადი სტრუქტურული გამოსახულება ასეთია: v ; $v+v$; $v+c$; $v+c+v$; $c+v$; $c+v+c$ და სხვ. (ი, აუ, ახ, ეჰე, სუ, ვიშ და სხვ.).

მეორეულ შორისდებულებად გამოიყოფა: დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე სიტყვები, რომლებიც ქცეულან შორისდებულებად: ბიჰოს, ქა, ოჯო, ბეჩა და სხვ.: ამავე გზითაა შორისდებულად ქცეული სხვა ენებიდან შემოსული სიტყვებიც: აფსუს, ბარაქალა და სხვ.

მეორეულ შორისდებულებებში წარმოდგენილია აგრეთვე შორისდებულის მნიშვნელობის მატარებელი სიტყვათშეერთებები. ფრაზები. იდიომები (ღმერთმანი, შენიჭირიმე, გენაცვალე, ღმერთმახელი მოგიმართოს და სხვ.). „შორისდებულის მნიშვნელობა აქვს მისალმების, გამომშვიდობების, ბოდიშისა და მადლობის გამომხატველ გამოთქმებს“¹.

შორისდებულებად გვაქვს ხუთივე ხმოვანი: ა, ე, ი, ო, უ.

მაგალითები:

¹ ლ. კვაკაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბილისი, 1966, გვ. 309.

„—ა! შენ ხარ ცოტნე?“ (აკაკი, III, 263); „—ე!.. ყველაფერს რომ მე დამბარალებს!“ (წერეთ., I, 306); „—ი!.. მეხი კი დავაყარე შენ კვატუშა თავსა!“ (იქვე, 395); „—ო, ფრიად სასიამოვნოა, სული-კო!“ (ვაჟა, VIII, 322); „—უ! ერთი დახედე ამ ვერანას, რა ქნა ე?!“ (ფურც., 318).

ემოციურ-ექსპრესიული სიძლიერისა და ტრნური მოდულაციის გამოსახატავად შორისდებული პირობითად შესაძლებელია ორი ან მეტი ერთნაირი ხმოვნით იყოს წარმოდგენილი (აა, ოო, იი და მისთ.).

მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი :

„ა ა, ლადიკო, მაშ ესეა შენი საქმე?“ (ლორთქ., II, 430); „ო ო ო, ძალიან ჭკვიანი ვინმეა“ (ვაჟა, VI, 165); — „ი ი ი ი, რა ძაან ღვინოა!..“ (არაგვ., II, 100);

შორისდებულის აგების საფუძველს ხმოვნები წარმოადგენს, „რადგანაც ტონის მოძრაობა — მისი აწვევ-დაწვევის გამოხატვა — მხოლოდ ხმოვნის საშუალებით ხერხდება“¹. ხმოვნებთან განსაკუთრებით ხშირია ყელისმიერი სპირანტი ზ და უკანაენისმიერი სპირანტი ხ, რომლებიც წინ უძღვის ან მოსდევს ამა თუ იმ ხმოვანს. ამ გზით ვღებულობთ შორისდებულებს: ა ხ; ხ ა, ხ ა, ხ ა; ა ჰ; ჰ ა; ე ხ; ხ ე, ხ ე, ხ ე; ე ჰ; ჰ ე; ხ ი, ხ ი, ხ ი; ი ჰ; ჰ ი; ო ხ; ხ ო, ხ ო, ხ ო; ო ჰ; ჰ ო; უ ხ; უ ჰ; ჰ უ.

ზ და ხ სპირანტები ა ხმოვანთანაა: „ა ხ! ღმერთო!“ (ყაზბ., IV, 372); „ხ ა, ხ ა, ხ ა! — ხარხარებდა კირილე“ (კლდ., I, 132); „ა ჰ, რა ლამაზი ვაჟკაცია, ღმერთო!“ (გამს., V, 564); „ჰ ა, ეს შეუძლებელია!“ (ქიჩი., რჩ., 555).

ა ჰ და ა ხ კიდევ დაირთავენ ბოლოში ა ხმოვანს და გვაქვს ა ჰ ა და ა ხ ა შორისდებულები: „ა ჰ ა, მაშ კომიტეტიც არსებობს?“ (დად., 338); „— ა ხ ა, ღმერთო!“ (აკაკი, V, 11).

ა ჰ ა-ს ბოლოში კიდევ ჩნდება ი ხმოვანი, ხოლო ა ჰ, გარდა ა ხმოვნისა, დაირთავს ი და უ ხმოვნებსაც და ვღებულობთ შორისდებულებს: ა ჰ ა ი, ა ჰ ი, ა ჰ უ. მაგ.: „ა ჰ ა ი! — შეჭკივლა ცეცომ“ (მგალობ., 355); „— ა ჰ ი! ა ჰ ი! გველო, გველო!...“ (ფურც., 373); „ა ჰ უ, შენც შემარცხვინე!“ (ყაზბ., II, 136).

¹ ს. ქ დ ე ნ ტ ი, შორისდებული ახალ სალიტერატურო ქართულში: ქართველურ ენათა ფონეტიკის საკითხები, თბილისი, 1965, გვ. 178.

ა ხ-ს ხშირად დაერთვის პირველი პირის ნაცვალსახელი მე და გვაქვს ა ხ მე¹: „— ა ხ-მ ე! — კბილების ხრკილით და თავის გაქნევიო წამოიძახა დაბოროკლებულმა“ (ყაზბ., I, 200).

გვაქვს ვ ა შორისდებული: „— ვ ა, ვ ა, ეს რა სტროგი ვინმე ყოფილა“ (ვაბაშ., I, 374).

ვ ა ბოლოში დაირთავს ჰ და ხ თანხმონებს: ვ ა ჰ, ვ ა ხ. მაგ.: „— ვ ა ჰ. შენი ქირიმე, გიორგი!“ (ფურც. 267); „ვ ა ხ! დაგვიმხეს ზოგთ ეს საქმეც!“ (ილია, I, 88).

დასტურდება ვ ა ჰ ი-ს ხმარებაც: „— ვ ა ჰ ი, შენი დედის რძე დაიქცეს, რომ შენ ძუძუ გაწოვა“ (მგალობ., 245).

ვ ა, ვ ა ჰ, ვ ა ჰ ი დაირთავენ პირველი პირის ნაცვალსახელს: ვ ა მ ე, ე ა ჰ მ ე, ვ ა ჰ ი მ ე. ვ ა მ ე დასტურდება „ვეფხისტყაოსანში“: „უშენოდ ჩემი სიცოცხლე, ვ ა მ ე, რა დიდი ძნელია!“ (ვეფხ. ტყაოს., 1281); „ვ ა ჰ მ ე, ჩემო სილაღე, ვ ა ჰ, ჩემ თავს!“ (ვაჟა, VII, 69); „ვ ა ჰ ი მ ე... ე...ე! — შეპბლავლა იმან განწირულების ხმით“ (ფურც., 249).

ვ ა ჰ მ ე-ს წინ შეიძლება ა-ც გაუჩნდეს: „ა ვ ა ჰ მ ე, ჩვენო სახლკარო, ვ ა ჰ მ ე, დამიდგეს თვალიო!“ (ვაჟა, III, 20).

ფართოდაა გავრცელებული ვ ა ი შორისდებულის ხმარებაც: „ვ ა ი. მოგვიკედეს ჩემი თავი, შე საწყალო!“ (ვაჟა, V, 95).

ვ ა ი-ს წინ უძღვის ა და გვაქვს ა ვ ა ი: „— ა ვ ა ი! — შესძახა მოხუცმა და თავში ხელი შემოიკრა“ (ლორა., 163).

ვ ა ი და ა ვ ა ი წარმოდგენილია პირველი პირის ნაცვალსახელის მ ე-ს დართვითაც: „ვ ა ი მ ე, ძმაო, ბნელ სიკვდილმა მოგსპო, ვ ა ი მ ე!..“ (ილია, I, 69); „— ა ვ ა ი-მ ე დალუპილსა!“ (ყაზბ., I, 184):

მ ე-ს დართვით გვაქვს აგრეთვე შორისდებულები ბ ა ი მ ე, ა ბ ა ი მ ე: „— დიდო ძაღლებო! ამის ტოტნი! კული! ბ ა ი მ ე!“ (ვაჟა, V, 9): „ა ბ ა ი მ ე, ა ბ ა ი მ ე!.. — სთქვა გულში პეტრემ, ეხლა კი ცოტა წყენოა“ (ილია, I, 412).

ჰ და ხ სპირანტები წინ უძღვის ან მოსდევს ე ხმოვანს: „ე ჰ, ღმერთო ჩემო“ (ერისთ., 260); „ჰ ე, გზებო! გზებო!“ (გრიშ.,

¹ პირველი პირის ნაცვალსახელი მე წინადადების წვერია წარმოშობით, მაგრამ იგი უკვე შორისდებულის ნაწილია შემდეგ გამოთქმებში: ვ ა ი მ ე, (ე) უ ი მ ე, ა ვ ა ი მ ე, ა ბ ა ი მ ე, შენი ქირიმე, შენი კენესამე, ვ ა გ ლ ა ხ მ ე“ (ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები I, თბილისი, 1973, გვ. 627).

II. 366): „... ე ხ, ერთი თქვენც...“ (ლომთ., 401); „ხ ე. ხ ე. ხ ე. ხ ე!...“ (აკაკი, V, 226).

ე ჰ შორისდებულს ბოლოში უჩნდება ხუთივე ხმოვანი და ვლ-ბულობთ შორისდებულებს: ე ჰ ა, ე ჰ ე, ე ჰ ი, ე ჰ უ, ე ჰ ო. მაგალითები: „— ე ჰ ა რჩეული ლაშქარი!“ (ბარნ., VIII, 392); „ე ჰ ე! ბოქე-ბო, აქ რას უზიხართ?“ (აკაკი, III, 390); „— ე ჰ ი! ეგ კი ველარ მომაგონდა“ (მგალობ., 161); „— ე ჰ უ! აქროლდა ქარი“ (ბარნ., VIII, 66); „ყველამ ერთად ამოხხვრით წარმოესტკეით: „ე ჰ ო!“ (ვაჟა, VII, 324).

ე ჰ ს-ს ბოლოში დაერთვის ხ-ც და გვაქვს ე ჰ ხ: „მაგრამ ვარდ-მა, — ე ჰ ხ, ვინ მეტყვის! — იმ დროს თუ რა...“ (გრიშ., I, 233).

ე ჰ ე-ს ბოლოში არაიშვიათია ი ხმოვანიც: „ე ჰ ე ი! რა ტარება გამოიტანა“ (ფურც., 355).

ე ჰ ს-ს წინ უძღვის კბილბაგისმიერი ვ და ვლბულობთ. ე ე ჰ ს-ს: „— ე ე ჰ, წაგინდა! — მიაყვირა წერეთელმა“ (აკაკი, IV, 98).

დასტურდება ასეთი შორისდებულებაც: ე ე. ე ე ი: „ვე! ახლაკი ვხედავ, რომ მიჯავრდებით!...“ (აკაკი, V, 167); „ვე ი! მაგას კი ვერ ვიქ“ (ერისთ., 237).

შორისდებული აგებულია ი ხმოვანზედაც. მას წინ ან შემდეგ (ბოლოში) დაერთვის ჰ და ხ. მაგალითები: „ი ჰ, ნეტავი შენა!“ (აკაკი, V, 205); „ჰ ი, ვენაცვალე ღმერთსა!“ (ილია. I. 368); „— ხ ი. ხ ი, ხ ი! — ჩაეიხითხით“ (არაგვ., I, 19).

ი-ს, გარდა ჰ და ხ სპირანტებისა, წინ უძღვის, მოსდევს ან ორივე მხარეს დაერთვის სხვა თანხმოვნებიც. ვლბულობთ შორისდებულებს: ე ი, ე ი ჰ, ი შ, ი ფ, ე ი ფ, ფ ი, ფ ი ე. მაგალითები: „— ე ი ი! ტყე ჩემი, ჭარიმა გლეხების და ფული მქადაგებლებს“ (აკაკი, V, 321); „— ე ი ჰ, გიორგი! ცუდად ნულარ ახსენებ ლუარსაბს“ (ფურც., 460); „ი შ, ი შ! თავი დამანებე, ადამიანო. რას ჩამცობეხარ!“ (გაბაშ., II, 100); „-- ი ფ, რა აგრილდა“ (წერეთ., II, 162); „ე ი ფ. საყვარელო, რა კარგია დიდკაცობა!“ (აკაკი, V, 101); „ფ ი! ეგ უმეკველათ არის გლეხისაგან მოტყაპუნებული“ (ყაზბ., IV, 372); „ფ ი ე! ხუთმეტი უნდა ყოფილიყო“ (ილია, I, 333).

გვხვდება ი ჰ ი შორისდებული. რაც მიღებულია ი ჰ-ზე ი-ს დართვით: „— ი ჰ ი, გამოვიდეს, მოაქენებენ!“ (ბარნ., I, 22).

„ხშირად შორისდებულად გამოყენებულია ო ხმოვანიც“¹, როგორც თავში ან ბოლოში დაერთვის ჰ და ხ: „ოჰ! ჩემო სიცოცხლევ!“ (ერისთ., 352); „— ჰ ო, ნეტავი, მოცლილი არ იყო...“ (ქიან., I, 242); „ო ხ, დედაჩემო, დედაჩემო!“ (ლომ., I, 230); „ხ ო-ხ ო-ხ ო, მტრისას. რაც იმას სჭირდა!“ (ქიან., რჩ. 203).

ოჰ-ს დაერთვის ერთი ან რამდენიმე ხმოვანი, ან თანხმოვანი და წარმოდგება ასეთი შორისდებულები: ოჰ ი, ოჰ ო, ოჰ ო ი, ვ ო ჰ, ვ ო ჰ ი...; მათზე პირის ნაცვალსახელის მე-ს დართვით მიიღება ოჰ მ ე, ოჰ ი მ ე, ვ ო ჰ მ ე, ვ ო ჰ ი მ ე, ვ ო ჰ შ ი მ ე, ვ ო ჰ ხ მ ე შორისდებულები. მაგალითები: „ოჰ ი! ამოდი, ჩემო ტანჯულო სულო, ნულარვე!“ (მგალობ., 24); „ოჰ ო! შენ მაღლა იწევ“ (ერისთ., 261); „— ო ჰ ო რ! შენ შეიღს ზედა-ჯვრის წმინდა გიორგისთვის რაღაც უწყენინება...“ (მგალობ., 341); „ვ ო ჰ, მისოუსტ, ვ ო ჰ“, მიძახის ხელახლა კაც“ (გამს., I, 610); „ვ ო ჰ ი, ვ ო ჰ ი, დახე, რა უქნიათ ამ ბუდეშურებისათვის და!“ (მგალობ., 143); „ოჰ მ ე, ოჰ მ ე... ცოცხალია კიდევ?“ (კლდ., I, 280); „— ო ჰ ი მ ე, რა სიცოცხლეა ჩვენი სიცოცხლე, რა!!“ (მგალობ., 564); „ვ ო ჰ მ ე, ვ ო ჰ მ ე, ჩემო ნიკორა კამეჩო!“ (ვაჟა, V, 120); „— ვ ო ჰ ი მ ე! მაგი ოჯახი დაიქცეს, მაგი!“ (მგალობ., 368); „ვ ო ჰ შ ი მ ე! სოფელია ესა, სოფელია?!“ (იქვე, 479); „ვ ო ჰ ხ მ ე, ვ ო ჰ ხ მ ე, რო მამაგონდება, თავში დამკრავს“ (ვაჟა, VII, 238).

ისევე როგორც ოჰ, მე-ს დაირთავს ო ხ-იც: „ო ხ მ ე, ო ხ მ ე!.. — გამწარებით გაიძახოდა ოტია“ (კლდ., I, 316).

უ-ს წინ უძღვის ან მოსდევს ჰ, ანდა მოსდევს ხ და გვაქვს შორისდებულები უ ჰ, ჰ უ და უ ხ: „— უ ჰ, ღმერთმა მაგის სახე ნუ დამანახვოს!“ (აკაკი, V, 345); „ჰ უ, რა სიცხეა...“ (ლორთქ., II, 10); „— უ ხ!.. — წამოვიძახე, თვალები მოვიფშვნიტე“ (არაგვ., I, 221).

უ-სთან სხვა თანხმოვანთა მიერთებით გვაქვს ასეთი შორისდებულები: ვ უ უ, უ მ, უ ფ, ფ უ. მაგალითები: „— დამქოლეთ გენაცვალეთ. დამქოლეთ, ვ უ უ!“ (ბარნ., II, 77); „— უ მ! — დიდად შეიკვირვა ობიშხიამ“ (დად., 255); „— უ ფ, რა გრილი დამეა!“ (ნინოშ., I, 15); „ფ უ, სირცხვილო!“ (გაბაშ., I, 272).

შორისდებული შესაძლებელია, აგებული იყოს ხმოვანთა შეერთებითაც. უფრო ხშირად წარმოდგენილია ა და უ, ე და ი, უ და

¹ ს. კლდელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 180.

ი ხმოვანთა შეერთებით შედგენილი შორისდებულები: ა უ, ე ი, უ ი. მაგალითები: „— ა უ, რას სჩადი!“ (ყაზბ., II, 397). ა უ გვაქვს გართულებული ფორმიტაც: ა უ ჰ, ა უ ი ჰ: „— ა უ ჰ! სიბერემ თუ წამართვა თვალის ჩინი“ (ბარნ., VII, 502); „— ა უ ი ჰ!.. — რა იყო? — შეეკითხა პლატონი შეშინებით“ (კლდ., I, 136); „— ე ი, შენ. დედაკაცო, ენა დაიმოკლე...“ (ლომთ., 586); „— უ ი, შე საწყალო!“ (ლომ., I, 444).

უ ი-ს წინ უჩნდება ვ, ხოლო ბოლოში ჰ ან ტ: „— ვ უ ი, შენ კი გენაცვალე!..“ (კლდ., I, 258); „— უ ი ჰ!.. — იკივლეს და სწრაფად თაგები უკან გადაიღეს“ (არაგვ., II, 146); „— უ ი ტ, წუპაკი!“ (დად., 296).

უ ი და ვ უ ი დაირთავენ მ ე ნაცვალსახელს ბოლოში: „— უ ი მ ე! რა უკაცრაოდ ვიყავი დღეს!“ (ნინოშ., I, 87): „ვ უ ი მ ე, დედა! სკოლაში რა წამიყვანს, თუ სცემენ!“ (მგალობ., 98).

შორისდებულად გვაქვს აგრეთვე ხმოვანთა შემდეგი ნაერთებიც: ა ე, ა ი, ე ა, ო უ, ო ი. მაგალითები: „— ა ე, მაი! — უჩვენა ერთბაშად ყველამ“ (ფურც., 29); „ა ი, გაგიმარჯოს, ჩემო გიორგი!“ (ილია, I, 443); „— ე ა! მგელს ჩვენი ყურშაც ვერას დააკლებს“ (მგალობ., 469); „— ო ი, რას ლაპარაკობთ!“ (დად., 248); „ო უ! დიდი არამზადაა ეგ მოურავი“ (ფურც. 190).

ო ი-ს საფუძველზე შექმნილია შორისდებულთა სხვადასხვა ვარიანტი: ო ი ჰ, ო ი ჰ მ ე, ვ ო ი ჰ, ჰ ო ი მ ე, ჰ ო ი ჰ ე. მაგალითები: „ო ი ჰ! ო ი ჰ! მომკლა იმ ღეთის პირისაგან წყეულმა!“ (აკაკი, V, 390); „დედა, დედა! ო ი ჰ მ ე!.. სად ჯანაბაში დალუპულან...“ (მგალობ., 324); „ვ ო ი ჰ, მანდილოსანის მგზავრობა კი...“ (გაბაშ., I, 367); „მკერდზედ მუჟს მიიბრაგუნებდა და მწუხარებით გამოიძახებდა: „ჰ ო ი მ ე, ჰ ო ი მ ე, ჰ ო ი მ ე!..“ (წერეთ., I, 57); „ჰ ო ი ჰ ე, ჰ ო ი ჰ ე, რა მახეში მე იმან ჩამაგდო!“ (აკაკი, V, 11).

არაიშვიათად შორისდებული წარმოდგენილია ერთი ან ორი თანხმოვნით, რომელთანაც სუსტი, ირაციონალური ხმოვანიც (გ) ივარაუდება. ასეთებია ჰ და მ (=ჰმ). ნ და წ (=ნწ). მაგალითები: „ჰ მ, მესმის, ეხლა კი გავაბი ოც თუმანში, თქვენმა მზემ“ (ილია, I, 541); „— ნ წ... ღმერთი, ტატე, მართალს კაცსა მის ღღეში არ გააფუჭებს...“ (მგალობ., 475).

დასტურდება თანხმოვანთა კომპლექსებისაგან შემდგარი შორისდებულები: ტ ს ს, თ ს, ფ შ შ, ბ ს ტ, მ ჰ ჰ, ხ მ. მაგალითები:

...ტ ს ს! — წარმოსთქვა და სალოკი თითი მუქარით შემართა“... (ქიან., III, 358); „— თ ს ს!.. -- ანიშნა ქალმა და გაიქცა“ (ლორთქ., II, 167); „— ფ შ შ! -- ისე წაიფრუტუნა მანანამ, რომ ეკვირინეს ადელად შეეძლო ყურიც მოეკრა“ (კლდ., I, 254); „— ბ ს ტ, ბ ს ტ! — დაიძახა იმან ერთბაშად...“ (ყაზბ., IV, 199); „მ ჰ ჰ... მ ჰ ჰ! რა კარგია ეს ლომში შეხვეული სულგუნი!“ (წერეთ., I, 256); „გოყვარდეს, შენი კენესა-მე ხ მ!.. გული ცხოს როდის ეკითხების“ (ყაზბ., I, 59); „ხ მ! მადლობა ღმერთს“... (აკაკი, V, 270).

სიჩუმის დაცვის მოთხოვნისათვის სუ შორისდებულს იყენებენ. ხშირია, როცა იმავე აზრის გამოსახატავად მხოლოდ მარტო ს-ს წარმოთქვამენ. მისი წარმოთქმის ხანგრძლივობის გამო, წერაში იგი ორი ან მეტი ს-თია წარმოდგენილი: „ს ს ს!.. ყური დაუგდე, ქვევით. ქვევით... ამ წყვილადში განათებულ ადგილს მიაქციე ყურადღება... ს ს ს!..“ (არაგვ., II, 53).

შორისდებულად დასტურდება სხვა თანხმოვნებიც: ჰ, შ, ვ. ჰ წარმოდგენილია ერთი ასოთი, ხოლო შ და ვ სამჯერ. მაგალითები: „კარგი. ბატონი ხარ! მანგრე იყოს, ჰ!..“ (აკაკი, V, 87); „შენი ღმერთს ჰირიმე. ბოჰო, ზაჩემ სერჩაიშ, ჰ!“ (ლომთ., 28); „— შ შ შ!.. ნელა გაიხმურა გვირ“ (წერეთ., I, 311); „— ვ ვ ვ! მწ, მწ!.. -- მელიას მოაყოლა ძავძავი. პირი ნერწყვით ავესო, სიტყვები ტუჩზე შეახმა და შორისდებულებით იწყო სიამოვნების გამოთქმა“ (მგალობ., 648).

ერთი და იგივე შორისდებული ხშირად რამდენჯერმე მეორდება: ორჯერ, სამჯერ და მეტჯერ. ეს საშუალება შორისდებულისათვის მეტად საჭირო და აუცილებელია, რადგან მთქმელი მისი ზედიზედ წარმოთქმით თავის სულიერ განცდებს უმაღლესი დაძაბულობის ეითარებაში წარმოგვიდგენს. აქ ვარჩევთ შემთხვევებს:

ა) შორისდებულ-გაორმაგებული ან გასამმაგებული შეიძლება იყოს სრული სახით. თითოეული ერთეული მასში ბგერათა შეუტყველდადა წარმოდგენილი (ო ჰ, ო ჰ; ვ ა ი, ვ ა ი, ვ ა ი);

ბ) განმეორება არასრულია მაშინ, როცა შორისდებულის მხოლოდ მეორე მარცვალი მეორდება (ა ბ ა-ბ ა-ბ ა: ე ჰ ე-ჰ ე-ჰ ე; ო ჰ ო-ჰ ო-ჰ ო);

გ) განმეორების დროს ერთმანეთს ენაცვლებიან ხმოვანი და თანხმოვანი. ხდება ე. წ. მეტათეზისი: ე ჰ-ჰ ე-ჰ ე: ო ჰ-ჰ ო-ჰ ო.

ზოგიერთ შორისდებულს გაორმაგების ან გასამმაგების გარეშე რაიმე აზრის გამოხატვა არ შეუძლია: ასეთია განცვიფრების, გაოცე-

ბის გამომხატველი შორისდებულები: ბ ა, ბ ა, ბ ა: დ ა, დ ა, დ ა; პ ა, პ ა, პ ა; ტ ა, ტ ა, ტ ა. აგრეთვე სიცილის გამომხატველი შორისდებული ხ ა, ხ ა, ხ ა. ცალკე აღებულ ბ ა, დ ა, პ ა, ტ ა, ხ ა-ს რაიმე მნიშვნელობა არ გააჩნია.

მაგალითები:

„— ბ ა, ბ ა. ბ ა! რა მღვეი ვაჟკაცი ყოფილა და!“ (მგალობ., 222); „— დ ა, დ ა, დ ა! რა ღვთის გარეგანი ყოფილა, გენაცვათ!“ (ბარნ., I, 336); „პ ა, პ ა, პ ა, პ ა! რა თევზია! რა თევზია!“ (აკაკი. V. 115); „ბარბარე, ტ ა, ტ ა, ტ ა! ძალიან გაიოცე, გიცინობთ ახლანდელს ქალვაჟთ, რაც შეილებიც ბრძანდებით!“ (გაბაშ., II, 313).

ზოგჯერ პ ა, პ ა, პ ა ი ხმოვანს ან ჰ თანხმოვანს დაირთავს ბოლოში: „— პ ა ი, პ ა ი, პ ა ი! ღონიერი არა ყოფილა ისრცა!..“ (ილია, I, 335); „პ ა ჰ პ ა ჰ, პ ა ჰ!.. დიდი თავადია, დედებული თავადია!“ (წერეთ., II, 114).

გვხვდება ისეთი შორისდებულები, რომლებსაც თავიანთ აზრობრივ და სტრუქტურულ თავისებურებათა გამო განმეორება არ შეუძლიათ. ასეთებია: ს ს! ი არ! ს დ ე ქ! ბ ა ს ტ ა! და ს ს ვ.

ზოგიერთ შორისდებულს, კერძოდ, ცხოველთა და ფრინველთა გაგდების ან გაფრთხობის შორისდებულებს, წინ ა ხმოვანი უხით: ა-ც ხ ა! ა-ქ შ ა! ა-ჩ უ! ა-ც ე! და ს ს ვ.

განმეორების მიზანი სხვადასხვა ჯგუფის შორისდებულთათვის ერთნაირი არ არის. იმპერატიული შორისდებულები, რომლებიც მიემართება ცხოველებს და მიჯრით წარმოითქმის რამდენჯერმე, გულისხმობს ცხოველის მოხმობას (მოტყუებას), შეჩერებას (დაყენებას) და სხვ. ემოციური შორისდებულების განმეორებით მთქმელი კიდევ უფრო გამოავლენს თავის სულიერ ექსპრესიას: ს ხ ბ რ უ ლ ს. მწუხარებას, გაკვირვებას და სხვა გრძნობებსა და განცდებს.

„ფონეტიკურად შორისდებული ყოველთვის უფრო მეტია. ვიდრე ის ასოებით გადმოიცემა“¹. წერილი მეტყველება უძლურია სრულყოფილად გამოსახოს შორისდებულის ფონეტიკური მრავალფეროვნება. ამიტომ წერაში მისი ასოებით გამოსახულება მიზნობრივია.

„ზოგი შორისდებული შეიცავს ისეთ ბგერას. რომელიც სალიტერატურო ენაში ხმარებული ასოებით ვერ გადმოიცემა. საჭიროე-

¹ ს. ქ დ ე ნ ტ ი. დასახ. ნაშრომი, გვ. 178.

ბის შემთხვევაში ასეთ ბგერას ან მიახლოებით გადმოსცემენ, ან სულ აღუნიშვნელად დატოვებენ ხოლმე; ასეთია, მაგ., „შორისდებული ა, რომელიც აკრძალვას ვულისხმობს: „ა, ხელი არ ახლო!“ ამ ხმოვანს ჩვეულებრივ მიუძღვის ბგერა, რომელიც დაახლოებით იგივეა, რაც დასუსტებული ყ მეგრულ „ეოროფა“-ში (ეოროფა — სიყვარული). იგივე პერა მოისმის იმერულ გაკვირვების შორისდებულში, რომელსაც სამი ნიშნით გადმოსცემენ ხოლმე: იმე! (= სიმე!)“¹.

შორისდებულები, რომლებიც ნებისმიერი ნიშნებითაა გადმოცემული ქართულში, ბევრია. ასეთია მაგალითად: ჰმ, ნწ, ფ უ, ო ტ-ფ რ უ, თ ფ უ ჩ ი. „ერთნაირად დაწერილ შორისდებულებს ზოგჯერ სხვადასხვა მნიშვნელობა აქვთ და გამოთქმაც სხვადასხვანაირი, მაგრამ წერაში ყოველთვის არ აისახება განსხვავება“².

ზოგჯერ შორისდებულებში იქ, სადაც თავს იყრიან ხმოვნები, ბოლო ხმოვანი არ წარმოითქმის სრული სახით. ვლებულობთ დიფთონგებს. ეს შეეხება ი და უ ხმოვნებს: ი—ე, უ—ჟ. ამიტომაც, რომ ა. შ ა ნ ი ძ ე „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლებში“, როცა იხილავს მტაცებელ ფრინველთა შესაძახებელ შორისდებულებს, მოტანს საილუსტრაციო მაგალითებში ი-ს წერს ე-თი (იოტათი), ხოლო უ-ს თავზე სვამს დიაკრიტიკულ ნიშანს — ჟ. მაგ.: „ჰაჟ, ჰაჟ. ჰაჟ! ან: ჰაე, ჰაე. ჰაე! — შეუკივლებენ ქორს, ძერას, რომ წიწილები არ წაილოს“³. თ. ყ ო რ დ ა ნ ი ა წერს: „ეს ასო (ე) წინ — დაედება აგრეთვე შორის-დებულსა: — ეი და უკან მოექცევა ყოველ შორისდებულა, დაბოლოებულს ორის ხმოვნითა, რომელთაგან უკანასკნელი არის ი“⁴ მაგ. უ-ე! ე-ე! ო-ე! ჰ-ე! ე-ე! ჰე-ე! ე-ე! აე! და სხვ.“⁴.

შორისდებული წინადადებაში სასვენი ნიშნებით გამოიყოფა. დამოუკიდებლად წარმოთქმულ შორისდებულთან ძახილის ნიშანი დაისმის. შორისდებული, თუ ის წინადადების თავშია, ზოგ შემთხვევაში ძახილის ნიშნით გამოიყოფა წინადადებისაგან, ხოლო ზოგჯერ მძიმით. სასვენი ნიშნები წერაში ვერ ასახავენ შორისდებულის ინტონაციურ თავისებურებებს. ამიტომ გადაჭრით ვერ ვიტყ-

¹ ა. შ ა ნ ი ძ ე. დასახ. ნაშრომი, გვ. 621.

² იქვე. გვ. 622.

³ იქვე. გვ. 625.

⁴ ქართული გრამატიკა (ეტიმოლოგია და სინტაქსი) თხზული და გამოცემული თედო ყორღანიასაგან, ტფილისი, 1889, გვ. 11.

ვით წინადადების თავში მოქცეულ შორისდებულთან რა შემთხვევაში დაისმის მძიმე და რა შემთხვევაში ძახილის ნიშანი, ე. ი. მათი ხმარება პირობითია.

შორისდებულთან, რომელიც წინადადების ბოლოსაა, ძახილის ნიშანი დაისმის, იშვიათად — წერტილი.

შორისდებული, რომელიც წინადადების შუაშია მოქცეული, ორმხრივ მძიმეებით გამოიყოფა. ზოგჯერ მწერალი სამწერტილით და ძახილის ნიშნით გამოყოფს მას წინამავალი თუ მომდევნო სიტყვებისაგან.

პირობითია ორმაგი ან სამმაგი ასოებით შორისდებულის გრაფიკული გამოსახულება (ა ა, ო ო ო ხ, უ უ ჰ და სხვ.).

შორისდებულთა ჯგუფები შინაარსის მიხედვით. შორისდებულების სამი ძირითადი ჯგუფია ცნობილი:

ა) ემოციური შორისდებულები (ამა თუ იმ გრძნობის გამოძახილის გამომხატველები);

ბ) იმპერატიული შორისდებულები (მოუბრის ნება-სურვილის ამსახველები);

გ) შორისდებულები, რომლებიც გამოხატავენ ფიცილს, აღერსს და სხვ. თითოეული ამათგანი კიდევ შეიძლება დაიყოს ქვეჯგუფებად¹:

1. ემოციურ შორისდებულებში ორი ქვეჯგუფი გამოიყოფა:

ა) შორისდებულები, რომელთა მნიშვნელობის განსაზღვრა დაკავშირებულია ინტონაციასთან;

ბ) შორისდებულები, რომელთაც აქვთ შედარებით დამოუკიდებელი მნიშვნელობა და რამდენადმე ინტონაციურ წარმოთქმას აღარ საჭიროებს.

პირველ ქვეჯგუფში შედიან ის შორისდებულები, რომლებიც შედგებიან ერთი ბგერისა, ან ბგერათა კომპლექსებისაგან. მათი მნიშვნელობის განსაზღვრა დამოკიდებულია ინტონაციური წარმოთქმის თავისებურ ნიუანსებზე, ბგერათა ხანგრძლივობასა და სიმაღლეზე. ინტონაციას ხშირად თან ახლავს შესაბამისი ექსტ-მიმიკა, რომელიც აზუსტებს შორისდებულის აზრს.

სასვენი ნიშნები წერით მეტყველებაში, აგრეთვე ორმაგი და სამ-

¹ იხ.: А. Германович, Междометие как часть речи, «Русский язык в школе», № 2, 1941, стр. 30—31.

მაგ. ასოები უძლურია გამოხატოს ამ ტიპის შორისდებულთა ინტონაციური თავისებურებანი.

ემოციურ შორისდებულებად გვაქვს ყველა ხმოვანი: ა, ე, ო, ი, უ, მაგ. ა-ს ინტონაციით შეუძლია გამოხატოს სხვადასხვა გრძნობა: აღტაცება, მწუხარება, კმაყოფილება, ჩივილი, გაკვირება, მიხევერა, გაჯავრება, დაღონება და სხვ. ანალოგიურად, სხვადასხვა მნიშვნელობის გამოხატვის უნარი აქვთ ამ ქვეჯგუფში შემავალ სხვა ერთმარცვლიან, ორმარცვლიან და მეტმარცვლიან შორისდებულებს: ა ხ, ო ხ, ე ხ, უ ხ, აჰ, ოჰ, ეჰ, უჰ, იჰ, ეი, უი, ეჰე, ოჰო და სხვ.

ემოციურ შორისდებულთა მეორე ქვეჯგუფს შეადგენს ის შორისდებულები, რომელთაც აქვთ შედარებით მყარი მნიშვნელობა და რამდენადმე თავისუფალი არიან ინტონაციური წარმოთქმის სხვადასხვაობისაგან, მათთვის დამახასიათებელია საკუთარი ინტონაცია. აქ ერთიანდებიან შორისდებულები: ვაშა, ყოჩაღ, ბიქოს, დილილჰე, კიტა, ქა, ოლოლო, იმე და სხვ. აგრეთვე — სხვა ენებთან შემოსული შორისდებულები: ბრავო, ბარაქალა, ალერეჰ, აფსუს, ზახრუმა და სხვ.

ამავე ქვეჯგუფში შედიან შორისდებულები: ზიზღის გამოხატველ ფუ და სიცილის გამოხატველი ხა, ხა, ხა. ფუ გვხვდება სხვადასხვა ფონეტიკური ვარიანტით: ფუი, თფუ, თფუი, ფუ, ფუუ, ფუუუ, ფუუუჰ და სხვ. სიცილის გამოხატველი ხა, ხა, ხა — აგრეთვე სხვადასხვა ფონეტიკური ვარიანტით: ხე, ხე, ხე; ჰა, ჰა, ჰა; ჰე, ჰე, ჰე; ჰი, ჰი, ჰი და სხვ.

2. იმპერატიულ შორისდებულებში გამოიყოფა ქვეჯგუფები:

ა) დაძახებისა: ჰა (ა), ჰაი, ჰაუ(აუ), უ, ჰეი(ეი), ეჰეი. არიქა. უცხოური სიტყვა: ალო;

ბ) მოძრაობის ან მოქმედების დაწყების, ან შეწყვეტისა: აბა; აბა, ჰა: აბა, ჰე: ჰა, ჰე, წა, ჰერი, იარ, სდექ;

უცხოური სიტყვები: ჰაიდა (აიდა), სტოპ, შაბაშ, ბასტა, ბის;

ვ) სიჩუნის დაცვის მოთხოვნისა: სუ, ჩუ;

გ) მისათითებელი, ანუ საჩვენებელი: ჰა(ა), აჰა, ჰე(ე), აგე(აგრე);

ე) შრომის სიმღერებში სახმარი შეძახილები: ავხე, პოპ, პოპლა, პოპუნა, ჰერი, ჰეკა-ოკა და სხვ.;

ვ) შორისდებულები, რომლებითაც დედები აწყენარებენ ან აძინებენ ბავშვებს: ალუ, ნანა, ნანინა, იაენანა და სხვ.;

ზ) ცხოველთა და ფრინველთა მოხმობის, გარეკვის (გაგდების), შეძახების სიტყვები: აქ'მა, აცე, ჩიშ, ბელაჰ და სხვ.;

3. შორისდებულთა მესამე ჯგუფი იყოფა ქვეჯგუფებად:

ა) ფიცილის ფორმულები: დედაშვილობამ, ღედის ცხონებამ, ძმობამ, შენმა ლხენამ, შენმა სიცოცხლემ და სხვ.;

ბ) მოკითხვა-გამოთხოვებისა და დალოცვის სიტყვები: გამარჯობა, გაგიმარჯოს, გადღეგრძელოს ღმერთმა, გზამშვიდობისა, დილამშვიდობისა. გაკურთხოს ღმერთმა და სხვ.;

გ) სააღერსო სიტყვები: გეთაყვა, გენაცვალე, შენი ჭირიმე, შენი კვნესამე, შენი სულის ჭირიმე, შენი ღმერთების ჭირიმე და სხვ.;

დ) საბოდიშო და სამადლობელი სიტყვები: ბოდიში, მაპატიეთ, მომიტევეთ, უკაცრავად, გმადლობთ და სხვ.;

ე) ლანძღვისა და დაწყევლის სიტყვები: შეგარცხინოს ღმერთმა, შეგაჩვენოს ღმერთმა, გამჩენმა ამოგადოს და სხვ.

შორისდებულის მნიშვნელობის გაგების საშუალებანი

შორისდებული ქართულში როგორც თავისი სტრუქტურით, ისე ინტონაციურ-ექსპრესიული და სემანტიკური თავისებურებით მკვეთრად განსხვავდება სხვა მეტყველების ნაწილთაგან. შორისდებული ადამიანთა ურთიერთობის თავისებური ენობრივი საშუალებაა. მისი დანიშნულებაა, გამოხატოს ადამიანის გრძნობა-განცდები, ემოციები და ნება-სურვილები: სიხარული, მწუხარება, დანანება, დარდი, გაცემა, გაკვირება, ბრძანება, მოწოდება, თხოვნა და ა. შ.

შორისდებული დაუნაწევრებელი ენობრივი ერთეულია, რომელიც ამა თუ იმ გრძნობასა და ნება-სურვილს გამოხატავს ზოგადი სახით ისე, რომ იგი ამ გრძნობისა და ნება-სურვილის დასახელებას არ წარმოადგენს¹.

შორისდებულის, როგორც სემანტიკური ოდენობის², წარმოთქმა გამოწვეულია ადამიანის შინაგანი და გარეგანი გამლიზიანებლებით. „მათი სპეციფიკა იმაშია, რომ ისინი მრავალმნიშვნელოვანია, რომელთა განსაზღვრა მხოლოდ კონტექსტით (და ინტონაციით — თ. გ.) შეიძლება, რადგან მათ შეუძლიათ გამოხატონ სხვადასხვაგვარი, ერთმანეთის საწინააღმდეგო გრძნობაც კი. ყოველ განსაზღვრულ კონტექსტში ისინი იძენენ განსაზღვრულ ცნებითს მნიშვნელობას“³.

ამიტომ შორისდებულს ხშირად თან ახლავს გრამატიკულად გაფორმებული წინადადება, რომელიც ამ შორისდებულის მნიშვნელობას გარკვეულობითა და სიზუსტით წარმოგვიდგენს.

¹ ლ. კვაკაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბილისი, 1966, გვ. 309.

² არ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, თბილისი, 1952, გვ. 266.

³ А. Искоз, А. Ленкова, Выражают ли междометия понятия? стр. 71.

მაგალითები:

1. „— უ ჰ, რა შემეშინდა!“ (ნინოშ., I, 113);

2. „— ო, ეს შესანიშნავი მალამოა“ (გაბაშ., II, 141);

3. „— ჰე ჰე ი! რა ცეცხლი დატრიალდა ამ ოხერ სოფელში!“

(მაგლობ., 87).

პირველ წინადადებაში შორისდებულის წარმოთქმის მიზეზად დასახელებულია შიშის გამო წარმოშობილი ემოციები.

მეორე წინადადებაში მოცემულია შორისდებულთ გამოხატული საგნის ემოციური შეფასების (მოწონების) განსაზღვრა, მისი ხარისხის დახასიათება.

მესამე წინადადება გადმოგვცემს შორისდებულთ გამოხატულ მწუხარების მიზეზს.

დამოწმებულ მაგალითებში ე ჰ, ო, ჰე ჰე ი შორისდებულების კონკრეტულ მნიშვნელობას, ცხადია, კონტექსტი გვაგებინებს. ამავე დროს, შორისდებულების მნიშვნელობა გარეგნულად ჩამოყალიბებულია (გაფორმებულია) მათი წარმოთქმის ინტონაციაში, რომელიც გადაეცემა მათს მომდევნო წინადადებებს და თითოეული მათგანი ისეთივე ემოციურ-ექსპრესიული იერის მატარებელია, როგორც მათთან მდგომი შორისდებულები.

მაგრამ შორისდებული ზოგჯერ დამოუკიდებლად (უმეტესად დიალოგებში, მიგების დროს) იხმარება. მოცემულ შემთხვევაში მას თავისი მნიშვნელობის გამოსახატავი საკუთარი საშუალება აქვს და ეს საშუალება კი ინტონაციაა, რომელიც გადამწყვეტია შორისდებულისათვის, რათა აღიჭურვოს იგი კონკრეტული აზრის გადმოცემის უნარ-შესაძლებლობით.

მაგალითი:

„— ძალიან გინდა? — ჰკითხა გელოვანმა, თუმცა მყისვე იგრძნო, რომ მართლა ძლიერ უნდოდა.

— უუხ! — აღმოხდა ბარნაბას. სიტყვა როგორ გასწვდებოდა ამ გაუნელებელ სურვილს“ (ლორ., 276).

ცალკე მდგომი უუხ შორისდებულის მნიშვნელობა პერსონაჟის მიერ აქ ინტონაციითაა გადმოცემული, რომელთან შეიძლება ვიგულისხმოთ შესაბამისი ექსტ-მიმიკაც.

¹ აქ შორისდებულს მხოლოდ ავტორისეული წინადადება ახლავს და ამიტომ იგი დამოუკიდებელია.

ინტონაციურად გაფორმებული შორისდებულის მნიშვნელობის გაგებას ხშირად ხელს უწყობს რეალური სინამდვილის დაძაბული მომენტები, სიტუაცია, რომლის კონკრეტულ გამოძახილსაც თვით ეს შორისდებული წარმოადგენს. საერთოდ. „ექსპრესიული: (ემოციური — ო. გ.) შორისდებულები არსებითად სიტუაციური სიტყვებია“¹.

ავიღოთ საანალიზოდ შორისდებული ვ ა ი მ ე, რომელიც წარმოითქმის განსაზღვრულ სიტუაციაში და გარკვეული აზრის გადმოცემის უნარით არის აღჭურვილი.

მ ა გ ა ლ ი თ ი:

„პირველად ტარიელმა მოჰკრა ამას (ცეცხლს) თვალი და წამოდგა. ქუდი შუა ჩამოიფხატა და ხელის გული თვალებზე მიიჩრდილა. სუნთქვაშეჩერებულმა თვალები იმ ადგილს მიაცივა, სადაც საფუძველ უნდა ყოფილიყო ცის კიდურზე გართხმული ცეცხლის ალისა.

ამის შემხედვარე მასპინძლები ფეხზე წამოცვივდნენ და იქითკენ მიაშტერეს თვალები, საითენაც ტარიელი გულჩათხრობილი იმზირებოდა.

ბაბალე კი შიშით ადგილიდან ვერ დაძრულიყო. სახეზე მიცვალებულის ფერი გადაკროდა და უკანასკნელი იმედით განაკვერცხლებული თვალები ქმრისათვის მიეპყრო. თავის სახლისაკენ გახედვა კი ვერ გაებდნა.

— ვ ა ი მ ე! — წამოცდა ბოლოს მასპინძელთაგანს. ეს საკმარისი იყო. რომ ბარბალეს საშინელი ხმით ეყვირა“ (ქიაჩ., I, 147).

ვ ა ი მ ე განსაზღვრულ სიტუაციაში, საშინელი ამბების შეტყობის მოლოდინშია წარმოთქმული. იგი გამოხატავს მწუხარებისაგან გამოწვეულ მძიმე განცდებს, რომლის წარმოთქმა მასპინძლის მიერ „საკმარისი იყო. რომ ბარბალეს საშინელი ხმით ეყვირა“. სხვა სიტუაციაშივე შორისდებულს სხვა მნიშვნელობას ანიჭებს.

მ ა გ ა ლ ი თ ი:

„დათუა შრომიშვილიც იმათ შორის იჭდა და ხშირ-ხშირად გადახედავდა ხოლმე ისაკასა და იმის მოწმეებს, რომლებიც ხმა-დაბლა რალაზედაც ბაასობდნენ.

¹ Н. Касаткин, Смысл междометий, Томский государственный педагогический институт, Ученые записки, том XI, Томск, 1954, стр. 141.

„ვ ა ი მ ე!“ თავისთვის წამოიძახებდა ხოლმე ბრაზ-მორეული დათუა ყოველ შეხედვაზე“ (არაგვ., I, 117).

ვ ა ი მ ე ამ სიტუაციაში გაბრაზებას გამოხატავს.

მხატვრული ნაწარმოების ტექსტში შორისდებულის მნიშვნელობა ზოგჯერ ახსნილია თვით ავტორის მიერ, რომელიც იძლევა თავის შენიშვნებსა და განმარტებებს შორისდებულზე. ამას მიმართაქვს იმ შემთხვევაში, თუ შორისდებულის მნიშვნელობა კონტექსტით სრულყოფილად არაა განსაზღვრული, ანდა საჭიროდ აღარ ცნობს, შორისდებულს მოაყოლოს პერსონაჟის ნათქვამი და ამიტომ ავტორი თვითონ კისრულობს მის განმარტებას.

მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი:

...— შენ ნახე რუსის ჯარი? — ჰკითხა შამილმა.

— ენახე, დიალაერ! (ღმერთმანი).

— ბევრია?

-- ო ჰ, ო ო, ო ო, ო ო! — გ ა ი კ ვ ი რ ვ ა ჩეჩენმა“ (ყაზბ., I, 337);

„— უ ი, ამას ვის ვხედავ! — გ ა ი ო ც ა მხეხათუნმა, როცა შეხვდა ნათელას. რომელსაც დიდ-ძალი ტანი აეყარა“ (წერეთ., I, 501).

მოუბარი შორისდებულის წარმოთქმის დროს თავისი შინაგანი სულიერი მდღეღვარების (სიხარულის, მწუხარების, გაკვირვების, დანანების და ა. შ.) ზუსტი გამოხატვისათვის ხმის საკუთარ მოდულაციასთან (ინტონაციასთან) ერთად ხშირად იყენებს შესაბამის ეესტსა და მიმიკას, რომლებიც კიდევ უფრო ამაღლებს შორისდებულის ექსპრესიულობას და ჯანამტკიცებს მის კონკრეტულ მნიშვნელობას. მსმენლისათვის ცხადი ხდება ადამიანის შინაგანი სულიერი მდღეღვარების მიზეზი, მისი ემოციური დამოკიდებულება რაიმე საგნისა თუ მოვლენის მიმართ. ვ. ვინოგრადოვი წერს: „შორისდებულების ინტონაციური და ფონეტიკური თავისებურებანი. აფექტური ელფერი, მოტორულ-მიმიკური და ეესტური თანხლება შეადგენენ მათი აზრობრივ, წყობის მეტად მნიშვნელოვან მხარეს“¹.

ინტონაცია, ეესტი და მიმიკა ჩვეულებრივია როგორც ემოციური, ისე იმპერატიული შორისდებულების წარმოთქმის დროს. ემოციურსა და იმპერატიულ შორისდებულებს აქვთ განსხვავებული შინაარსი. იმპერატიული შორისდებულები შედარებით მყარი მნი-

¹ В. Виноградов, Русский язык, изд. 2, М., 1972, стр. 584.

შენელოზის მქონეა და ამდენად მათ მხოლოდ საკუთარი, მათთვის დამახასიათებელი ინტონაცია და ექსტ-მიმიკა 'შეიძლება ჰქონდეთ'. ემოციური შორისდებულების ძირითად ჯგუფს კი ინტონაციისა და ექსტ-მიმიკის გარეშე არა აქვს რაიმე კონკრეტული სემანტიკური გამოხატულება. აქვე უნდა დავსძინოთ ისიც, რომ მოიპოვება ემოციური შორისდებულების ერთი ჯგუფი, რომელიც ხასიათდება დამოუკიდებელი (მყარი) მნიშვნელობით და ამის შესაბამისად მას საკუთარი ინტონაცია აქვს. მაგალითად, არ შეიძლება შორისდებული ფუ ხმარებულ იქნას სიხარულის, განცვიფრების, შიშის გამოსახატავად, ის შეიძლება წარმოთქვან ზიზლის, გაჯაერების დროს. ასევე, ვაშა საკუთრივ მოწონებას, აღტაცებას გამოხატავს, ხოლო ბიკოს — გაკვირვებას.

მ. ლომონოსოვს შორისდებულის მნიშვნელობის გამოხატვის გადამწყვეტ საშუალებად ინტონაცია მიაჩნია. მეტყველების ინტონაციის დასახასიათებლად იგი წერს: „გოლბერგს მიერ შეთხზული მიწიერი აღამიანები რომ ნამდვილად ყოფილიყვნენ და სიტყვის წარმოსათქმელი ორგანოების ნაცვლად მათ მკერდში ჰქონოდათ სიმები, ისინი შეძლებდნენ თავისუფლად გამოეხატათ და სხვისთვის გაეზიარებინათ თავისი აზრები“².

შორისდებული წინადადების ფარდი სიტყვაა. წინადადების მაგვირობა მას მხოლოდ მაშინ შეუძლია გაწიოს, თუ ის ინტონაციურად სრულყოფილია და სათანადო ექსტ-მიმიკაც თან ახლავს. სწორედ შორისდებულისათვის დამახასიათებელი ეს ნიშანდობლივი მხარე ჰქონდა მხედველობაში შ. ბალლის, როცა მას წინადადების ტოლად სახავდა:

- „1. მე გაკვირვებული ვარ თქვენთან აქ შესხვედრით.
2. ხედავთ! თქვენ აქა ხართ?
3. როგორ! თქვენ აქ?
4. თქვენ!

¹ იხ. А. Германович, Междометие, интонация и жест, Известия Крымского педагогического института им. А. В. Фрунзе, том XXVIII, Симферополь, 1957, стр. 426.

² М. В. Ломоносов, Полное собр. соч., том VII, изд. АН СССР, М.—Л., 1952, стр. 396.

5. ოჰ! ¹

„ინტონაციისა და ჟესტ-მიმიკის გარეშე (სახე, ხელები, თავი და ა. შ.), — წერს ა. გერმანოვიჩი, — ჩვენ ვერ წარმოვიდგენია ცოცხალი მეტყველება. ინტონაციისა და ჟესტის როლი განსაკუთრებით მაღლდება შორისდებულებში, რომელთაც არა აქვთ ლექსიკური მნიშვნელობა“ ².

ინტონაცია, ჟესტი და მიმიკა ცვლის სიტყვის პირდაპირ მნიშვნელობას, სიტყვის აზრს იგი ხშირად ჩვეულებრივს საწინააღმდეგოდ წარმოვიდგენს. სასცენო მეტყველების გამოჩენილი თეორეტიკოსი ს. ვოლკონსკი ამბობდა: „საკმარისია თვალის ერთი მოძრაობა, რათა დაიმსხვრეს მთელი შენობა თქვენი მტკიცებებისა და რწმუნებებისა. რბილი, შემპარავი ხმითა და მშვიდი ჟესტით თქვენ ეუბნებით თქვენს თანამოსაუბრეს: „მე თქვენ ძალიან გაფასებთ“, მაგრამ გადაიტანეთ თვალები მესამე პირზე და ყველასათვის ნათელი გახდება თქვენი ნათქვამის სიცრუე“ ³.

თუ რა ღირებულება აქვს ამა თუ იმ სიტყვას ან შესიტყვებას ცნობიერების თვალსაზრისით და რა როლს ასრულებს ინტონაცია მათი მნიშვნელობის განსასხვავებლად, ამის შესახებ არნ. ჩიქობავა წერს: „ავიღოთ მაგალითისათვის ხ ა ნ ძ ა რ ი! და ხ ა ნ ძ ა რ ი. იმანენტიზმის თვალსაზრისით ორივე არის ცალკე სიტყვა (სახელი ერთნაირი ფორმით). ფუნქციის მიხედვით კი მათ შორის არსებითი განსხვავებაა: ხ ა ნ ძ ა რ ი! მთელ ფრაზას უდრის (= ხანძარი გაჩნდა, ცეცხლი უკიდია რაღაცას), ცნობიერებაში იგი რთულ კომპლექსს უდრის; ხ ა ნ ძ ა რ ი კი ცალკე წარმოდგენას შეესატყვისება. ამ ორ შემთხვევას გარეგნულად ინტონაცია განასხვავებს. ეს ინტონაცია მხილებს იმ განსხვავებისა, რომელიც ამ ორ შემთხვევაში ფსიქიკურ კორელატთა შორის არსებობს“ ⁴.

სიტყვას ხ ა ნ ძ ა რ ი! მოცემულ კონკრეტულ მომენტში, როცა იგი ინტონაციის წყალობით მთელი ფრაზის ბადალად წარმოვიდგებთ, აქვს შორისდებულის მნიშვნელობა, რადგან მათ შორის ფუნქ-

¹ Ch. Bally, Traite de stylistique française, v. I. ed. 2, Heidelberg 1921, გვ. 7.

² А. Германович, Междометия русского языка, Киев, 1966, стр. 15.

³ С. Волконский, Человек на сцене, СПб., 1912, стр. 27.

⁴ არნ. ჩიქობავა, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, I, თბილისი, 1968, გვ. 108.

ციური განსხვავებულობა აღარაა. ამიტომ იყო. რომ ძველი ქართული გრამატიკებს ავტორები. როგორც უკვე ვნახეთ. შორისდებულებში ათავსებდნენ სხვა მეტყველების ნაწილებში შემავალ სიტყვებს და ზოგიერთი მათგანი საგანგებოდ მიუთითებდა იდეც ამ მნიშვნელოვან ფაქტზე.

პროფ. ს. ელენტი თავის წიგნში: „ქართული ენის რიტმულ-მელოდიკური სტრუქტურა“, აღნიშნავს: „ქართულ ენაში „ინტონაციისა“ და „მელოდიის“ შესატყვის ტერმინებად მოგვეპოვება „ხმა“ და „კილი“ და ამ ძირებიდან ნაწარმოები სხვა ტერმინები. ქართულში „ხმას“. — განაგრძობს ავტორი, — ფართო და მრავალი მნიშვნელობა აქვს. იგი აღწერითად შეიძლება გამოხატავდეს ტონის სიმალლეს, სიძლიერეს, ტემბრს. მელოდიკას, პაუზას, ტემპს და ა. შ.“¹ ავტორი იქვე ასახელებს ქართული ინტონაციური სტრუქტურის რამდენიმე სახეობას საილუსტრაციო მაგალითების დამოწმებით მხატვრული პროზიდან. აი ამ ინტონაციის სახეობები: დარბაისლური, დინჯი თხრობის, სხაპასხუბითი თხრობის, კითხვა-პასუხის, ჩამოთვლის, დაპირისპირების. რჩევა-დარიგების. მიწვევა-მიპატივების, ძახილის, გაკვირვების. გაკიცხვის. ფიცის, საიდუმლოების გამჟღავნების, აღერის. მუქარის. უკმაყოფილება-საყვიდურის, სიხარულისა და აღტაცების, წყევლა-კრულის. ჭმუნვის. სინანულისა და სხვ.²

ჩამოთვლილი ინტონაციებიდან ზოგი მათგანი შორისდებულების მნიშვნელობის გადმომცემია. ეს ინტონაციები განსაკუთრებით კარგად უღინდება იმ წინადადებებში, რომლებშიც შორისდებულებია ნახმარი. ამიტომ ავტორს ზოგიერთი ინტონაციის დასაზუსტებლად მოაქვს ისეთი წინადადებები, რომელთა კომპონენტი შორისდებულისა. მკვალითად, სინანულის ინტონაციის დასახასიათებლად მოტანილი რვა წინადადებიდან შვიდში მოცემულია სინანულის გამომხატველი შორისდებულები. ამასვე ადასტურებს თვით ავტორის ნათქვამიც: „თუ შორისდებული სინტაქსურად დამოუკიდებელია და არაა გრამატიკულ კავშირში წინადადების სხვა წევრებთან, მელოდიკურად ის მჭიდროდ არის დაკავშირებული წინადადების, ფრაზის ინტონაციასთან და ერთიან მელოდიკას აძლიერებს“³.

¹ ს. ელენტი. ქართული ენის რიტმულ-მელოდიკური სტრუქტურა. თბილისი, 1963. გვ. 84.

² ს. ელენტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 92—110.

³ იქვე. 22. 52.

ემოციური შორისდებულების (ა. ო. ახ, ოპ. უპ და სხვ. მრავ.) გადმომცემი საშუალებები ინტონაცია და ხშირად მისი თანმხლები ექსტ-მიმიკაა. „მათი მნიშვნელობა არ განისაზღვრება ფონემური შედგენილობით იმდენად, რამდენადაც — ინტონაციით. როგორც მართკუთხედი იძლევა ფუძეს სხვადასხვა ნახატისათვის — სახლოს, მაგიდის, კონვერტის და ა. შ.. ასევე მოცემული შორისდებულების ფონემები ინტონაციისა და ექსტ-მიმიკის გარეშე შეიძლება იყონ ფუძეები სხვადასხვაგვარი დამოკიდებულების (გრძნობებისა და განცდების — ო. გ.) გამოსახატავად“¹.

მაგალითად, ემოციურ შორისდებულს — ოპ შეუძლია სხვადასხვაგვარი გრძნობა და განცდა გამოხატოს ამა თუ იმ კონკრეტული ვითარების შესაბამისად, შეფარდებით. მათი გამოხატვა მოცემული შორისდებულით ადამიანს იმ შემთხვევაში შეუძლია, თუ მას ტონის განსაზღვრული ნიუანსებით, ვარიაციებით წარმოთქვამს. ამავე დროს, შორისდებულთან დაკავშირებული ექსტი და მიმიკა კიდევ უფრო კონკრეტულს ხდის შორისდებულის მნიშვნელობას, ამაღლებს მის ექსპრესიულ გამომსახველობას.

ქვემოთ მოყვანილ საილუსტრაციო მაგალითებში მწერლების მიერ მოცემულია ოპ შორისდებულის ინტონაციის ახსნა, სადაც ჩანს ინტონაციის გადამწყვეტი როლი მისი მნიშვნელობის ცვალებადობისათვის.

ახსნილია ოპ შორისდებული, როგორც გამომხატველი:

1. გა ბ რ ა ზ ე ბ ი ს ა :

„— ოპ. თქვენ რომ იცოდეთ, რანა-რად მძაგს ჩვენი ხორხიანეთის ხალხი! — გა ბ რ ა ზ ე ბ ი თ წარმოთქვა გულქანმა“ (წერეთ., II, 520).

2. მ წ უ ხ ა რ ე ბ ი ს ა :

„— ოპ. რა მეძინება! — თქვა მ წ უ ხ ა რ ე ბ ი თ ღიტიმ“ (წერეთ., I, 125).

3. ს ა ს ო წ ა რ კ ვ ე თ ი ლ ე ბ ი ს ა :

„— ოპ, ოპ... ფერ-უმარულიც... ღმერთო... — ს ა ს ო წ ა რ კ ვ ე თ ი ლ ე ბ ი თ ამოიკენესა მარინამ, გამოისურმა თვალები და წარბზედ შავი საღებავი გადაისვა“ (გაბაშ., I, 175).

¹ А. Германович. Междометия русского языка. Киев, 1966, стр. 18.

4. სიხარულისა:

„— ოჰ, რა კეთილი გულისა ჰყოფილხარ? — სიხარულით წამოიძახა და უფრო მაგრად მოხვია ხელები ჩემს ხელს“ (არაგვ., I, 31).

5. დამშვიდების, დაწყნარებისა:

„— ოჰ!.. — დამშვიდებით ამოიოხრა თამარმა, როცა წყალი დალია“ (არაგვ., I, 42).

6. აღტაცებისა:

„— ქალი? ლამაზი ქალი? — ოჰ! — წამოიძახა აღტაცებით კაბუკმა“ (აკაკი, IV, 167).

7. სიამოვნებისა:

„— ოჰ! — სიამოვნებით წარმოსთქვა ამან, მოლულა თვალები და მიელუშა“ (ყაზბ., II, 464).

8. აღერსისა (მოფერებისა):

„— ოჰ, ამდგარხარ კიდევ, შვილო! — სიყვარულით უთხრა დედამ“ (არაგვ., I, გვ. 50).

9. განცვიფრებისა:

„— ოჰ. შენი ჰირიმე, დედავ, რამოდენებია! — წამოვიძახე განცვიფრებულმა“ (ვაჟა, V, 65).

10. მისალმებისა:

„— ოჰ. საბას გაუმარჯოს! — მიესალმა კონდუქტორი“ (წერეთ., I, 366).

11. დაცინვისა:

„— ოჰ, ბატონო ნიკოლოზ! — დაცინვით უთხრა ლუარსაბმა ბერიშვილს“... (გაბაშ., I, 390).

12. წყრომისა:

„— ოჰ, მაშინ არ ვიცი, რას არ ჩავიდენ! — წყრომით წამოიძახებდა ხოლმე გიგო“ (კლდ., I, 97).

13. გამწარებისა:

„— ოჰ. ღმერთო, ღმერთო! რა უბედური ვარ! — დაიძახა მან გამწარებით და ორთავ თვალებიდან ლაპა-ლუპით წამოუვიდა ცრემლები“ (ლომ., I, 166).

როგორც მწერლების მიერ ოჰ შორისდებულის ინტონაციის ახსნიდან თვალნათლივ ჩანს, იგი გამოხატავს: გაბრაზებას, მწუხარებას, სასოწარკვეთილებას, სიხარულს, დამშვიდებას, აღტაცებას, სიამოვნებას, მოფერებას, განცვიფრებას, მისალმებას, დაცინვას, წყრომას,

გამწარებას. ოპ შორისდებული კიდევ უფრო ავლენს თავის სემანტიკურ მრავალფეროვნებას, ვიდრე ეს დამოწმებულ საილუსტრაციო წინადადებებშია წარმოდგენილი.

თხზულებებში მწერლების მიერ ოპ შორისდებულის არა მარტო ინტონაციის ახსნაა მოცემული, არამედ ქესტ-მიმიკის აღწერაც.

მაგალითები:

„— ოპ, რას ბრძანებ, ბ-ნო ბაბაქო! — ღრეკით წამოსთქვანაზმა არსებამ და თვალეზხედ ხელი მიიფარა — საშინელება!“ (გაბაშ., I, 275);

„— ოპ. ღმერთმა გიშველოს, რომ შემხვდი, თორემ მე ხომ ვერ შოვიფიქრებდი?! — წამოიძახა სახეგაბრწყინებულმა და ხელი დამიკირა“ (არაგვ., II, 31);

„— ოპ, ის ქრისტეს მტერი! — გულში ჩაიკრა ხელი მაიამ“ (გაბაშ., I, 104);

„— ოპ. რადრო დავკარგე!.. -- გახდა ტკეღეცა თავში აღიუტანტს. იმან სასოწარკვეთილებით შემოიკრა შუბლზე ხელი“ (წერეთ., I, 383);

„— გაიოზ, ოპ, რა მიყვარხარ!.. — აღტაცებით (რა ვიცი, აღტაცებით წამოიძახა თუ არა. გარეგნობით — კი ყოველი იმისი კუნთის მოძრაობა აღტაცებასა ნიშნავდა)“ (არაგვ., I, 235).

მხატვრული ლიტერატურის ტექსტებში ოპ შორისდებულის მსგავსად მწერლების მიერ ახსნილია სხვა მრავალი ემოციური შორისდებულის წარმოთქმის ინტონაცია, მოცემულია მათი თანმხლები ქესტ-მიმიკის აღწერა.

შორისდებულის თანმხლებად ხშირია თვალების, ტუჩების, პირის, ცხვირის, თავის, მხრების, ხელის, მთელი ტანისა და სხეულის სხვა ნაწილის ქესტ-მიმიკური მოძრაობები. ქესტ-მიმიკური მოძრაობები, თუ ის სიმბოლური არ არის და გამოწვეულია რაიმე კონკრეტული ფაქტის მიმართ უშუალო რეაქციით, ატარებს სუბიექტის ღელვანცდების გარეგანი გამოვლინების ნიშანს. ცოცხალ მეტყველებაზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ქესტითა და მიმიკით (ხელის მოძრაობა, თავის მოძრაობა, სახის ნაკვთებისა და ა. შ.), რომელსაც სუბიექტი იყენებს, მაგალითად, ოხ, უპ, ა, ვაშა და სხვა შორისდებულებთან, გამოხატავს სიხარულს, მწუხარებას, გაკავრებას, განცვიფრებას და ა. შ.

ამასვე ადასტურებს მხატვრულ ტექსტებში არსებული მასალები,

რომლებშიც ავტორი აღწერს შორისდებულთან დაჯეშირებულ ყეს-
ტსა და მიმიკას. როგორც მისი შინაარსის გამოსახატავ ერთ-ერთ
დამხმავე საშუალებას. წარმოდგენილ მასალებში შორისდებულის
თანმხლებ ექსტ-მიმიკურ მოძრაობათა აღწერიდან ყველაზე სპეცი-
ფიკურია ხელისა და თავის მოძრაობის აღწერა, თუმცა სხვა ექსტ-
მიმიკურ მოძრაობათა აღწერაც საკმაოდ დასტურდება.

მაგალითები:

1. ხელის ჩაქნევა:

„...ქნება მოეწროთ ამ უკიდურეს მდგომარეობის მოსპობას. მე—
კი... მე — კი. ეჰ!...—მწარედ ჩაიქნია ხელი და მოსხლეტით
დაეშვა ტახტზე“ (არაგვ., I. 74).

აქ ეჰ! შორისდებულთან ექსტი, ხელის ჩაქნევა, გამოხატავს
უიმედობას.

„უოგაამ ყოყმანი დაიწყო: უნდოდა შესულიყო და ფეკილი ეთ-
ხოვნა, მაგრამ რცხვენოდა...“

— ეჰ. რაც უნდა გახდეს, ვსთხოვ!.. — ხელის ჩაქნევიით,
გადაწყვეტით წარმოსთქვა“ (არაგვ., I. 133).

აქ ეჰ! შორისდებულის თანმხლები ექსტი, ხელის ჩაქნევა, შო-
რისდებულთან ერთად გამოხატავს გადაწყვეტილებას, გაბედვას.

2. ხელის გაქნევა:

„— არა ჟა. უი დამიდგა თვალები! ის არ ვარგაო! — ხელის
ქანებით უთხრა ფეფელამ“ (მგალობ., 334).

აქ უი შორისდებულის თანმხლები ექსტი, ხელის გაქნევა, გა-
მოხატავს უარყოფას წუხილით.

„ჰე. დაკარგონ. ერთი!.. — ამპარტავნულად გაიქნია ხელი
და დაცინებოთ ჩემსკენ გადმოიხედა, ვითომ და რაო“ (წერეთ., I, 89).

აქ ჰე! შორისდებულის თანმხლები ექსტი — ხელის გაქნევა. გა-
მოხატავს დაცინვას, არად ჩაგდებას, თავიდან მოშორებას.

3. თავში ხელის შემოკვრა:

„ოხ, ოხ! უბედურო! — შესძახა ნენემ და ორთავე ხელი
თავში შემოიკრა. — შვილო, შვილო! კვლავ გონს ჰკარგავ?
ვა ჩემს თავს!“ (გაბაშ., II, 376).

აქ ოხ, ოხ! შორისდებულთ მთქმელი გამოხატავს მწუხარებას,
რასაც ადასტურებს ექსტი — თავში ხელის შემოკვრა.

„რა ვქნა? რა მეშველება. რით უნდა დაეუმტკიცო ბახვას ჩემი
გულს პასუხი? ვაიმე, ვაიმე, ვაიმე!“ — ამას რომ ფიქრობდა,

უცებ გაისმა ტყაცანი. ესამ შე მოიკრა თავში ხელი და მოჰყვა სასოწარკვეთილებით ტრილს“ (წერეთ., I, 291).

აქ ეესტი — თავში ხელის შემოკრა — შორისდებულის (ვაიმე, ვაიმე, ვაიმე!) თანმხლებია და მასთან ერთად გამოხატავს სასოწარკვეთილებას.

4. მკერდზე ხელის დაკვრა:

„— ჰმ, ჰმ, ჰმ! — დაიგმინა ქალბატონმა NeNe-მა და მრისხანებით დაიკრა მკერდზე ხელი“ (ნინოშ., I, 80).

აქ მკერდზე ხელის დაკვრა მიგვანიშნებს მრისხანებაზე, რადგან ჰმ, ჰმ, ჰმ! შორისდებულობით მრისხანებაა გამოხატული.

„— ვაიმე, შეილებო! — გულში ხელი ჩაიკრა და თითქმის სირბილით მიიჭრა სახლში. იმისი შეილები და სოფლის გოგობიკები დერეფანში დიდი ღრიანცელით თავს რაღაცას დასტრიალებდნენ“ (გაბაშ., I, 218).

აქ ვაიმე შორისდებულობით გამოხატავს მწუხარებას და, მაშასადამე, მისი თანმხლები ეესტი (გულში ხელის ჩაკვრაც) მწუხარების გამომხატველია.

5. მუხლზე ხელის დაკვრა:

„მაგრამ იცი, დედავ. ხანდახან ისეთი გაკირება გვადგია. რომ ყმაწვილები ქურდობით გამოვდივართ.“

— უი, უი, რატომ სულს არ ამომადრობ, ღმერთო! — დაიკრა მუხლზე ხელი ნინომ“ (წერეთ., II, 91).

აქ ეესტი — მუხლზე ხელის დაკვრა უი, უი შორისდებულთან მწუხარებას გამოხატავს.

„— ჰმ... — თავის ქნევით მწარედ გაიღიმა დედაბერმა ღრმად ჩაფიქრების შემდეგ და სასოწარკვეთილებით ხელეზბი მუხლებზე დაირტყა“ (არაგვ., I, 46).

აქ ეესტები — თავის ქნევა, მწარედ გაღიმება, მუხლებზე ხელის დარტყმა, (ჰმ) შორისდებულის მნიშვნელობას — სასოწარკვეთილება ადასტურებს.

6. თავის გაქნევა:

„ქმარს რომ წაყვები, შენც გაიზღები. შეილო, გაკეთდები.“

— აჰ, არა, მამიდა! — თავი გაიქნია ნათელამ; — ასე მგონია, გძულვარ და გინდა თავიდან მომიშორო“ (წერეთ., I, 467).

აქ თავის გაქნევა აჰ შორისდებულთან უარყოფას გამოხატავს.

„კოლა — (თავის ქნევით) ჰო, ჰო! სწორედ ეშმაკის გამოგონილი არიან ცოლები...“ (აკაკი, V, 299).

აქ თავის ქნევა ჰო, ჰო! შორისდებულთან წყრომას აღნიშნავს.

7. ტუჩების მოძრაობა:

„— არა, ძან კი ჩაგაცივდა ენაუქის ხელმწიფეი და!

— იპ, თვალებიც გამოსწყულებია! — სთქვა ტუჩების აბზუკეით ელენემ, თითი ამოჰკრა ნაზუქის ხელმწიფეს, აპროწიალა ჰაერში და აგურის ქალს კი ზედ გულზე დაეცა“ (მგალობ., 169).

აქ მიმიკა — ტუჩების აბზუკვა იპ შორისდებულთან დაცინვას გამოხატავს.

8. თვლების მოძრაობა:

„ააპ. რაზონიკ! გადაუტრიალა თვალები მიხელილმა“ (ვაჟა, VI, 188).

აქ მიმიკა — თვლების მოძრაობა ააპ შორისდებულთან გაჯავრებას გამოხატავს.

„— ქალები... ოოო!.. მაინც ვსვამ მათ სადღეგრძელოს! კარგები არიან!.. — თვალთა ბზინვით დიასახლისს გადაჰხედა და სწრაფ უქია გამოსცალა არჩილმა...“ (არაგვ., II, 6).

ოოო! შორისდებულთან მიმიკა — თვალთა ბზინვა სიხარულის, სიამოვნების გამომხატველია.

9. კბილების კრაკუნნი (ხრკიალი):

„ოპ, ღმერთო, ღმერთო! რა ვქენ ეს? მე მოვკალ, მე! ჩემის ხელით. ჩემის გამოშტერებულის თავით... ღმერთო, ნულარ გამაგონებ იმის ხმასა, — და სიმწარით კბილებს აკრაკუნებდა“ (გაბაშ., I, 310).

აქ კბილების კრაკუნნი შორისდებულებთან ერთად (ოპ, ღმერთო, ღმერთო!) მწუხარებას გამოხატავს.

„ვაიმე... ე... ე... ე!“ დაახრკიალა იმან კბილები. „შენი ერთი მუტა სისხლი!.. ერთი შენი სისხლით გაძლომა... დამაცადეთ!.. და ამით გათავდა იმისი მუქარა“ (ფურც., 248).

აქ კბილების ხრკიალი ვაიმე... ე... ე... ე!.. შორისდებულთან გამოხატავს განრისხებას, მუქარას, ამასვე მოწმობს მიმიკა — კბილების ხრკიალი.

10. ექსტ-მიმიკის ხმარების სხვა შემთხვევები შორისდებულთან:

„ოლოლო, ვერ მოგართევს! — პირში თითი გამოილო-
ქეს და დაანახე მებზობლებმა გიგოლას“ (მგალობ., 54);

„ადამიანი... ადამიანი... ეჰ! — სახის დაქმანებით
მხრები აიჩეჩა და ზიზღით გადახედა ბუმბერაზთ“
(არაგვ., I, 363).

„— ვაიმე, ვაიმე! — პირზედ ხელების დაფარე-
ბით წარმოსთქვა ნუნუმ და ძალზედ შესტირა“ (ყაზბ., I, 357);

„იი, რა სუფრაა ე დალოცვილი და! — სთქვა ბაბიამ და ხელე-
ბი მოიფ შენიტა, დაინახა რა აივანზე დაგებული სუფრა“ (მგა-
ლობ., 30);

„— უი, ჩამქოლეთ, გენაცვალეთ, ჩამქოლეთ! — შეიხმაურა დე-
დაკაცმა და ლოყას ხელი იკრა, ჩამოიხოკა“ (ბარნ., II, 77).

სირუმის დაცვის, ხმაურის აკრძალვის გამოსახატავად იხმარება
იმპერატიული შორისდებული სუ სხვადასხვა ფონეტიკური ვარიან-
ტით. ზეპირ მეტყველებაზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ მას უმე-
ტესად თან ახლავს ეესტი — პირზე ხელის დაფარება, რასაც მხატვ-
რული ლიტერატურის ნიმუშებიც ადასტურებს.

მაგალითები:

„ელენე (დიმილით თითს ტუჩებზედ დაიდებს)
სსუუ!“ (ყაზბ., III, 528);

„— სუუ!.. აკი გითხარი: კი არ იკვილო-მეთქი... — წასჩურჩულა
ოქრომქედელმა და ნარგიზას ტუჩებზე ხელი მიაფარა“
(არაგვ., II, 362);

„— სუ! — მეთქი, ნანაია... — ტუჩებზე ხელი მიაფარა
სალომეს“ (წერეთ., I, 263).

იმპერატიული შორისდებულა აბა. მისი თანმხლები ეესტის აღ-
წერა ამ წინადადებაშია წარმოდგენილი:

„აბა! — ანიშნა თვალით იქ მყოფ სალდათებს და ერთს
წამზედ იმათაც როზგები მოიტანეს“ (ყაზბ., I, 247).

აქ თვალთ მინიშნება შორისდებულის მნიშვნელობასთანაა შერ-
წყმული და მასთან ერთად გამოხატავს ბრძანებას, მოწოდებას.

მხატვრულ ტექსტებში ეხვდებით შემთხვევებს, როცა მწერალი
იძლევა შორისდებულის ინტონაციის ახსნას და ამავე დროს წარ-
შოვნიდგენს მისი თანმხლები ეესტ-ნიმიკის აღწერასაც. ისინი კიდევ
უფრო ნათლად და ზუსტად გვაგებინებენ, თუ რა მნიშვნელობის
შემცველია შორისდებული.

მაგალითი:

„არ მოელოდა ასეთ პასუხს სოლომონი.

ვაკვირვებულმა პირი ფართოდ დაადლო, წარბები მალა აზნიქა და გაგრძელებით თქვა:

— ჰოოო!.. მე კი მეგონა, რომ გამოსულია... — თქვა და ხმა ჩაიწყვიტა“ (ქიან., III, 78):

„— უიმე, უიმე! — სასოწარკვეთილებით წამოიკივლა ესმამ და თავზე ხელები დაიშინა“ (კლდ., I, 40);

„— ოჰო, ჰო, ჰო!.. — თავის გაქნევით და მწარედ წარმოსთქვა მამუკამ“ (ყაზბ., I, 176).

ამგვარად, შორისდებულის მნიშვნელობის გაგების საშუალებათა ვანხილვის შედეგად შეიძლება დავასკვნათ:

1. შორისდებულის მნიშვნელობას, უპირველეს ყოვლისა, მისი წარმოთქმის ინტონაცია განსაზღვრავს. შორისდებულს ჩვეულებრივ თან ახლავს შესაბამისი ექსტი და მიმიკა, რომელიც აკონკრეტებს, აზუსტებს მის მნიშვნელობას, უფრო ექსპრესიულსა და გამომსახველობითს ხდის მას.

2. შორისდებულთან ერთად მოუბარი ხშირად მიმართავს გრამატიკულად გაფორმებული წინადადების წარმოთქმას, რომლის მეშვეობით ვეცნობით შორისდებულის წარმოშობის მიზეზს. ვარკვევთ კონკრეტულად, თუ რა გრძნობისა და განცდის გამომხატველია იგი. შორისდებულის სემანტიკას ამა თუ იმ კონკრეტულ ვითარებაში ინტონაცია აყალიბებს და ეს ინტონაცია ვრცელდება მის თანმხლებ მთელს წინადადებაზე.

3. ინტონაციურად გაფორმებული შორისდებულის მნიშვნელობის გაგებას ხშირად ხელს უწყობს რეალური სინამდვილის დაძაბული მომენტები, სიტუაცია, რომლის კონკრეტულ გამომახილსაც თვით ეს შორისდებული წარმოადგენს.

4. მხატვრულ ტექსტებში შორისდებულის მნიშვნელობა ხშირად ახსნალია თვით ავტორის მიერ (იგულისხმება ინტონაციის ახსნა და ექსტ-მიმიკის აღწერა), რომელიც იძლევა თავის შენიშვნებსა და განმარტებებს მის შესახებ. ავტორი ამ ხერხს მიმართავს იმ შემთხვევაში, თუ შორისდებული კონტექსტით სრულყოფილად არაა განსაზღვრული; ანდა საჭიროდ აღარ ცნობს შორისდებულს მოაყოლოს პერსონაჟის ნათქვამი და თვითონ კისრულობს მისი მნიშვნელობის განმარტებას.

ემოციური შორისდებული

ემოციური შორისდებულები, ანუ, როგორც მას ა. შანიძე უწოდებს, გრძობათა გამომხატველი შორისდებულები, მრავალრიცხოვანი და ყველაზე მრავალფეროვანია. ა. შანიძე წერს: „ერთი და იგივე მოვლენა შეიძლება სხვადასხვაგვარად შეფასდეს იმის მიხედვით, თუ რა გუნებაზეა კაცი ან რა თვალსაზრისით უცქერის მოვლენას. ამიტომ გრძობათა გამომხატველ შორისდებულებში სუბიექტური შეფასებაა ყოველთვის მოცემული.“

როგორც მრავალ-ფეროვანია მოვლენები და საზოგადოებრივი ურთიერთობის გამოვლენის სახეები, ისე მრავალ-ფეროვანია და ჭრელი შორისდებულებიც, რომლებიც წარმოადგენენ გულიდან ამონახეთქს ამ მოვლენათა განცდის გამო“¹.

ემოციური შორისდებული გამოხატავს გრძნობებს და განცდებს: აღტაცებას, განცვიფრებას, გაკვირვებას, გახარებას, გაჭაფრებას, გამბედაობას, გაქირდავას, გაკიცხვას, დანანებას, დაღონებას, დარდს, დაცინვას, ვნებიანობას, ზიზღს, კმაყოფილებას, მწუხარებას, მოულოდნელობას, მუქარას, მოწონებას, მიხვედრას, ნაღველს, ნიშნისგებას, ნატვრას, სიხარულს, სიამოვნებას, საყვედურს, ტანჯვას, ტკივილს, შებრალებას, ჩივილს, წყენას და სხვა. „ყველა ეს პოვნებს თავის გამოხატულებას ადამიანის მეტყველებაში პირველ ყოვლისა შორისდებულთა სახით“².

შორისდებულთა სპეციფიკური ნიშნებია:

- ა) მაღალი ემოციური და ექსპრესიული გამომსახველობა;
- ბ) ლექსიკური მნიშვნელობის; აგრეთვე სიტყვაწარმოებისა და სიტყვათცვალებადობის ჩვეულებრივი ფორმების უქონლობა;

¹ ა. შანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 621.

² იქვე. გვ. 622—623.

გ) შორისდებულის მნიშვნელობას (შინაარსს) გადმოცემს, ანუ განსაზღვრავს, მისი წარმოთქმის მდიდარი და მრავალფეროვანი ინტონაცია;

დ) შორისდებულის ინტონაციას ხშირად თან ახლავს შესაბამისი ექსტა და ზიმიკა, როგორც მისი მნიშვნელობის დამაზუსტებელი.

ემოციური შორისდებული იხმარება დამოუკიდებლად (უმთავრესად ცილოვებში — კითხვაზე მიგებას დროს) და გაბმულ მეტყველებაში. ადამიანთა მეტყველებაზე დაკვირვება გვარწმუნებს, რომ შორისდებულს ემოციურ-ექსპრესიული გამომსახველობითი ძალა, რაც მისი მნიშვნელობის გადმოცემაში ინტონაციითაა გამოხატული, მეტი აქვს, როცა იგი დამოუკიდებლადაა წარმოთქმული, ხოლო შედარებით ნაკლები — თხრობის დროს გაბმულ მეტყველებაში (წინადადებებში). ორსავე შემთხვევაში მთქმელი შორისდებულით გავლენას ახდენს მსმენელზე, აცნობს მას თავის შინაგან სულიერ განწყობილებას და სუბიექტურ დამოკიდებულებას რაიმე ფაქტის მიმართ.

მაგალითები:

„(კირილე) — შე კაცო, შენთან რომ მოვიდე, უცხო კაცი მომყვეს, ჩემი კეთილი, საწყენად დაგიჩივებ?... ა, მითხარი, თუ ძმა ხარ?... კარში გამომაგდებ? ა?“

(პლატონ) — იმე!

(კირილე) — ჰოდა ეგ არის!..“ (კლდ., I, 138).

ავიღოთ იგივე შორისდებული იმე, რომელსაც მოსდევს ამხსნელი წინადადება:

„— იმე, რავე გადაბუგულა ყველაფერი... არც კაცი მოჩანს და არც საქონელი“ (ლორთქ., I, 46).

ზოცემულ მაგალითებში იმე შორისდებულის ინტონაციებს თუ შევედრებით ერთმანეთს, აღმოჩნდება, რომ პირველში იგი უფრო ძლიერი ტონალობითაა წარმოთქმული, ვიდრე მეორე წინადადებაში. დამოუკიდებელი იმე შორისდებულის მნიშვნელობას ინტონაცია განსაზღვრავს. ამ შორისდებულით პლატონს გაკვირვება უარყოფითი აზრით რომ გამოეხატა, კერძოდ, საწყენად რომ დარჩენოდა კირილეს სტუმრობა, ბუნებრივია, მაშინ მას კირილე არ დაეთანხმებოდა. აქ კი შორისდებულის ზუსტი მნიშვნელობა გამოხატა მისი წარმოთქმის ინტონაციურმა ნიუანსმა და ამავე დროს მისმა თანხმებმა ექსტ-მიმიკამ, რომელთანაც იგი უეჭველად იგულისხმე-

ბა. იმე შორისდებული აქ წინადადების ბადალია, რადგან „მეტყველების ნაკადში შორისდებული შეიძლება იყოს მთელი წინადადების ეკვივალენტი“¹. მისი მნიშვნელობა შეგვეძლო შეგვეცვალა ასე-ლი წინადადებით: „როგორ მეწყინება თქვენი სტუმრობა“.

ემოციური შორისდებულების გამოყენებას ხშირად მიმართავენ პოეტები თავიანთ ლექსებში. შორისდებულებით ისინი გამოხატავენ სუბიექტურ განცდებს, აღრმავებენ, აძლიერებენ გამოთქმის მნიშვნელობას და ამით უფრო ემოციურს ხდიან ლექსს. მაგალითისათვის მოვიყვანოთ ერთი ადგილი აკ. წერეთლის ლექსიდან „აპელაციის მცოდნე“:

„ბედნიერია ჩანჩურა! შვილი ჰყავს მას საქები,
თქვენს მზეს ვფიცავ, წყალივით იცის აპელაცია!..
წიერ-ულღამს აღარ ჰკადრობს, მოუშვია ბაქები
ეს სწავლის ნიშანია. უჰ, რა დიდო კაცია!“...

(აკაკი, I, 24).

წინა სტრიქონებისაგან განსხვავებით ამ სტროფის ბოლო სტრიქონში უჰ შორისდებული და მისი მომდევნო სიტყვები წარმოითქმის მაღალი ტონალობით. ავტორი ამ შორისდებულებით აძლიერებს გამოთქმის „რა დიდი კაცია“-ს გადატანით მნიშვნელობას, აღრმავებს წინა სტრიქონებში გამოხატულ აზრს და კულმინაციურ სიმაღლეზე აჰყავს სატირის ობიექტის დახასიათება.

შორისდებული სტროფის დანარჩენი სიტყვებისაგან გამოირჩევა ტონის სიმაღლით. უჰ შორისდებული სიტყვებთან „რა დიდი კაცია“ იმგვარადაა შეერთებული, რომ მას ლექსის კონსტრუქციის დაურღიველად ვერ შევცვლიდით. ამ შემთხვევაში შორისდებულის სინონიმად შეგვეძლო გვეხმარა სიტყვები: „დიდზე დიდი“, „დიდად განათლებული“.

ემოციურ შორისდებულებს აქვთ საერთო ნიშნები, რითაც ისინი ქმნიან ცალკე დამოუკიდებელ ჯგუფს. მიუხედავად ამისა, ისინი მაინც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან: ა) ფორმით; ბ) მნიშვნელობითა და ფუნქციით წინადადებაში; გ) ჩამოყალიბების ისტორიითა და ეტიმოლოგიით.

ემოციური შორისდებულები ძირითადად ერთმარცვლიანები ან

¹ В. А л а т ы р е в, Проблема междометий, стр. 103.

ორმარცვლიანები არიან: ა, ე, უ, ა ხ, ო ხ, უ ჰ, ე ხ, უ ი, ვ ა ი, ო ჰ ო, ვ ა ხ და სხვ. თითოეული მათგანი მრავალმნიშვნელოვანია.

მაგალითად. შორისდებული ა (ა ა, ა ა ა...) გამოხატავს: ალტაცე-ბას, სიხარულს, სიამოვნებას, კმაყოფილებას, განრისხებებს, გაჯავრებას, მუქარას, განცეფრებას, გაკვირვებას, წყრომას, მღელვარებას, შიშს, შეუძლებლობას, მიხვედრას, ნიშნისგებას, სურვილს, ნატვრას, გახსენებას, სიბრალულს, ჩივილს, მწუხარებას და სხვ.

მაგალითები:

1. (ვალ) „— ჩემო სიცოცხლე, ნუ მეკრძალვი, ნუ მერიდები!.. მომენდე და ჩემსავით სხვა ვერაფერს დაგაფასებს, ვერ შეგიყვარებს! რათა სტირი? ნუ იფარებ მაგ მშვენიერ სახეზე ხელებს! ნუ! ნუ! (ხელებს მოახსენეინებს).

ელენე — ხა! ხა! ხა! ხა! ხა! ხა! ხა!

ვალ — ა ა ა!!!

ელენე — შენ კი გენაცვალოს ელენე! განაჯრძე. განაგრძე ეგ ალერსიანი სიტყვები!“ (აკაკი, V, 169).

აქ ა ა ა გამოხატავს ალტაცებას, განცეფრებას, წარმოითქმის ხანგრძლივად, ძლიერი ტონით.

2. „ამ ლაპარაკის დროს ნაჩაღნიკი თანდათან უახლოვდებოდა მზალოს და, როდესაც ეს უკანასკნელი ლაპარაკით გატაცებული იყო, ნაჩაღნიკმა გადასდგა უკანასკნელი ნაბიჯი, მისწვდა იმას ხანჯლიანს ზელში და მაგრა დაუქირა მაჯა.

— ა ა! — სიხარულით შესძახა იმან, — ახლაც წამიხვალ“ (ყაზბ., I, 43).

აქ ა ა გამოხატავს სიხარულს, წარმოითქმის ხმამაღლა, თანაბარი ტონით, ხანგრძლივად.

3. „დაფიქრდა.

შეეტყო, რომ კმაყოფილი იყო იმით, რაც ნახა.

— ა? — წარმოსთქვა თავისდაუნებურად. — ეს არც ისეთი ფანტაზიაა“ (ჭიაჩ., I, 320).

აქ ა გამოხატავს კმაყოფილებას, წარმოითქმის კითხვითი ტონით.

4. „— დავით, რა დაგიშავე, რომ პაწაობიდან შემოძულე? ისე შენმა ცოლ-შვილმა ნახოს ხეირი, რაეც მე შენი ან ყურძენი, ან ხილი, ან იი დათიკაის სიმინდი მევიპარე! ა ა, შე წაწყმედილო, ქვეყნის მყლაპო, რას მერჩი, რას?!“ (ნინოშ., I, 203).

აქ აა გამოხატავს განრისხებას, წარმოითქმის მაღალი ტონით, ხანგრძლივად.

5. „— ა! შენ ხარ ცოტნე? ის ცოტნე, რომ არად აგდებს მანგოლსა?!“ (აკაკი, III, 263).

აქ ა გამოხატავს განცეფრებას, წარმოითქმის ძლიერი ტონით, წყდება შეძახილისთანავე.

6. „გაბრუნების დროს თავადმა დათამ დანახა მოკლული ბესია და დაუწყო ნიშნის გება:

— აა, გლებების გენერალი მოუკლავთ! რაღა ეშველება ამბაკო შალიკაიშვილს, თანაშემწე რომ აღარ ეყოლება აწი?“ (ნინოშ., I, 146.)

აქ აა გამოხატავს ნიშნისგებას, წარმოითქმის დაწეული ტონით, მომდევნო ა დაბლდება თანდათანობით.

7. „— ააა, სხვანაირობა ჩვენს ოჯახში არ დევინახო, თვარა! — მუქარით უთხრა ბოლოს ხვარამზემ“ (ნინოშ., I, 398).

აქ ააა გამოხატავს მუქარას. ტონი თანაბარია, წარმოითქმის გაგრძელებით, წყდება მოკრით.

8. „— აგერ!.. აგერ... ლიზა!.. ჩემკენ მოდის... მოწამლვას მიპირობს... მეშინიან, მეშინიან... ა-ა!.. დაიყვირა იმან ძალზედ და შემომიგია, მომწვდა და დამიწყო ნძრევა“ (ყაზბ., II, 245).

აქ ა-ა გამოხატავს შიშს, წარმოითქმის ნაწილ-ნაწილ, ორივე ა-ა!.. თანაბარი ტონალობისაა, ხანგრძლივია.

9. „— კოკოიავე, ოუ! ძგვიბიავე, ოუ! — თითქო ქვესკნელიდან შემოსძახა დაცურებულმა ამხანაგმა.

— ა! მაცია! შენ ხარ... დევილუპეთ, დევილუპოს შენი მტერი! — ჩასძახეს ამათ განწირულებითა“ (ფურც., 8).

აქ ა გამოხატავს მოულოდნელ მწუხარებას, სასოწარკვეთილებას, წარმოითქმის ძლიერი ტონით, წყდება უეცრად.

10. „— ააა, მასხარაც ყოფილხარ! კარგია, კარგი! ხანდისხან კიდევ გამართობ!!!“ (მგალობ., 647).

აქ ააა გამოხატავს დაცინვას, წარმოითქმის ტონის თანდათანობითი დაწევით.

11. „— ააა, რას მივაწეროთ, ზდის, რომ მოგგონებიავარ?! — გაკვირვებით შევეკითხე ზდისლავ პშევალსკის, როდესაც იმან კარი შემოაღო“ (არაგვ., II, 66).

აქ ააა გამოხატავს გაკვირვებას, ტონი არათანაბარია, ხანგრძლივი, წარმოითქმის მომდევნო ხმოვნებზე ტონის თანდათანობითი დაწვეით.

12. „... ეინ არის ეგა? — ჰკითხა პოლიციის ჩინოვნიკმა ტერ-მი-კირტუმოვსა.

— დიდი მზითვის პატრონია, — უპასუხა მან თავის კანტურითა:— ეგ არის ქალი ხეჩატურ ჩაიფხანოვისა.

— ა ა ა: — წაიღუდუნა ცხვირში როსტომმა და ჩაიტანა ეს გულში. იმან ერთი კიდევ მიიხედა ქალისაკენ, რომ გაესინჯა როგორი რამ იყო“ (ფურც., 176).

აქ ააა გამოხატავს ნატერას, ცნობისმოყვარეობას. ტონი თანაბარია, ხანგრძლივი. დაბალი.

13. „ჰმ! ლეკოვი?! — სთქვა გაბტყელებით ბოქაულმა. — ა ა ა, აი ის მოღალატე?! — იგრილა ხალხმა“ (მგალობ., 563).

აქ ააა გამოხატავს რისხვას, წარმოითქმის ტონის თანდათანობითი გაძლიერებით, ხანგრძლივად.

14. „... — ა ა. მივხვდი ახლა, როგორც იქნებოდა საქმე“... (წინოშ., II, 17).

აქ აა გამოხატავს მიხვედრას. ტონი არათანაბარია, მეორე ა დაწვეულია.

15. „— აა... ლადო... კაცო, როგორ არ მახსოვხარ!.. — გამაწყვეტინა სიტყვა და გადამხეხია...“ (არაგვ., II, 242).

აქ აა გამოხატავს რამდენიმე ხნის უნახავი შეგობრის გახსენებას, ცნობას, ტონი თანაბარია, ხანგრძლივი.

16. „— მე ქართველი ვახლავართ.

— ა ა. ქართველი, ქართველი... ძალიან სასიამოვნოა, ძალიან სასიამოვნოა... — გაუშვირა ხელი ყმაწვილ კაცს და ლიდიას მოუჭდა გვერდით“ (ყაზბ., IV, 20).

აქ აა გამოხატავს გაცნობით გამოწვეულ სიამოვნებას. ტონი არათანაბარია, მეორე ა დაბლდება თანდათანობით.

17. „— ა, ბედშაო, ბროლიაუ!.. მოკეთე ველარ გიცენია? აჰუ!..“ (ყაზბ. I, 228).

აქ ა გამოხატავს სიბრალულს, წარმოითქმის მოკრით, საშუალო სიძლიერით.

18. „— ა ა ა! ეს კა ახალი ამბავია დღესა!“ (მგალობ., 164).

აქ ააა გამოხატავს გახარებას, კმაყოფილებას. ტონი თანაბარია, წარმოთქმულია ენერგიულად.

19. „— აა, მომილოცნია! ვაკვეთილი არ იცოტ და კვლევაც გიყობთ, ყვირით? ისეთი მტვერი დაგიყენებიათ, რომ კაცი კაცს ველარ არჩევს...“ (მგალობ., 151).

აქ აა გამოხატავს გაწყრომას, დატუქსევას. ტონი თანაბარია, ხანგრძლივი.

20. „ამ დროს ზევიდან ჩამოესმა ბრახა-ბრუხი და ხმაურობა. ცოტა ხნის შემდეგ მოესმა როიალის გრიალიც.“

— ააა! — უცნაურის ხმით დაიჭრიალა მან და ტანი აუთრთოლდა.

— ააა!.. — კიდევ დაიღრიალა, შემდეგ კბილებით თავის გამხმარ ხელს დასწვდა და ერთი ლუკმა ხორცი ამოგლიჯა“ (არაგვ., I, 47).

აქ ააა გამოხატავს ადამიანის საშინელ მღელვარებას, სიბრაზეს, წარმოითქმის ხანგრძლივად, ტონი ძლიერდება თანდათანობით.

21. „— ააა, ასთე ვერ მომატყუებ! რაცნა დღ ამბავში ხარ, მარა უნდა მითხრა, რა არის?“ (ნინოშ., I, 398).

აქ ააა გამოხატავს საყვედურს, წყრომას, წარმოითქმის ტონის თანდათანობითი დაწევიით.

22. „— აა! მობრძანდი, მობრძანდი. კარგა ხანი კი იდგომილე ქალაქში. ცხენი ჩამოართვი, ბიჭო!“ (ბარნ., II, 251).

აქ აა გამოხატავს შეხვედრას, მისალმებას, წარმოითქმის თანაბარი ტონით, გაბმულად.

23. „— ააა! არ გეტყინათ! — და უფრო მაგრად მოუნაცვლა“ (წყებლი) (წერეთ., I, 425).

აქ ააა გამოხატავს შეუბრალებლობას, რისხვას, წარმოითქმის ხმამაღლა, ხანგრძლივი ტონით.

24. „ამირინდო — აა! ეს რა სიბრიყვეა! მართებელს არ დაუჭერივარ და ვიღაცა ოხრებს უნდა შევარცხვენინო თავი?“ (აკაკი, V, 233).

აქ აა გამოხატავს წყრომას, ჩივილს, უკმაყოფილებას, წარმოითქმის ხმამაღლა, თანაბარი ტონით.

მხატვრულ ლიტერატურაში ხშირად ვხვდებით განმარტებებს, შენიშვნებს ა შორისდებულზე. ავტორის მიერ ამხსნელ წინადადებებში მოცემულია შორისდებულის მნიშვნელობა, წარმოთქმის ინ-

ტონაცია. მოქმელის განწყობილებანი და სხვ. ზოგჯერ ნაჩვენებია შორისდებულის თანმზლები ეესტ-მიმიკის აღწერაც, რომელიც ზედ-მიწვენილ აზუსტებს მოცემული შორისდებულის მნიშვნელობას.

მ ა ვ ა ლ ი თ ე ბ ი :

ა) წინადადებებში მოცემულია ინტონაციის ასხნა:

„— რატომ ესლა გამიჭირდა მტრის მოკვლა? იოლი უნდა იყოს ასეთი საქმე შენთვის! — თითქოს წვიმას შეეპყურებინოს, გარკვევით ჩაესახა თავში გაიოხს. მყისვე მოშორდა სვეტს, მთელი ტანით შექანდა და მკვექარე ხმით შესძახა:

— ა!..

თავისავე ხმამ შეაკრთო“ (ქიაჩ., I, 108):

„დიამბეგს ქალაღში გახვეული რალაცა ეჭირა.

— ა-ა! — გააგრძელა ნაჩაღნიკმა. რაწამს შეამჩნივა დიამბეგი და მერმე დაუმატა: — შენა ხარ?

— მე გახლავარ თქვენს ბრწყინვალეობას“ (ყაზბ., I, 204);

„— ჰო, მაგისტვის მოვედი, ჯვარი უნდა დავიწეროთ...

— ა?! — სიხარულით და თან გაკვირვებით შეხედა ქალმა ლევანს“ (ლორთქ., I, 124):

„— აა! — უეცრივ დასკყივლა კურცხალიამ გაჯავრებით და ისე ძლიერად მოსწია ლაგამი, რომ პირის ნაპობის კუთხეებზე სისხლის წვეთი ამოაჯდა“ (არაგვ., II, 163).

ბ) წინადადებებში მოცემულია ეესტ-მიმიკის აღწერა:

„შუმანამ მოისმინა ეს ყველაფერი და იკბინა ტუჩებზედ.

„ა!“ იფიქრა იმანა: „ამათ ისევ ხსოვნებით ერთმანეთი!.. ესენი უთუოდ ისევ შეუჩნდნენ ერთმანეთსა!.. კიდევ იმიტომ არის მართა ისე უგელისყურით ყველა საქმეზედა... დამცადონ!.. ამათ ესეები უნდა ჩაიდინონ კიდევ ჩემს სახლში!“ (ფურც., 255);

„იუღამ თავზე ორთავ ხელები მოიჭირა და ისე დაიწყოთათხში სიარული...

ა-ა-ა! სანუგეშო აზრმა გამირბინა თავში... ღმერთო, გცოდნე წედან: პირი შენი არ მიგაქცევია ჩემგან; ვიცრუე, უფალო, ვიცრუე და მაპატიე მე შეცოდება ჩემი, — იუღამ ცალი ხელი განაპყრო და თვალები ცად ადავლინა“ (მგალობ., 555);

„— ააა!.. — უცნაურის ხმით დაიღრიალა მან და ტანი აუთროთო ღდა“ (არაგვ., I, 47).

ანალიტიკური მრავალმნიშვნელობის გამოხატვის უნარი შესწევთ სხვა ერთმარცვლიან. ორმარცვლიან და მეტმარცვლიან ემოციურ შორისდებულებსაც.

ზუნებრივია, რომ ერთ რომელიმე გრძნობას გამოხატავს სხვა ემოციური შორისდებულებიც. მაგალითად, სიხარულის გამოხატუ-ველი სხვადასხვა შორისდებულა მოცემული ქვემოთ დამოწმებულ წინადადებებში:

„— ვ ი შ. ვ ი შ! რა მშვენიერია, მორთულ პატარძალსა ჰგავს! — ს ი ხ ა რ უ ლ ი თ შეჰყვირა მარომ“ (გაბაშ., II, 155);

„— ი ჰ, რა სანეტაროა ეს რთველი! რა ს ი ხ ა რ უ ლ ს და კმაყოფილებასა გრძნობს ყოველი ადამიანი!“ (იქვე. 173);

„— ო ჰ. რა კეთილი გულისა ჰყოფილხარ? — ს ი ხ ა რ უ ლ ი თ წამოიძახა და უფრო მაგრად მოხვია ხელები ჩემს ხელს“ (არაგვ., I, 31);

„— დ ი ლ ი ლ მ ე! — ს ი ხ ა რ უ ლ ი თ წამოიძახა ერთმა პატარა ბიჭმა და გაექანა მტრედს,—დავიკირე, დავიკირე!“ (ყაზბ., II, 171).

„— უ ი, უ ი. რა ლამაზი პრიალა ჩიუბება! — გ ა ი ხ ა რ ე ს ბავშ-ვებმა“ (წერეთ., I, 476);

„— უ ჰ — წარმოსთქვა ქალმა და ს ი ხ ა რ უ ლ ი ს ელდამ ჩაკეცა იგი ადგილობრივ“ (ბარნ., V, 404);

„— ო ო! ა ღ ტ ა ც ე ბ ი თ, ს ი ხ ა რ უ ლ ი თ! საზოგადოებას ის უყვარს, აფასებს...“ (გაბაშ., I, 198);

„— ჰ ო ო, თხილაძე, თხილაძე! — ს ი ხ ა რ უ ლ ი თ წამოიძახა ჰა-ბუქამ და ატმის ჰამაც კი მიატოვა...“ (არაგვ., II, 29);

„ო ხ. რა რიგად მ ი ხ ა რ ი ა ნ, კნიაზო იასონ, რომ თქვენისთანა მე-ზობლები მიყოლებიან“ (გაბაშ., I, 380).

გარდა დამოწმებულ საილუსტრაციო წინადადებებში შემავალი შორისდებულებისა, ამავე გრძნობას — სიხარულს გამოხატავს სხვა ემოციურ შორისდებულთა დიდი ნაწილიც.

ემოციურ შორისდებულთა ჯგუფში შედის შორისდებულები, რომელთა წარმოსთქმა განპირობებულია ფიზიოლოგიური ან რეფლექსური აქტებით. ესენი არიან ზიზლის გამომხატველი ფ უ! და სიცილის გამომხატველი ხ ა, ხ ა, ხ ა! ამ შორისდებულთა ბგერითი მხა-

¹ მოცემული შორისდებულები გენეტურად დაკავშირებულია ხმაბაძვით სიტყვებთან.

რე მეტად თავისებურია. ისინი ვერ თავსდებიან ენის ფონეტიკურ სისტემაში და ამიტომ წერით მეტყველებაში პირობითად (მიახლოებით) არიან გადმოცემული. მხატვრულ ტექსტებში მათი ბგერითი გამოსახულება მრავალფეროვანია. გვაქვს ფ უ-ს სხვადასხვა ფონეტიკური ვარიანტი: ფ უ, ფ უ ი, თ ფ უ, თ ფ უ ი, ტ ფ უ, ფ უ ჰ, ფ უ უ ჰ და სხვ. ასევე განსხვავებული სახითაა წარმოდგენილი სიცილის გამომხატველი შორისდებულებიც: ჰ ა, ჰ ა, ჰ ა; ჰ ე, ჰ ე, ჰ ე; ჰ ი, ჰ ი, ჰ ი; ხ ა, ხ ა, ხ ა; ხ ე, ხ ე, ხ ე; ხ ი, ხ ი, ხ ი; ჰ ნ ი; ნ ჰ ი; მ ჰ; ფ ხ უ; ნ ჰ ე; ო-ხ ო-ხ ო და სხვ.

ფ უ-ს ხმარება ჩვეულებრივია ბევრ ინდოევროპულ ენაში (განსხვავებული ტრანსკრიპციით). იგი არის ფურთხის ნიშანი. გამოხატავს აღშფოთებას, ზიზღს, ჯავრს და სხვ. საბ ა თავის ლექსიკონში მას განმარტავს როგორც გამოფურთხებისას გამოცემულ ხმის აღმნიშვნელ სიტყვას. წარმოთქმის დროს მის წინ ხმას აუწყვენ ხოლმე. ამას ადასტურებს ცოცხალ მეტყველებაზე დაკვირვება და მხატვრული ლიტერატურის ტექსტები.

ფ უ-ს ხმარების უამრავი შემთხვევა დასტურდება პერსონაჟთა მეტყველებაში. იგი აღშფოთების, ღელვის, გაჯავრების, ზიზღის, რისამე დაწუნების, გაკიცხვის, შერცხვენის გამომხატველია.

მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი :

„ფ უ!.. დალახვროს ღმერთმა!.. მართლა რომ საძაგელი ენაა...“ (აკაკი, IV, 194); „ფ უ! სამასი თუმანი და ის ბებერი გონჯი ქალი?!.“ (ფურც., 194); „ფ უ ი! რა მყრალი წყალი ყოფილა!..“ (მგალობ., 699); „ფ უ ჰ, დასწყევლოს ღმერთმა ეშმაკი!“ (წერეთ., II, 254); „ყველა ღვთის გაჩენილია, ყველა ღმერთს ეხვეწება და ემუდარება — ღმერთო, მაცოცხლე და მაცხოვრეო! ჩვენ კი უნდა მოკვალათ? ფ უ უ უ ჰ!“ (ვაჟა, VI, 75).

ფ უ ზოგჯერ რამდენჯერმე წარმოითქმის, რაც სუბიექტის წყრომას, სიბრაზეს კიდევ უფრო ამჟღავნებს.

„წადი და ასლა იქეიფე, შე არამზადა! ქოფაკო! ფ უ! ფ უ! შენ ნამუსსა“ (ერისთ., 316).

ფ უ შორისდებულს იყენებდნენ ცრუმორწმუნე ადამიანები და ფიცების, შერისხვის, წყევლის და სხვა რიტუალური მოქმედებების შესრულებისას. ხშირად მას თან ახლდა პირჯვრის წერაც.

მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი :

„— თ ფ უ ი! თ ფ უ ი! ჩემი თვალი ავი!.. მაშ გამოართმევ თამბაქოს?“ (ყაზბ., IV, 236); „— ფ უ ი, დაგწყევლოს წმინდა გიორგიმ!.. — გიგოლასთან ერთად სთქვა მაგდანამ და პირჯვარი გადაიწერა“ (არაგვ., I, 17); „თვალი კი არ გეცეს.. თვალი. თ ფ უ! თ ფ უ! თ ფ უ!“ (აკაკი, V, 144); „პირჯვარი გადასახე, ფ უ ი ეშმაკსა-თქვა და გათავდა!“ (კლდ., I, 191); „ტ ფ უ ეშმაკო! რას მოვჩერჩებებლი, რა მინდოდა...“ (მგალობ., 33).

ძლიერი აფექტების დროს ფ უ-ს თან ახლავს გადაუერთება, რაც მათი ურთიერთკავშირის მაჩვენებელია.

მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი:

„— ფ უ ი! — გადააფურთხა ცოლმა და მოუთმენლად დაუშატა: — ეგ რაილა იცი?“ (ყაზბ., II, 378); „— რას იღრინები, რასა? — ჰკითხავდა ქალი და გადააფურთხებდა. — ფ უ ი! შეგორცხვებს თვალეზი“ (ყაზბ., IV, 251); „ფ უ ი, შენცა და შენს ფულეხსაც! — ზიზლით მიაფურთხა გოგომ და გულ-ამომჯდარი, ქვითინით გარეთ გავარდა“ (ლომთ., 46).

ფ უ-ს თანმხლებია ზოგჯერ ექსტიცი: „ფ უ! — ჩ ა ვ ი ქ ნ ი ე ხ ე ლ ი. ნამდვილად იდიოტი ვარ. თუ რამე ამეკვიატა, ვერაფრით ვეღარ მოვიშორებ“ (სულ., 268).

სიცილის გამომხატველი შორისღებულთ (ხ ა, ხ ა, ხ ა; ხ ე, ხ ე, ხ ე; ხ ი, ხ ი, ხ ი; ჰ ა, ჰ ა, ჰ ა; ჰ ე, ჰ ე, ჰ ე და სხვა) გამოიხატება უარყოფითი დამოკიდებულება რაიმეს მიმართ: დაცინვა, გაქირვება, პირფერობა (მლიქვნელობა) და სხვა. სიცილის რეფლექსი ადამიანთა ყოფა-ცხოვრებაში ბუნებრივი მოვლენაა. გამოიყენება მეტყველების განსაზღვრულ პირობებში და ადამიანში იწვევს მხიარულები სიამოვნების განცდას. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წერაში მას ნაირნაირი ფორმით გადმოცემენ.

მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი:

„— ხ ა! ხ ა! ხ ა! ხ ა! ჩაიხარხარა კოკაურმა: მაგ კალანჩხათი უნდა კალმახი დაიპირო?!“ (გოგ., IX, 33);

„— ხ ი, ხ ი, ხ ი! — ჩაეიხითხითე, როცა ეს მითხრა და თან გავაჯავერე“ (არაგვ., I, 19);

„— ვაი!.. კი არ ცოდნია კითხვა, ტყუილად ჩაჩერებია! ჰ ა, ჰ ა, ჰ ა, ჰ ა! — კიდევ მეორედ გადიკისკისა მარინემ“ (წერეთ., II, 172);

„— ხ ე, ხ ე, ხ ე! — ცალი ყბით ჩაიციანა ამაზე არჩილმა და მეტი არაფერი თქვა“ (ქიაჩ., I, 254);

„ეჰ. ჰე. ჰე, ჰე!.. — მწარედ ჩაიციან იმან. — მიყურეთ. მი-
სურეთ. ნახეთ. კაცს სადამდის შეუღლიან მივიდეს!“ (ყაზბ., II, 515);

„ო-ბ-ო-ბ... ბ-ბ! — ახარხარდა მიტინგი“ (ლორ., 181);

„— ხ-ა-ხ-ა-ა! ხ-ა-ხ-ა-ა! — გაღიხარხარა დათემა“ (ვაჟა, VI, 266);

„— ჰა-ი-ჰა-ი! — ჩაიციან კაცმა და უაღერსა, — ძალუმ ეშმაკი
კ-ბარ. ლეთის მადღმა!“ (ყაზბ., II, 419);

„ხ-ჰ-ე, ხ-ჰ-ე, ხ-ჰ-ე, ხ-ჰ-ე! — ბოროტად ჩაიციან მოხუცმა“ (ყაზბ.,
IV, 20);

„ნ-ჰ-ი! ანაც მოვესწარი, რომ აზნაურიშვილი გლეხკაცის ქალს
ირთავდეს“ (მგალობ., 427);

„ჩაი მიატოვა, შარვალს ხელი წამოავლო: „ჰნ-ი...“ იცინის“
(ჯამს.. I, 478);

„— ფ-ხ-უ-უ! — წამოცდა მედავითნეს, რომელსაც სოფელში დია-
კვანს ეძახოდნენ“ (დად., 105).

➤ მრავალმნიშვნელოვანია თავისი ფუნქციით მეტყველებაში შო-
რისდებულს ჰმ. გრაფიკულად იგი ორი თანხმოვნის შეერთებითაა
წარმოდგენილი. წარმოითქმის განსხვავებული ხანგრძლივობით. წე-
რაში მისი ბგერითი გამოსახულება პირობითია. „თუ გარკვეული სუ-
ლიერი განწყობილების გამოსახატავად (გმინვა, ჩაიციება) ჰაერნაკა-
დის დენა ცხვირის გზით ხდება და არა პირიდან, მაშინ წარმოეთქ-
ვამთ შორისდებულს ჰმ, რომელიც შერწყმულ ცხვირისმიერ ფშვინ-
ვიერ ბგერას წარმოადგენს“¹.

ჰმ შორისდებულს ყოველთვის თან ახლავს სხვადასხვაგვარი ეეს-
ტი: თავის გადაქნევა, ბეჭების აწევა, მრავალმნიშვნელოვანი ირო-
ნიული ღიმილი და სხვ. იგი გამოხატავს მიხვედრას, დაცინვას, ეჭვს,
კმაყოფილებას. სინანულს, მრისხანებას, წყენას, გაკვირვებას, კიცხ-
ვას. შეფიქრიანებას და ადამიანის სხვა შინაგან გრძნობითს რეაქ-
ციებს. მისი მნიშვნელობა ინტონაციაში ვლინდება.

მაგალითები:

გამოხატავს:

ა) დაცინვას: „— ჰმ! — დაცინვის კილოთი დაიღრინა ბოლოს

¹ ს. ელენტი. შორისდებულ ახალ სალიტერატურო ქართულში: ქართვე-
ლურ ენათა ფონეტიკის საკითხები, თბილისი, 1965, გვ. 181.

მან და განაგრძო, — ამ დღესაც მოვესწარი, როცა ჩემ ნაყმევებს ფერხული აქვთ და ჩემს ოჯახში ორი შინაყმაც აღარ დარჩენილა“ (წერეთ., II, 323);

ბ) ეჭვს: „— ჰმ!.. აქ რაღაც ეშმაკობა უნდა იყოს!..“ (აკაკი, V, 123);

გ) გაკვირვებას: „— ჰმ, ჰმ, — წარმოსთქვა შველმა გაკვირვებით, — არა ხარ, დობილო, აქაური, არა გცოდნია, შენ შინაური ცხოველი ხარ“ (ვაჟა, VII, 22);

დ) კმაყოფილებას: „— ჰმ! არა უშავს რა, გამომადგება ეს ბავშვი. — ჩაილაპარაკა თავისთვის“ (მგალობ., 301);

ე) სინანულს: „ჰმ! თავი რაზე შევირცხვინე?.. სალაპარაკოდ რავა მივეცი ჩემი თავი ამ სულელთან იმდენ ხალხს!..“ (კლდ., I, 142);

ვ) გაფრთხილებას: „— ჰმ!.. ფრთხილად, ვაუბატრო!..“ (აკაკი, IV, 203);

ზ) ზიზღს: „ჰმ!.. რასაკვირველია! რასაკვირველია, ამათ შორის ერთი რამ ამბავია! — ზიზღით წაილაპარაკა გულში გიგომ“ (კლდ., I, 98);

თ) მრისხანებას, გმინვას: „ჰმ, ჰმ, ჰმ! — დაგმინა ქალბატონმა №№-მა და მრისხანებით დაიკრა მკერდზე ხელი“ (ნინოშ., I, 80);

ი) წყენას: „ლევანი უკმაყოფილების ნიშნად ამაზე შეიშმუშნა და წყენის გამოსათქმელად წამოიძახა: „ჰმ! ჰმ!“ (კლდ., I, 261);

კ) ტრაბახს, კვენას: „ჰმ! ძალიან საქმეს მოვახდენ; აღმოვაჩენ ისეთს რამეს, რომ ქვეყანა გაკვირდეს; მე დიდი ბედნიერება მომელის; ხუმრობაა, აღმოვაჩინო სახელმწიფო სახელმწიფოში?“ (მგალობ., 313);

ლ) სევდას: „ჰმ! — სევდიანად ამბობდა ელენეზე გულმოსული ბეკინა“ (კლდ., I, 180);

მ) სიხარულს: „ჰმ, მესმის, ეხლა კი გავაბი ოც თუმანში. თქვენმა მზემ“ (ილია, I, 541);

ნ) მიხვედრას: „ჰმ, ახლა კი ცხადია, რაც ამბავი ყოფილა!“ (აკაკი, V, 178);

ო) საყვედურს: „— ჰმ!.. ამ ცეცხლის თაობაზე რატომ არას მეუბნები?“ (აკაკი, II, 437).

როგორც ვთქვით, ჰმ შორისდებულს არაიშვიათად ახლავს ექსტ-მიმიკა.

მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი :

„— ჰმ... — თავის ქნევით მწარედ გაიღიმა ღედაბერმა ღრმად ჩაფიქრების შემდეგ და სასოწარკვეთილებით ხელები მუხლებზე დაირტყა“ (არაგვ., I, 46);

„— ჰმ!.. — გააქნია მან თავი ღიმილით.— ჰმ!.. — და ცოტა ხნ-ს შემდეგ დაუმატა: — უკაცრავად ვარ, ბატონო, მე უნდა მენახეთ... მომელოცნა, მარა... — და მან მხრები აიშმუშნა, წარბები ზევით ასწია, მარჯვენა ხელი გაშალა და ისე ჩაჩუმდა“ (კლდ.. I, 260).¹

ჰმ შორისდებულის განსხვავებული მნიშვნელობით ხმარება კიდევ დასტურდება მხატვრულ ტექსტებში.

გვაქვს შორისდებული ნწ. იგი თავისი მნიშვნელობით უღრის „არა“-ს. „ამ ბგერას დაახლოებით ნწ ნიშნებით გადმოსცემენ, მაგრამ ნამდვილად არც ნ არის და არც წ.“¹

პროფ. არნ. ჩიქობავა აღნიშნავს: „კითხვაზე: „მოიტანა ვასომ წივნი?“ შეიძლება ვუპასუხოთ „არა“ ანდა „ნტ!“ ორივეს ერთი და იგივე მნიშვნელობა აქვს, — ორივე უარყოფას გადმოგვცემს. ამ მხრივ მათ შორის განსხვავება არ არის. ბგერითი მხარე კი რომ გავითვალისწინოთ, აღმოჩნდება, რომ „არა“ სამი ბგერისაგან შედგება (ა-რ-ა), „ნტ“ კი, რასაკვირველია, არ შედგება ნ და ტ-საგან, არც ნ და წ-საგან, როგორც ხშირად ჰგონიათ ხოლმე. საკმარისია, ცალკე წარმოთქვათ ნ ტ, ნ წ (ზა-ნტ-ი, ძუ-ნწ-ი) და შემდეგ შევადაროთ უარყოფის აღმნიშვნელ ამ ნ ტ-ს, რომ განსხვავება თვალში გვეცეს; ნ და ტ-ს გამოყოფა მასში შეუძლებელია და ჩვენ პირობით და მიახლოებით გადმოვცემთ მას, რასაც ვამბობთ, ნ ტ (თუ ნწ) ასობეს რომ ვწერთ. „არა“ დანაწევრებულ ბგერებისაგან შედგება, „ნტ“ — დაუნაწევრებელისაგან“².

მწერლობაში გვხვდება ნწ შორისდებულის სხვა ფონეტიკური ვარიანტებიც: ნ წ ა, ნ წ უ, ნ წ უ ჰ, მ წ, მ წ უ, მ ნ წ უ, მ ნ ტ წ უ, მ ნ ტ წ ა.

როგორც ვიცით, დასახელებულ შორისდებულს წარმოთქვავენ მაშინ, როცა რაიმეს უარყოფენ ან იძლევიან უარყოფით პასუხს შეკითხვაზე. უმთავრესად ამ შორისდებულის შემდეგ სწრაფად

¹ ა. შანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 622.

² არნ. ჩიქობავა, ზოგადი ენათმეცნიერება, I, თბილისი, 1939, გვ. 21—22.

წარმოთქვამენ ხოლმე უარყოფით ნაწილაკ არა-ს, რომელიც სემახ-ტიკურად მისი ტოლფასია.

მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი :

„ნ წ, არა! ბაბია, მამაშვილობას, სოფელს თავს ნუ დაანებებ“ (მგალობ., 17);

„ნ წ! აბა, არა! ამაოა, ამაო, წავიდა, მორჩა. რაც მინახავ, ველარა ვნახავ“ (ვაჟა, VI, 160);

„— ნ წ უ, ამპა! წყალში როდი იკბინება, შხამი როდი აქ თან“ (აკაკი, IV, 17);

„ახლა ეს მითხარი, მალხაზ, ამის შემდეგ ხომ არ მობრუნდა მარუა?“

„ნ წ უ, — მიუგო ყმაწვილმა“ (გამს., V, 583);

„დიტოს მომეტებული სიხარულისაგან ენა ჩაუვარდა და იძახოდა მხოლოდ ამ ორ სიტყვას: „კი“ და „არა“, ან „ნ წ უ ჰ“ (წერეთ., II, 72);

„მ წ! არა!.. დამაცა, დამაცა, სესე... სახალხოდ რამდენჯერ მითქვამს“ (მგალობ., 469);

„— ნ წ ა — არა! ეგრე არ შეიძლება“ (მგალობ., 567);

„თუ შენ დახვდები და გოგრას შეუშვერ, შენ მარტო მოკვდები. ქვეყანა კი გადარჩება... გახდები თანახმა?“

— მ წ უ!

— როგორ „მ წ უ“! (ლომთ., 498).

„— ნ წ უ! არა-მეთქი, ეგ არის, ბევრი ლაპარაკი რა საჭიროა!“ (ფურც., 230);

„— მ ნ წ უ! მე ხომ სომეხი არა ვარ, თითო გროშზედ ვივაჭრო“ (მისივე, 195);

„— მ წ ტ წ ა! Ни хороши дела будить — დაიწყო იმან მწუხარებითა“ (მისივე, 196);

„— მ ნ ტ წ უ! ჩემი ძმის საქმე არ გახლავთ მოურაობა“ (მისივე, 191).

ს. მ გ ა ლ ო ბ ლ ი შ ვ ი ლ ი ს ე ნ ა შ ი ნ წ და მისი მომდევნო არა ნაწილაკი ზოგჯერ შერწყმული (შეერთებული) სახითაცაა წარმოდგენილი, ხოლო ზოგჯერ გამოყოფილია დეფისით.

მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი :

„— ნ წ ა რ ა! მამულიც ჩვენი იქნება, კაცო! მარა ცარიელა გატლექილ თავს რას ვაქნევ“ (მგალობ., 571);

— ნ წ ა რ ა! ეეეი, არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მი-
სიო“ (მისივე, 428);

„— ნ წ — არა! სულაც არ არის ქურდობა“ (მისივე, 366);

„— ნ წ ა — არა! ეგრე არ შეიძლება, ნუ იცი ე ახირებაი შენა...“
(მისივე, 567).

ზოგჯერ უ ხმოვანდართული ნ წ + უ (ნწუ), თუ იგი რამდენჯერმეა
წარმოთქმული სწრაფად, მიჯრით, გამოხატავს რაიმე გრძნობას: მწუ-
ხარებას, გაოცებას, დაცინვას და სხვა.

მოცემული შორისდებულის წარმოთქმის ინტონაცია დასახელე-
ბული გრძნობების გადმოსაცემად არ განსხვავდება ერთმანეთისაგან.
ის ერთი და იგივეა მწუხარების, გაოცების თუ დაცინვის მნიშვნე-
ლობის გამოხატვის შემთხვევაში. განსხვავებული შინაარსი მასში მო-
ცემულია კონკრეტული ვითარების, სიტუაციის შესაბამისად.

მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი:

„— ნ წ უ, ნ წ უ, ნ წ უ! ქალი და მერე კიდევ ნამოახლი, რას არ
იტყვის!..“ (აკაკი, V, 307).

აქ ეს შორისდებული გამოხატავს დაცინვას გაკვირვების ნიუან-
სით. „ნ წ უ, ნ წ უ, ნ წ უ!.. ვაი რა დავიღუპენით და დავნელდით“
(ფურც., 392).

აქ კი მწუხარებას გამოხატავს.

აკაკი წერეთლის ენაში დასტურდება წ მ, წ მ, წ მ-ს ხმარება გა-
კვირვების გამოსახატავად: მაგ.: „წ მ, წ მ, წ მ! აბა, ამაზე არის ნა-
თქვამი, მთა მთას ვერ მოხვდება, თორემ კაცი კაცს კიო“ (აკაკი,
V, 271).

არაიშვიათია, როცა ნ წ უ, ნ წ უ, ნ წ უ-ს წარმოთქმას მწუხარე-
ბისას თან ახლავს თავის გადაქნევა.

მ ა გ ა ლ ი თ ი:

„იმან თითქო იცოდა, რომ იმის მამა დამხრჩვალაო, ერთი ესე
კი სთქვა ა ქ ე თ-ი ქ ი თ თ ა ვ ი ს გ ა ნ ძ რ ე ვ ი თ:

ნ წ უ, ნ წ უ, ნ წ უ, ნ წ უ! და წავიდა შესატყობინებლად ძმებ-
თან, რომელნიც აგრეთვე მოვიდნენ, დაადგნენ გაშეშებულს მამას
თავს, აგრეთვე წარმოსთქვეს ა ქ ე თ-ი ქ ი თ თ ა ვ ი ს ქ ნ ე ვ ი თ
„ნ წ უ! ნ წ უ! ნ წ უ! ნ წ უ! დიდი ღვთის ბრძანება არ არის!“ (ფურც.,
214).

თანხმოვან ბგერათა კომპლექსები ზოგჯერ შორისდებულის თვი-
სებებს ავლენენ, ხდებიან ადამიანთა ურთიერთგაგებინების თავისე-

ბურ საშუალებებად. მაგრამ „არა ყოველგვარი ემოციური და ა. შ. ადამიანის მიერ გამოცემული ბგერები წარმოადგენენ შორისდებულებს, არამედ მხოლოდ ისეთები, რომლებიც სოციალურად გააზრებულია და გამოიყენება ადამიანთა შორის ურთიერთობის დასამყარებლად“¹.

მაგალითები:

„— ვ ე ვ; მ წ, მ წ!.. — მელიას მოაყოლა ძაგძაგი, პირი ნერწყვით აევსო, სიტყვები ტუჩზე შეახმა და შორისდებულებით იწყო სიამოვნების გამოთქმა“ (მგალობ., 648);

„პასიკომ თითებგაშლილი ხელი ცხვირზე მიიდვა და დაცინვით დაემანჯა.

— ჩამივარდები ხელში... დაგზელ გემოზე... — თ ს ს!.. — ანიშნა ქალმა და გაიქცა“ (ლორთქ., II, 167);

„მან ველარ მოითმინა და როცა მათათიმ ჰკითხა სონიას, როგორ მოგწონს სოფელიო, ეკვირინემ აღარ აცალა რძალს ხმის ამოდება და დაასწრო პასუხი:

— რატომ არ მოეწონება, ჩემო ბატონო, სოფელიც მაგისია და ქალაქიც!

— ფ შ შ! — ისე წაიფრუტუნა მანანამ, რომ ეკვირინეს ადვილად შეეძლო ყურიც მოეკრა.

ამ ქალის საქციელს ადვილად შეეძლო უსიამოვნება გამოეწვია აქ“ (კლდ., I, 254).

ნათლად ჩანს, რომ ამ წინადადებებში ხმარებულ ბგერით კომპლექსებს (ვ ე ვ, მ წ, მ წ; თ ს ს; ფ შ შ) აზრის გამოხატვის კონკრეტული დანიშნულება აქვთ.

გარდა ბგერისა და ბგერითი კომპლექსებისა, ემოციურ შორისდებულებად გვაქვს სიტყვები: ა ბ ა, ვ ა შ ა, დ ი ლ ი ლ მ ე, ო ლ ო ლ ო, ყ ო ჩ ა ლ, ჩ უ პ რ ი-ჩ უ პ ა რ, ი მ ე და ს ხ ვ.

ემოციურ შორისდებულთაგან ზოგი ადრე სხვა მეტყველების ნაწილი იყო და მერე იქცა შორისდებულად. ასეთებია: ბ ი ჭ ო ს; ბ ე-ჩ ა, ე რ ი ჰ ა, ქ ა, ვ ა ყ ო, ო ჯ ო, და ხ ე, ჭ ი ტ ა, გ ლ ა ხ და ს ხ ვ.

სხვა მეტყველების ნაწილებისაგან მომდინარეობენ აგრეთვე სიტყვები, რომლებიც სხვა ენებიდან შემოვიდნენ და შორისდებულებად დამკვიდრდნენ ქართულში: ა ფ ე რ უ მ, ა ფ ს უ ს, ზ ა ხ რ უ მ ა

¹ В. А л а т ы р е в, Проблема междометий, стр. 103.

(სპარს.), ბარაქალა (არაბ.), ჰაიგიდი, აიგიდი (თურქ-სპარს.), ურა, ბრავო, მალადეც (რუს.) და სხვ. ამ ჯგუფში შემავალ როგორც ქართულს, ისე სხვა ენებიდან შემოსული სიტყვების ძირითად ნაწილს, რამდენადმე დამოუკიდებელი, მათთვის დამახასიათებელი საკუთარი ინტონაცია მოეპოვებათ, რადგან ისინი ერთ რომელიმე გრძნობას გამოხატავენ.

აბა — არის ემოციური და ამავე დროს იმპერატიული შორისდებული. როცა ემოციურია, აბა-თი მოუბარი დასკვნას უკეთებს გამოთქმულ აზრს და შთაბეჭდილების გაძლიერების მიზნით ახდენს თავისივე ნათქვამის ემოციურ დადასტურებას.

მაგალითი:

„ირინე:

— რა ამბავია, მამა?

ფილიპე:

— შენი გაბედნიერების ამბავი, შვილო!.. დიახ, იმისთანა ჩინებული ყმაწვილი მთხოვს შენს თავს, რომ შენ ვერც-კი წარმოიდგენ! აბა, აბა!“ (კლდ., II, 24);

როგორც დამოწმებულ მაგალითში ჩანს, შორისდებული აბა, აბა! მოსდევს წინადადებას და განმეორებელია. იგი აძლიერებს გამოთქმულ აზრს. ინტონაცია მკვეთრად მალღდება მეორე ა-ზე, წარმოითქმის ხანგრძლივად.

თქმულის გამაძლიერებლადაა ხმარებული იგივე შორისდებული ამ წინადადებაშიც: „— მამაშენი მწყალობელი იყო ჩემი, ჰირიმე! შენგან კიდევ მეტს მოველი, აბა აა... — შეელაქუცა გვადი“ (ქიან., რჩ., 194). როგორც ვხედავთ, აქ მწერალი ა ხმოვანს ბოლოში სამჯერ წერს: აბა აა, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი წარმოითქმის გავრძელებით, ხმის აწევით.

აბა შორისდებულით ემოციურ დასტურს იძლევიან სხვის მიერ გამოთქმულ აზრზედაც. ასეთი შემთხვევები გვაქვს დიალოგებში. აბა-თი მოუბარი რეაგირებას უკეთებს თანამოსაუბრის ნათქვამს და ამით გვამცნობს თავის სუბიექტურ დამოკიდებულებას სინამდვილისადმი.

მაგალითები:

„— ო-ო, ბენოია! ვალებით დაგვტვირთავს ახლა.

— აბა, აბა! — თითქოს სინანულით წარმოთქვა დედამ და „შეილს თავისი ნავაჭრი წინ დაუღო“ (დად., 122).

აბა-ბა-ბა. გამოხატავს გოცებას, მაგ.: „— ა ბ ა-ბ ა-ბ ა, რა ძაღ-
ლი ყოფილა ეგ დალოცვილი!“ (ვაჟა, V, 165);

„ა ბ ა-ბ ა-ბ ა-ბ ა-ბ ა ა! რამოდენა ხალხი წავიდა მართლა“ (ვაჟა,
V, 140).

ვაშა. აღტაცების, კმაყოფილების, მოწონების გამომხატველი შო-
რისდებულა. წარმოთქვამენ ხმამალლა როგორც მასიურად (გგუფუ-
რად), ასევე ინდივიდუალურადაც.

მ ა გ ა ლ ი თ ი:

„გვადის ტაშის დანახვამ სულ ერთიანად შესძრა ეზო. ხალხს
უხაროდა და კუთხიდან კუთხემდე გაისმოდა:

— ვ ა შ ა, გვადი, ვ ა შ ა!

— გვადის გაუმარჯოს!“ (ქიაჩ., რჩ. 354);

„— ვ ა შ ა ა ა, ვ ა შ ა ა ა!.. — ორბის ამგვარ ჯილდოთი აღტაცე-
ბულმა ბრბომ გაჟღინთა არე-მარე „ურას“ ღრიალით“ (არაგვ,
II, 83);

ვ ა შ ა-ს წარმოთქმას ხშირად თან ახლავს ტაშის დაკვრა, რაც კი-
დეც უფრო ამღლებს ცალკეულ ადამიანთა თუ მთელი მასის საერ-
თო აღტაცებას.

მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი:

„ლადონ სიტყვის დასრულება ვერ მოასწრო, ცოლისძმა ერთბა-
შად წამოვარდა და ტაში დაჰკრა.

— ვ ა შ ა, მამულიშვილო! ვ ა შ ა! აი ქართველიც ამას ჰქეცა!“
(ლორ., 224);

„— გაუმარჯოს კარცერს! ვ ა შ ა! ვ ა შ ა! დაჰკარით ტაში, ამხა-
ნაგებო, დაჰკარით ტაში!“ (ლომთ., 261).

დილილმე. გამოხატავს სიხარულს, შედგება ორი ნაწილისაგან—
დ ი ლ ი ლ + მ ე. მე პირის ნაცვალსახელია ბოლოში, ხოლო „რას უნ-
და ნიშნავდეს პირველი ნახევარი ჩვენთვის უცნობია“¹.

მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი:

„— დ ი ლ ი ლ მ ე! — სიხარულით წამოიძახა ერთმა პატარა ბიჭ-
მა და გაეჟანა მტრედს, — დავიჭირე, დავიჭირე!“ (ყაზბ., II, 171);

„— დ ი ლ ი ლ მ ე, დ ი ლ ი ლ მ ე, ხვალ ჩურჩხელებსა ვჰამო, გოზი-
ნაცსაცა ვჰამო!.. — სიხარულით ვიძახოდი ახალწლის დამეს და თან

¹ ს. ქ დ ე ნ ტ ი, შორისდებული ახალ სალიტერატურო ქართულში: ქართვე-
ლურ ენათა ფონეტიკის საკითხები, თბილისი, 1965, გვ. 182.

ლოგინში ტანისამოსიანი ვგორაობდი და ყირაზე ვდგებოდი“ (არაგვ., I, 19); „— დ ი ლ ი ლ მ ე, დ ი ლ ი ლ მ ე, — სიხარულით დაიძახა ჭაჭანამ და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, შეხტა მაღლა და შეიკუნტრუსა“ (ლომ., I, 112):

დასტურდება ამგვარი ფორმებიც: „დ ი ლ ი ლ ე ი“, „ლ ი ლ ი ლ ე ი“. მაგ.: „ახლა გვაკლია ჯამაგირი და ყაბლუფლავი შარბათით, თუ რომ იმასაც მივიღებ... დ ი ლ ი ლ ე ი, ლ ი ლ ი ლ ე ი“ (ერისთ., 295). ლ ი ლ ი ლ ე ი დ ი ლ ი ლ ე ი-საგან მომდინარეობს ასიმილაციის გზით.

ოლოლო. ამ სიტყვის ეტიმოლოგია ჩვენთვის ცნობილი არ არის. გამოხატავს ნიშნის მოგებას.

მ ა გ ა ლ ი თ ი:

„— ო ლ ო ლ ო, ვერ მოგართევს! — პირში თითი გამოილოკეს და დაანახვეს მეზობლებმა გიგოლას“ (მგალობ., 54);

ჩუპრი-ჩუპარ. შეძახილი, მისამღერია ხალხური ცეკვის დროს. „ჩ უ პ რ ი-ჩ უ პ ა რ, ჩ უ პ რ ი-ჩ უ პ ა რ, ჩ უ პ რ ი და რეჯანასა!.. ურაა!..“ (ილია, I, 386);

ყოჩად. გამოხატავს მოწონებას, შექებას.

მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი:

„ყ ო ჩ ა ლ, ყ ო ჩ ა ლ! — შეაქო იმან, — აბა, ჩქარა შეწვი...“ (ყაზბ., II, 65); „— ყ ო ჩ ა ლ, ნიკორავ! — შეაქო კამეჩი, როცა ხელში რძით სავსე მკვრივი ცური მოხვდა“ (ქიაჩ., რჩ., 242); „— ყ ო ჩ ა ლ, ბუქური! — მოუწონა უფროსმა, რომ მისი სურვილი ამან მოიყვანა აღსრულებაში“ (არაგვ., II, 61); „— ყ ო ჩ ა ლ, არჩილ! — უთხრა შექებით“ (ქიაჩ., I, 406).

იმე (-ციმე). (ყუთხ. იმერ.). გაკვირვების შორისდებულა. „ამ ხმოვანს ჩვეულებრივ მიუძღვის ბგერა, რომელიც დაახლოებით იგივეა, რაც დასუსტებული ყ მეგრულ „ქოროთა-ში“ (ქოროთა — „სიყვარული“) ¹. ი-მ-ე-ს მეორე ნაწილი პირის ნაცვალსახელია და შორისდებულის შემადგენელი ნაწილია.

მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი:

„ზურაბ — ი მ ე! რავა, ქვე მცდი თუ“ (აკაკი, V, 34); „ი მ ე, ი მ ე, ეს რა ამბავია? — გაუკვირდა ბიჭს, — ი მ ე რავა გადაბუგულა ყველაფერი“... (ლორთქ., I, 46); „ი ი მ ე, მუქათათ გაძლივს, ვერ შეიტყე?..“ (ერისთ., 198).

¹ ა. შ ა ნ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 621.

ბიჭოს. — ამ შორისდებულის ხმარება ფართოდაა გავრცელებული. გამოხატავს გაკვირვებას, გაოცებას, მოწონებას.

ბ ი ჭ ო ს, როგორც გ. ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი ვარაუდობს, მიღებული უნდა იყოს ასე: ბიჭოს—ბიჭო სცან¹. როგორც ჩანს, მეორე სიტყვის თავიკიდური თანხმოდანი ს შეერთებია წინამძველ სიტყვას, ხოლო დანარჩენი ნაწილი დაკარგულა, ს-ს ადგილზე ხშირია თ-ს ჩართვა: (ბ ი ჭ ო თ), რომელიც მრავლობითის აღმნიშვნელადაა გაჩენილი. ბ ი ჭ ო თ „შორისდებულია და არა წოდებითის ფორმა (წოდებითის ფორმა იქნება: ბიჭებო)“².

მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი:

„— ბ ი ჭ ო ს, ეს სად მოვსულვარ! — გულწრფელად გაუკვირდა“ (ქიაჩ., რჩ., 188); „— ბ ი ჭ ო ს!.. შესძახეს გაკვირვებით ამხანაგებმა“ (წერეთ., I, 322); „— ბ ი ჭ ო ს! აი, ნამდვილი შეგრული სადილი“ (ქიაჩ., I, 338); „— ბ ი ჭ ო ს, ბ ი ჭ ო ს ყოჩაღ, მეგობარო, ყოჩაღ! შენც კარგი ვალობა გცოდნია, — ეუბნებოდა მამალი“ (ვაჟა, VI, 215).

ბეჩა! ბეჩავ! ბეჩაო! ბეჩაუ! — გამოხატავს გაკვირვებას, გაოცებას, გაჭავრებას, საყვედურს, სიბრალულს, თანაგრძნობას და სხვ. იხმარება სიტყვის მასალადაც. ამათგან გავრცელებულია და სხვებთან შედარებით ხშირად ხმარობენ ბ ე ჩ ა-ს. მიღებულია ორცნებიანი კომპოზიციის შერწყმით. შედგენილია არსებითი სახელისა და ზედსართავისაგან—ბ ე დ-შ ა[ვ]-ო—ბ ე დ შ ა ო—(დშ=ჩ) ბ ე ჩ ა ო|| ბ ე ჩ ა ვ—ბ ე ჩ ა.

ეს შორისდებული გამოხატავს:

ა) სიბრალულს: „— ბ ე ჩ ა ვ, ბიჭო! ცოდვა არა ხარ ეგრე შებოჭილ-დაბოროკილებული?!“ (ბარნ., V, 51);

ბ) გაჭავრებას: „— ბ ე ჩ ა! აღრევე იტყოდი, შე ცოდვიანო! — მისცა ხაზუამ პასუხი და გაჭავრებულმა ხელი გაავლო კარების ურდულს“ (ყაზბ., II, 10);

გ) საყვედურს: „ბ ე ჩ ა, თქვენ ტყუილა დეიხოცეთ ჭავრით თავი!“ (ნინოშ., I, 227);

დ) ხვეწნა-მუდარას: „— ბ ე ჩ ა უ! მითხარ რამე! — ისეთის მუდარით უთხრა ირემამ, თითქოს სულის ჩაბრუნებასა სთხოვდა“ (ყაზბ., IV, 154);

¹ გ. ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი, ზოგადი ფონეტიკის შესავალი, თბილისი, 1966, გვ. 200.

² ა. შ ა ნ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 627.

ე) გაკვირვებას, მოწონებას: „ბ ე ჩ ა! ბ ე ჩ ა! ბ ე ჩ ა კ ა ი ყოფი-
ლა!“ (აკაკი, V, 189).

ბ ე ჩ ა ზოგჯერ ეჩადაა ქცეული წინამავალი ზ თანხმოვნის და-
კარგვით. მაგ.: „ე ჩ ა, და რაღა მაგი ვენახის გვერდზე დაედვიართ“...
(მგალობ., 106); „— ე ჩ ა! რა უქნია და! ი მაგი ღმერთი კი ამოვარ-
დეს, მაგია!“ (იქვე, 58).

„მოწონებას აღნიშნავს ხევისურული „აბეჩავ“: „ა ბ ე ჩ ა ვ, არ-
ხოტელებო, ომ' იციტ შესაზარია“ (ხალხ.)¹.

ერიჰა, (ჰერიჰა). ეს შორისდებული შედგენილია: ე რ ი + ჰ ა. პირ-
ველი ნაწილი იგივეა, რაც ჰ ე რ ი². თავკიდური ჰ დაკარგულია მომ-
დევნო ჰ-ს გავლენით. გამოხატავს წყენას, გაკვირვებას და სხვ.

მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი:

„ბეკინამ ქორივით გადახედა შევილს და წელში გაიმართა.

„— ე რ ი ჰ ა!! — შესძახა მან, — ე რ ი ჰ ა! რა დავარდნილი მე
მნახე!“ (კლდ., I, 116); „— ე რ ი ჰ ა! აი თურმე რაები ხდება ჩემს
სახლში“ (ლომთ., 45); „ჰ ე რ ი ჰ ა, ბატონო კანდიდატო, ეს რა ოინე-
ბი დაგიწყიათ!“ (გამს., II, 318); „ე რ ი ჰ ა, მოჰყევი შენებურად რა-
ხუნს!“ (ნინოშ., II, 16).

დადასტურებულია ჰ ე რ ი ჰ ე-ს გამოყენებაც: „— ჰ ე რ ი ჰ ე! ეს
რა ამბავია. ამხანაგო გოჩა?! — შეჰყვირეს და აიქოჩრნენ“ (ქიაჩ.,
რჩ., 235).

ე რ ი ჰ ა-ს იტყვიან წყენით იმ ადამიანზეც, რომელიც იჩენს საქ-
მისადმი უდარდელ, უსულგულო დამოკიდებულებას: „სამხრის ხარს
ჩარეკავდა წყალზე, დაეძინებოდა და ე რ ი ჰ ა ა! — გუთნეულს გაუ-
შვებდა ღეთის ანაბარს“ (მგალობ., 371);

მოცემული შორისდებულით გამოთქვამენ უკმაყოფილებას მაში-
ნაც, როცა საქმე ისე ჩავარდება (გაფუჭდება), რომ გამოუსწორე-
ბელი ან ძნელად გამოსასწორებელი ხდება.

მ ა გ ა ლ ი თ ი:

„— ე რ ი ჰ ა ა, ჩიტი გაგვიფრინდა ხელიდან! — დაიძახა ბენიგ-
სენმა“ (კასრ., 348);

¹ ა შ ა ნ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 623.

² ჰ ე რ ი იმპერატიული შორისდებულია (ჰერი—„იარე!“). „ამ მნიშვნელობით
ეს სიტყვა დადასტურებული აქვს ინგილოურში მ. ჭ ა ნ ა შ ვ ი ლ ს“ (ს. ყ ღ ე ნ-
ტ ი, დასახ. ნაშრომი, თბილისი, 1965, გვ. 182).

„— ე რ ი ჰ ა! დაებერდი, დავკარგე ფიქრთა სიფხიზლე, მომიცუ-
და ფხა გონებისა“ (ბარნ., V, 228).

ქა. „არის ერთი შორისდებული, რომელიც თითქო სიტყვას გვიმ-
ტყუნებს, რომ ქართულ ენაში მდებრობითად და მამრობითად გა-
სარჩევი სიტყვები არ არისო. სიტყვები არ არის, მართალია, არც
ერთს სიტყვის ნაწილში (ე. ი. მეტყველების ნაწილებში — ო. გ.), ამ
მეშვიდეს გარდა, — აქ კი არის ერთი, რომელსაც კაცი არ იტყვის და
ქალი კი: «ქა»¹.

ეს შორისდებული შეკვეცილი სახეა არსებითი სახელის წოდე-
ბითი ფორმისა „ქალო“ (ქა—ქალო). მიმართევენ ქალები ერთმანეთს
საუბარში: „ქა, რა მაგ სიტყვის პასუხია, და ჩვენი მეფე ჯერ ახალ-
გაზრდაა, განა უცოლოდ დადგება“ (ბარნ., III, 340); გამოხატავს
გაჯავრებას, წყენას, გაკვირვებას და სხვ. გამოხატავს ა) გაბრაზებას:
„—ქა — ამის მეტი ველარა მოახერხა გაბრაზებულმა და სახტად
დარჩენილმა ხაიმამ“ (ყაზბ., I, 202);

ბ) გამოხატავს წყენას, გაკვირვებას:

„—ქა, —ქა! ერთი არ ხედამთ ამ მამოხრებს, რაებს ჰბედა-
ვენ!“ (გაბაშ., II, 84); „ქა! ყურსაც რომ არ იბღერტამს!“ (ვაჟა,
VIII, 323);

გ) გამოხატავს გაკვირვებას, შებრალებას:

„მაიკო — (გამოდის და გაკვირვებული მიდის არისტოსთან) ქა!
რა დამართნია ამ უბედურს კორტოხელს?“ (აკაკი, V, 90);

დ) იხმარება დასაძახებლად, ახლავს მიმართვის ფორმას:

„გოგო!.. ქა, გოგო!..“ (ყაზბ., III, 285).

ვაჟო (ვეფო). მიმართვის ფორმიდანაა გადასული შორისდებულ-
ში. გამოხატავს გაჯავრებას, გაოცებას. იხმარება მისამართავადაც
ჩვეულებრივი საუბრისას.

მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი :

გამოხატავს ა) გაჯავრებას: „ვე ე ე ო, მინამ თავს არ დაადგები და
კარგად არ დასქყვილებ, ხელს კი არ გასძრავს და გაგონილ!“ (ილია,
I, 334); ბ) გაოცებას: „— ვ ა ე ო! მე ვარისხებ ღმერთსაო? — გეტ-
ყოდათ გაოცებით ლუარსაბი“ (იქვე, 351); „ვე ე ე ო, შენი ხელი რა
სხვისაზე უარესია!“ (აკაკი, V, 269).

¹ ახალი ქართული გრამმატიკა, სხარტულად დაწერილი მაშისაგან შეილები-
სათვის დ ი მ ი ტ რ ი ყ ი ფ ი ა ნ ი ს ა, სანკტ-პეტერბურლი, 1882, გვ. 137.

ცნობილია შორისდებული ვა. იგი გაკვირვების, გაოცების გამოხატველია.

ა. შანიძე ვარაუდობს, რომ იგი ვაჟო-ს შემოკლება უნდა იყოს (როგორც ქა ქალოსი)¹. წარმოითქმის ერთჯერ, ორჯერ და მეტჯერ.

მაგალითები:

„— შენც არ მომიკვდე, ლუარსაბ, კარგად გაკეთებულ ჩიხირთმას ბოზბაში არა სჯობდეს.

„— ვა!.. — უფრო გაკვირვებით შეჰყვირა ლუარსაბმა“ (ილია, I, 349);

„— ვა, ვა ეს რა სტროგი ვინმე ყოფილა“ (გაბაშ., I, 374);

„— ვა! ვა! ვა! ვა! მერე მაგდენი ფული ვის ექნება...“ (ფურც., 194).

ჰო (აქარ. ქიზ.)². იგი მიმართვით ვაჟისადმი ან კაცისადმი. არის ბიჟო-ს მეორე მარცვალი. მაგ.: „ძალიან მინდა, ჰო, ქართული წერაკითხვა მაინც ვიცოდე“; „ჰო! ეგენი მაგისი მოწაფეები არიან?“ (ქეგლ, ტ. VIII, 1281). ჰო ბოლოში დაირთავს ვ-საც — ჰო ვ. მაგ.: „ჰო ვ. და-მე ქალი მინდა, ქალს მე უნდებვარ, შენ ვინ ხარ, შენ თითონ ჩამომეთხოვე-მეთქი“ (მაგალითი მოტანილია ს. ყლენტიის წიგნიდან)³.

ჰო. კუთხ. (კახ.). იგივეა, რაც ჰო. მიღებულია სუბსტიტუციის გზით (ჰ—ჰ): „აბა, ბიჭებო, კარგად დასხედით, თავისუფლად. შენა, ჰო, ცოტა ჩაიწი“ (ქეგლ, ტ. VIII, 1602).

ოჰო. მომდინარეობს ვაჟო-დან. იგი გვაქვს იმერულსა და გურულში⁴. წინა ო მარცვალი ვა კომპლექსიდანაა მიღებული: ო (—ვა) ჰ (—ჟ) ო||ო ჰო, იხმარება მიმართვისას და აქვს წყენის, გაკვირვების მნიშვნელობა.

მაგალითები:

„— ოჰო, იი ქვრივი დედაბერი არ მეცოდებოდეს, მე შენ შეგაყოლებ ზევით, ციმბირისკენ“ (ნინოშ., I, 203); „ო ჰო, იმას ანთი-

¹ ა. შანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 627.

² ქეგლ, ტ. VIII, გვ. 1281.

³ ს. ყლენტი. დასახ. ნაშრომი, გვ. 183.

⁴ ქეგლ, ტ. VI, გვ. 101.

მოსაის ბერდენაის ტყვია კი გამუაპენტრებს, — თქვა ნინოს მომდურავემ ანთიმოსას დედამ“ (ნაკაშ., 112).

გლახ. გავრცელებული იყო ძველსა და საშუალო ქართულში, თანამედროვე ქართულში იშვიათად იხმარება. ისტორიულად მისი ჩამოყალიბების გზა ასეთია: გლახაკი—გლახა—გლახ¹. გლახაკი ნიშნავს არაფრის მქონეს, მოწყალეების მთხოვნელს, მათხოვარს. გვხვდება გართულებული ფორმითაც (ვაგლახ!), რომლის წინა ნაწილიც შორისდებულია, ე. ი. შედგენილია ორი შორისდებულის შეერთებით: ვა-გლახ. დაირთავს მე ნაცვალსახელსაც: ვაგლახმე. ვაგლახ და ვაგლახმე აქა-იქ თანამედროვე ქართულშიც გავრცელებულია.

გლახ! ვაგლახ! ვაგლახმე! შორისდებულები გამოხატავს მწუხარებას, ჩივილს.

მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი:

„გლახ ბედისაჯან ესრეთ დასჯილი იმედოვნებას ვუწოდებ ფარად, შე იგივე ვარ მარად და მარად“ (ქავქ., 4); „ვ ა გ ლ ა ხ, შენ რომ ჩვენი უფლისწულის ნათესავი არ ყოფილიყავ, შენისთანა ღვთისნიერი სასჯლო მხარს დაუმშვენებდა ჩვენს უფლისწულს“ (გამს., წ. III. 263); „— ვ ა გ ლ ა ხ მ ე, — სთქვა საცოდავმა კვენსით“ (ვაბაშ., II. 412).

„მსწრაფლ შეინძრა ყველაუერი

ამბავთა დასასკენელად,

ღღეს გამოდის გაზეთები

ვ ა გ ლ ა ხ! — უკანასკნელად“ (ტაბ., VIII, 136).

დახე. შეკვეცილი სახეა ზმნისა „დახედე“. ზმნას დაკარგული აქვს უღლების უნარი და გადასულია შორისდებულში.

მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი:

გამოხატავს

ა) გაჭაერებას: „— ინჰი!.. დახე, დახე და!.. ჰაი, ჰაი, შენი სოფლობა კი ამოვარდეს, შენი სოფლობაი, კაი სოფელი შენ არა ზირ, ჰოდაი ასრე!..“ (მგალობ., 476); „— დახე ამ... — შეუკურთხა დათიამ და გაადევნა თვალი მიმავალ ბიჰს“ (ბარნ., I, 291).

ბ) გაკვირვებას: „— დახე, დახე, თქვენი ჰირიმეთ!.. ეს რა მოიგონა!“ (ილია, I, 351); „— დახე როგორ გაზვიადდა ჩვენი ბაბაღე. რა კი იმისი ქმარი უსტაბაშად ამოიჩჩიეს!“ (ბარნ., V, 46).

¹ ა. შ ა ნ ი ძ ე, დასახ. ნაწრომი, გვ. 627.

გვაქვს აგრეთვე ზმნური შორისდებული შეხე. შეკვეცილი სახე: ზმნისა „შეხედე“. მნიშვნელობით იგივეა, რაც დახე: „— შეხე, შეხე! ვენაცვალე. რა ცივინათელები გააფრინა თვალებიდან!“ (გოთ., 726) --- გამოხატავს გაკვირებას მოწონების ნიუანსით.

ჭიტა. „მიღებულია ქვერეტასაგან“¹. ბავშვების გასართობი სიტყვაა. დამალულს შესძახებენ და ნიშნავს — გიპოვნეო, დაგინახეო. მაგ.: „შემოალო კარი და შემოიციანა:

— **ჭიტა!** — დაიძახა მან და უცებ გაშალა ხელი და დაიწყო“... (ლომთ., 285);

„შეშინებული ბავშვები საშინელი წივილით გარბოდნენ იქით-აქით და იძალეობოდნენ, მაგრამ მარინე პოულობდა იმათ, დალუნავდა თავს, გაუჭკვრეტდა, თითქო კატა ჩიტს ეპარვისო, „ჭიტა“ — დაიძახებდა და გაიქცეოდა დამალულ ბავშვისკენ“ (ნინოშ., I, 187);

„პირობა დასდეს, როცა ერთმანეთთან მისვლა მოუნდებოდათ, ეყვირნათ: „ჭიტა... ჭიტა“... (არაგვ., II, 234).

ზოგჯერ შორისდებულად წარმოდგენილია არსებითი სახელები წოდებითი ბრუნვის ფორმით: დედა, დმერთო. ეს სიტყვები შორისდებულში გადასვლისას სცილდებიან თავის პირველად მნიშვნელობას და იქცევიან განცდებისა და ემოციების გამოხატვის საშუალებებად. გამოხატავენ სხვადასხვა გრძნობებს და განცდებს: მწუხარებას, დანანებას, ხევწნას, ნატვრას, განცვიფრებას და სხვ.

მაგალითები:

„— დედაა! ველარ დავიჭირე, ხელიდან გამიშვა“ (წერეთ., II, 241); „ჰოპოი! დედა, დედა! რა კაცი ყოფილა იმგელ-ბაზიი და!“ (მგალობ., 20); „...ოპ, ოპ, რა ქალები ჰყოლოდა!.. მერეც დამიბარა ლავისთან თბილისის ქალაქში: ოპ, ოპ, დედა, დედა, დედა! მისთანა იყო ერთი, ნამეტანი იყო, სწორედ გვრიტი იყო“ (ვაჟა, V, 137); „ბა. რა... ო, დმერთო, დმერთო!.. — ამოიოხრა სალომემ და აივნოდან სახლში შევიდა“ (კლდ., I, 152); „ისევ ვენახი ვადაეჭიმა. ისევ მხოლოდ გაროკილი ხეები და სარები დაინახა და სასოწარკვეთილებით წამოიძახა: — დმერთო!.. და ზეცას მიაპყრო მორღვეული თვალები. მხოლოდ ღვთისგან-ღა ელოდა შევლას“ (არაგვ., II, 25).

შორისდებულად გვაქვს ასეთი ფორმებიც: ჰაი დედასა, აი

¹ ს. ე დ ე ნ ტ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 183.

დედასა, ვაი დედასა, ვაპ დედასა. გამოხატავს წუხილს, დარდს, დანანებას და სხვ.

მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი :

„— ჰაი დედასა! ჭკუითა მჯობნი, არა? ვნახოთ! — ჩაილაპარაკა და აღმასკომისაყენ გაეშურა“ (ლორ., 132); „აი დედასა!.. რა ცუდად შეგხვდი!..“ (ილია, I, 319); „ვაი დედასა!.. რა ოჯახის შეილი ვის ნაცარში ვიქეჩები და კიდევ ასეთ გაჭირვებაში“ (კლდ., I, 203); „— ვაპ, დედასა! რა იყო უწინ და რას ვხედავთ ეხლა!“ (მგალობ., 561).

აფერუმ (სპარს. ნჰარნ) ¹. მოწონების შეძახილია. იგივეა, რაც ყოჩაღ! ბარაქალა!

მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი :

„— აფერუმ, აფერუმ, კიყინით გაჰკიოდნენ დამთვრალი სტუმრები“ (გაბაშ., I, 171); „— აფერუმ ქვეყნის ერთგულ! კაცი ხარ, კაცურადა სჯი!“ (აქაკი, III, 265); „აფერუმ, სოფიკოჯან! მიყვარხარ, აბა მაგისტანა დედაკაცი უნდა, აი!“ (არდ, 128).

აფსუს (სპარს. აფსუს „მწუხარება“) ². გამოხატავს მწუხარებას, დანანებას, შებრალებას.

მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი :

„— მამ ველარ გავიგონებთ წისქვილის ხრიალ-გრიალს? აფსუს! აფსუს, წისქვილო! აფსუს თედეს ამავო! — ამბობდა მეოთხე“ (ვაჟა, V, 111); „მახარამ შენიშნა: „აფსუს, ნიანიაც თან რომ არ გაპყუა შამან ერისთავის ვაჟს“ (გამს., წ. III, 6); „ვანუა და დარიკო! აფსუს, ქალო, აფსუს!“ (ბარნ., III, 42).

ბარაქალა. (არაბ. ბარაქა ალლჰჰ, „აკურთხოს ალაჰმა!“) ³. მოწონების, წაქეზების შეძახილია, ნიშნავს იმასვე, რასაც ქართული ყოჩაღ!

მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი :

„— ბარაქალა, ბარაქალა... შენი ერთგულება მეც არ დამეიწყდება“ (ყაზბ., I, 198); „— ბარაქალა! ჰაზრიანია. თუ გაგვიმარკვდა, დაუვიწყრად დაგაჯილდოვებ“ (ბარნ., VIII, 155); „— ბა-

¹ ქ ე გ ლ ო ტ. I, გვ. 698.

² იქვე, გვ. 708.

³ იქვე, გვ. 975.

რ ა ქ ა ლ ა. ამხანაგო ზოსიმე! ყოჩაღ, მე და ჩემმა ღმერთმა! არ მოველოდი წორედ, იმდენი გიმუშავნიათ!“ (ქიაჩ., რჩ., 214).

აი, გიდი! ჰაი, გიდი! (თურქ. — სპარ. ქითი „ქვეყანა“, „სამყარო“). „აი, წუთისოფელი!“ „ერთი შეხედე ამ წუთისოფელს!“ „აი, საკვირველებავ!“¹ გამოხატავს მოწონებას, შექებას, მწუხარებას, დანანებას.

მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი:

„— ჰ ა ი გ ი დ ი, რ ა დ რ ო ი ყ ო უ წ ი ნ ა...“ (ვაჟა, VI, 66): „ჰ ა ი გ ი დ ი... ქ ა თ ი ბ ს ა ე რ ვ ი ნ ე ბ შ ე ნ ი სა ყ ვ ა რ ე ლ ი ც ო ლ ის თ ე ის?“ (აკაკი, V, 401): „ჰ ა ი გ ი დ ი, რ ა ს ი ხ ა რ უ ლ ი თ ა ე ის ხ ა ვ დ ი თ ი ა რ ა დ ს ა, რ ო ც ა ლ ე კ ხ ე დ მ დ ე ვ ა რ ს დ ა ი ძ ა ხ ე ბ დ ნ ე ნ ხ ო ლ მ ე!“ (მგალობ., 32).

აქა-იქ წარმოდგენილია ჰეი გიდიც. მაგ.: „ჰეი გიდი, კაი დრო იყო ძველი დრო“... (გამს., II, 66); „ჰეი გიდი, აბასთუმან!“ — ფიქრობდა შანშე ორბელიანი და უღვაშებქვეშ ამღერებულ ტურჩებით შეჰხაროდა თანამავალ ვარსკვლავებს“ (კასრ., 265).

ზახრუმა! ზახრუმალ! ზახრუმალა! (ვეულგ.). იგივეა, რაც ზაჰრუმა! ზაჰრუმალი ზაჰრუმალა! (სპარს. ზაჰრ „შხამი“; მარ „გველი“; ზაჰრე მარ „გველის შხამი“)². ითქმის წყევლისას, რაც ნიშნავს „არგადარჩენა!“ „სიკვდილი!“ „მოსპობა!“ ეტყვიან იმ ადამიანს, რომელიც უადგილო წამოძახილით, ცხვირის ცემინებით ან გაბმული ხველებით და მისთ., თავს აბეზრებს (აწუხებს) სხვას. მაგ.: „ყოველ მის (= ცოლის) უი“-ს დაძახებაზე ავეტიკა გაჯავრებული შესძახებდა „ზაჰრუმალ“ (ქეგლ, ტ. IV, 107).

ჯან! (სპარ. ჯან „სული“, „სიცოცხლე“, „სულიყო“³). გამოხატავს აღტაცებას, მაგ.: „რიყეზე ქვებიც გოგას ძახილს იმეორებდენ: „მოვიდა სოფრონა, გზა დაუთმეთ, გზაო! ჯ ა ა ნ, ბიჭო სოფრონ, ჯ ა ა ნ!“ — გაიძახოდენ ქვებთან ერთად ხეები, ბალახები“ (ვაჟა, VII, 29).

აღლაჰ! იაღლაჰ! იაღლაჰ! (არაბ. აღლანჰ — ღმერთი (მუსლიმანთა)⁴. მნიშვნელობით იგივეა, რაც ქართული „ღმერთო!“

მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი:

„— ა ლ ლ ა ჰ! დ ო ნ ლ უ ზ! დ ო ნ ლ უ ზ! ეს ხომ სადილა! სადილა!“

¹ ქეგლ, ტ. I, გვ. 197.

² ქეგლ, ტ. IV, გვ. 107.

³ ქეგლ, ტ. VIII, გვ. 1556.

⁴ ქეგლ, ტ. I, გვ. 270.

(კასრ., 360); „— ი ა ლ ა ხ ! მოქნეული ხმალი ტარშიც გაუტყდეს შენს დამცინავს!“ (ყაზბ., I, 435); „— ი ა ლ ა ჰ ! — წამოიძახა მზადლომ, რომელიც სვიმონს თავის დღეში ვერ წარმოიდგენდა გაგის ნათესადად: — მაშ გაგი, გაგი შენი ნათესავი იყო?“ (იქვე, 52).

ბრავო. რუსულიდანაა შემოსული ქართულში. გამოხატავს მოწონებას, აღტაცებას.

მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი:

„— ბ რ ა ვ ო ! ბ რ ა ვ ო ! ბ რ ა ვ ო ! — ისმის ტაშისცემა... ვაკვირდები პარტერს და მოულოდნელად ვხედავ, რომ ის თითქმის გამელოტებულა ხალხით არის სავსე“ (ლომთ., 161); „ხმები — ბ რ ა ვ ო , ბ რ ა ვ ო ! ვაშა, ვაშა! გაუმარჯოს საქართველოს!“ (აკაკი, V, 289); „— ბ რ ა ვ ო , ბ რ ა ვ ო ! — ჰყვიროდა მისი სიმარდით აღტაცებული ხალხი“ (კლდ., I, 140).

ურა. რუსულიდანაა შემოსული ქართულში. გამოხატავს აღტაცებას, სიხარულს, მისალმებას. წარმოთქვამენ როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად საზეიმო-საპარადო შეკრებებზე, დემონსტრაციებზე, როცა მიესალმებიან პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელორგანოებს და ამით გამოხატავენ პატივისცემას, სოლიდარობას სამშობლოს მიმართ. აგრეთვე, მასიური საბრძოლო შეძახილია მტერთან შეტევაზე გადასვლის დროს ბრძოლის ველზე. სიტყვას აქვს უმაღლესი პატრიოტული ძალა ჯარისკაცთა დასარაზმავად სამშობლოს დაცვისათვის.

მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი:

„ციხიდან ზარბაზნებმა

უცბად გაიხმაურა

და მის გრგვინვას თან მოჰყვა

უჩვეულო ხმა: „უ რ რ რ რ ა!“ (აკაკი, III, 272);

„— უ რ ა !.. — უცებ შეღრიალეს ბავშვებმა, ზეზედ წამოხტნენ და ვითომ ხელჩართულში ჩაერივნენ მტერს“ (გაბაშ., II, 330);

„ეს უკანასკნელი კი ყველასა სჯობია, მე და ჩემმა ღმერთმა... უ რ ა ა ა ! აბა, ბიჭებო, ჭიანჭური!“ (ვაჟა, VII, 310).

მალადეც. რუსული შორისღებულია. იგივეა, რაც ქართული ყოჩაღ.

მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი:

„ეხლა ისე ერთგულად თითქმის ვეღარ ვასრულებ ზეკუციის

თანამდებობას, როგორც მაშინ ვასრულებდი: მა ლ ა დ ე ც და მ ა ლ ა დ ე ც, მა ლ ა დ ე ც ბიჭიელას! — მომადახებდა ნაჩალნიკი“ (ვაჟა, V, 137);

„ასთე, ჩემო ბატონო, და ჩამოვედი არდაგანში და პირდაპირ დავეკარი ქუთეისში ტელეგრამა: „ეგ ბიჭი გახლავართ ბიჭიელა-თქვა და ვაი ჩემს მტერს, თუ ერთი ქუთეისში დავბრუნდი-თქვა“. „მ ა ლ ა დ ე ც, მ ა ლ ა დ ე ც ო!“ — მომივიდა პასუხი...“ (იქვე, 138).

ამგვარად, ემოციურ შორისდებულთა ანალიზის შედეგად შეიძლება დავასკვნათ შემდეგი:

1. ემოციურ შორისდებულს თავისი სემანტიკური მრავალფეროვნებით ადამიანის მეტყველებაში მეტად მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. ადამიანი ემოციური შორისდებულთით თავის გრძნობებს და ვანცდებს მოკლედ და ექსპრესიულად გადმოგვცემს, რომლითაც ვვამცნობს, თუ როგორია მისი გუნება-განწყობილებანი: სწყინს რაიმე, ახარებს, აბრაზებს და სხვ.

2. ემოციური შორისდებულების სემანტიკური კლასიფიკაცია ძნელდება მათი სტრუქტურული და სემანტიკური მრავალფეროვნების გამო. ამ ჯგუფში შემავალი შორისდებულების ძირითადი ნაწილი ნაირნაირ მნიშვნელობას გამოხატავს ამა თუ იმ კონკრეტული ვითარების შესაბამისად, რომელიც ინტონაციაში ვლინდება. ინტონაციას ხშირად თან ახლავს შორისდებულის მნიშვნელობის დამაზუსტებელი ექსტ-მიმია.

3. ემოციურ შორისდებულებში გამოიყოფა მცირე ჯგუფი სიტყვებისა, რომელთაც აქვთ შედარებით მდგრადი მნიშვნელობა და ამ მნიშვნელობის გადმომცემი საკუთარი ინტონაცია (ვაშა, ყოჩაღ, აუსუს და სხვ.).

4. ემოციურ შორისდებულთა ძირითადი ნაწილი წარმომდგარია ერთი ბგერისაგან, ერთ და ორ ორმარცვლიან ბგერათა კომპლექსებისაგან ან სიტყვებისაგან (ა, ო, ოხ, ვიშ, ვაი, ვაშა და სხვ. მრავ.). ისინი ეტიმოლოგიურად ბნელია და ამიტომ მათი წარმოშობის ისტორიის გარკვევა შეუძლებელი ხდება.

5. ემოციური შორისდებულები ზოგჯერ სხვა მეტყველების ნაწილებისაგან მომდინარეობენ (ჭიტა, ბეჩა, ქა და სხვ.). სხვა მეტყველების ნაწილებისაგან მომდინარეობენ აგრეთვე სიტყვები, რომლებიც სხვა ენებიდან შემოვიდნენ და შორისდებულებად დამკვიდრდნენ ქართულში (ბრაგო, ალაპ, ჰაი გიდი და სხვ.).

იმპერატიული შორისდებული

იმპერატიული შორისდებულები ქართულში მრავლადაა წარმოდგენილი. ისინი განსხვავდებიან ემოციური შორისდებულებისაგან როგორც სტრუქტურის, ისე ფუნქციის მხრივ.

ემოციური შორისდებულებით გადმოიცემა საგნის ან მოვლენის ემოციური შეფასება ადამიანის მიერ იმის მიხედვით, თუ როგორ უყურებს იგი ამ საგანს ან მოვლენას: მოსწონს, ახარებს, სწყინს, აბრაზებს, წუხს, აკვირვებს და ა. შ. მეტყველებაში იმპერატიული შორისდებულის დანიშნულებაა, გამოხატოს ადამიანის ნება-სურვილები: ბრძანება, გაფრთხილება, მოწოდება, რჩევა, აკრძალვა და სხვ. იგი წინადადებაში ზმნის ბრძანებითი კილოს ფუნქციას ასრულებს.

იმპერატიულსა და ემოციურ შორისდებულებს ახასიათებთ შემდეგი საერთო ნიშნები:

ა) არა აქვთ ლექსიკური მნიშვნელობა, შორისდებული არის სიტყვა-სიგნალი და არა სიტყვა-სახელი;

ბ) არა აქვთ სიტყვაწარმოებისა და სიტყვათცვალებადობის ფორმები;

გ) ემოციურსა და იმპერატიულ შორისდებულებს ახასიათებო განმეორებები (ო ჰ, ო ჰ, ო ჰ; ვ ა ი, ვ ა ი, ვ ა ი; შღრ. ც ი ფ, ც ი ფ, ც ი ფ; ძ ი ბ ა, ძ ი ბ ა, ძ ი ბ ა);

დ) ემოციურის მსგავსად იმპერატიულ შორისდებულებშიც შეხვდებით ისეთ შორისდებულებს, რომელთაც არა აქვთ სტაბილური ფონეტიკური სახე მათი წარმოთქმის თავისებურებათა გამო. მაგალითად, ა თ ფ რ ი, თ ფ უ ჩ ი, ბ რ ი ე, ნ ძ ა და სხვ.

ე) იმპერატიულ შორისდებულს ახასიათებს ემოციურობის ელამენტური: ბრძანება, თხოვნა, მოწოდება, წაქეზება, გაფრთხილება და

სხვ. შეიცავს ემოციურობის ნიშნებსაც. იმპერატიული შორისდებულება ჰეი! მაშინ, როცა მას დასაძახებლად წარმოთქვამენ. დაძახების მიზანია მიიპყროს ადამიანის ყურადღება. თუ ამ შორისდებულებით მოქმელი მიმართავს იმ ადამიანს, რომელიც ახლოს იმყოფება მასთან და არ სურს სახელით მიმართოს მას, მაშინ იგი შეურაცხყოფის იერსაც ატარებს.

ემოციური თვისებების მქონეა ისეთი იმპერატიული შორისდებულებები, რომლებითაც დედები აწყნარებენ ჩვილ ბავშვებს ან უმღერიან ძილის წინ დასაძინებლად (აღუ, ნანა ნანინა)¹. ნებასურვილთან ერთად ისინი გამოხატავენ ალერსს, მოფერებას.

ემოციურობის შემცველია ცხოველთა და ფრინველთა მოხმობის, გაგდების, დატევის, გაფრთხობის იმპერატიული შორისდებულებები. ნება-სურვილს — მოხმობას, გაგდებას და სხვ., თან ახლავს ალერსი, მოფერება, გაჯაერება და ა. შ. იმპერატიული შორისდებულები, საერთოდ, „უფრო ნაკლებად ემოციურია, ვიდრე ის შორისდებულები, რომლებიც გრძნობებს გამოხატავენ“².

ვ) გვაქვს ისეთი შორისდებულები, რომლებსაც ემოციურებსაც უწოდებენ და იმპერატიულებსაც. მათს იმპერატიულ მნიშვნელობას ემოციურობისაგან ინტონაცია და მეტყველების კონტექსტი განასხვავებს. ასეთია შორისდებულები: ჰეი, ჰაი, ჰაუ და სხვ.

ზ) ზოგიერთი ემოციური და იმპერატიული შორისდებულები მომდინარეობს სხვა მეტყველების ნაწილთაგან. აზგამო (ცხოველთა დატევების, გაგდების შეძახილია), მიღებულია ფორმისაგან: ასე გამო—ასე გამოღი. ამგვარი გზითაა შექმნილი ემოციური შორისდებულები — ბიქოს, ბეჩა, ოჯო და სხვ.

თ) დიდია ინტონაციის როლი იმპერატიულ შორისდებულებშიც. ბრძანება, რჩევა, მოწოდება, მოხმობა და სხვ. მოითხოვს განსაზღვრულ ინტონაციას. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ინტონაციის როლი ემოციურ შორისდებულებში მათი მნიშვნელობის გადმოსაცემად უფრო ფართო და მრავალმხრივია, ვიდრე იმპერატიულებში.

¹ იხ. Н. К а с а т к и н, О некоторых особенностях междометного языка, Ученые записки Томского государственного педагогического института, том V, 1948, стр. 109—118.

² С. К о з м а н, К вопросу о междометных современного немецкого языка, Ученые записки, том 14, Пятигорский педагогический институт, 1957, стр. 421.

ასეთია ის საერთო ნიშნები, რაც ახასიათებს ემოციურსა და იმპერატიულ შორისდებულებს.

იმპერატიული შორისდებულები შემდეგ ქვე-ჩგუფებად იყოფა:

ა) დაძახებისა;

ბ) მოძრაობის ან მოქმედების დაწყების და შეწყვეტის მოთხოვნისა;

გ) სიჩუმის დაცვის მოთხოვნისა;

დ) მისათითებელი, ანუ საჩვენებელი;

ე) შრომის სიმღერებში სახმარი შეძახილები;

ვ) შორისდებულები, რომლებითაც დედები აწყნარებენ, აძინებენ ბავშვებს;

ზ) ცხოველთა და ფრინველთა მოხმობის, გარეკვის (გაგდების) ან გაფრთხობის მიზნით გამოყენებული შორისდებულები.

როგორც ვთქვით, წინადადებაში იმპერატიული შორისდებული ზმნის ბრძანებითი კილოს ფუნქციას ასრულებს და ხშირ შემთხვევაში ისინი ინტონაციურად ერთმანეთისაგან თითქმის არც კი განსხვავდებიან. მაგალითად, ცხენის გასაჩქარებელი შეძახილია ა ჩ უ. სახედრისა — ა ც ე! ჩ ი შ! თუ ჩვენ დასახელებულ შორისდებულებს ლექსიკური მნიშვნელობის მქონე სიტყვებით შევცვლიდით პირობითად, მივიღებდით ზმნის ბრძანებითი კილოს ფორმებს: გ ა ა ჩ ქ ა რ ე! გ ა ს წ ი! წ ა დ ი! ამიტომ ხშირად შორისდებულებს მოსდევთ აღნიშნული კილოს მქონე ზმნები. მაგალითად, „...დადლილ ხარებს ამხნევებდა მაღალი შეძახილით „ხ ი-ხ ი-ხ იო! გ ა ს წ ი! გ ა ს წ ი!..“ (კლდ., I, 283); „ო ჰოო ე, ო ჰოო, და დ ე ქ ი თ! — ეუბნებოდა ნანიკა ხარებს“ (ვაჟა, VI, 229).

ა) და ძ ა ხ ე ბ ი ს შ ო რ ი ს დ ე ბ უ ლ ე ბ ი: ჰ ა (ა), ჰ ა ი, ჰ ა უ (ა უ), უ, ჰ ე ი (ე ი). ე ჰ ე ი, ა რ ი ქ ა. უცხოური სიტყვა: ა ლ ო.

ჰ ა (ა), ჰ ა ი. აქვთ როგორც ემოციური, ისე იმპერატიული მნიშვნელობა. დასაძახებლად გამოყენებული ეს იმპერატიული შორისდებულები უფრო მეტად განმეორებით წარმოთქმულ მიმართვის ფორმებს ახლავს და მათ შორისაა ჩასმული.

მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი:

„ამ დროს გარედგან მოისმა ძახილი: — ონისე, ჰ ა, ონისე!“ (ყაზბ., I, 174); „ისეე დაიძახა: მაღხაზ, ჰ ა, მაღხაზ“ (გამს., V, 208); „ვანიჩქა, ა, ვანიჩქა? — დაუძახა მიხამ“ (ლომთ., 498); „ქალო! ა, ქალო! შენ გაზრდას, სიტყვა მაქვს, ცოტა დაიცა“ (გრიშ., I, 326); „— მამა, ჰ ა ი

მამა! — დაიძახა პატარა მიხამ“ (ლომ., I, 199); „პა ი, მიშველეთ“ (ბარნ., I, 27).

პა, ა, პა ი ემოციური შორისდებულებია შემდეგ წინადადებებში: „— პა... — თითქოს გამოიცნო, ისე წარმოსთქვა ბოლოს“ (ქიაჩ., I, 339); „აა, როგორ არა, მახსოვს... საწყალი...“ იტყოდა — ეს იყო და ეს“ (სულ., 148); „პა ი, ბეჩავ, ჩემო სიყმაწვილევ, ცხრა ცულის ტარზე რომ ვხტებოდი!“ (აკაკი, V, 266).

პა უ (ა უ), უ შორისდებულებს იყენებენ დასაძახებლად როგორც ახლო, ისე შორი მანძილიდან. უმთავრესად დგას მიმართვის ფორმასთან და აძლიერებს მას.

მაგალითები:

„რისიმე გაფიქრებაც ვერ მოასწრო, რომ შეხუთული ძახილი მოესმა:

„პა უ, ტარიელ!“ (ქიაჩ., I, 54); „— მოჰკლეს! მოჰკლეს! მოგვეხმარეთ! პა უ! ვინ ხართ, ხალსო, გარეთ!“ (გრიშ., II, 385); „ა უ. საბედავ, აქ მამხედე!..“ (არაგვ., II, 282).

მიმართვის ფორმასთან ხშირია უ ხმოვანიც (ნაწერში ორი ან სამი უ-თია წარმოდგენილი): „ონისიპე, უ უ, -- დათიელა ბიჭო, უ უ!“ (ლორ., 42);

„— ღოფინა უ-უ-უ!

საურმედან ცხენოსანმა გადმოუხვია და ყანის პირას შეჩერდა.

— ბარნაბა გეძახის, გოგო! — ოცნებაში წასულ ღოფინას დიდოდამ ტარო ესროლა“ (იქვე, 96);

„ხმა ტყიდან

ბატონიშვილო!.. უ უ უ!“ (აკაკი, III, 456).

პა უ (ა უ), უ შორისდებულებს ემოციურობის შინაარსიც აქვთ. პა უ და მისი ვარიანტი ა უ ხშირად წარმოითქმის რაიმე სამწუხარო ამბების შეტყობისას: რისამე დაკარგვის, გაქრობის, განადგურებისა და სხვა მსგავსი შემთხვევების დროს, რომლითაც მთქმელი ახდენს ფაქტის ემოციურ კონსტატაციას: „პა უ, ყველაფერი გაყინულა, გაციეებულა!“ (გამს., V, 821); „ა უ, დააქცია მეხმა სახლი!“ (ნინოშ., I, 426); „— ა უ ჰ! სიბერემ თუ წამართვა თვალის ჩინი“ (ბარნ., VII, 502); „უ! ერთი დახედეთ ამ ვერანას, რა ქნა ე?!“ (ფურც., 318) — აქ უ გაჯავრებას გამოხატავს.

ჰე ი (ე ი), ე ჰე ი შორისდებულებს უფრო მეტად შორი მანძი-

ლიდან დასაძახებლად ხმარობენ. დაძახების მიზანია მოხმობა, გაფრთხილება, რჩევა, მოწოდება და სხვ.

მაგალითები:

„— ჰეი! — დაუძახა უცნობს. პასუხი არ იყო“ (ქიაჩ., რჩ. 550);
„ფეხი არ გადმოდგა, ფეხი, ჰეი!“ (კლდ., II, 115);

„ჰეი, შადიმან, ფრთხილად; ჯერ კიდევ ფეხზედა ვდგევარ!“ (ბარნ., VII, 261); „კაცო, ეი, ეი, არ გესმის, მოიცადე!“ (წერეთ., I, 87); „ვაიმე! მიშველეთ! ეი! ეი! კარი გამიღეთ! არვინა ხართ?“ (აკაკი, V, 170).

ჰეი-ს წინ დაერთვის ე ხმოვანიც და გვაქვს ე ჰეი! მაგ.: „ის იყო, გული ვიჭერე და ახალუხის უბეს ვიხსნიდი, რომ მომესმა მკახე ძახილი:

— ე ჰეი! ე ჰეი! აბა ერთი მანდ დამიცადეთ“ (ბარნ., II, 395); „ძახილი განმეორდა, მაგრამ ვერ გაიგო, რომელი მხრიდან იძახდნენ.

ე ჰეი“ (სულ., 20).

ჰეი, ეი და ე ჰეი გვხვდება ემოციურ შორისდებულადაც. მაგ.: „ჰეი, რა მათრახი იქნებოდა და!“ (მგალობ., 222); „ერთ ასოს დაბლაჰკენ და დარჩი მშიერი, ეი, ეი, ჩაიშალა ჩემი იმედი, ჩემი ნუგეში“ (ერისთ., 90); „ე ჰეი! რა ცეცხლია, და! ამას რაღა მომაგონებდა... მოვიკლა თავი — როგორ მოვიკლა და სული როგორ წავწყმინდო!“ (ფურც., 394).

არიქა. გამოხატავს დაძახილს მისაშველებლად. მისახმარებლად, სასწრაფო დახმარების აღმოსაჩენად. სიტყვის ეტიმოლოგია საკვლევი. მას თანამედროვე ქართულ ენაში ფართო გამოყენება აქვს.

მაგალითები:

„არიქა, გივარგი, არიქა, თორემ ქული წაიღო!“ (ყაზბ., II, 436); „არიქა, მარჯვეთ იყავი, არ წაგივადეს!“ (აკაკი, V, 155); „არიქა, თავს ვუშველოთ, ტყისკენ გავიქცეთ, ტყისკენ“ (ნინოშ., I, 144). არიქა-ს ზოგჯერ წინ უძღვის ჰ თანხმოვანიც: „ჰარიქა, გეთაყვა, გაისარჯე, უზიარებელი არ მოკვდეს ბერცაკი“ (ბარნ., III, 387); მრავლობითის გამოსახატავად არიქა ხშირად თ-საც დაერთავს ბოლოში: „არიქათ ბიჭებო, გოგოებო, მოდით ჩქარა!.. ემ ბუჩქს შემოერთყით გარშემო... აქ შექვრა ჩიტა, აქა!“ (ლომ., I, 448); „არიქათ, ბიჭებო! სოლომონა მოგვიკლეს, სოლომონა!“ (იჭვე, 84); „ჰარიქათ ტაში! გოგნი, გოგნი, გოგონაო!“ (ბარნ., VII, 21).

[ალო (ჰალო) ინგ. hallo ¹]. იხმარება ტელეფონით დალაპარაკებისას და ნიშნავს „მისმინეთ“ ან „გისმენთ“. წინათ მას ხმარობდნენ საზღვაოსნო ვემის ეკიპაჟის წევრები გემიდან გემზე გადასაძახებლად. „ტელეფონის წკრიალი გაისმა, ფრიდა შეკრთა და დიდხანს უძახა: ჰალო, ჰალო“ (გამ., V, 566).

დასაძახებლად მიმართავენ სტვენის მსგავს ბგერათა კომპლექსების წარმოთქმასაც.

მაგალითები:

„— ბ ს ტ, ბ ს ტ! — დაიძახა იმან ერთბაშად და მსუქანი, გასიებული ხელი დაუქნია იქვე მიმავალს მოსამსახურეს“ (ყაზბ., IV, 199);

„— ს ს ს... ს ს ი ი...“

არ მივიხედვ. რამდენი კაცი დადის ქუჩაზე, რამდენი სტვენს, რამდენი „ს ს ს“ გაიძახის. ყველას რომ ყური ვუგდო, ერთ თვეს მოგუნდები ბინამდე მისვლას“ (ქიაჩ., III, 80).

ბ) მოძრაობის ან მოქმედების დაწყებისა და შეწყვეტის გამომხატველი შორისდებულები: აბა! აბა, ჰა! აბა ჰე! ჰა! ჰე! წა! ჰერი! იარ! სდექ! უცხოური შორისდებულები: ხაბარდა! ჰაიდა! (აიდა), სტოპ! შაბაშ! ბასტა! ბის!

აბა! აბა, ჰა! აბა, ჰე! ჰა! ჰე! შორისდებულებით გამოიხატება ბრძანება, მოწოდება, წაქეზება (შეგულიანება), გამხნეება და სხვ.

მაგალითები:

„აბა ერთი მაგას კაი-კაი მათრახები მოსცხეთ, — უბძანა ბოქაულმა სტრაენიკებს“ (ვაჟა, VII, 88);

„— აბა! — ანიშნა თვალთ იქ მყოფ სალდათებს და ერთ წამზედ იმათაც როზგები მოიტანეს“ (ყაზბ., I, 247); „აბა, ესროლე, ძმობილო, შენი ჭერია წინ-წინა“ (ვაჟა, III, 250);

„— უცხო მოვიდა! აბა, ჰა! — დაიძახა ერთმა ტუსაღმა. სთქვა თუ არა ესა, მისცივდნენ ცეცოსა: ზოგი თავში სცემდა, ზოგი ფეხს უწედა“ (მგალობ., 409);

„აბა, ჰა! თუ კარგი ახალი დაკლული ხორცი არ მოიტანე, კარგი ნაქერი, ჩალაღაჯი, ან მე და ან შენ!“ (გაბაშ., II, 86);

„აბა ჰა, არზაყან, აბა ჰა, არზაყან, ამბობდა გვანჯი, აბა შენ

¹ ქეგლ. ტ. I, გვ. 281.

იცი, სირცხვილს თუ არ გვაქმევ ინგირსგალმელებს ზეგ“ (გამს., I, 127);

„აბა, ჰე ხელი დაგვაბანიეთო, ბრძანეს ბატონებმა!“ (აკაკი, IV, 17);

„— აბა, ჰე, ლეგა, შენ იცი, როგორ გოუმასპინძლები ამე-
ლამ კუზიანს“ (წერეთ., II, 93);

„აბა, ჰე!.. მოდი, წავიღეთ ერთად! თუ მაგრე არის, უნდა ვუშ-
ველოთ!“ (აკაკი, III, 472);

„ჰა, ჩქარა, ჩქარა, თორე მეორე მატარებელიც მოვა“ (გაბაშ., II, 122);

„ჰა, თორო შევთხოვ ფრანგულსა, ხმალო, გამიჭერ, ფხიანო!“
(ვაჟა, III, 42);

„ჰე, ბიჭებო! გააგდეთ! მიაყოლეთ პანდური!..“ (აკაკი, I, 42);

„ჰე, ყმაწვილებო, ტარიელის ჰკუას დაუჭერეთ“ (ქიაჩ., I, 68).

წა. ეს შორისდებული დასტურდება „ვეფხისტყაოსანში“. მაგ.:
„წა, შეები ხატელთა“ (372); „— წა, ჰკადრე შენსა პატრონსა ეს
ჩემი დავედრებული“ (972); „იგი ზმნაა წარმოშობით (წარვედ—წა-
რედ—წაედ—წა!). არსებითად მას შერჩენილი აქვს ბრძანებითი კი-
ლოს მნიშვნელობა“¹.

თანამედროვე ქართულში წა-ს ხმარება იშვიათია. აქა-იქ წარმოდ-
გენილია XIX და XX საუკუნეების მწერლებთან: „— წავეალ, მაყვა-
ლაუ, წა!“ (ყაზბ., II, 393); „წავეიღეთ, წა!.. ხომ ხედავ, რა გუნება-
ზეა?“ (აკაკი, V, 203); „აგერ, წა, შვილო, იქ მოითხოვე, ხომ ხედავ,
აგერ მწვანე სახლი სდგას?“ (ვაჟა, IV, 317); „წა, გამეცალე, შე მურ-
ტალო...“ (გამს., I, 601).

ჭერი. „ეს სიტყვა დღეს შორისდებულია, მაგრამ წარმოშობით კი
ზმნაა და ნიშნავს იმასვე, რასაც რუსული марш (ფრანგ. marche)“².
შესძახებენ ვინმეს გასამხნეველად სწრაფი სვლის, მოძრაობის
დროს, ან: როცა ახასიათებენ ვინმეს სწრაფ სვლას, სირბილს, მოძ-
რაობას.

მაგალითები:

„ჭერი, ჰერი! გაფრინდი, გაფრინდი! — ყვიროდნენ ისინი“
(გაბაშ., II, 201); „მელას დრო დარჩა, შეხტა, ერთბაშად ხელი სტა-

¹ ა. შანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 624.

² ს. ქლენტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 182.

ცა ქალს. შეიგდო კულზე და ჰე რ ი, ბიჰო! გასწია და რა გასწია!“ (ვაჟა, V, 187).

ჰე რ ი შრომის სიმღერებშიც გამოიყენება. რაზედაც ქვემოთ ვვექნება მსჯელობა.

იარს სდექ! როგორც ერთი, ისე მეორე იხმარება სამხედრო ან სპორტულ მეცადინეობის დროს. იარს! ადგილიდან დაძვრის განკარგულება (სიარული დაიწყე!), ხოლო სდექ! მოძრაობის შეწყვეტისა (სიარული შეწყვიტე! შეჩერდი!). ზმნებს დაკარგული აქვთ უღლებების უნარი და გაქვავებული ფორმითაა წარმოდგენილი. იხმარებიან მათთვის განკუთვნილ შემთხვევაში.

მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი:

„— ი ა... ა... ა ა ა რ! — გააბა ბრძანება კაპიტანმა მქექქარე ხმით“ (ქუთათ., 67);

„— ოცეულო, ს დ ე ქ!

სვლა შეაჩერეს“ (კასრ., 508).

ხაბარდა (არაბ. — სპარს. ხაბარდარ)¹. შესძახებენ ვინმეს, რომ გზა გაათავისუფლოს, ჩამოდგეს.

მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი:

„ხ ა ბ ა რ დ ა! ჩამოდექით! — მომაყვირეს ქუჩაში“ (აკაკი, V, 354): „ხ ა ბ ა რ დ ა! — ლალად დასჭექა მეველემ და თავისი ბედაურები გააქანა“ (ქიარ., III, 256).

ჰაიდა („თურქ. აჰდა „ჰაი“, „აბა“)². მნიშვნელობით იგივეა, რაც ზმნა „წადარ“. იხმარება, როცა ვისიმე წაქეზება სურთ წასასვლელად.

მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი: „ლაპარაკის დრო არ არის... გაიბერტყე მტყე-რო! გაიწმინდე და ჰ ა ი დ ა!“ (ქიარ., I, 374): „გათენებამდე ჩვენ სოფელში ჩავალთ, მერე ჩავსხდებით რკინიგზაში და ჰ ა ი დ ა ა!..“ (ლომ., I, 418); „ამ ტრიალ მინდვრებში — ჰ ა ი დ ა! ჰ ა ი დ ა! ჰ ა ი დ ა!“ (ტაბ., რჩ., 138).

სტოპ (ინგ. stop ს დ ე ქ! თავდაპირველად იხმარებოდა ფლოტში)³.

შაბაშ (სპარ. შაბაშ. შუადღის-იდან „იყავ მხიარული“). ვაშა!

¹ ქ ე გ ლ . ტ . VIII, გვ. 1309.

² ქ ე გ ლ . ტ . VIII, გვ. 1621.

³ ქ ე გ ლ . ტ . VI, გვ. 1164.

ყოჩაღ! ბარაქალა! ¹ მოწონების შეძახილი. მაგალითი: „შ ა ბ ა შ! უნდა იმის ღიმილს ლექსით ჩაეუსაფრდე“ (გრიშ., I, 386).

ბასტა (იტალ.). მისი ხმარება ფართოდაა გავრცელებული რუსულში. ნიშნავს: „გათავდა“, „მორჩა“². ქართულში იგი იშვიათია.

მაგალითები: „ვერ მოგართვი! გათავდა! ბასტა! გადაუთარგმნე გიორგი!“ (ჯავახ., 507); „აჰ, შეგზვდი, გიცანი, მიცანი, გაგიცანი და ბასტა!!!“ (კლდ., I, 237).

ბის (ლათ. his. ორჯერ). ნიშნავს მეორეჯერ! განმეორებით! კიდევ ერთხელ! (მაყურებელთა შეძახილი კონცერტზე, თეატრში და სხვა, როცა პროგრამის რაიმე ნომრის შესრულება მოეწონებათ და შემსრულებელს სთხოვენ გაიმეოროს)³: „უცებ — იმ დროს, როდესაც ყველას ყური უნდა დაეგდო — ავტებზე ტაშისკერა და თან ხმამაღლა შევეღრიალე, — ბრაეო! ბრაეო! ბრაეო! ბისსს!“ (არდ., 151).

გ) სიჩუმის დაცვის მოთხოვნის გამომხატველი შორისდებულები: სუ (—სულე), ჩუ (—ჩუმად).

მოცემულ შორისდებულებს მეტყველებაში ხშირად ვხვდებით. იყენებენ ვინმეს გასაჩუმებლად, დასაწყენარებლად. ხმარობენ აგრეთვე მრავლის მიმართაც, გამოხატავს კატეგორიულ მოთხოვნას სიწყენარის, სიჩუმის დასაცავად.

სუ შორისდებული ტექსტებში სხვადასხვაგვარადაა გამოხატული: სს, სსს, ს-ს, სუუ, სუუუ, სსსუუ, სსსუუუ, სსსუუუუ, სუს, სუსსს, სუთ, სუუთ, სსსუთ, სულა, სუ-მეთქი და სხვ.

სუ(—სულე). „ეს უკანასკნელი ფორმა ჩვეულებრივ გავრცელებული სიტყვაა ქართლსა და კახეთში და იყენებენ მას ბავშვის გასაჩუმებლად“⁴. სულე-ს ხმარება დასტურდება ვეფხისტყაოსანში: „ეტყოდა: „სულე! რამც გიყავ? კაცი ვარ, ადამიანი...“ (230). „ყველაზე გავრცელებულია სუ, რომელიც შედის „ვეფხისტყაოს-

¹ ქეგლ. ტ. VII, გვ. 601.

² იხ. რუსულ-ქართული ლექსიკონი. I, 1956. გვ. 40; შდრ.: Словарь современного русского литературного языка, том I, изд. АН СССР, 1948, стр. 293.

³ ქეგლ. ტ. I, 1067.

⁴ ს. ყ დ ე ნ ტ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 183.

ნის“ ს უ ლ ე თ-ში: „დააგდეს მღერა მუტრიბთა, „სულეთო!“ თავი ხარიან“ (485). ეს „სულეთ“ ასე დაიშლება: სუ-ლე-თ, სადაც თ აღ-ნიშნავს, რომ მრავალს მიმართავენ; ლ ე ნაწილაკია, რომელიც ამჟამად ხევსურულ „აბა-ლე“ და „აპა-ლე“-ში გვაქვს“¹.

საბაას ლექსიკონში გვაქვს სიტყვა „სულელვა“, რომელსაც ავტორი განმარტავს როგორც „ცხენთ დასამშვიდებელ სტუენა“-ს² და „დასულება“-ს კი — როგორც „დაჩუმება“-ს³. „დღეს ეს შორისდებულად ქცეული სიტყვა ჩვეულებრივ „სუ“ ფორმით იხმარება“⁴.

ს უ შორისდებული სხვადასხვაგვარად გაისმის და, როგორც ვოქებით, წერაში ნაირნაირად აღინიშნება:

„ს უ!.. შე ქოფაკო!.. გაიკმიდე ხმა!..“ (ილია, I, 158);

„ს უ, ჩემად, რა გაყვირებს?“ (ვაჟა, VI, 263);

— ს უ! ს უ ნუ ჰკივი! — მოესმა იმას პასუხად“ (ყაზბ., II, 391);

„— ს უ უ! — გაჩუმა თათარყანმა და სიფრთხილით ხელი მიიშვირა ცისკენ“ (ყაზბ., IV, 176);

„— ს უ უ უ! ჩვენა ვართ! — უპასუხეს იმათ ჩუმად და გაფრთხილებით“ (ყაზბ., I, 238); „ელ. (ღიმილით თითოს ტუჩებზედ დაიდებს) ს ს უ უ!“ (ყაზბ., III, 528);

„ს ს ს უ უ, გაჩუმდი, დობილო, — უთხრა პირველმა“ (ვაჟა, VII, 31); „ს ს ს უ უ უ! აგრე ნუ ახსენებ ჩემ აკულისას, ახლა იმას პატიოსნათ უჭირავს თავი!“ (აკაკი, V, 227).

საანალიზო შორისდებული ამავე მნიშვნელობით ხშირად გამოცემულია უ ხმოვნის გარეშე ორი ან მეტი ს-თი:

„— ს-ს!.. არაა საჭირო!“ (ლორთქ., II, 389); „ს ს ს!.. ეს რა გრიალია?!“ (არაგვ., II, 55).

გვხვდება სანდართული ფორმაც, რომელიც შემდგომ გასჩენია:

„ს უ ს!.. ხმა ჩაიკმინდე!“ (მგალობ., 648);

„— ს უ ს, ს უ ს! — შეუტია ელისაბედმა: — ს უ ს! აღარ დავინახო შენ თვალზე ცრემლები!“ (გაბაშ., I, 154);

„— ს უ ს ს ს! — ჩუმადვე უპასუხა ელბერდმა“ (ყაზბ., I, 346).

ს უ მრავლობითის აღსანიშნავად დაირთავს თანსაც:

¹ ა. შ ა ნ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 624.

² ს უ ლ ხ ა ნ-ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, სიტყვის კონა, თბილისი, 1949, გვ. 624.

³ იქვე, გვ. 152.

⁴ ს. ე ლ ე ნ ტ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 183.

„— ს უ თ, ს უ თ! გაყუჩდით! რა ამბავია?“ (კლდ., I, 294).

„მარცათ, ს უ თ!!!“ (მგალობ., 182);

„— ს ს ს უ თ, გაჩუმდით! — შემოსძახოდა ძირიდან დედამეწა“ (ვაჟა, VII, 37). გვაქვს და და მეთქი ნაწილაკებდართული ფორმითაც: „ს უ ლ ა, ს უ, მაყვალაისი!...“ (ყაზბ., II, 391); „— ს უ თ-ღ ა, გაჩუმდით!“ (იქვე, 520); „— ს უ-მ ე თ ქ ი, ნანაია“... (წერეთ., I, 263); „— ს უ! ს უ-მ ე თ ქ ი! — შეშინებული ხმით შემომძახა მან“ (ლომთ., 205).

ს უ შორისდებულს ხშირად მნიშვნელობის გამაძლიერებლად მოსდევს ზნნის ბრძანებითი კილოს ფორმები: „ს უ! ს უ! ნ უ ჰ კ ი-ე ი! — მოესმა იმას პასუხად“ (ყაზბ., II, 391); „ს ს ს უ!.. მეტი ხმა აღარ ამოიღო“ (წერეთ., I, 534); „— ს უ ს!! ხმა ჩ ა ი კ მ ი ნ დ ე!“ (მგალობ., 648).

არცთუ იშვიათია, როცა მოცემული შორისდებულის წარმოთქმას თან ახლავს შესაბამისი ეესტები — უმეტესად ხელის პირზე დაყარება:

„ს უ უ თ!.. — ფეხის თითებზე შემდგარი იუდა შემოვარდა კარდორიდან დარბაზში და პ ი რ ზ ე დ ხ ე ლ ს ი ფ ა რ ე ბ და „ს უ ს-ნიშნად“ (მგალობ., 527); „— ს უ-მეთქი, ნანაია... — ტ უ ჩ ე ბ ზ ე ხ ე ლ ი მ ი ა ფ ა რ ა სალომეს და შემდეგ განაგრძო“... (წერეთ., I, 263); „ეღ. (ღიმილით თითს ტუჩებზედ დაიდებს) ს ს უ უ!“ (ყაზბ., III, 528).

ჩუ. წინადადებაში იმავე მნიშვნელობისაა, როგორისაც ჩ უ მ ა დ ი ყ ა ვ ი, გ ა ჩ უ მ დ ი: „მივიდა და უთხრა მტირალს: „ჩ უ, ნ უ ს ტ ი რ ი გ ე ნ ა ც ვ ა ლ ე“ (აჟაკი, III, 218); „ჩ უ, რ ა ს ა მ ბ ბ...“ — მეუბნება და ტუჩებზე ხელს მაფარებს“ (გამს., V, 756); „ჩ უ!.. რ ა ლ ა ც ფ ე ხ ის ფ ა ჩ უ ნ რ შ ე მ ო ე ს მ ა“ (წერეთ., I, 533). ს უ და ჩ უ როგორც სემანტიკურად იდენტური ოდენობები, ერთმანეთის პარალელურად იხმარებიან: „ს უ, ჩ უ! ხმა, კრინტი!“ (ვაჟა, VIII, 187).

სიჩუმის დაცვის მოთხოვნისათვის გვაქვს სხვა ბგერებიცა და ბგერითი კომპლექსებიც, რომელთაც იგივე მნიშვნელობა აქვთ, რაც ს უ და ჩ უ შორისდებულებს. მაგ.: „დარბაზში გაისმა: „შ შ შ!!!...“

¹ საილუსტრაციო მაგალითებში აქა-იქ იშვიათად დასახელებულია წინადადების წევრად ქცეული შორისდებულები. მოცემულ შემთხვევებში ჩვენ მხოლოდ შორისდებულის წარმოთქმის ფაქტი გვაინტერესებს.

და წამს ისევ სიჩუმე ჩამოვარდა...“ (მგალობ., 547); „— ტ ს! არ გაბედო მეორეჯერ ჩემთან ეგენი!“ (ლომთ., 18); „— ტ ს ს! — წარმოსთქვა და სალოკი თითი მუქარით შემართა, ვითომ არ გაბედო ჩარევად“ (ქაჩ., III, 358); „— შ შ შ!! ნელა გაიხმაურა გვიმი. ცხენონსებმა შეაჩერეს ცხენები და შეეფარენ დიდ ცაცხვის ჩრდილს“ (წერეთ., I, 311).

ღ) შორისდებულები, რომლებიც გამოხატავენ მითითებას, ჩვენებას: ჰა(ა), აჰა, ჰე(ე), აგე, (აგრე).

ჰა(ა). ეს შორისდებულები საჩვენებლად, მისათითებლად ხშირად გვაქვს გამოყენებული.

მაგალითები:

„შენი ტყვე ვარ!.. ჰა, ხომ ხედავ, იარალი დამიყრია...“ (აკაკი, III, 220); „— ჰაა! აი სადა ჰქონიათ ამათ ბუდე!“ (გაბაშ., II, 168); „— ა, შვილო, შეიხედე, რა საცოდავად ვყრივართ!“ (კლდ., I, 261); „— ა, ერთი გირვანჯა ნავთი და ეს ცოტაოდენი შეშა“ (გაბაშ., I, 286).

ჰა-ს წინ დაერთვის ა ხმოვანი და გვაქვს აჰა შორისდებულები: „ამაზედ უარეს რაღას მიზამთ, ქალბატონო? აჰა, აჰა (უჩვენებს დახეულ ტანისამოსზედ)“ (ყაზბ., III, 279);

მოცემულ შორისდებულებს ჩვენებასთან ერთად იყენებენ რაიმე საგნის გადაცემის (გადაწოდების) დროსაც: „ჰა, ვაჟო, დაიჭი!“ (ვაჟა, VII, 273); „...აჰა, დაიჭი მათარა“ (ვაჟა, III, 156); „აჰა, შე არ-დასარჩენო, ამოისხი და ჩაიცივი“ (ილია, I, 427); „ლომინ (რღებს ქისას, სთელის სამ თუმანს, — აძლევს) აა, ბატონო“ (ერისთ., 119).

აჰა-ს დაერთვის ბოლოში თ, რომელიც მის მრავლობითობას გვიჩვენებს: „აჰათ, წაიღეთ, საწყლებო, დაძებით, მე თქვენი არც სახელი მინდა, არც ქება-დიდება“ (ვაჟა, V, 109).

დიალექტებში, მაგალითად ქართლურში, გვხვდება აჰაანდე: „...აჰაანდე! — მისცა ორი მსხალი და ორიც თამროს გაუგორა“ (მგალობ., 390).

ჰა, ა, აჰა შორისდებულები გვევლინებიან ამა თუ იმ გრძნობის გამომხატველად — შედიან ემოციურ შორისდებულების ჯგუფშიც. აჰა, ისევე როგორც ჰა და ა, გამოხატავენ გაკვირვებას, მიხვედრას, დაძინებას, გაჭაერებას და ა. შ. აჰა-ს წარმოთქმა ხშირია მის შემ-

დეგ, როცა მთქმელი მთელი გულისყურით მოუსმენს თანამოსაუბრეს, რომელიც მოუთხრობს მას რაიმე მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით. მსმენელი საქმის ღრმად გაცნობის შემდეგ აქა შორისდებულთ ადასტურებს, დაასკვნის მის სუბიექტურ განცდებს მომხდარ ამბავზე: „— ჰო, გონჯი იყო... თქვენში არ არის, კნიაზ, გონჯი ქალები? ეოროსპი იყო.

— აქა!.. გლალატობდა?“ (ლომთ., 578);

„— აქა, — შვებით თქვა არჩილმა და მალულად გადახედა მეზობელს. მიხვდა, რომ „ანტიდიურინგის“ კრიტიკოსი ძილს მახეს უგებდა“ (ქიაჩ., I, 281).

ჰა(ე). ჰ-დართული ვარიანტი საჩვენებლად, მისათითებლად იწვიათია, მავრამ მარტო ე ხმოვანი კი ამ დანიშნულებით ხშარად გვხვდება: „— ჰ ე, ბატონო, სოლომანიც ეგერ მოდის!“ (კლდ., I, 48): „თავი აქა ჰქონდა და ბოლო ეგერ, ჰ ე... გვირაბში! ქვეყნის ჭარი მიჰყავდა“ (ლორ., 523); „— ე, ბიჭო, კვამლი რო მოდის იმათი ეზოდანა... ხეები ფარავს...“ (ლორთქ., I, 46); „— ე, შეხედე! ე, თუ ეცდები... ე, რავა ეტყობა! ახლაც ვერ ხედავ?“ (კლდ., I, 177).

ჰე და ე ემოციური შორისდებულია ამ წინადადებებში:

„ჰე, ესეც ასე!.. მორჩა და გათავდა“ (აკაკი, V, 342); „ჰე, რაც გახუეს, გახდეს!.. გაყოცებ“ (ყაზბ., III, 393); „— ე!.. ყველაფერს რომ მე დამაბრალებს! — უსაყვედურა ცოლმა“ (წერეთ., I, 306).

აგე (აგრე). იხმარება აღმოსავლეთ საქართველოს მცხოვრებთა მეტყველებაში. „აგე“, „აგრე“ მიღებული ჩანს „აჰა ეგერა“-საგან¹ „ა გ ე, მადლობის მთქმელი სად არის“ (ილია, I, 280): „ა გ რ ე, ჩემი ცხვარიც“ (მაგალითი ამოღებულია ა. შანიძის „ქართული გრამატიკის საფუძვლებიდან“ (1973, I, გვ. 625).

ლიალექტურია აგრეთვე ენ დ ე, ე მ ა ნ დ ე, რომლებიც სემანტიკურად იგივეა, რაც ა გ ე (ა გ რ ე).

მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი:

„ენ დ ე, როგორ მომხიარულდი!“ (არაგვ., I, 179); „ე მ ა ნ დ ე, ეგ იყო ირემი, ვახსენეთ და ვნახეთ კიდეც!“ (ვაჟა, VII, 36).

ე) შ რ ო მ ი ს ს ი მ დ ე რ ე ბ შ ი ს ა ხ მ ა რ ი შ ე ძ ა ხ ი ლ ე ბ ი: ა ე ხ ე, ჰ ო პ უ ნ ა, ჰ ე რ ი, ჰ ე კ ა-ო კ ა, ჰ ო პ, ჰ ო პ ლ ა.

¹ ა. შანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 625.

ადამიანები ინდივიდუალურ თუ კოლექტიურ სამუშაოთა შესრულების დროს ამ სიტყვებისა და წამოძახილების წარმოთქმას მიზართავე ხოლმე. რომლებიც უმთავრესად გვხვდება შრომის სიმღერებში. მათი წარმოთქმის მიზანი შრომის შემსუბუქება, მუშაობის რიტმის რეგულირებაა.

მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი:

ავხე. ჰოპუნა! ..ჰოპუნა! ავხე, ავხე!

ბიკო ჩემი მკაცა ნახე

და თუ შენს მკაში ჩამოგორჩე

ქალაჩუნა დამიძახე“ (აკაკი, I, 57);

..ჰა, ბიკებო, დატრიალდი!

ჰოპუნა, ჰოპუნა!“ (გოგ., VI, 224).

ჰერი. ..მუშაობის დროს და საგანს,

მოწოდება შრომისაკენ!

ჰოპუნა და ჰერი-ჰერი,

გვიწვევს უცხო მომობისაკენ“ (ტაბ., VI, 292);

„— ჰერი, ბიკო! შევერიოთ,

როგორ წითლად ღვივის ყანა!“ (გრიშ., II, 287);

ჰეკა-ოკა. ..(გურამიშვილს) არ დასცალდა... მოესმინა ქართლელი გლეხების საყვარელი „ჰოპუნა“ და „ჰეკა-ოკა“ (ქეგლ, VIII, 1627).

ჰოპ.

ჰოპ, ჰოპ! ჰერი ჰერი

ჩუ, გამოხტა აგერ მწყერი,

ნამგლებით გარს შემოვერტყათ

დავიჭიროთ პურის მტერი“ (გოგ., VI, 224).

ჰოპ! გამოხატავს სწრაფ მოქმედებას. ხმარობენ, როცა ადამიანებს კოლექტიურად სურთ რაიმე მძიმე ტვირთის აწევა, რათა შეთანხმებულად, სწრაფად და ერთიანი ძალით იმოქმედონ. ო ხმოვანი წარმოითქმის გავრძელებულად, ხოლო ბოლო პ თანხმოვანი წყდება უეცრად, რაც სიგნალია ერთიანი მოქმედების დასაწყებად. ამის მაგალითები ყოფა-ცხოვრებაში ბევრია. ჰოპ სწრაფი მოქმედების სიგნალია წინადადებაში: „ოფოფი ფრიად შლეგი ვინმეა, არხეინად წამოვა ჩემსკენ და ამასობაში ჰოპ, ჰოპ, თავზე წამოვაცვამ ამ კუნკულან ბადეს“ (გამს., წ. III, 255). ჰოპ შორისდებულს ხშირად იყენებენ ბავშვები გართობა-თამაშის დროს: „ხირჩლა მივაყენოთ კედელთან, დანარჩენები ზურგზე შეახტებიან და ჰოპ... ჰოპ...“

(გამს., V, 591). ამ შორისდებულს კოპა ფორმით ხმარობენ აგრეთვე კალათბურთელები თამაშის დროს: ახტომის, ბურთის გადაწოდებისა და მიღების მოთხოვნის შემთხვევაში, ხმარობენ კოპლა-საც (ფრანგ. hop-lá) ¹.

ვ) შორისდებულები, რომლებიც იხმარებან ბავშვების დასაწყენარებლად (დასამშვიდებლად) ან დასაძინებლად: ალუ, ნანა, ნანინა, იავნანა.

ალუ. ჩვილი ბავშვის პირველი წამოძახილის აღმნიშვნელი სიტყვაა. ამ სიტყვას დედები წარმოთქვამენ სიმღერის მსგავსად ჩვილ ბავშვების დასამშვიდებლად, დასაწყენარებლად, გასართობად. წარმოთქვამენ ბავშვის წამოძახილის იმიტაციით, რომელსაც აქვს ალერსის, მოფერების გამოხატულება: „ამხელა იყავი, აი! (ხელით უჩვენებს) და ყვიროდი: „აღუ! აღუ!“ (აკაკი, V, 74); „მზეხა ცოტა შეჩერდა და გადახედა რძალს, რომელიც ახლა პატარა ბავშვს საგებს უცვლიდა და ალერსიანად ეუბნებოდა: „აღუ, აღუ. მაროია, ბაბი ახლავე მუა, არ იტირო, აი, აი, არ იტირო, ნანას გეტყვი, ჩემო ნე-ნავ“ (ნაკაშ., 26).

ნანა, ნანინა, იავნანა. უმღერიან დედები შვილებს ძილის წინ. წარმოთქვამენ თავისებური მელოდიური ვარიაციებით: „ძუძუ-მწოვარა ბავშვი წამს დაიცივლებდა, დაიწყებდა ჩხავილს, რასაც აკვნის აჩქარებული რწყევა და ქალის „სუუუ“ და „ნანა, ნანანანა!“ მოსდევდა“ (არაგვ., II, 131); „ბალანა და, თუ ორპირი „ნანინა“ არ მოახსენეს, ისე რავა ინებებს დაძინებას!“ (აკაკი, V, 102).

ა. წერეთლის ლექსს „იავნანა“-ს ყოველ სტროფს აქვს მისამღერი: „დაიძინე, ვარდო-ნანა, იავნანინანაო!“... „შენი ვარსკვლავი სხვა არის! — ბედმა გიციანაო! იავნანა, ვარდო-ნანა. იავნანინანაო!“ (აკაკი, I, 58).

ნანა-ს ძველად უმღეროდნენ აგრეთვე რაიმე ავადმყოფობით დაავადებულ ბავშვებს (მაგალითად, „ბატონების“ სახელწოდებით ცნობილ დაავადებებს, როგორცაა: წითელა, ყვავილი და სხვ.) სპეციალურად მოწვეული მომღერალი ქალები. ეს რიტუალი ხშირად სასურველ შედეგს იღებდა, რადგან ავადმყოფობისაგან გაღიზიანებული ბავშვი სიმღერის მოსმენის დროს მორალურად წყნარდებოდა. მშობლები კი ფიქრობდნენ, რომ ტკბილ ნანა-ს ჰქონდა რაღაც მა-

¹ ქეგლ, ტ. VIII, გვ. 1648.

გიური ძალა. რომლითაც შეიძლებოდა „განაწყენებულ ბატონებთან“ მობოდიშება და ბავშვის გამოჩანსალება.

გ) შორისდებულები, რომლებსაც იყენებენ ცხოველთა და ფრინველთა მოხმობის, გარეკვის (გაგდების), შეძახებისა და გაფრთხობის საჭიროების დროს.

იმპერატიული შორისდებულების ეს ქვეკატეგორიული ყველაზე მრავალრიცხოვანი და ნაირფეროვანია თავისი აღნაგობითა და მნიშვნელობით.

ადამიანთა საზოგადოებრივ-ეკონომიური ცხოვრება ისტორიულად მჭიდროდ იყო დაკავშირებული მეცხოველეობისა და მეფრინველეობის სხვადასხვა დარგის განვითარებასთან. ადამიანების სიახლოდემ ცხოველთა და ფრინველთა სამყაროსთან წარმოშვა ბუნებრივი პირობები მათთან თავისებური „ენობრივი კავშირითიერთობის“ დამყარების აუცილებლობისა. ადამიანთა მეტყველებაში გაჩნდა და დამკვიდრდა ცხოველთა და ფრინველთა მისამართავი ბგერითი კომპლექსები და სიტყვები. დღეს ქართულ დიალექტებში ამ ტიპის შორისდებულთა საკმაოდ მდიდარი მასალაა წარმოდგენილი. მასალა ხელმისაწვდომია, მაგრამ დღემდე იგი შეკრებილია, შესწავლილი და გამომხეურებული არ არის. ლიტერატურულ ტექსტებში წარმოდგენილი მასალა კი, ცხადია, დიალექტების ფაქტობრივ ვითარებას მინიმალურადაც ვერ ასახავს.

ცხოველთა და ფრინველთა შინაშორის შორისდებულთა წარმოთქმასი განსხვავებაა. გაგდების (გარეკვის), გაფრთხობის შორისდებულებს, ჩვეულებრივ, მრავალგზის განმეორებები არ ახასიათებთ (თ ფ უ ჩ ი! ა ც ე! ა ჩ უ!), წარმოითქმის ხმამალა, მკვეთრად. მოსახმობი შორისდებულები, პირიქით, მეორდება და მათ მოფერების ინტონაციის ელფერი აქვთ. წარმოითქმის მიჭრით, სწრაფი განმეორებით (ც ი ფ, ც ი ფ, ც ი ფ — კატის მოსახმობი, ძ ი ბ ა, ძ ი ბ ა, ძ ი ბ ა; ჯ ი ჩ, ჯ ი ჩ, ჯ ი ჩ — ქათმის მოსახმობი), ზოგჯერ — ხმოვნების გაგრძელებით და ხმის აწევით პირველ ი-ზე (ძ ი ი ბ ა, ძ ი ი ბ ა, ძ ი ი ბ ა). მოხმობას ზოგჯერ მოტყუების მიზანი აქვს და ადამიანი ცდილობს უფრო ლაკონიურად წარმოთქვას იგი, რომ ამით გავლენა მოახდინოს ცხოველზე ან ფრინველზე.

ზოგიერთი შორისდებული იხმარება როგორც მოსახმობად, ისე გასაგდებადაც. მაგალითად, თ ფ უ ჩ ი! როცა ხბოს გაგდება სურთ,

ჩვეულებრივ მას ერთჯერ, ხმამალა შესძახებენ — თ ფ უ ჩ ი შეიძლება მეტჯერაც წარმოთქვან, მაგრამ არა ისე, როგორც მოხმობისას (თ ფ უ ჩ ი, თ ფ უ ჩ ი, თ ფ უ ჩ ი), არამედ ერთმანეთისაგან მოწყვეტილად: თ ფ უ ჩ ი! თ ფ უ ჩ ი!

გვაქვს ცხოველთა და ფრინველთა მისამართავი შორისდებულები, რომელთაც აქვთ მხოლოდ გაგდების ან გაფრთხობის მნიშვნელობა. ამ შორისდებულებს წინ ა ხმოვანი უზით: ა-ც ე, ა-ჩ უ, ა-თ ფ რ ი, ა-ც ხ ა, ა-ქ შ ა და სხვ. მოცემული შორისდებულები მეორდება სწრაფად, მიჯრით, ოღონდ განმეორებისას იკარგება ა ხმოვანი: ა თ ფ რ ი — თ ფ რ ი; ა ც ხ ა-ც ხ ა-ც ხ ა; ა ქ შ ა-ქ შ ა-ქ შ ა. ეს შორისდებულები ტონის სიმაღლით მაინც განირჩევიან მოხმობის შორისდებულებისაგან.

იმპერატიული შორისდებულებისაგან ნაწარმოებია სრულმნიშვნელოვანი სიტყვები:

ა ც ხ ა (კატის შესაშინებელი, იქაურობას მოსაშორებელი შეძახილა). „ზოგან ითქმის ცაცხა. აქედან ზმნა „დაცაცხანება“¹. ა ქ შ ა! ს ს ი! — აქედან დიალექტებში გვხვდება ა უ ქ შ ი ა ნ ა, მ ი უ ს ი ა ნ ა (იმერ.).

ზოგი შორისდებული ხმაბაძვითი წარმოშობისაა. მაგ. წ ი-წ ი-წ ი — ეძახიან წიწილას მოსახმობად. მ ი ა უ-მ ი ა უ-ს კატის მოსახმობად ამბობენ, ხოლო ბ ე ე ე-ს — ცხვრის მოსახმობად.

ზოგიერთ იმპერატიულ შორისდებულს აღარ ახლავს წინანდელი სემანტიკა ფონეტიკურისა და მორფოლოგიურ ცვლილებათა გამო. ცვლილება გამოიწვია ამ სიტყვების წარმოთქმის ტონის თავისებურმა სისწრაფემ, რომელმაც ფონეტიკურად სახე უცვალა სიტყვას და ამით უკუაგდო მისი ლექსიკური შინაარსი. სრულმნიშვნელოვანი სიტყვა გახდა სიტყვა-სიგნალი. ცხოველს შეუძლია ამაღლდეს მეტყველების ტონის გაგებადღე. მისთვის სიტყვის ადამიანური გაგება შეუძლებელია. მაგალითად, ა ზ გ ა მ ო ცხოველთა დასატევი, შესაძახებელი სიტყვაა. ის წარმოშობილია ზმნიზედისა და ზმნისაგან (ა ს ე გ ა მ ო — ა ს ე გ ა მ ო დ ი). ცხოველის მისამართავად საჭირო იყო ამ სიტყვების არა ლექსიკური შინაარსით გადმოცემა, არამედ — როგორც სიგნალი. ამიტომ მისი წარმოთქმის სიჩქარემ სიტყვა ფონეტიკურად გადაასხვაფერა და წინანდელი მნიშვნელობა დაუკარგა.

¹ ა. შ ა ნ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 625.

დღეს იგი ადამიანის მიმართ სრული ფორმით იხმარება, ხოლო ცხოველის მიმართ ფონეტიკურად გარდაქმნილი ფორმით.

დიალექტებში შინაური ცხოველების, ფრინველების დაძახების (მოხმობის), გაგდების (გარეკვის) და ა. შ., შორისდებულები, როგორც აღვნიშნეთ, უხვადაა წარმოდგენილი. ერთ დიალექტში შეიძლება არსებობდეს ცხვრის მოხმობის და გარეკვის შორისდებულის რამდენიმე ვარიანტი, რომელიც განსხვავდება სხვა დიალექტში არსებულისაგან. მაგალითად, ზემო იმერეთის ჩრდილო-დასავლეთის სოფლებში ცხვრის მოსახმობი და გასარეკი შორისდებულებია: ბ ე ბ ი შ, ბ ე ბ ი შ, ბ ე ბ ი შ; ბ ე ლ ა ჰ; ბ ი შ, ბ ი შ, ბ ი შ; კ ა წ, კ ა წ. კ ა წ და სხვ. ვ ა ყ ა ს თხზულებებში ცხვრების მისამართავად წარმოდგენილია: ბ რ ი ე ე, ნ ტ რ ი ე ე, ქ ს ი ე ე, ჩ ი ე ე. ასეთი მიმართვა ცხვრებისათვის ზემოხსენებულ მხარეში არ დასტურდება.

მხატვრულ ნაწარმოებთა ტექსტებში არსებობს ხარის, კამეჩის, ძროხის, ხბოს, თხის, ცხვრის, ღორის, სახედრის, კატის, ძაღლის, ქათმის, ბატის, ჩიტისა და სხვათა მოხმობის, გაგდებისა თუ გაფრთხობის შორისდებულები.

შინაურ მსხვილფეხა ცხოველთა მოსახმობად, გასამხნეველად, დასაყვავებლად ან დასატეველად მიმართავენ ფონეტიკურად განსხვავებული ვარიანტების წარმოთქმას: თ ბ ფ ე, თ ფ ე ე, ო ტ ფ რ უ, ჰ ო ტ ფ უ, ტ ფ ე ო ჰ ო, ჩ ფ ე ე ო ო, ო ტ ჰ უ, ფ შ ე ი ე ე... ე...ე, ა თ ფ რ ი და სხვა. მათ წარმოთქმაში მონაწილეობას ღებულობს ბაგეები, წარმოიშობა ვიბრაცია-თრთოლვა. ენის ფონეტიკურ სისტემაში ისინი ვერ თავსდებიან და ამიტომაც წერაში მათი ასოებით გამოსახულება მიახლოებითია.

მაგალითები:

„მაგრამ გარემოების შეცვლაზედ სიმნომ მაშინვე გამოიღვიძა და „თბფე“ დასძახა. კამეჩებმა ხმის გაგონებაზედ კვლავ გასწიეს და ურემი მიძიმედ გააგორეს“ (არაგვ., I, 4); „შეხე, შეხე, ი კვალში რანაირ მიანგრევეს... თ ფ ე ე, ო ჰ ო, სად მივა ე, დასწყევლოს ღმერთმა!...“ (მგალობ., 342); „— თ ბ ფ ე ო, ნიკორაე!“ თითქოს იმას უნდა ამითი უთხრას ნიკორასა და ლომას: „— არ დაგეძინოთ, ყური დამიგდეთ!...“ (არაგვ., I, 3); „ო ტ ფ რ უ, კამეჩო ღვინაო, გასწი ყველაზე წინაო!...“ (ვჟა, V, 197); „ო ტ ჰ უ, კამეჩო ნიშაო, გასწი, არა გიშავო!“ (ვჟა, VI, 229);

„მოვიდა თუ არა ი კვირაცხოველის ასკილებთანა, ხიდი რომ

დევეს რუზე, სწორედ იქა... ხიი, ტ ფ ე ო ჰ ო, შე!... — საღ მივა, ე! — და გააწნა პაკომ ურჩ კამეჩს სახრე“ (მგალობ., 376); „ჩ ფ ვ ე ო ო ო, წიქარა! აპაი! — შეჭკივლა ცეცომ და ხარმა დამფროთხალი ირემივით ბრაგვანი გადმოიტანა ლობიღან“ (იქვე, 355); „შეინდავ, ფ შე ე ე... ე...ე, ჩემო შეინდავ!“ მაგრამ პასუხი არსაიდან მოესმის!“ (არაგვ., I, 56); „ხშირად ისმოდა „ათფრი“ „ჰამოჰო!“ და ამ სიტყვებთან ერთად, საქონლის გასამხნევებლად მთლად მოძრაობაში მოსული მეურ-მე პირუტყვებს ზედ გადაეზნიქებოდა ხოლმე...“ (ყაზბ., IV, 239).

ხარ-კამეჩის დასაყენებლად (შესაჩერებლად), დასაყვავებლად ან გასაჩქარებლად გვაქვს ვარიანტები: მ ო ო, მ ო ო მ, მ ა... მ ო, მ ა მ ო-ჰ ო ვ ა, მ ო ო ჰ ო, ჰ ა მ ო, ჰ ა ა მ ო, ჰ ა მ ო ო, ჰ ა ა მ ო ო, ჰ ა მ-ჰ ო, ჰ ა ა მ ო ო; ჰ ო... ო, ჰ ო; ო ჰ ო ო, ე, ო ჰ ო ო და სხვ.

მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი:

„— მ ო ო, შენ კი გენაცვალე... აქეთ, ჰირიმე, — და თავის ეზოში შეუძღვა“ (ქიაჩ., რჩ., 244); „მალე მივიდა ხართან, „მ ო ო მ“ უთხრა; ხარი წამსვე გაჩერდა და სიმონამ მოაბა რქებზე ბაწარი“ (ნინოშ., I, 206); „იქითყენვე მიესწრაფებოდნენ ურციხვი ურმები, რომელთაც გზაში დაჰგვიანებოდათ და მისვლის უმალ გაისმებოდა“ „ჰ ო... ო, ჰ ო... მ ა... მ ო, მ ა... მ ო, დადექ შე ტილო და რაღა“ (ყაზბ., IV, 239); „მ ა მ ო ჰ ო ვ ა!“ — შემოუტია გუთნეულს ცეცომ და გააჩერა“ (მგალობ., 360); „მ ო ო ჰ ო... — შესძახა ბოლოს ყმაწვილმა გლეხმა ხარებს, შესდგა და ურმისაკენ პირი მოიბრუნა“ (ქიაჩ., III, 179); „ქუჩიდან შემოდიოდა უკვე ურმების ჰრიალი, და მეურმის მკახე შეძახილი“ ჰ ა მ ო ო...“ (გამს., I, 414); „— ჰ ა ა მ ო, ჰ ა ა მ ო!.. — ალერსით აჩქარებს ხარებს, ნატრობს, ნატრობს ფრთების გამოსხმას“ (არაგვ., I, 410); „ჰ ა მ ო ო“, — შესძახა გულდაწყვეტილმა ხარებს და დაჰყუა თავდაღმართში უკვე გაკვლეულ კვალს“ (გამს., წ. III, 91); „— ჰ ა ა ა მ ო ო... — ტანის ყრყოლით დასწყვილა ხარებს“... (არაგვ., I, 408); „ჰ ა მ-ჰ ო, ნიშავ!!“ (გოთ., 73); „ო ჰ ო ო, ე, ო ჰ ო ო, დადექით! — ეუბნებოდა ნინიკა ხარებს“ (ვაჟა, VI, 229).

მსხვილფეხა საქონლის დასატყეველი, შესაშინებელი შეძახილია — ოგეჩო (= ოქიჩო): „ო გ ე ჩ ო, შე ბლუნძელავ, შენა!.. — შეუტია ხბოს“ (მგალობ., 392).

ხარების გასაჩქარებლად, უკან დასახევად ან გვერდზე მისაყენებლად ასე შესძახებენ: ხ ი; ხ ი ი ა ნ ხ ი ო.

მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი:

„— ხ ი ო ო, ხ ი! — შეაყენა თებერამ კევრი, როცა დაუსწორდა ეონას და წინ გადაეღობა ქალის ხარებს“ (ბარნ., II, 421); „იმედით საესე გულიდან ამომავალი ხმით დაღლილ ხარებს ამხნევებდა მალა-ლი შეძახილით „ხ ი-ხ ი-ხ ი ო! გასწი, გასწი!“ (კლდ., I, 283); „— ხ ი, შე სამგლე! — ბრაზიანად შეუძახა განზე გავარდნილ ნიშა მოზვერს“ (გოთ., 76).

ხარებს გასაჩქარებლად ი შ-ითაც მიმართავენ: „შორს „იშ“, „იშის“ ძახილი ისმოდა და აჩეჩა ურმების სკრიალი“ (წერეთ., I, 272).

ძროხის, ცურის დასაყვავებელი, დასამორჩილებელი სიტყვაა დ ი ი დ ო (← დეედო): „შეშინებული წამოვარდა, ძროხას კისერი თხრილზე გადაეწდინა და აკაცის ტოტებს კორტინდა.

— დ ი ი დ ო, შე სამგლე, — მიაკივლა და თოკი დაუმოკლა“ (ლორ., 154).

სახედრის გასარეკად, დასაყენებლად გვაქვს შორისდებულთა შემდეგი ვარიანტები: ა ც ე (ჰ ა ც ე), ა ჩ ი (ჰ ა ჩ ი), თ ო ქ შ, ჩ ო ქ შ ი, ჩ ო ო შ, ჩ ი შ, ჩ ო კ-ჩ ო კ და სხვ.

მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი:

„ტყვილად გახლართულა თოკში
სჯობს, წაბრძანდეს ვირის ჯოგში

„ა ც ე, ვირო, ა ც ე, ვირო!“

მივამახოთ „ჩ ო ქ შ ი! ჩ ო ქ შ ი!“ (აკაკი, I, 609):

„წიხლები იყარა ჯორმა.

„ა ც ე“, — უყვიროდა ბერი“ (გამს. წ. I, 356);

„ამკიდე, რასაც ისურვებ,

მომამახი: ა ჩ ი, ა ჩ ი ო!“ (ვაეა, I, 81);

„ჩ ი შ, ჩ ი შ, დიდო ვირო,

წიხლები არ დამიშინო“ (წერეთ., II, 103).

ა ჩ უ (ჰ ა ჩ უ) — უჯავრდებიან ცხენს, რომ დაიძრას, გაიჩქაროს ან მოშორდეს იქაურობას: „— ა ჩ უ! — დაუძახა, სწყეცია მათრახი და შუა ეზოში გაჩნდა ცხენოსანი“ (ლორთქ., II, 57); „— ჰ ა ჩ უ, შე სამგლე, — შესძახა თორნიკემ თავის ცხენს და მიაწნა გვერდებზე იფ-ნის ჯონი“ (წერეთ., II, 52); „ა ჩ უ! — მიამახა გულმოსულმა და თან ჯონიც გადაჰკრა“ (კლდ., I, 127).

ცხენის მოსატყუებლად, მოსათვინიერებლად კ. გამსახურ-დი ა ხმარობს ბგერათა კომპლექსს თ ფ, თ ფ, თ ფ. მაგ., „ხელის გუ-ლი გაუშვირა ცხენს. თ ფ, თ ფ, თ ფ“ (გამს., წ. I, 195).

წვრილფეხა შინაური ცხოველის — ცხვრის მოსახმობად და გასარეკად დიალექტებში შორისდებულთა მრავალნაირი ვარიანტებია. მოვიყვანო მხატვრულ ტექსტებში არსებული.

მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი :

„ციხელმა სალამოზე ჩვეულებრივად გაუმძღვარა დარბაისელი ვაცი ცხვრებსა, თავადაც თავის წოწლოკინა ქულით გაჰყვა თავის სამწყემსოს და გაურიალა: „ჩ ი ე ე, ნ ტ რ ი ე ე ე!“ (ვაჟა, VI, 156); „უკან ციხელი მისდევდა ჯონის ბჯენით და ნელის სტენით: ნ ტ რ ი ე ე ე, ქ ს ი ე ე ე!“ (იქვე, 150); „შოლტების ტელაშა-ტელაში „ბ რ ი ე ქ ს ს ი ე ს“ ძახილში ისე ექსოვებოდა, როგორც პეპა-ქუხილში ელვის ტარციალი“ (იქვე, 245).

როგორც თხის, ისე ცხვრის მისამართავი შორისდებულია ბ ე ლ ა ან ბ ე ლ ა ჰ! : „შვილი მზიარულებით დაუსნლტა ხელიდგან მამას, გაიქცა თხებისკენ და გაჰკიოდა: „ბ ე ლ ა ჰ! ბ ე ლ ა ჰ!..“ (წერეთ., II, 69).

ღორის მოსახმობი დაძახილია ე ი ნ წ, თუ იგი რამდენჯერმე, მიკრით წაარმოიქმნის; თუ ერთჯერ — მას გაგდების მნიშვნელობა აქვს. მაგ.: „ე ი ნ წ, ე ი ნ წ, ე ი ნ წ...“ მისძახის ხათუნა ტახს“ (გამს., I, 546).

ძაღლების დასატყვი, იქაურობას მოსაშორებელი შეძახილებია: ა გ ა-გ ა-გ ა-ა! ნ ძ ა! ნ წ ა! მ წ ა! ა ზ გ ა მ ო!

მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი :

„—ა გ ა-გ ა-გ ა-ა! ნ ძ ა! ნ ძ ა! ა ზ გ ა მ ო, აზგამო, შე სამგლე!— გაისმა ვენახიდან მეხივით შემზარავი ხმა: ვენახს უვლიდა და თან გაჰკიოდა დიდის ხმით ძაღლების შესაშინებლად“ (მგალობ., 105); „— ნ ძ ა, ნ ძ ა! შე რაჯულძაღლო და შე გასავერანებელო, შენა!“ (ფურც., 312); „— ე წ ა! ნ წ ა! შე გასაოხრებელო! — წამოვარდა უცებ სოფროში, რომელმაც თვალი მოჰკრა ზედ თავის კარებზედ ერთს მეზობლის ძაღლსა“ (იქვე, 317); „— მ წ ა, გაჩუმდი, შე მგლის არჩივო! — მიიძახა მან ძაღლს“ (კლდ., I, 65).

ძაღლების წასაქეზებლად, მისასევად გვაქვს: „ს ს ი, ს ს ს ი, ს ი ჰ, ლ ს ს, ქ ს ს.

მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი :

„—აუ, ბასარა, ბასარა, ს ს ი, ს ს ი ამ გამჩენ ძაღლებს, ს ს ი!..“ (კასრ., 495);

„ს ს ს ი! აწ თავი მოუარე,

უკბინე და გაამწარე“ (აკაკი, I, 70);

„—ოუ, ოუ. ს ი ჰ, ს ი ჰ, ს ი ჰ! — ისმოდა ხმა მოურავის, რომელიც ძაღლებით უკან მიჰდევდა დაფეთებულ ღორებს“ (წერეთ., II, 217); „— ჰაჰა... მიდი!.. ჰო!.. ფ ს ს... — გასძახა დავითმა ერთგულ ძაღლებს“ (ქიან., I, 111); „— ქ ს ს... ქ ს ს, ეცი, შე სამგლევე,—წამოვარდა ერთბაშად მოხუცი და კიბეზე ჩაბარბაცდა“ (ლორ., 163).

როგორც ვთქვით, კატის შესაშინებლად გვაქვს ა ც ხ ა, მოსახმობად „— ც ი ფ, ც ი ფ, ც ი ფ; ც ი ც უ, ც ი ც უ, ც ი ც უ და სხვ.: „— ა ც ხ ა, ა ც ხ ა!.. აი შე ვერანავ, შენა!.. — დაუყვირა კატას დედაჩემმა და საწველელისკენ გაეშურა“ (არაგვ., I, 8); „აკვანს კატა უთამაშებს, დედამ შეუძახა: ა ც ხ ა!“ (ტაბ., V, 35).

ზოგან კატას ეძახიან ც ი ც ა-ს, რაც ც ი ც შორისდებულისაგან უნდა იყოს ნაწარმოები. ც ი ც! შორისდებულს კატის მიმართ გაჯავრების დროს იყენებენ. როცა ეს შორისდებული განმეორებითაა წარმოთქმული, მიყოლებით, სწრაფად, ასეთი ფორმით: ც ი ფ, ც ი ფ, ც ი ფ, ეს იმას ნიშნავს, რომ მოუხმობენ მას. არის ასეთი ფორმაც ც ი ც უ-ც ი ც უ: „თუ მაინცდამაინც აღარ იშლი, შენ „ციცუ-ციცუ!“ მიძახე და მე „მიავ-მიაუს“ დაგიძახებო“ (აკაკი, IV, 340).

ა ც ხ ა-სა და ც ხ ა-ს მიმართავენ თავის შესაშინებლადაც. მაგ.: „ც ხ ა, ც ხ ა, — მოხუცმა ჩუმი ხმით დაუცაცხანა თავს და სკივრის სახურავს რალაც რბილი დაეცა, ალბათ თექის ჩექმა“ (ლორ., 485); „ა ც ხ ა! ა ც ხ ა! თქვე წყეულებო! ა ც ხ ა!“ ამ დროს თავგები გაბუნაგდებოდნენ და სანამ გაღია არ დაიძინებდა, ჩუმად იყვნენ“... (აკაკი, IV, 315).

ფრინველთა გასაფრთხოები ბგერათა კომპლექსებია: ა ქ შ ა (ქ შ ა), ა ქ შ ი (ქ შ ი) — უჯავრდებიან გასაფრთხოებად ქათმებს, ჩიტს (საერთოდ ფრინველს):

„მიძახა „ა ქ შ ა!“ საწყლებს,

წყლის დაღვევაც არ აცალა“ (აკაკი, II, 412);

„ა ქ შ ა, ა ქ შ ა, კივჭაუებო,

ქორიმც ჩაგინადირებსა!“ (ვაჟა, II, 251).

ძ ი ბ ა-ძ ი ბ ა; ჯ უ, ჯ უ, ჯ უ, ჯ უ კ რ!; ჯ ი ჩ-ჯ ი ჩ; რ რ უ და სხვ. — მოუხმობენ ქათმებს: „იმ დღითვე დაუყრის ქათმებს საკენკს, ევლება თავს, ეძახის: „ჯ უ, ჯ უ, ჯ უ, ჯ უ კ რ!“ (ვაჟა, V, 46);

¹ ჯ უ ჯ ე (სპარს.) — წიწილა. იხ. ქ ე გ ლ. ტ. VIII, გვ. 1612.

„—პატარძალი „ჯ ი ჩ ი, ჯ ი ჩ ი ს“ იძახოდა, საკენეს აბნევედა“ (ქეგლ, VIII, 1598); „...ღედა მისი რომ ქათმებს გასძახებდა: „რ რ უ, რ რ უ, რ რ უ ო! „ბახვა გამოხტებოდა სახლიდან და მიწიწინებდა კოდის წყაროზე პირდასაბანათ...“ (წერეთ., I, 207).

ბ უ ლ ი-ბ უ ლ ი, ბ ო ლ ი-ბ ო ლ ი — ბატის მოსახმობია!

ჰ ა უ, ჰ ა უ, ჰ ა უ! ან ჰ ა ი, ჰ ა ი, ჰ ა ი! — შეუკვილებენ შესაშინებლად ქორს, ძერას, რომ შინაური ფრინველი არ მოიტაცოს.

მ ა გ ა ლ ი თ ი:

„ჰ ა უ, ჰ ა უ, ქორო, ნუ ფრენ

ჩემს ეზოში დილ-დილასო!

არც მოგცემ და ვერც წამართმევ

ჩვენს ქოჩორა წიწილასო!“ (ლორთქ., II, 97).

ჰ ა უ-თი შესაშინებლად, გასაფრთხობად მიმართავენ არა მარტო მტაცებელს, არამედ შინაურ ფრინველებსაც:

„წამოვარდა ზეზე და უნებურადვე შეჰყვირა: „ჰ ა უ-ჰ ა უ ო!“ შეშინდა ფრინველი, შეფრთქილდა“ (აკაკი, IV, 233).

ქართული ენის ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით ა რ ნ. ჩ ი-ქ ო ბ ა ვ ა ს საინტერესოდ მიაჩნია შინაურ ცხოველთა და ფრინველთა მოსახმობი დაძახილები. ავტორი თავის წიგნში „იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია“, იხილავს რა მ ა ჯ ო ს ქართულ გრამატიკას, საკმაოდ ვრცლად ეხება შორისდებულებს და მათ შორის შინაურ ცხოველთა და ფრინველთა მოსახმობ სიტყვებსაც. იგი წერს:

„შორისდებულებში მ ა ჯ ო ს შეტანილი აქვს შინაურ ცხოველთა და ფრინველთა მოსახმობი დაძახილები: წეის... (თხისა), თ რ უ... (ცხკრისა), წნგეი. (ლორისა), გენშ... მოო (ძროხისა), წი წი წი ნიაუ (კატისა: „ციცუნია“), ბული... (ბატისა), ბუოთი... (ქათმისა) (გვ. 108—109).

აქედან: ბული-ბული („ღერღდის ხადილი“) ს ა ბ ა ს შეტანილი აქვს თავის ლექსიკონში. სხვები დიალექტებში შემოწმებას მოითხოვს, მაგრამ ამთავითვე შეიძლება ითქვას, რომ მაინცდამაინც ზოგი მათგანი (წეის, წნგეი, გენშ) ქართული ენის ისტორიის თვალსაზრისით უთუოდ საინტერესოა².

¹ იხ. ქეგლ, ტ. 1, გვ. 1166.

² არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა ს, იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია, თბილისი, 1965, გვ. 55—56

ამგვარად:

1. იმპერატიულ შორისდებულს ადამიანის მეტყველებაში ფართო და მრავალმხრივი გამოყენება აქვს. ის ადამიანის ნება-სურვილის (ბრძანების, გაფრთხილების, მოწოდების, გამხსნელების და სხვ.) გამოხატველ სიტყვა-სიგნალს წარმოადგენს თვით ამ ნება-სურვილის დაუსახებლად.

იმპერატიული შორისდებული ახლოს დგას ემოციურ შორისდებულთან და ამის გამო ისინი ერთი სახელწოდებით — „შორისდებულებით“ აღინიშნებიან, მაგრამ მეტყველებაში ისინი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან როგორც სტრუქტურის, ისე ფუნქციის მხრივაც.

განსხვავება შემდეგშია: ემოციური შორისდებულით გამოხატულია ანა თუ იმ საგნის ან მოვლენის ემოციური შეფასება ადამიანის მიერ იმის მიხედვით, თუ როგორ უყურებს იგი ამ საგანს თუ მოვლენას: მოსწონს, ახარებს, აბრაზებს და სხვ. იმპერატიულ შორისდებულის ფუნქციაა გამოხატოს ადამიანის ნება-სურვილები, მისი ინტონაცია უახლოვდება ზმნის ბრძანებითი კილოს ინტონაციას და სემანტიკურადაც ახლოს დგას მასთან. მიუხედავად ამისა, მათ შორის დიდი სხვაობაა: ზმნა ლექსიკური მნიშვნელობის მქონე სიტყვაა, ხოლო შორისდებული ლექსიკური მნიშვნელობის უქონელ სიტყვა-სიგნალს წარმოადგენს.

2. ემოციურსა და იმპერატიულ შორისდებულებს, მიუხედავად განსხვავებისა, აქვს საერთო და მსგავსი ნიშნები:

ა) არ აქვთ ლექსიკური მნიშვნელობა; ბ) მოკლებული არიან სიტყვაწარმოებისა და სიტყვათცვალებადობის უნარს; გ) ახასიათებთ განმეორებები; დ) როგორც ემოციურს, ისე იმპერატიულ შორისდებულებში გვაქვს ისეთი შორისდებულები, რომელთაც არა აქვთ სტაბილური ფონეტიკური სახე მათი წარმოთქმის თავისებურებათა გამო; ე) იმპერატიულ შორისდებულებს ზოგჯერ დაჰკრავთ გრძნობებისა და განცდების გამოხატვის ელფერი, რაც აახლოვებს მათ ემოციურ შორისდებულებთან; ვ) გვაქვს ისეთი შორისდებულები, რომლებიც იწოდებიან ემოციურებადაც და იმპერატიულებადაც. მათ მნიშვნელობას ერთმანეთისაგან ინტონაცია და მეტყველების კონტექსტი განასხვავებს; ზ) როგორც ემოციური, ისე იმპერატიული შორისდებული ზოგჯერ მომდინარეობს სხვა მეტყველების ნაწილებისაგან.

3. იმპერატიული შორისდებულები იყოფა ქვეკატეგორიად. მათ შორის მრავალრიცხოვანს, სტრუქტურულად და სემანტიკურად ნაირფეროვანს ცხოველთა და ფრინველთა მისამართავი შორისდებულები წარმოადგენს. ცხოველთა და ფრინველთა მისამართავ შორისდებულთა წარმოთქმაში განსხვავებაა. გარეკვის, გაფრთხობის შორისდებულებს, ჩვეულებრივ, მრავალგზის, მიჯრით განმეორებები არ ახასიათებთ. წარმოითქმის ხმამაღლა, მკვეთრად. მოსახმობი შორისდებულები, პირიქით, მეორდება და მათ მოფერების ინტონაციის იერი აქვთ. წარმოითქმის სწრაფად, მიჯრით (მიყოლებით), ზოგჯერ ხმოვნის გაგრძელებითა და ხმის აწევით პირველ მარცვალზე (ძიიბა, ძიიბა).

ხშირად მოხმობის შორისდებული გაგდების შორისდებულაცაა. განსხვავება, როგორც ვნახეთ, მათი წარმოთქმის თავისებურებაშია.

მოცემულ ქვეკატეგორიაში წარმოდგენილია ცხოველთა და ფრინველთა მისამართავი შორისდებულები, რომელთაც აქვთ მხოლოდ გაგდების ან გაფრთხობის მნიშვნელობა. ამ შორისდებულებს წინ ა ხმოვანი უზით (ა-ცე, ა-ჩუ, ა-ცხა და სხვ.).

4. მხატვრულ ლიტერატურაში წარმოდგენილია როგორც მსხვილფეხა, ისე წვრილფეხა ცხოველთა მისამართავი შორისდებულების ფონეტიკურად ნაირ-ნაირი ვარიანტები. მათი უმრავლესობის წარმოთქმაში მონაწილეობას ღებულობს ბაგეები, წარმოიშობა ვიბრაცია — თრთოლვა. ენის ფონეტიკურ სისტემაში ისინი ადგილს ვერ პოულობენ და ამიტომ წერაში მათი გრაფიკული გამოსახულება მიახლოებითია (თფე, ოტფრუ, ათფრი და სხვ.).

**შორისდებულთა რიგეზუი ზემაველი სიტყვები,
ფრაზები, ილიომები**

„შორისდებულის რიგეზუი დგას დღეს ზოგიერთი სიტყვა, რომ-
ლებიც იოქმის საფიცრად, მისალმების დროს, საალერსოდ და სხვა
შემთხვევებში“¹.

ფიცლის ფორმულები: დედაშვილობამ, დედას მზემ, დედის
ცხონებამ, ზიარების მადლმა, თქვენმა მზემ, თქვენმა სიცოცხლემ,
თუ ღმერთი გწამს, ლომისის მადლმა, მამაშვილობამ, მამაშვილობას,
მე და ჩემმა ღმერთმა, ღვთის გულისათვის, ღვთის მზემ, ღვთის
მადლმა, შვილოსა, შვილოსან, შენმა მზემ, შენმა ლხენამ, შენმა სი-
ცოცხლემ. შენმა გაზრდამ, შენს მზეს ეფიცავ, შენი წირვის მადლმა,
ქმობას, ქმობამ და სხვ.

მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი :

„ჰო, დედაშვილობამ! ალბათ არა ყოფილა ღვთის ნება...“
(აკაკი, V, 249); „— ვერაფერი მკითხავი ყოფილხარ, დედას მზემ,
კარგად გატყობ“ (მგალობ., 458); „დედის ცხონებამ, ეს ნამდ-
ვილი ჩემი საქმეა“ (გამს., წ. III, 255); „— ჰო, ზიარების
მადლმა!.. ახლაც არ დაიჭერებთ!“ (მგალობ., 567); „— თქვენ-
მა მზემ, ჩემო ბატონო, თუ შემთხვევით არ შევესწრებოდი მაშინ
თქვენ საქმეს, ვალსაც კი წამოგადებდათ ის“ (ბარნ., I, 186); „— არა,
თქვენმა მზემ, — დაუფიცე მეც“ (ილია, I, 254); „არავინ,
თქვენმა სიცოცხლემ!“ — დაამტკიცა ელისაბედმა“ (ილია,
I, 345); „— თუ ღმერთი გწამს, მალე გადარჩი მე საქმეს...“
(კლდ., I, 52); „— ლომისის მადლმა, მიწაა!..“ (არაგვ., II, 60);
„— გაქირვება ავაქაცებს, მამაშვილობამ, კაცსა, გაქირვებაი“
(მგალობ., 438); „— ქემმარიტია, მამაშვილობამ!“ (ფურც.,

¹ ა. შ ა ნ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 625.

262); „მამაშვილობას, არ გამილახო!“ (ლორთქ., II, 19); „— შეუქლიან კი, მე და ჩემმა ღმერთმა!“ (ბარნ., IV, 23); „არ ვიცი, ღმერთმანი, მეც ძალიან გამიყვირდა“ (ნინოშ., II, 52); „— მერე... მითხარ, მაშო, მითხარ, ღვთის გულისათვის, ყოველისაგან, ნუ რას დამიძალავ...“ (ყაზბ., II, 220); „— რათ მაშფოთებ! შენმა მზემ, ღვთის მზემ, თამარს მისცემ რაინდაძესა!“ (არდ., 173); „— არა, ღვთის მადლმა!“ (ყაზბ., II, 76); „შენც ხომ გლები ხარ, შვილოსა... არც შენგან იქნება სიკეთეო“ — ამბობდა მისი თვალები“ (ქიაჩ., I, 98); „— ეჰ, შვილოსან, წახდა ღრობა. ახლა მასხარადაც ამიგდეთ, რაღა?“ (ვაჟა, V, 101); „— შენმა მზემ. კონამ თუ იცის შენი ამბავი, აკი იმიტომ ებრალები, — უთხრა მას გიგომ“ (ლომ., I, 88); „— ჰო, შენმა ლხენამ, მატურს ღაგადგამენ, აი!“ (მგალობ., 475); „...დიახ, შენმა სიციოცხლემ: არ მიყვარსო?“ (კლდ., II, 26); „შენმა გაზდამ, გიორგი, არ არის კარგი, რომ კაცმა კაცი უსაბუთოდ ლანქლოს“ (ყაზბ., III, 314); „— შენ მზეს ვფიცავ, სოფიო!“ (არდ., 150); „— მოვართმევ, შენი წირვის მადლმა, მოვართმევ!“ (ლომ., I, 198); „— ავეტიქ, ძმობას, ერთი ხელი გამიმართე, ორი-სამი მანეთი მასესხე“ (გაბაშ., II, 15); „— ძმობამ, ახლა ამ ოცის თუმნის მეტი არა მაქვს“ (წერეთ., I, 404).

მოკითხვა-გამოთხოვების და დალოცვის სიტყვები: ავაშენოს ღმერთმა, აქა მშვიდობა, გამარჯობა, გაგიმარჯოს, გაღლეგრძელოს, გაუმარჯოს, გაგიმარჯოს ღმერთმა, გაღლეგრძელოს ღმერთმა, გამარჯვება მოგცეთ ღმერთმა, გზა მშვიდობისა, გზა დამილოცავს, გაკურთხოს უფალმა, გიშველოს უფალმა, გაგიგრძელებს სიციოცხლე, გისმინოს ღმერთმა, გისმინოს ლომისამ, დაგლოცოს უფალმა, დალოცოს ღმერთმა, დილა მშვიდობისა, დილა კარგა ყოფნისა, კარგი დაგემართოს, ინებოს ღმერთმა. ლომისი შეგეწვევის, მადლობა ღმერთს, მადლი უფალს, მშვიდობიან. მშვიდობა მოგცეს ღმერთმა, მშვიდობა აქაურობას, მშვიდობით ზრძანდებოდეთ, მშვიდობა თქვენს მობრძანებას, ნახვამდის, საღამო მშვიდობისა, საღამო კარგა ყოფნისა, ღამე მშვიდობისა, ღამე მშვიდობით, ღმერთმა გაუმარჯოს, ღმერთმა დამიფაროს, ღმერთმა შეგინდოს, ღმერთმა ხელი მოგიმართოს, ღმერთმა კეთილად გამგზავროს, ღმერთმა აცხონოს, ღმერთმა მშვიდობა მოგცეს, ღმერთმა აღლეგრძელოს, ღვთის წყალობა, ღმერთმა ნუ ქნას, ღმერ-

აშა ბრძანოს. ღმერთმა შენი ჭირი მომცეს, ღმერთმა დიდი დღე მოგცეს, ღმერთმა სასუფეველი დაუმკვიდროს, ღმერთმა გაგიმარკოთ, ღმერთმა შეგინდოს, ძილი ნებისა და სხე.

მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი :

„— აგა შენოთ ღმერთმა. — გამოსათხოვარი „ღამე მშვიდობისა“ წარმოთქვა ბოლოს“ (ქიაჩ., III, 76); „აქა მშვიდობა. ტარიელ გოლუა ვარ! მინდა მშვიდობა! — იყო პასუხი“ (ქიაჩ., I, 61); „— გამარჯობა! თქვენ ბრძანდებით მთისკაცი! მოგელოდით!“ (ქიაჩ., რჩ., 586); „გაგიმარჯოს, — უპასუხა ანზორამ ფეხზედ წამოდგომით“ (ყაზბ., I, 401); „— გადღე გრძელოს. დიდყურავ! გადღეგრძელოს, რქიანავ!“ (ვაჟა, V, 324); „— გაუშარჯოს ღმერთმა! — უპასუხა ორივემ თითქმის ერთხმად“ (ლორთქ., II, 234); „— გადღე გრძელოს ღმერთმა! — უკაცრაოდ კი, ვეღარა გცნობთ“ (ბარნ., II, 401); „სიმზიარულე არ გაკლიათ, ბატონო, გამარჯვება მოგცეთ ღმერთმა! — უთხრა ელიზბარმა“ (ბარნ., I, 96); „გზამ მშვიდობისა!.. ლხინი შენ და ჭირი მე“ (ილია, I, 297); „— გზა დამილოცავს, — წასჩურჩულა მათ კომისიის წევრმა საკანში შესვლისას“ (ქიაჩ., I, 372); „პატარძალს მოეხვივნენ დედაკაცები, ჩამოსვეს და გოჩასთან მიიყვანეს, რომელმაც მოიხადა ქუდი, ახსენა ღმერთი და უთხრა: — გაკურთხოს უფალმა“ (ყაზბ., II, 270); „— გისმინოს უფალმა! (ბარნ., II, 195); „გიშველოს უფალმა!“ (ყაზბ., II, 372); „ეჰ, რაღა სიტყვა გაგიგრძელო, გაგიგრძელდეს სიცოცხლე, მაინც-და-მაინც ადამიანი სულ სხვა არის“ (ილია, I, 392); „ამინ! გისმინოს ღმერთმა... ინებოს“ (აკაკი, III, 463); „ღმერთმა ქნას, გისმინოს ლომისამ!“ (ყაზბ., I, 73); „— დაუბრუნე, ერისთავო, მის ქვრივს და ობლებს, რაც ჩამორთმეული ჰქონდა... — დაგლოცოს უფალმა!“ (ლორთქ., I, 174); „ჰო, დალოცოს ღმერთმა; მისწრებაა, მისწრება!“ (მგალობ., 363); „— დილა მშვიდობისა, ყმაწვილო! — მომესალმა თეკლე“ (ბარნ., I, 309); „— დილა კარგა ყოფნისა! — მიესალმა სოსიკა“ (მგალობ., 382); „— მაგის დარდი ნუ გაქვს, ოცდაათ უღელ ხარ-კამეჩს დაგახვედრებთ მათხოჯს. — კარგი დაგეშართოს, — დააბოლოვა ბეკოიამ“ (წერეთ., I, 273); „— ინებოს ღმერთმა! თუ დაემხო ბიზანტია, მოგვეშლება ბურჯი საყრდნობი“ (ბარნ., VIII, 173); „ლომისი

შე გ ვ ე წ ე ვ ი ს! — მისცა იმედი თორღვამ“ (ყაზბ., I, 242); „ძლივს,
 ოპოო!“ — წარმოსთქვა მან. — „მ ა დ ლ ო ბ ა ლ მ ე რ თ ს!“ და
 გაღაიწერა პირჯვარი“ (ვაჟა, VI, 195); „— გადარჩა! — წარმოთქვა
 მოხუცმა. — მ ა დ ლ ი უ ფ ა ლ ს! — დაუმატა ვაჟიამ“ (ყაზბ., I,
 405); — „მ შ ვ ი დ ო ბ ი თ! — უთხრა გრძნობით ესმამ და თვალები
 მის სახეს დააშტერა“ (წერეთ., I, 249); „მარინე — მ შ ვ ი დ ო ბ ა
 მ ო გ ც ე ს ლ მ ე რ თ მ ა!.. როგორა ხარ, რასა იქ!“ (არაგვ., II, 527);
 „— მ შ ვ ი დ ო ბ ა ა ქ ა უ რ ო ბ ა ს! — აკანკალებული ხმით თქვა
 მოსულმა და დაუპატიებლად ბეზიას ლოგინთან დაეშვა ტანტზედ“
 (გაბაშ., II, 143); „მ შ ვ ი დ ო ბ ი თ ბ რ ძ ა ნ დ ე ბ ო დ ე თ!“ (კლდ.,
 I, 127); „მ შ ვ ი დ ო ბ ა თ ქ ე ე ნ ს მ ო ბ რ ძ ა ნ ე ბ ა ს...“ (გაბაშ.,
 II, 97); „— ნ ა ხ ვ ა მ დ ი ს! — ჩამოართვა ხელი უფროსმა და გა-
 ეშურა თავის ოთახში“ (წერეთ., II, 286); „ამ სიტყვების შემდეგ ის
 წყნარად, ჩუმად მივიდა ქალებთან და წყნარადვე უთხრა: — ს ა -
 ღ ა მ ო მ შ ვ ი დ ო ბ ი ს ა!“ (ყაზბ., I, 75); „— ხალხნო, ს ა ღ ა მ ო
 კ ა რ გ ა ყ ო ფ ნ ი ს ა, — წაიბუტბუტა გაბლიამ, თავი ჩაჰქინდრა
 და ცხვირზე ხელი მიის-მოისვა“ (მგალობ., 430); „— ღ ა მ ე
 მ შ ვ ი დ ო ბ ი ს ა, მ შ ვ ე ნ ი ე რ ო კ ნ ი ა ე ნ ა“ (გაბაშ., II, 303); „— ღ ა -
 მ ე მ შ ვ ი დ ო ბ ი თ, ა მ ბ ო ბ ს ქ ა ლ ი“ (ტაბ., IV, 274); „— ღ მ ე რ -
 თ მ ა გ ა უ მ ა რ ჯ ო ს, გ ა უ მ ა რ ჯ ო ს! — გავაწყვეტინე სიტყვა“
 (არაგვ., II, 29); „— ღ მ ე რ თ მ ა დ ა გ ი ფ ა რ ო ს! რ ა ც ო ღ ვ ა
 მიგიძღვის ანგელოსს?“ (ბარნ., III, 67); „— ღ მ ე რ თ მ ა შ ე -
 გ ი ნ დ ო ს! — მოაბრუნა სახე ქმრისაკენ ანასტასიამ“ (წერეთ., II,
 304); „— შენ დილაზე ადრე უნდა ადგე და, მანამ გათენდება, სა-
 ირმეში მიხვიდე, თოფს ტალი დაუპირე... ღ მ ე რ თ მ ა ხ ე ლ ი
 მ ო გ ი მ ა რ თ ო ს“ (ვაჟა, VI, 69); „— აბა, ჰე, შენ იცი!.. ღ მ ე რ -
 თ მ ა კ ე თ ი ლ ა დ გ ა მ გ ზ ა ვ რ ო ს! — მიატანა სიტყვა ბეკინამ“
 (კლდ., I, 123); „— ღ მ ე რ თ მ ა ა ც ხ ო ნ ო ს!.. — წაიბუტბუტა
 მიხეილმა“ (ლომ., I, 264); „— ღ მ ე რ თ მ ა მ შ ვ ი დ ო ბ ა მ ო გ -
 ც ე ს!“ (ბარნ., I, 193); „— ღ მ ე რ თ მ ა ა დ ღ ე გ რ ძ ე ლ ო ს!
 — იძახდნენ გლეხაკი მეზობლები“ (ფურც., 247); „— ღ ვ თ ი ს
 წ ყ ა ლ ო ბ ა! წამოდგა მთლად შეგიღრბობა და თაყვანი სცა ქიშმი-
 შას ცხვირს“ (მგალობ., 119); „— ღ მ ე რ თ მ ა ნ უ ქ ნ ა ს! მ ა -
 ინე ქვევას ახლო არის შენი სიტყვა“ (ბარნ., VIII, 439); „— ღ მ ე რ -
 თ მ ა ბ რ ძ ა ნ ო ს! — ეჭვენულად უპასუხა პოლკოვნიკმა“ (ყაზბ.,
 I, 345); „— მერე გაიღიმა და უპასუხა: — ღ მ ე რ თ მ ა ნ ე ნ ი ქ ი რ ო

მომცეს“ (წერეთ., II, 134): „—ღმერთმა დიდი უღებ მოგცეს. ბატონო პეტრე, ღმერთი დიდია, ვენაცვალე მის სახელს და მის სამართალს“ (იქვე, 363); „ყოფილან უწინ ხალხნი და დედის ძუძუც იმით უწოვნიათ, ღმერთმა სასუფეველი დაუღმკვიდროთ!“ (მგალობ., 220); „—ღმერთმა გაგვიმარჯოთ, — თქვა ერთმა და თავის ჰიშკარს მიადგა“ (ლორთქ., II, 264); „ღმერთმა შეგინდოს! — მოაბრუნა სახე ქმრისაკენ“ (წერეთ., II, 304); „—ძილი ნებისა, რწყილი კბენისა! — გოგოებმა ერთიერთმანეთს ბეჭებში ჩაჰკრეს და გაჰქროლდნენ სოფლისკენ“ (გაბაშ., I, 109).

საალერსო სიტყვები: გენაცვალე, გენაცვა, გენაცვალეთ, გეთაყვა, ვეთაყვანე, ვეთაყვათ, შენი ჰირიმე, თქვენი ჰირიმე, შემოკველე. ჰირიმე, შენ გენაცვალე, თავს შემოგველე, შენი კვენესამე, ჰირი მოგჰამე. შენი იმედის ჰირიმე, შენი სულის ჰირიმე, შენი გულის ჰირიმე, შენი ძუძუების ჰირიმე, შენი თვალების ჰირიმე, შენი ღებერთების ჰირიმე, შენი ჭანის ჰირიმე, შენი ღვთის ჰირიმე, შენი მუხლების ჰირიმე, შენი მადლისა და სახელის ჰირიმე, შენს სულს ვენაცვალე. შენს მადლს ვენაცვალე, შენს მზეს ვენაცვალე, ვენაცვალოს დედა და სხვ. მრავ.

მაგალითები:

„გენაცვალე, ჩემო ყირიმო, რა უნაგი მოგიკიდია?!“ (ვაჟა, III, 28); „კარგი გენაცვა, რა სათქმელია, გული მანდვე გაქვს, ისევ მთელია!“ (ერისთ., 43); „რა ვიცი, გენაცვალეთ, ამას კი აღარ ეშველა რა და...“ (ყაზბ., III, 346); „—არა, გეთაყვა. ეს. რაცა ვთქვი: ტყუილია?“ (ილია, I, 330); „—ეგრე, ჩემო დარეჯან. ეგრე. გეთაყვანე!“ (იქვე, 330); „მიირთვით აბა, გეთაყვათ!“ (ვაჟა, II, 363); „—ჰო, შენი ჰირიმე! ოლონდ ეს საქმე მომიხერხებთ და თქვენი მადლი არ გამიწყურეს...“ (გაბაშ., I, 59); „მიირთვით... მიირთვით, თქვენი ჰირიმე!“ (კლდ., II, 7); „მამა მტერი ნუ გგონია, შემოგველე... ვის გაუგონია, რომ მამამ შვილს უღალატა“ (ქიაჩ., I, 140); „ჰირიმე! ჰირიმე! ჰირიმე! შუგვერემანის ჰირიმე!“ (აკაკი, I, 238); „—დედა, დედა! შენი ჰირიმე, შენ გენაცვალე, ჩიტი მიყიდე! ნახე რა ლამაზია!“ (გაბაშ., II, 170); „—სულიყო — ჯან, გენაცვალე, თავს შემოგველე, ნუ ლაპარაკობ ეგრე!“ (ლომ., I, 283); „—დალიე, შენი კვენესამე!“ (ბარნ., I, 108);

„ — გაიღვიძე, შენ გენაცვალე, კირი მოგვამე“ (ვაჟა, VII, 32); „უცხო კაცი — აი, შენი იმედის კირიმე, შენი“ (ფურც., 439); „ბატონო ფილიპე, შენის ულის კირიმე, ერთი ლეკური, თუ გიყვარდე!“ (კლდ., II, 9); „მითხარ, შენის გულის კირიმე, ჩემო პაპავ!“ (ვაჟა, V, 160); „— შენი ძუძუების კირიმე, მიშველე რამე...“ (ლომ., I, 178); „რა ვქნა, შენის თვალების კირიმე, ჩემო არუთინავ“ (ვაჟა, V, 52); „გამოდი საცადასა ხარ დამალული და... ვაი, შენი ღმერთების კირიმე!..“ (ფურც., 439); „— ნათლიდელ, შენი ჭანის კირიმე, მიშველეთ რამე“ (მგალობ., 320); „აი, შენი ღვთის კირიმე, შენი!...“ (არაგვ., I, 178); „ნუ იზამ მაგას, შენი მუხლების კირიმე, ნუ!..“ (ყაზბ., I, 28); „— ღმერთო, წვიმა, ღმერთო, შენი მადლისა და შენისახელის კირიმე... — გაისმა რამდენიმე ხმა“ (ლომ., I, 81); „— რა ვქნა, შენს სულს ვენაცვალე, ბლალოჩინი ყურადღებას არ მაძლევს“ (მგალობ., 250); „— დიად, შენს მადლს ვენაცვალე, მაგისთვის გაახელ“ (ილია, I, 286); „— მიბოძე, ბატონო, ხელი... მიბოძე, შენ მზეს ვენაცვალე...“ (ლომ., I, 359); „— არა, გენაცვალოს დედა, ცოდოა, შვილო, როგორ იქნება, განა მაგას არა ჰყავს დედა!“ (ვაჟა, V, 16).

საბოდიშო და სამადლობელი სიტყვები: ბოდიში, მაპატიეთ, მომიტევეთ, უკაცრავად, გმადლობთ.

მაგალითები:

„ — ბოდიში, პატივცემულნო, მსაჯულნო, მე ეს ბრალდებული ჩემი შვილი მეგონა; თურმე ვილაყ ქუჩის მაწანწალა ყოფილა!..“ (კასრ., 478); „მაპატიე... ვერ დაგიფარე, ჩემიანი რომ ხარ ამისათვის“ (ქიაჩ., I, 311); „— მომიტევეთ! — ბრძანდებოდეთ! ბრძანდებოდეთ! როგორ გიკითხოთ?“ (ლორთქ., I, 235); „— უკაცრავად, ბატონო კაცია, ასე კადნიერად რომ მოგმართეთ!!!“ (არაგვ., II, 334); „— გმადლობთ, დედი ჭან! — უთხრა გიორგიმ და ისეთი თვალით შეხედა დარიკოს, როგორც ღვთისმშობელს სასწაულთმოქმედს“ (ბარნ., III, 19).

ლანძღვისა და წყევლის სიტყვები: შეგაჩვენოს ღმერთმა, შეგარცხვინოს ღმერთმა, ღმერთმა დაგწყევლოს, დალახვრა ღმერთმა, შენ კი დაილუპე, გამჩენმა ამოგაგდოს და სხვა მრავ.

მაგალითები:

„—აი შეაჩვენოს ღმერთმა! — დაიძახა აღშფოთებით ანდრეამ“ (ლომ., I, 463); „—ფუი, შეგარცხვინოს ღმერთმა!“ (მგალობ., 197); „ოჰ, ღმერთმა დაგწყევლოს, შეკუდიანო!“ (წერეთ., I, 490); „—დალახვრა ღმერთმა! საიღამ სად მოგვიკითხა!“ (ილია, I, 369); „—უი, შენკი დაიღუპე. შენ!“ (დად., 294); „—უჰ, შენ ამოგაგდოს ღმერთმა!“ (მგალობ., 201); „—აი, გამჩენმა ამოგაგდოს, გამჩენმა, კაი ადამიანიშვილი შენა ხარ!“ (არაგ., I, 5); „—უი, თვალები კი დამიდგეს, გათენებულა კიდეც!“ (ლორთქ. I. 111); „—აი, შეგირცხვა თავი!“ (აკაკი, IV, 37).

შორისდებულის აღვილი და ფუნქცია წინადადებაში

შორისდებული ხშირად გვევლინება როგორც დამოუკიდებელი სიტყვა-წინადადება. „შესაძლოა, მარტო შორისდებულით მთელი პაზრი გამოითქვას, მაგ. ვაშა“¹. „შორისდებული. რომელიც ადამიანის გრძნობასა და ნება-სურვილს უშუალოდ გამოხატავს, თავისი დანიშნულებით წინადადების ბადალია“². ასეთია, მაგალითად, ემოციური შორისდებულები: ო ხ! ვ ა შ ა! ყ ო ჩ ა ლ! ვ ი შ! ვ ა ი მ ე! და სხვა მრავალი. ასევე, იმპერატიული შორისდებულებიც გამოდის წინადადების ფუნქციით: ჰ ე ი! ა რ ი ქ ა! ა ლ ლ ო! ა ც ხ ა! და სხვ.

მოვიყვანოთ მაგალითი, როდესაც მდგომარეობა, პირობები, სიტუაცია შესაძლებელს ხდის წარმოითქვას ერთი შორისდებული, რომელიც მთელი წინადადების შინაარსის შემცველი იქნება:

„ — მაინც ფასი თქვი.

შენი ხათრისათვის ოცდახუთი თუმანი.

— უ ჰ, უ ჰ!..“ (ბარნ., VI, 93).

მოკემულ დიალოგში შორისდებულის წარმოთქმისათვის პირობებს ქმნის კონკრეტული რეალური სინამდვილე. მისი წარმოთქმა განპირობებულია თანამოსაუბრის სიტყვებით. რომლებიც მთქმელში იწვევს აღელვებას, აგზნებას. იგი უძლურია უეცარი რეაგირება მოახდინოს სიტყვებით და თავისი სათქმელი გადასცეს თანამოსაუბრეს. ამიტომ იყენებს შორისდებულს, რომელიც უეცრად აირეკლება ამოძახილის სახით და ცნობიერების (მნიშვნელობის) თვალსაზრისით მთელი წინადადების ფუნქციის მატარებელია.

¹ პირველ-დაწყებითი ქართული გრამმატიკა, შედგენილი არ. ქუთათელაძისა და ნ. ტფილისის, 1894, გვ. 130.

² ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბილისი, 1966, გვ. 309.

დაახელებული შორისდებულის (უკ. უკ) ბადალი წინადადება მოცემულ შემთხვევაში პირობითად შეიძლებოდა ასეთი ყოფილიყო: „აღიერ ძვირს აფასებ“.

შორისდებული, თუ ის ახლავს წინადადებას, მასთან აზრობრივად დაკავშირებული და არა სინტაქსურად, გრამატიკულად.

მაგალითი:

— უი. გოგონა, მაგას რას მეუბნები!“ (წერეთ.. 1, 262).

დამოწმებულ წინადადებაში უი შორისდებული დამოუკიდებელ კომპონენტს წარმოადგენს. ის ორგანულადაა დაკავშირებული მომდევნო წინადადების შინაარსთან. გარეგნულად ეს კავშირი იმა შორის ინტონაციაში ვლინდება. თუ ჩამოვთვრობთ შორისდებულს. წინადადება დაკარგავს ემოციურ-ექსპრესიულსა და ინტონაციურ ზემოქმედებას, რომელსაც იგი შორისდებულისაგან, როგორც ინტონაციურად წამყვანი სიტყვისაგან, იძენს.

შორისდებულს წინადადებაში ერთი გარკვეული ადგილი არ უკირავს. ის შეიძლება შეგვხვდეს თავშიც, შუაშიც და ბოლოშიც. მიუხედავად ამისა, მისი ბუნებრივი ადგილი მაინც წინადადების თავშია.¹ იგი უსწრებს წინადადებას და იძლევა წინასწარ სიგნალს სიტყვებით გამოხატული ემოციის გადმოსაცემად, ე. ი. გვევლინება როგორც წინაპირობა წინადადების წარმოსათქმელად, რადგან ეს წინადადება, როგორც წესი, ხსნის შორისდებულის სემანტიკას.

მაგალითი:

„აჰ, შენ ვერ გამოდგები კომკავშირში!“ (ლორ.. 42).

როგორც ითქვა. შორისდებული გვხვდება აგრეთვე წინადადების ბოლოში და შუაში. წინადადების ბოლოში მოქცეული შორისდებულ კავშირშია წინამავალი წინადადების შინაარსთან და ამიტომ მას შესაძლებელია აღარც მოსდევდეს წინადადება, რადგან მისი აზრი ცხადი ხდება წინამავალ წინადადებასთან კავშირის საშუალებით.

მაგალითები:

„...ისე მიყვარს, როგორც თევზს წყალი, როგორც ფრინველს ჰაერი!.. ოო!“ (ყაზბ., I, 403): „მაგაზე ფიქრი ტყუილი თავის მტვრევაა, ჩემო დობილო, ტყუილი ოცნებაა! ოჰ, ოჰ!“ (ვაჟა, VII, 24).

¹ იხ. რ. შამელაშვილი. განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები ქართულში და მათი სწავლების მეთოდთა, თბილისი, 1958, გვ. 75.

შორისდებულის ადგილი წინადადების ბოლოში არცთუ ბუნებრივი მოვლენაა. პოსტპოზიციურად მდებარე შორისდებულის წარმოთქმის მაღალი ინტონაცია იძულებულს გვხდის შინაგან მეტყველებაში გავიმეოროთ წინამავალი წინადადება ან მასში შემავალი კალკეული სიტყვები. მაგალითად, წინადადებისა და მის ბოლოში მდებარე შორისდებულის წარმოთქმის შემდეგ „რარიგად ჩამოცხა: უჰ!“, ჩვენ თითქოს შინაგან მეტყველებაში ვიმეორებთ სიტყვებს: „რა რიგად ჩამოცხა!“

ამიტომ ხშირად, როცა შორისდებულს პოსტპოზიციური ადგილი უკავია, მის შემდეგ მეორდება თვით წინადადება ან მისი ვარიანტები, ანდა წინადადების ის წევრები, რომელთაც დაკისრებული აქვთ მეტად საჭირო, მნიშვნელოვანი აზრის გადმოცემა ემოციურობის თვალსაზრისით, და მაშინ შორისდებული იკავებს თავის ბუნებრივ პრეპოზიციულ ადგილს.¹

მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი :

„მინდა... ოჰ, ღმერთო, რა ფრიად მინდა, რომ მოგონებით გული მეტყინოს!“ (ეაყა, II, 210); „...მეშინია, მეშინია... ოი, რა მეშინია!“ (ლომთ., 273); „...მივალ! ოღონდ კი ჩქარა, ახ, ჩქარა მივალ, დავემხვები მის წინ, კალთას დავეკოცნი უღირსი“ (ბარნ., IV, 195).

როგორც აღვნიშნეთ, შორისდებული გვხვდება წინადადების შუაშიც, მაგრამ ამ პოზიციაში შორისდებულს არა აქვს სრულყოფილი, მისთვის ჩვეული ექსპრესიულობა, რადგან მისი ინტონაცია შესუსტებული და შევიწროებულია სხვა სიტყვებით. იგი წარმოითქმის თითქოს გაკვრით, სასხვათაშორისოდ.

მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი :

„ — სჯობს განვშორდე ამ საწყალ ოჯახს, სამუდამოდ განვშორდე ლამაზს, ახ, მშვენიერს!“ (ბარნ., IV, 82); „ვერა ბედავდა შემოსვლასა. თვისი საქციელი ჰქეჯნის, ბავშვს. დასრულება არ დააცალა, ძალად დაჰბადა, და, უჰ, წყალში გადააგდო...“ (არაგვ., I, 270). ამიტომ მხატვრულ ტექსტებში მწერალი ხშირად მიმართავს სასვენი ნიშნებით (სამწერტილით ან ძახილის ნიშნით) შორისდებულის დაცილებას წინამავალი და მომდევნო სიტყვებისაგან. ამით მას სურს, ბუნებრივი გახადოს შორისდებულის ადგილი წინადადე-

¹ Г. Д а г у р о в, Русский язык в школе, № 6, 1958, стр. 13.

ბის შუა პოზიციაში და გვიჩვენოს მისი ინტონაციურ-ექსპრესიული უბრატესობა სხვა სიტყვებთან შედარებით.

მაგალითები:

„— მაგას თუ გამოვდგომოდი, ე,ჰ უ!.. ეგ შორს წავიდოდა“ (წერეთ., I, 171); „ეხლა კი ვიცი... ოჰ. რამდენი მტერი გყავს! ოჰ ადამიანო!..“ (ვაჟა, V, 14); „— მე რომ არაფერი გამიგონია? თუმცა შორს კი ვართ სოფლიდან, მაგრამ... ჰმ... უთუოდ ჭორია! უთუოდ ჭორია! — ამბობდა ტარიელი“ (ქიაჩ., I, 52).

არაიშვიათად შორისდებული მიმართვის ფორმასთანაა. შორისდებული რიგ შემთხვევაში მიმართვის ფორმის გამაძლიერებლად გვევლინება (თუ ის დაძახილია ან შეძახილი), ხოლო ზოგჯერ რაიმე ემოციების გამოხატვის მიზნითაა წარმოთქმული.

მაგალითები:

„ე ი, კოსტია, — დაიძახა ცოტა ხნის შემდეგ ოთახიდან ვილამაც“ (ლორთქ., I, 112); „ჰაუ, ტარიელ!“ (ქიაჩ., I, 54); შდრ. „— აა, ლადიკო, მას ასეა შენი საქმე?“ (ლორთქ., II, 430); „გ ი ჰ, გიორგი! ეუდად ნულარ ახსენებ ლუარსაბს“ (ფურც., 460).

შორისდებული ხშირად რამდენჯერმე მეორდება. ამით მისი ინტონაციურ-ექსპრესიული ძალა იზრდება და თუ მას ახლავს წინადადება. მაშინ წინადადებაზე შორისდებულის ინტონაციურ-ექსპრესიული ზემოქმედების ძალა შესაბამისად მატულობს.

მაგალითები:

„— ჰო, ჰო, ჰო! რა პურ-ლეინოა!“ (ნინოშ., I, 156).

წინადადებაში შეიძლება განმეორდეს არამარტო ერთი და იგივე შორისდებული, არამედ ერთმანეთის გვერდით წარმოდგენილი იყოს ერთნაირი მნიშვნელობის სხვადასხვა შორისდებული. სხვადასხვა შორისდებულს კიდევ მეტი სიცხოველე და დინამიკურობა შეაქვს მასთან მდგომ წინადადებაში.

მაგალითები:

„— უჰ უ! ბა, ბა, ბა, ე ვერანები. რა კიტრებივით გორავენ და!“ (მგალობ., 193); „ბ ი ჰ ო ს! ყ ო ჩ ა ლ, აი გენაცვალე მა თვალებში!“ (ვაჟა, VII, 263).

თანამედროვე ქართულ სასაუბრო ენაში ფართოდაა გავრცელებული სიტყვათშეერთებები, რომელთა შემადგენელ ელემენტს შორისდებული წარმოადგენს. ა. შ ა ნ ი ძ ე ასეთი წინადადების შესახებ წერს: „ჩვეულებრივია შემასმენლის გამოტოვება ძახილის

წინადადებაში, რომელშიც შორისდებული ქვემდებარედ შედის: „ფუ მაგა მამაცობასა!“ („ვეფხ.“, 910); „ფუჰ შენს თავსა და ტანსა!“ (ვაჟა, VI, 480); „ვაშა მათ მოღვაწეობას, ვაშა მათ ამაყს ღროშასა!“ (ვაჟა, II, 32, 7-8) „ოლოლო შენ!“ (ქაქუც. 338, 29)“...¹

ცხადია, რომ შორისდებული წარმოდგენილ წინადადებებში ქვემდებარეა გამოტოვებულ შემასმენელთან, მაგრამ შორისდებულს არ აქვს დაკარგული გრძნობებისა და განცდების გამოხატვის უნარი, ისე როგორც ეს ხდება მაშინ, როცა შორისდებული იცლება ყოველგვარი ემოციურობისაგან და წინადადების წვერად იქცევა ხოლმე. ზემოთ დასახელებულ წინადადებებში შორისდებულის ინტონაციურ-ექსპრესიული ზემოქმედების გამო წინადადებიდან ითიშება მოსალოდნელი შემასმენელი, რომლის ცალდაც თვით ეს შორისდებული იგულისხმება. იქმნება შორისდებულისანი სიტყვათშეერთება. მასში შორისდებული დგას პირველ ადგილზე, რომელსაც, ჩვეულებრივ, მოსდევს ნაცვალსახელი. ისინი ინტონაციურად ერწყმიან ერთმანეთს და ქმნიან დამოუკიდებელ ერთეულს მომდევნო სიტყვასა თუ სიტყვებთან მთლიანობაში, რომელშიც აგრეთვე წარმოდგენილია ირიბი დამატებაც.

შორისდებულის ინტონაციური გავლენა იმდენად დიდია მის მომდევნო სიტყვებზე შეერთებებში, რომ ემოციურ-ექსპრესიული მნიშვნელობა გამოხატულია ამ სიტყვათშეერთების მთლიან კომპლექსში². წინადადებებში ძირითადად გვხვდება შორისდებულები: ვ ა ი, ვ ა ჰ, უ ი, ფ უ, ფ უ ჰ, ა ფ ს უ ს, ყ ო ჩ ა ლ, ბ ა რ ა ქ ა ლ ა, ო ლ ო ლ ო და სხვ.

დავიმოწმებთ რამდენიმე მაგალითს:

„უ ი შე ნ ს დ ე და ს ა. შვილო! — შესძახა დედაკაცმა და კავები ჩამოიწიწკნა, მუხლებზე ხელები დაიკრა“ (ბარნ., II, 455); „ეტკირებოდათ თუ არა, სულ ერთი იყო, მაინც თავში უნდა ეტყეპნათ და ებახნათ წინდაწინ დაზეპირებული სიტყვები: „ვ ა ი ჩ ე მ ს უ ბ ე დ უ რ ე ბ ა ს!“ (წერეთ., I, 316); „ყ ო ჩ ა ლ შე ნ კ ა-

¹ ა. შ ა ნ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, ვე. 627.

² იხ. Н. Шведова, Междометия как грамматически значимый элемент предложения в русской разговорной речи. Вопросы языкознания, № 1, 1957, стр. 85.

ცობას. ათანაევ...“ (წინომ., I, 143); „იი, შენ და შენ ეშ-
მაკსა!..“ (არაგვ., II, 218); „ვაი შენ! — დაუყვირა ლიტომაც“
(წერეთ., II, 67); „— ეე, შენცა! ძალიან კი გაიგეს აი“... (ბარნ.,
V, 62).

შორისდებული დამოუკიდებელ კომპონენტად წარმოდგენილია
ყველა სახის წინადადებაში — მარტივში, შერწყმულსა და რთულში.

1. შორისდებული მარტივ წინადადებაში:
„— ეე, ბავშვის ბუნება არა გცოდნიათ...“ (მგალობ., 140); „ჰა, ჰა,
აქ აზნაურობაზე ნუ იქნება ლაპარაკი!“ (აკაკი, V, 288); „— აჰუ!
მაგას როგორ ამბობ?!“ (ყაზბ., I, 60).

2. შორისდებული შერწყმულ წინადადებაში:
„— ერიჰა! დავბერდი, დავკარგე ფიქრთა სიფხიზლე...“ (ბარნ.,
V, 228); „ვაიმე, ვაიმე! რა წამი, რა ბედი დავკარგე!..“ (წე-
რეთ., I, 383); „უჰ, რა სულელური, რა ბრიყვეული, რა სასაცილო
სახე აქვს გიორგის ამ სურათზე, ამ სურათის წინაშე!“ (ლომთ., 492).

3. შორისდებული რთულ თანწყობილ წინა-
დადებაში:

„მივარდა ლოცვანს, დააყრდო სხივზედ

და, ეჰა, სხივმა არ დაიქირა!..“ (ილია, I, 199);

„ხუმბეტმა წელიწადმა გაიარა ამის შემდეგ და, აჰა, დღეს შემ-
თხვევით შემხვდა“ (არაგვ., II, 241).

4. შორისდებული რთულ ქვეწყობილ წინა-
დადებაში:

„უ, რომ მცოდნოდა, საყურდგლეს წავიდოდი!“ (ლორთქ., I,
113); „ახ, რომ იცოდე. ჩიტუნო, რარიგად შეგიყვარებდით!“ (აკა-
კი, II, 517); „მყოლებოდა დედაშენი ცოცხალი, ჰეი, შვილო, ჩე-
მისთანა ბედნიერი ქვეყანაზე კაცი არ იქნებოდა!..“ (კლდ., I, 117);
„ჩემო ძმებო! ოჰ, რა გამიხარდა, რომ კიდევ თვალით დაგინახეთ“
(ვაჟა, VII, 257).

შორისდებული არაიშვიათად რთულ ქვეწყობილ წინადადებაში
წარმოდგენილია როგორც მთავარი, ისე დამოკიდებული წინადადე-
ბის ფუნქციით. „ასეთი შორისდებული შეიძლება იყოს ერთ-ერთი
კომპონენტი რთული წინადადებისა“.¹ იგი წინადადების ბადალია.

¹ ლ. კვაჭაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 310.

1. შორისდებული მთავარი წინადადების როლში:

დამოკიდებულ წინადადებას შორისდებულთან აკავშირებს რომელიც კავშირები. ამათგან უფრო ხშირია პირველის ხმარება: „ჰეი, ჰეი, რო მუშტზეა ეხლა საქმე, მუშტზედ!“ (გაბაშ., II, 103); „ეაი, რომ არც ეს არის!“ (ილია, I, 325); „ყოჩაღ, ბიჭო, ყოჩაღ, რომ გამოჩალთუხარ!“ (ნინოშ., II 148); „ახ, რომ ჯერ ფული არა მაქვს!“ (ბარნ., I, 277); „ეაი, ვინც არ დამიხვედება თბილ ოთახში ქურქმოსხმული!“ (აკაკი, I, 202).

ყაზბეგის ენაში მთავარი წინადადების ფუნქციით ხშირად გვხვდება შორისდებული ჰაი (განმეორებით ჰაი, ჰაი), რომელიც გამოხატავს მტკიცე ემოციურ დასტურს.

მაგალითები:

„ჰაი, ჰაი, რო აგრეა, — დაუმოწმეს სხვებმა“ (ყაზბ. II, 301); „ჰაი, ჰაი, რომ ხალხია და კარგი ხალხიც, ღვთის მადლმა!“ (I, 359); „ყაზბეგის ენაში მდიდრადაა წარმოდგენილი შორისდებულები და ეს არ არის შემთხვევითი: ყაზბეგის ტემპერამენტს და თხრობის ექსპრესიას სავსებით შეეფერება შორისდებულის სემანტიკური თავისებურება“.¹

მთავარი წინადადების ფუნქციით ჰაი, ჰაი შორისდებულს იყენებს ვასილ ბარნოეცი, ხშირად — უკავშიროდ, ზოგჯერ —სასვენი ნიშნების გარეშე: „—ჰაი, ჰაი, რომ ცოდვა არის!“ (VII, 407); „— ჰაი, ჰაი, მირჩვენია!“ (VI, 46); „— ჰაი, ჰაი ჰყავსო!“ (VIII, 233); „— ჰაი, ჰაი მოსასპობნი არიან!“ (იქვე, 147).

მთავარ წინადადებად ზოგჯერ წარმოდგენილია შორისდებულიანი სიტყვათშეერთებები. საკავშირებელი სიტყვების გამოყენება დამოკიდებულ წინადადებისა მანთან დასაკავშირებლად აქ უფრო ფართოა. გვაქვს კავშირში: რომ, სადაც, რომელიც, ვინც და სხვ.

მაგალითები:

„ეაჰ დედას მაგათსას, რომ ამისთანა სიცხე დაგვიდგა!“ (ფურც., 489); „ეაი დედასა, რომ სწავლა გაგვიძნელდა“

¹ შ. ძიძიგური, ძივანი ქართული დიალექტოლოგიდან, თბილისი, 1954, გვ. 129.

(ვახაშ. II, 73): „უ! იმ მოედანს, სადაც ვირები ბედაურობენ!“ (აკაკი, I, 349); „ვაი იმ უცხო, მეზობლის მამალს. რომელიც ჩვენს ეზოში შემოსვლას გაჰბედავს!“ (ვაჟა, V, 147); „ვაი მაშინ იმას, ვინც ცოდვილია!“ (იქვე, 82); „ვაი მას. ვინც ჩემს ნახირს აენებს აქ თუ იქ!“ (ბარნ..VII, 315); „შაბაშ იმ ერსა. რომელსაც უღირსნი მეთაურობენ!“ (აკაკი, I, 349).

2. შორისდებული დამოკიდებული წინადადების ფუნქციისა: მოცემულ შემთხვევაში შორისდებულს ჩვეულებრივ მთავარ წინადადებასთან რომ კავშირი აერთებს. მხატვრულ ტექსტებში ამ ტიპის წინადადებები იშვიათად გვხვდება, ზეპირმეტყველებაში კი ფართოდაა გავრცელებული. დავიმოწმოთ მაგალითები მხატვრული ლიტერატურიდან:

„— იცი, მარო. ისეთი კარგია რკინიგზა, ისეთი, რომ ჰაა!..“ (ლომ.. I, 419); „ახლაც ძალიანია, ბეგლარ, ახლაც ძალიანია! — წამოიძახა პორფირიმ, — ისეთი მათრობელაა, რომ ჰო, ჰო, ჰო!“ (კლდ., I, 235); „— უ ი, გენაცვალე! დღევანდელი დღე მკითხავის ბაქში სუ მა ყარაიაზე ლაპარაკობდნენ. აქებდნენ, ისეთი აქებდნენ, რო ჰა!“ (ლომ., I, 62); „იზღერის ბალი განათლების გვირგვინია, ისეთი ბალია. რომ „მწუ“ (ილია, II, 11).

ვაი — შორისდებულიანი სიტყვათშეერთებები გვაქვს რთული თანწყობილი წინადადების ერთ-ერთ წინადადებად. მას ჩვეულებრივ მომდევნო ადგილი უკავია და აღნიშნავს, რომ წინამავალ წინადადებაში დასახელებული რამ არის ცუდი, მძიმე, ნაძალადევი და მისთ. საკავშირებელ სიტყვად გვაქვს მაგრამ.

მაგალითები:

„— პირველ მამლის ყივილის შემდეგ დამეძინა, მაგრამ ვაი იმ დაძინებას!“ (ლომ., I, 33); „მიფერინავ, მინდა მოვეწიო ჩემს ამხანაგებს, მაგრამ ვაი ამისთანა ფრენას!“ (ვაჟა, V, 95); „...რუსის ჭარი გამაგრდა მინდორზედ, მაგრამ ვაი იმ გამაგრებას!“ (ყაზბ., I, 34E).

შორისდებული გვევლინება წინადადების ამა თუ იმ წევრადაც. „შორისდებული, რომელიც სახელის მნიშვნელობით არის ნახმა-

რი ბრუნვის ფორმას იღებს და წინადადების წევრია.¹ ის „შეიძლება გამოვიდეს წინადადების ყველა წევრის როლში.“²

მოცემულ შემთხვევაში შორისდებული კარგავს მისთვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს: გრძს აბების, განცდებისა და ნებასურვილების გამოხატვის უნარს, აღარ აქვს მისი მნიშვნელობის გადმომცემი საშუალება-ინტონაცია. შორისდებული, როგორც დამოუკიდებლად მდგომი სიტყვა ან ბგერათა ჯგუფი, სახელის მნიშვნელობითაა გამოყენებული და წინადადებაში შედის მის სრულ-მნიშვნელოვან წევრად. გაარსებითებული შორისდებულით მხოლოდ მისი წარმოთქმის ფაქტია დასახელებული.

მაგალითად, „ვ ა შ ა ა ა! — ყველა ხარხარით ყვიროდა უ რ ა ს“ (არაგვ., II, 14).

ამ წინადადებაში ვ ა შ ა ა ა! შორისდებულია, რომლითაც გამოხატულია ალტაცება, უ რ ა კი მომხდარ ფაქტს აღნიშნავს გრძობებისა და განცდების გამოხატვის გარეშე. იგი ქცეულია ბრუნებად სიტყვად. დგას მიცემით ბრუნვაში და პირდაპირი დამატება³.

მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი :

„ყველამ ერთად ასტებეს ჩოჩქოლი. გაჩნდა „პ ა ი-ჰ უ ი“ (ვაკეა, V, 320); შორისდებული პ ა ი-ჰ უ ი ამ წინადადებაში ქვემდებარეა.

„თითონაც უჩქმიტა და ზედ ტკბილის ხმით ღიმილით „პი!“ დაატანა“ (ილია, I, 378) — აქ კი პირდაპირი დამატებაა.

„ვ ა ი ს“ უნდა გავეყაროთ, მაგრამ „უ ი ს“ — შევეყაროთ“ (აკაკი, I, 205) — აქ ირიბი დამატებაა.

„გავცვალეთ ბახი-ბუხები

„ვაიდელდაოს“ თქმაშია“ (ვაკეა, IV, 157) — აქ უბრალო დამატებაა.

— მსმენელს მოვსდებ ყურებში ჟანგს, დავსდგამ „ვ ა ი ს“ მაღალ ხორას!“ (აკაკი, I, 85) — აქ განსაზღვრებაა.

¹ ლ. კვაჭაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 310.

² Г. Г о л е т н а н и, Сопоставительная грамматика русского и грузинского языков, ч. I, Морфология, Тбилиси, 1970, стр. 500.

³ ყ ვ ი რ ო დ ა ზ მნ ა ჩვეულებრივ გარდაუვალია, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში იგი გააზრებულა როგორც გარდამავალი და პირდაპირი დამატებაც აქვს შეწყობილი.

„აღების ღამე იყო. ბერიკეები მომივიდნენ სტვირით. ფანდურით. ლხინით. ჰაი-ჰუით“ (ვაჟა. VII. 14) — აქ ვითარების გარემოებაა.

„— ა ხ ი ც ი ყ ო ა მ ავაზაჯზედ!— მოუწონეს იმას“ (ყაზბ., I, 324). „ა ფ ს უ ს ი ა. რომ წაიღოს, — შეახალისა ეკამ“ (ბარნ., I, 146). „ქალი რომ დაბადება. „უ ი“-ს მიაძახებენ და მართლაც უ ი ა მისი წუთისოფელიო“ (ლორ., 259) — აქ შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილია.

„...დათუას გააცევა. მთელი ერთი კვირა ი ვ ა ხ ვ ა ხ ა“ (ქეგლ. ტ. IV. 611): „ზოგი ჩუმადა ვ ი შ ვ ი შ ე ბ ს. ზოგიც ხმამალა ტირისა“ (ქეგლ. ტ. IV. 76): „არ მოვბრუნდე, მომიგლოვე. მიტირე და მ ი ვ ა გ ლ ა ხ ე“ (ვეფხ. ტყაოს. 155) — მოცემულ წინადადებებში ზმნებია — ი ვ ა ხ ვ ა ხ ა, ვ ი შ ვ ი შ ე ბ ს, მ ი ვ ა გ ლ ა ხ ე.

შორისდებულები წინადადებებში ზოგჯერ ზმნა-შემასმენლის ფუნქციით გვხვდებიან: „ხირჩლა მივაყენოთ კედელთან, დანარჩენები ზურგზე შეახტებინ და ჰოპ... ჰოპ“.. (გამს.. V, 591); გათენებამდე ჩვენ სოფელში ჩავალთ, მერე ჩავსხდებით რკინიგზაში და ჰაი და...“ (ლომ., I, 419); აპყევბოდა ქუჩის ბიჭებს და ე რ ი ჰ ა !...“ (ბარნ., VI. 376): „დასწვდა ბატონებო, ი შეშინებულ ქალს, შემოვლო ტახტაზე და ჰ ე რ ი“ (ბარნ., III. 50).

სტილისტური დანიშნულების თვალსაზრისით ემოციური შორისდებულის ფუნქცია წინადადებაში უფრო ფართო და მრავალმხრივია, ვიდრე იმპერატიულია. ემოციური შორისდებული გავლენას ახდენს წინადადების სტრუქტურაზე, ქმნის წინადადებათა თავისებურ წყობას, ამცირებს სიტყვათა რაოდენობას, ამავე დროს განსაზღვრავს წინადადების წარმოთქმის ინტონაციურ-ექსპრესიულ მხარეს¹ და სხვ.

მაგალითისათვის მოვიყვანოთ ასეთი წინადადება:

„— სადედოფლოა! დაჰშვენდება სახელმწიფო მორთულობა, ტახტი მკობილი. ვინ შეედრება?! ვ ა ჰ, რომ უბრალო კაცის შვილია!“ (ბარნ., VII, 185).

„— ვ ა ჰ, რომ უბრალო კაცის შვილია“ — ინტონაციით გადმოცემული შორისდებულის მაღალი გამომსახველობითი აზრი ამ წინადადებაში განსაზღვრავს მთქმელის განწყობილებას, მის დამოკი-

¹ იხ. ალ. გვენცაძე, სტილისტიკის საკითხები, თბილისი, 1971, გვ. 52.

დებულებას ფაქტისადმი. იგი წუხს, რომ ქალი „უბრალო კაცის შვილია“. შორისდებული ვაჰ მოკლედ და ექსპრესიულად გამოგვცემს ამ განცდას — ჩივილს, რომელიც დაახლოებით ასეთი წინადადებით შეგვეძლო შეგვეცვალა: „ძალიან სამწუხაროა.“ მოცემულ წინადადებაში შორისდებული ამცირებს სიტყვათა რაოდენობას, ემსახურება სათქმელის მოკლედ გადმოცემას და ქმნის წინადადების კონსტრუქციას — იგი მთავარი წინადადების როლს ასრულებს.

იქ, სადაც ჭარბობს ადამიანის განცდები და ემოციები, შორისდებულები უხედაა წარმოდგენილი. სულიერი მდგომარეობის დაძაბვისას მწერალი პერსონაჟს შორისდებულების ხშირი გამოყენებით აქეტყველებს. ამით მწერალი ხსნის პერსონაჟის ზასიათს, ახდენს მომხდარი ამბისადმი მისი განწყობილებისა და დამოკიდებულების ჩვენებას.

დ. კლ დ ი ა შ ვ ი ლ ი „სამანიშვილის დედინაცვლის“ პერსონაჟის — ელენეს სულიერ ღელვას, როცა იგი გაიგებს, რომ გათხოვებას უპირებენ, შემდეგნაირად აღწერს: „ამნაირი უცნაური, მოულოდნელი ამბის გაგონებისას ხნიერი ქალი ხან „უ ი მ ე ს“ იძახდა, ხან შეჰკვივლებდა გაოცებული. ხან აჩემებდა თავის ძმას — წულს, ხან რას ამბობდა და ყოველივე ეს სიზმარივით ეჩვენებოდა საწყალს“ (კლდ., I, 169). თვით ელენეს ავტორი შორისდებულებით ასე ალაპარაკებს: „უ ი მ ე... უ ი მ ე!.. და პირზე ხელი მიიფარა ელენემ. — უ ი მ ე!.. ჩემი გამოჰენება გინდა ამ მოხუცებულობის ხანს?.. უ ი მ ე! უ ი მ ე! აჰ! არ თქვა მაგ!.. არა, არა! შენი ჰირიმე!“ (იქვე, 169).

არაიშვიათად პერსონაჟი ერთი ამოჩემებული შორისდებულით მეტყველებს. ამის მეოხებით მწერალი ახდენს პერსონაჟის სახის ჩვენებას, მისი ხასიათის გახანას. მაგალითად, დ. კლ დ ი ა შ ვ ი ლ ი იმავე ნაწარმოებში კირილე მიმინოშვილის, როგორც ფუქსავატი, უდარდელი პიროვნების ჩვენებას მისი სიცილის აღწერით წარმოგიდგენს.

კირილემ პლატონისაგან შეიტყო, რომ ბეკინას ცოლის შერთვა გალაუწყვეტია. კირილეს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, რადგან მას კარგი გასართობი და დროსგასატარებელი საქმე გამოუჩნდა. ამ თავის ხასიათსა და ამბისადმი დამოკიდებულებას იგი თავის სიცილშივე ავლენს.

მაგალითად:

(პლატონი კირილეს): „— ჰო, ქალს თხოულობს შენი სიმამრი! და შენ იცი, კირილე, რაფა მოუღხენ!“

— ხუმრობ თუ მართალს ამბობ, პლატონ? — გაკვირვებით შეეკითხა კირილე.

— შენ ნუ მომიკვდები, მართალს ვამბობ.

— ხ ა, ს ა, ხ ა, ხ ა, — გადინხარხარა კირილემ — ხ ა, ხ ა, ხ ა, ხ ა!..

— აი და ბეკინა!.. აი და შენი ჭირიმე!.. შენ გენაცვალე შენს ლამაზ წვერებში! ხ ა, ხ ა, ხ ა! შერცხვენილი ვიყვე, თუ სანაქებოდ არ მოვუღხინო... შერცხვენილი ვიყვე!“ (კლდ., I, 131).

პლატონისაგან კირილე გაიგვებს, რომ იგი მაშვლად დასდგომია მამამისს:

„...მაშვალი ვინა გყავთ?

— შე ვარ! — მიუგო პლატონმა.

კირილე ერთი შეჩერდა და მერე გადინხარხარა თავისი რიხიანი სიცილით.

— შენ ხარ მაშვალი? თუ ძმა ხარ! ს ა, ხ ა, ხ ა!“ (იქვე, 131).

კირილე პლატონს მიუხვდა, თუ რატომ განუზრახავს მამის მამშვლობა და მისთვის ჩვეული სიცილით პლატონის საიდუმლოებას ააშკარავეს:

„— ეგ ყველაფერი ძალიან მოგისაზრებია... მარა რომ ეყოლოს, კაცო, შეილი... ხ ა, ხ ა, ხ ა!.. შეილი რომ ეყოლოს? სეირი არ იქნება? რას იზამ მაშინ, პლატონ? ხ ა, ხ ა, ხ ა!.. — ხ ა რ ხ ა რ ე ბ დ ა კირილე“ (იქვე, 132).

ზემოსხენებულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ:

1. შორისდებული ინხარება ცალკე (დამოუკიდებლად) და წინადადებაში. შორისდებულის წარმოთქმისათვის პირობებს ქმნის დაძაბული. კონკრეტული, რეალური სინამდვილე. იგი უეცრად აირეკლება და მნიშვნელობის თვალსაზრისით მთელი წინადადების ფუნქციის მატარებელია.

2. შორისდებული, თუ ის წინადადებაშია მოცემული, ამ წინადადებასთან აზრობრივად დაკავშირებული და არა სინტაქსურად, გრამატიკულად. როგორც ინტონაციურ-გამომსახველობითი სიტყვა, შორისდებული ზემოქმედებას ახდენს მომდევნო წინადადებაზე და წინადადებაც მისი შესაბამისი ემოციური და ინტონაციურ-ექსპრესიული იერის მატარებელია.

3. შორისდებულის ადგილი ჩვეულებრივ წინადადების თავშია. იგი უსწრებს წინადადებას და იძლევა წინასწარ სიგნალს სიტყვების გამოხატული ემოციის გადმოსაცემად. მომდევნო წინადადება შორისდებულის სემანტიკის ამხსნელია.

შორისდებული გვხვდება აგრეთვე წინადადების ბოლოში და შუაში. წინადადების ბოლოში მოქცეული შორისდებული აზრობრივ კავშირშია წინამავალ წინადადებასთან, მისი აზრი ცხადი ხდება წინამავალ წინადადებასთან კავშირის საშუალებით. წინადადების შუაში მოქცეულ შორისდებულს არ აქვს სრულყოფილი, მისთვის ჩვეული ექსპრესიულობა, რადგან მისი ინტონაცია შესუსტებული და შევიწროებულია სხვა სიტყვებით. მხატვრულ ტექსტებში შორისდებულის ადგილი წინადადების შუა ან ბოლო პოზიციაში შედარებით იშვიათია. მისი ინტონაციურ-ექსპრესიული გამომსახველობის უნარი მოითხოვს, რომ იგი უმთავრესად იდგეს წინადადების თავში.

4. არაიშვიათად შორისდებული მიმართვის ფორმასთანაა. შორისდებული რიგ შემთხვევაში მიმართვის ფორმის გამაძლიერებლად გვევლინება, ხოლო ზოგჯერ რაიმე ემოციების გამოხატვის მიზნითაა წარმოთქმული.

5. შორისდებული ხშირად რამდენჯერმე მეორდება. ამით შორისდებულის ინტონაციური ძალა იზრდება და თუ მას ახლავს წინადადება, მასზე შორისდებულის ინტონაციურ-ექსპრესიული ძალაც შესაბამისად მატულობს. წინადადებაში შეიძლება არა მარტო ერთი და იმავე შორისდებულის განმეორება, არამედ ერთმანეთის გვერდით ერთნაირი მნიშვნელობის სხვადასხვა შორისდებულების ხმარებაც. სხვადასხვა შორისდებულს კიდევ მეტი სიცხოველე და დანამიკურობა შეაქვს მასთან მდგომ წინადადებაში.

6. ქართულ სასაუბრო მეტყველებაში ფართოდაა გავრცელებული სიტყვათშეერთებები. რომელთა შემადგენელ ელემენტს შორისდებული წარმოადგენს. შეერთებებში შორისდებულს მოსდევს ნაცვალსახელი, ისინი ინტონაციურად ერწყმიან ერთმანეთს და წარმოადგენენ მჭიდრო ერთეულს მომდევნო სიტყვასთან თუ სიტყვებთან მთლიანობაში. ემოციურ-ექსპრესიული მნიშვნელობა მთლიან სიტყვათშეერთებაშია მოცემული.

7. შორისდებული შედის ყველა ტიპის წინადადებაში დამოუკიდებელ კომპონენტად (მარტივში, შერწყმულში, რთულში).

რთულ ქვეწყობილ წინადადებაში იგი გვხვდება როგორც მთავარი წინადადების, ისე დამოკიდებული წინადადების ფუნქციით. მთავარ წინადადებად წარმოდგენილია აგრეთვე შორისდებულისანი სიტყვათშეერთებები.

ვაი — შორისდებულისანი სიტყვათშეერთებები გვაქვს რთული თანწყობილი წინადადების ერთ-ერთ წინადადებად. მას ჩვეულებრივ მომდევნო ადგილი უკავია და აღნიშნავს, რომ წინამავალ წინადადებაში დასახელებული რამ არის ცუდი, მძიმე. ნაძალადევი და მისთ.

8. შორისდებული გვევლინება წინადადების ამა თუ იმ წევრად. ამ შემთხვევაში შორისდებული კარგავს მისთვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს: გრძნობების, განცდების, ნება-სურვილების გამოხატვის უნარს. მას აღარ ახლავს მისი მნიშვნელობის გადმოცემა საშუალება — ინტონაცია. შორისდებული, როგორც გრამატიკულად დამოუკიდებელი სიტყვა, იძენს არსებითი სახელის თუ ზმნის მნიშვნელობას და წინადადებაში შედის. მის ზრულმნიშვნელოვან წევრად. მოცემულ შემთხვევაში მხოლოდ შორისდებულის წარმოთქმის ფაქტია დასახელებული.

9. შორისდებული ქმნის წინადადებათა თავისებურ წყობას. იგი ამცირებს სიტყვათა რაოდენობას წინადადებაში და ამავე დროს მეტყველების სტილს ანიჭებს მაღალ ექსპრესიულობას. მხატვრულ ნაწარმოებში მწერალი შორისდებულით ამაღლებს მოქმედი პირების რეალური მეტყველების გამომსახველობით ძალას, აედენს მათი სახის ჩვენებას და ხასიათის გახსნას.

ხმაბაძვითი სიტყვები ქართულში

ხმაბაძვითი სიტყვები ქართულში ახლოს დგას შორისდებულებთან.¹ მათთვის დამახასიათებელია შემდეგი საერთო ნიშან-თვისებები: ა) აქვთ ემოციურ-ექსპრესიული გამომსახველობის უნარი; ბ) არა აქვთ ნომინატიური მნიშვნელობა და განსაზღვრული (ჩამოყალიბებული) მორფოლოგიური სტრუქტურა; გ) როგორც ხმაბაძვითი სიტყვების, ისე შორისდებულებისაგან იწარმოება სრული მნიშვნელობის მქონე სიტყვები. ხმაბაძვითი სიტყვები ამ მხრივ მეტად პროდუქტიულია; დ) ახასიათებთ განმეორებები — შდრ: რ ა ხ, რ ა ხ, რ ა ხ: ბ ზ უ, ბ ზ უ, ბ ზ უ (ხმაბაძვ.); ო ჰ, ო ჰ, ო ჰ; ვ ა ი, ვ ა ი, ვ ა ი (შორისდ.); ე) ზოგიერთი შორისდებული გენეტურად დაკავშირებულია ხმაბაძვით სიტყვებთან. მაგალითად, ხ ა, ხ ა, ხ ა და თ ფ უ ხმაბაძვითი სიტყვები შორისდებულის შინაარსსაც იძენენ გარკვეულ შემთხვევაში. აგრეთვე ცხოველთა და ფრინველთა მოსმობის ზოგიერთი შორისდებული მომდინარეობს ხმაბაძვითი სიტყვებისაგან. ხმაბაძვით სიტყვებს: წ ი, წ ი, წ ი (წიწილისა), ბ ე ე (ცხვისა), მი ა უ (კატისა), და სხვ., როცა ადამიანები იყენებენ მოსახმობად, აქვთ შორისდებულის მნიშვნელობა.

ამ საერთო და მსგავსი ნიშნების გამო ხმაბაძვით სიტყვებს ჩვეულებრივ შორისდებულებში განიხილავენ, მაგრამ, მიუხედავად მათი სიახლოვისა, ისინი საგრძნობლად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

ძირითადი სხვაობა შემდეგშია: როგორც ცნობილია. შორისდებული ადამიანის სულიერ განცდებს, გრძნობებსა და ნება-სურვილებს გამოხატავს. ხმაბაძვა კი ადამიანის მეტყველებაში არის ბუ-

¹ იხ. ა. შანიძე, ი. იმნაიშვილი, ლ. კვაჭაძე, ქართული ენის გრამატიკა, ნაწ. 1, მორფოლოგია, 1974, გვ. 197.

ნებაში არსებული სულიერისა და უსულო საგნების მოქმედებით გამოცემული ხმის შესატყვისი სიტყვიერი ბგერითი ფორმა, რომელიც მიღებულია ამ ბგერითი მოვლენის მიახლოებითი გამოსახვის გზით. „ასეთი სიტყვებით გამოხატულია ფრინველების, მწერების, ცხოველების, უსულო საგნებისა თუ ბუნებრივი და ფიზიოლოგიური მოვლენების გამოცემული ხმა“¹. ტერმინი „ხმაბაძვითი“ ნიშნავს ბუნებაში არსებულ ბგერის მიბაძვით წარმოქმნილს². ხმაბაძვითი სიტყვა არ ასახელებს საგანს ან მის მოქმედებას. იგი, როგორც ბგერითი მოვლენის გადმომცემი, გამოხატავს ხმის რიტმს, ტონს, მოქმედების ტემპს და სხვ.

ხმაბაძვით სიტყვებს ქართულ ენაში ფართო გამოყენება აქვთ. მწერლის ენაში ხმაბაძვითი სიტყვა მხატვრულ-სტილისტური გამოსახვის მიზანს ემსახურება. მაგალითი: „თოფს მოვიმარჯვებდი, მივეპარებოდი ახლო, მგელი ნადავლს არ აშორებდა თვალს, მე საიდან უნდა დავენახე? ამ დროს — ჭ ა ა ხ! მგელი დაბლა ეგდო“ (ვაჟა, VI, 145).

დამოწმებულ მაგალითში ხმაბაძვითი სიტყვით ჭ ა ა ხ მწერალი აღწერს, ნათლად გვისურათებს მგლისათვის თოფის სროლის ფაქტს. სმენითი აღქმის მეშვეობით ფაქტი წარმოდგენილია მოკლედ, ლაკონურად და გასაგებად. არ აღმოჩნდება ისეთი ლექსიკური მნიშვნელობის მქონე სიტყვა, რომელიც გაწევს მოცემული ხმაბაძვითი სიტყვის მაგივრობას და ასე მხატვრულად და ექსპრესიულად ასახავს საგნის მოქმედებით გამოწვეულ ბგერით სინამდვილეს და თვით ამ საგნის მოქმედებასაც. მოცემულ კონტექსტში „ჭაახ“ ხმაბაძვითი სიტყვის სპეციფიკური მნიშვნელობა შეგვეძლო გვევარაუდებინა ზმნა-შემასმენლით „ვესროლე“. წარმოითქმის ხმამალალი ტონით, მოწყვეტით.

ამავე თვალსაზრისით საინტერესოა ლ. ქიაჩელის ნოველის — „იმედების“ მხატვრულ სტილში წარმოდგენილი ასეთი წინადადება: „...და შენ კი არ იცი გარკვეულად რას ფიქრობ, ხოლო ფიქრობ კი, და წვიმაც ამ დროს... ტოქ... ტოქ... ტოქ...“ (III, 102).

მოცემულ წინადადებაში განმეორებული ხმაბაძვითი სიტყვით

¹ ლ. კ ვ ა კ ა ჯ ე. ქართული ენა, ნაწ. I, თბ., 1969, გვ. 328.

² ქ ე გ ლ ტ. V:11. გვ. 1468.

„ტოქ... ტოქ... ტოქ...“ მწერალი ნათელ წარმოდგენას იძლევა წვიმის წვეთების მიერ გამოცემულ ხმაზე. მას ადამიანის ფიქრებს უკავშირებს და გვიჩვენებს, რომ წვიმის წვეთების რიტმული ხმა ზეგავლენას ახდენს მის გუნება-განწყობილებაზე და ხელს უწყობს მისი შინაგანი მეტყველების — ფიქრების ემოციურ დაძაბულობას. წვიმის წვეთების რიტმული, თანაზომიერი ხმის გადმომცემი ხმაბაძვითი სიტყვა ტოქ... ტოქ... ტოქ... საგნის მოქმედებას წარმოგვიდგენს დინამიკურად, შეუწყვეტლად.

წვიმის წვეთების ხმას გრაფიკულად სხვა ფორმით გამოსახავს, მაგრამ მსგავსი სტილისტური მიზნით იყენებს ნ. ლომოურიც: „ექიმი შესდგა, დაუგდო ყური და მართლაც ცხადათ გაიგონა წვეთის ერთნაირი, დამაღონებელი „წკაპ“: „წკუპ“, „წკაპ“, „წკუპ“ (I, 139).

როგორც უკვე ითქვა, ხმაბაძვითი სიტყვა ბგერით მოვლენას მიახლოებით გადმოსცემს. ადამიანს თავისი საარტიკულაციო ორგანოებით არ შეუძლია ზუსტად და ადეკვატურად მოახდინოს გამოცემული ხმის დუბლირება. ხმაბაძვითი სიტყვები ზეპირსა და მით უფრო, წერით მეტყველებაში პირობითი სახის მატარებელია. წერით მეტყველებას მხოლოდ სიმბოლურად შეუძლია მოგვეცეს წარმოდგენა საგნის მიერ გამოცემულ ხმაზე. მაგალითად, ხმაბაძვითი სიტყვა ბუჰ აღნიშნავს მალალს, ძლიერსა და უეცარ ხმას. იგი შეიძლება იყოს თოფის ხმა. მსგავსი ხმა გამოიქვამა ჰაერით გაბერილი საგნების გასკდომის დროსაც (ბურთის, მანქანის საბურავების და სხვ.). შესაბამის კონტექსტში მოქცეული ბუჰ ხმაბაძვითი სიტყვის პირობითი სინონიმები იქნება „თოფი გავარდა“, „ბურთი გასკდა“ და სხვ.

ზოგჯერ კი ერთი და იმავე საგნის მიერ გამოცემული ხმა ადამიანებში იწვევს სხვადასხვაგვარ ბგერით შეგრძნებას და ამის გამო თავიანთი აკუსტიკური შთაბეჭდილების მიხედვით თხზავენ ისინი მოვლენის შესატყვის ბგერით კომპლექსებს. მაგალითად, მხატვრულ ნაწარმოებებში გვხვდება ზარის ხმაბაძვითი სიტყვების სხვადასხვა გრაფიკული ვარიანტი: ძინ, ძინ, ძინ; ნაუ, ნაუ, ნაუ; დინ, დონ; აგრეთვე — ძაღლის ყეფის ხმაბაძვითი სიტყვებისა — ამუ, ამუ; ჰაფ, ჰაფ; წვიმის წვეთებისა — ტოქ, ტოქ; წკაპ, წკუპ და მისთ. ამიტომ ხმაბაძვითი სიტყვა ჩვეულებრივ მოცემულია მისი მნიშვნელობის ამხსნელ წინადადებაში. მოქმელი თა-

ვისი რემარკებითა და განმარტებებით ხმაბაძვითი სიტყვის თავისებური ნიშნელობის ახსნა-დახასიათებას იძლევა იმის მიხედვით, თუ რომელ საგანს ეკუთვნის ხმაბაძვითი სიტყვა, რა შედეგი მოჰყვა იმ საგნის მოქმედებას, რომელმაც გამოცა ეს ხმა და ა. შ.

მაგალითები:

„ბუჰ, ბუჰ, ბუჰ“ — დაიგრილა ამ დროს თოფებმა და ქორბუდა მოსხლელი ოთხივე ფეხით დაეცა ძირს“ (ევლ., III, 206); „დუ“ ...მომესმა ცულის ბრახუნი და შემდეგ ქათმის ფრთხილიც“ (არაგვი, I, 21); „ზუჰჰჰ!“ ქარი კი ზუოდა ამ დროს და უნდოდა ტიტკოს ყურადღება მიექცია...“ (იქვე, 201); „უთვალავი მასსა ქვემეხივით გრიალებდა: ჰოხ, ჰოხ, ჰოხ“ (გამს., V, 838); „მეც ჩემი იარაღით მივდგომივარ უკნიდან, ეუგდებ თმაში ჩემს მაკრატელს და ვაძახებ: „კრიჰ-კრიჰ! ხრიშ-ხრიშ“ (აკაკი, IV, 189).

როგორც ვხედავთ, ამხსნელ წინადადებებში მოცემული შემასმენლები მათთან სინტაქსურად დაკავშირებული სიტყვებითურთ: „ქარი ზუოდა“, „ეუგდებ თმაში ჩემს მაკრატელს და ვაძახებ“, „დაიგრილა ამ დროს თოფებმა“, „მომესმა ცულის ბრახუნი“, „ქვემეხივით გრიალებდა“ და სხვ., განმარტავენ, ხსნიან ხმაბაძვითი სიტყვების თავისებურ მნიშვნელობას და მათთან მთლიანობაში ნათელ წარმოდგენას იძლევიან არა მხოლოდ საგნის მოქმედების ბგერით მხარეზე, არამედ თვით ამ საგნის მოქმედების პროცესზედაც.

როგორც ზეპირს, ისე წერით მეტყველებაში ხმაბაძვითი სიტყვები ფართოდაა გავრცელებული. მხატვრული ლიტერატურა მდიდარია ხმაბაძვითი სიტყვებით. მაგრამ აქვე გვინდა დაეძინოთ ისიც, რომ საგნის მოქმედებით წარმოშობილი ბგერითი წარმონაქმნები უამრავია და მათს სრულ რაოდენობრივ სახეს, ხმაბაძვითი სიტყვებით გამოხატულს, მხატვრული ლიტერატურა ვერასოდეს გვიჩვენებს. მწერლის ენაში ხმაბაძვითი სიტყვის ხმარება მწერლის ინდივიდუალური სტილის თავისებურებითაა გამოწვეული. ხმაბაძვით სიტყვებს მწერალი იყენებს არა ყველგან და ყოველთვის, როგორც ჩვეულებრივ სრულმნიშვნელოვან სიტყვებს, არამედ — იქ, სადაც მათი ხმარება აუცილებელია და საჭიროა ნაწარმოების ამა თუ იმ ადგილის მხატვრულ-სტილისტური სრულყოფისათვის.

XIX და XX საუკუნეების ქართველი მწერლები: აკ. წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, ი. გოგებაშვილი, ეკ. გაბაშვილი, შ. არაგვისპირელი,

ლ. ქიაჩელი, კ. გამსახურდია, შ. დადიანი და სხვანი — არაიშვიათად ხმარობენ ხმაბაძვით სიტყვებს თავიანთ სამწერლო ენაში.

როგორც ცნობილია, ვაჟა-ფშაველა ღრმად იცნობდა ცხოველთა და ფრინველთა სამყაროს, იცოდა მათი ხმებიც. ამიტომ განსაკუთრებით იმ ნაწარმოებებში, სადაც აღწერს ცხოველთა და ფრინველთა სამყაროს და მათს ცხოვრებას, ხშირად მიმართავს ხმაბაძვითი სიტყვების გამოყენებას. მოვიყვანოთ მაგალითებს მისი ერთ-ერთი ნაწარმოებიდან „ოჰ, რა კარგი ხარ, ოცნებავ, ტკბილო“:

„— კ რ ა-ჰ ა ა ჰ ა, ხ ა-ხ ა- ხ ა ა ა! — გაიძახოდა კოდალა და თანაც არ ჰღალატობდა თავის საყვარელ ხელობას. — ჩ ხ ი-ჩ ხ ი-ჩ ხ ი ი ი! — დასძახოდა კაკლის მეორე ტოტიდან ეშმაკი ჩხიკვი...“ „— ს ს ა-ს ა ა, ტ ა ბ-ტ ა ბ! — გაისმა ხმა. კაკლის კენწეროზე მტრედები დასხდნენ...“ „ლუჰ—ლუჰ.. ლუტ! — დააგვირგვინა ღვრინვით მტრედმა თავის პასუხი...“ (VII, 30—31).

როგორც მოცემული მაგალითებიდან ჩანს, ხმაბაძვითი სიტყვები ვაჟას ენაში ობიექტური სინამდვილის ბგერითი აღქმის მიზანს ემსახურება. იგი რეალური ვითარების გადმოცემის თავისებური საშუალებაა, ხერხია, რითაც მწერალს სურს, მეტი დამაჯერებლობა შეიტანოს გადმოსაცემი სურათის აღწერაში, მის მხატვრულ დახასიათებაში.

ცხოველთა და ფრინველთა ნიშანდობლივი ხმების შესატყვისი ხმაბაძვითი სიტყვების გამოყენების საინტერესო მაგალითებია წარმოდგენილი შ. არაგვისპირელის ზოგიერთ ნაწარმოებშიც. მოთხრობაში „კურცხალია და ხატი“ მწერალი განთიადის სურათს აღწერს ფრინველთა ხმების შესატყვისი ხმაბაძვითი სიტყვებით: „— კ უ რ ც ხ ა ლ ი ა, კ უ რ ც ხ ა ლ ი ა! — ტ რ უ, ტ რ უ უ, ტ რ უ უ! — ჩ ხ ა, ჩ ხ ა, ჩ ხ ა! — გ უ გ უ უ, გ უ გ უ უ!.. — ჰ ა ხ! ჰ ა ხ! ჰ ა ხ! ტ ი ა, ტ ი ა! — ხ ა ა ხ ა, ხ ა, ხ ა ა ხ ა, ხ ა ა... — ბ ი-ჰ ი გ ო გ ი ა, ბ ი ჰ ი გ ო გ ი ა!..“¹

„ბელღურა, ხის ბაყაყი, ტყის შაშვი, გვრიტი, ბულბული, ჩხიკვი, „ბიჰო გოგია“, ქედანი, ტყის ქათამი და სხვა მრავალი თავისებურად ეგებებოდა განთიადს“ (II, 168).

დამოწმებულ მაგალითებში ხმაბაძვითი სიტყვებით მწერალი

¹ აქ სიტყვები „კურცხალია“ და „ბიჰო გოგია“ ფრინველთა მიერ გამოცემული ხმების შესაბამისად მათ სახელებადაა შერქმეული.

ეფექტურად აღწერს ფრინველთა ხშიანობას, მათს ყრიაშულს განთიადისას ბუნების წიაღში. ამით იგი ამაღლებს ნაწარმოების მხატვრულ-სტილისტურ ღირებულებას. ფრინველთა კიკჭიკი, გალობა ხმაბაძვითი სიტყვების საშუალებით გადმოცემულია დამაჯერებლად, ცოცხლად, დინამიკურად.

ადამიანი უფრო ადრე შეიცნობს იმ საგნებისაგან გამოცემულ ბგერებს. რომელთანაც მას ყოველდღიური ურთიერთობა აკავშირებს. შეიცნობს მაშინაც. თუ ოდესმე დაუნახავს საგანი, მისი ხმისათვის მოუსმენია და ახსოვს იგი. მძლოლი უფრო ადრე გაიგებს ავტომანქანის მოტორის მუშაობის აკარგინანობას. ვიდრე სხვა ვინმე. მქსოველი მუშა ქალი, რომელიც ერთდროულად მუშაობს ფაბრიკაში რამდენიმე დაზგაზე. ადვილად გაიგებს რომელიმე მათგანის დაზიანებას ხმის მეშვეობით, რადგან დაზგების რიტმული ხმაური მისი სმენისათვის ახლობელი და ნაცნობია. საგნების სპეციფიკური ხმის ცოდნა თანამედროვე ტექნიკის განვითარების პირობებში გარკვეული პროფესიის მქონე ადამიანებს დიდად ეხმარება თავიანთი საქმის დაუფლებაში.

ზოგჯერ ადამიანები სიტყვებისა და აგრეთვე წინადადებების შედარებას ახდენენ ამა თუ იმ საგნის მიერ გამოცემულ ბგერით მოვლენასთან. მაგალითი:

„ზურკო! — მეძახის ისევ ბებია და ცალ ხელს იჩრდილებს თვალებზე, მეორეთი დოინჯი შემოურტყამს.

— მოვდივარ, ბებია, მოვდივარ! — ეკივი მე და გავრბივარ ნისლიან აღმართზე.

— ი ლ ა რ ი ო ნ ი, ი ლ ა რ ი ო ნ ი, ი ლ ა რ ი ო ნ ი! — იმეორებენ ბორბლები და მიქრის მატარებელი...“ (დუმბ., 76).

„ი ლ ა რ ი ო ნ ი, ი ლ ა რ ი ო ნ ი... — იმეორებენ ბორბლები და უცებ, თითქოს გაახსენდათო, — ი ლ ი კ ო, ი ლ ი კ ო, ი ლ ი კ ო!“ (იქვე, 77).

მატარებლის ბორბლების პირველად გავონილმა რიტმულმა ხმამ პერსონაჟს ყოველდღიურად მოსმენილი, მისთვის ახლობელი სიტყვები მოაგონა და ეს სიტყვები და ბგერები ერთმანეთს შეადარებინა, რაც მისი შინაგანი მეტყველების წყაროდ გადაიქცა. ბუნებრივია, რომ მოტანილ წინადადებებში ხაზგასმული სიტყვების მნიშვნელობა ძალზე შემცირებულია და თითქმის ხმაბაძვით სიტყვებამდეა დასული. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამ სიტყვებს მაინც

შენარჩუნებული აქვთ თავიანთი ლექსიკური მნიშვნელობა. ისინი ბგერითი ზემოქმედების ნიადაგზე წარმოიშვნენ ასოციაციით პერსონაჟის ცნობიერებაში

მხატვრულ ლიტერატურაში დადასტურებული ხმაბაძვითი სიტყვები შინაარსის მიხედვით შეიძლება დავაჯგუფოთ შემდეგნაირად: ა) შინაური და გარეული ფრინველების, მწერების; ბ) შინაური და გარეული ცხოველების; გ) დარტყმისა (რაიმე საგნისა საგანზე), ფეხისა (სიარულის დროს), დაკაკუნების, გასროლისა და სხვ.; დ) ადამიანის მეტყველების, ხრიალის, ხველების, ცხვირის დაცემინების, კოცნის, სიცილის, ბავშვის ტირილისა და სხვ.; ე) ბუნების მოვლენების; ვ) სხვადასხვა საგნის: რაიმე საგნის მტკრების, გატეხის ან გადატეხის, ზარის (დიდი, პატარა), გემის, მატარებლის, ლითონის ფულის, მაკრატლის, მუსიკალური ინსტრუმენტებისა და სხვ.

ა) დასტურდება შინაური და გარეული ფრინველების, მწერების ხმაბაძვითი ზიტყვები: მამლის, იხვის, კრუხის, მტრედის, ყორნის, ყვავის, ტოროლასი, ბულბულის, მწყურის, ბუსი, კოდალასი, არწივის, ფარშევანგის, კოტის, ხობბის, შაშვის. ბაიყუშის, ჩიტის, გუგულის, ბუზისა და სხვა. მაგალითები:

„ — ყ ი ყ ლ ი ყ ო ო ო ! — იქვე მახლობლად ფრთის შემოკვრით შეჰყვილა მამალმა“ (არაგვ., I, 261); „ — ყ ი ი ი ჰ ! .. — უეცრად დასწყვილა შორი-ახლოს ფარშევანგმა...“ (იქვე, 366); „ს ს ა ს ა ა, ტ ა ბ ტ ა ბ ! — გაისმა ხმა. კაკლის კენწეროზე მტრედები დასხდნენ“ (ეაყა, VII, 31); „სხვა იხვები აიშალნენ, შექმნეს ყვირილი, გაისმა მალა ჰაერში „ყ ვ ი ტ, ყ ვ ი ტ, ყ ვ ი ტ!..“ (მისივე, VI, 274): „ყ რ ა ა ნ ტ, ყ რ ა ა ნ ტ!“ — მოისმოდა. სვავისკენ მისეირნობდა შავი ყორანი“ (იქვე, 8); „კ რ ა -ჰ ა ა ჰ ა, ხ ა -ხ ა -ხ ა ა ა ! — გაიძახოდა კოდალა“ (იქვე, 30); „ხობობი მხოლოდ ცბურად გადმოჰხედავდა და წაიღუდუნებდა: „ყ ლ ო ო, ო ჰ ო, ჰ მ!..“ (იქვე, 277); „კ უ ხ, კ უ ხ, კ უ ხ!.. შორს არ წახვიდეთ!“ — კრუხი უძახის წიწილებს“ (ეაყა, I, 844); (მწყერი) „გაგოგდა, იწყო პურში: „ბ ე კ! ბ ე კ! ბ ე კ“ (მისივე, III, 363); „მახლობელის მინდვრებიდან ხანდაზმით ისმოდა ტორუას „ტ რ რ რ. ტ რ რ რ“ (მაგლობ., 365); „კ ო ტ -ჰ ო ტ!“ — შემოსდახა ციხის კოტმა“ (იქვე, 28); (მწყერი) „აიღო თავი მალა და ამაყათ გასდახა: ჰ ვ ი ჰ თ -ყ ვ ი რ ო, ჰ ვ ი ჰ თ -ყ ვ ი რ ო, ჰ ვ ი ჰ თ -ყ ვ ი რ ო“ (ლომ., I, 205); „...ბულბული კი სმენის დამატებობლად

გაიძახოდა: ტ ი ა ვ, ტ ი ა ვ, ტ ი ა ვ“ (ნინოშ., II, 132); „...გაიგონებენ აჩწივის ხმას: „ხ ი ა, ხ ი ა, ლ ი ხ ა...“ (გოგ., VI, 38); (გუგული) „გ უ გ უ! განა არ ხედავ, რომ აქ მარტოკა მე ვარ მფლობელიო“ (მისივე, V, 43); (შაშვები) „გადაფრინდებოდნენ და ამასთანავე დაატანდნენ: „ჩ უ ჰ, ჩ უ ჰ, ჩ უ ჰ...“ (წერეთ., II, 215); „ბ ზ უ-ბ ზ უ-ბ ზ უ!“ უცებ მოფრინდა ორი კრაზანა“ (გაბაშ., II, 167).

ბ) დასტურდება შინაური და გარეული ცხოველების ხმაბაძვითი სიტყვები: ძროხის, ხბოსი, ხარის, კამეჩის, ღორის, ცხვრის, თხის, ძაღლის, ლეკვის, კატის, ვეფხვის, ავაზის, მგლებისა და სხვ.

მაგალითები:

„— მ უ უ უ!.. — შეჰზუფლა ცრემლებ-მორეულმა ძროხამ...“ (არაგვ., I, 215); „მ ე ე ე!.. — ამას მოჰყვა ჩჩვილი ხბოს ხმაც...“ (იქვე, 187); (ძაღლი) „ამ უ, ამ უ! ამ კატას ვუკებენ...“ (აკაკი, III, 627); (ლეკვი) „წ კ ა ვ, წ კ ა ვ, წ კ ა ვ! — უცებ მოისმა იმ სკამის ქვეშიდგან“ (გაბაშ., II, 129); „— მ ი ა უ უ უ... — კატამ კარის ზღურბლს ერთი ფეხი შემოსდგა...“ (არაგვ., II, 130); „— ბ უ უ უ! შორეულ მგელთა ღმუილი, ხმაურობა ახლოვდებოდა“ (ბარნ., VIII, 72); (ავაზა) „დაახლოებით ასე ისმოდა ეს ღრენა: ჰ უ რ რ რ ა ჰ ჰ, ჰ უ რ რ რ ა ჰ ჰ“ (გამს., II, 699); (ღორი) „...ტ რ უ ხ, ტ რ უ ხ... მერე ვინ მოგცათ ნება?“ (ლომ., I, 164).

გ) დასტურდება ხმაბაძვითი სიტყვები: დარტყმისა (რაიმე საგნისა საგანზე), ფეხისა (სიარულის დროს), დაკაკუნების, გასროლის (ქვემეხის, თოფის, ტყვიამურქვევის, რევოლვრისა და ა. შ.) და სხვ.

მაგალითები:

„— ტ ყ ა ჰ, ტ ყ ა ჰ, ტ ყ ა ჰ!.. — უეცრივ შემომესმა ფეხის ტყაპუნი“ (არაგვ., II, 173); „კ ა კ-კ უ კ!.. კ ა კ-კ უ კ!..— შემოესმა ამ ღროს სეფის-წულს ყანიდან კაკუნი“ (მისივე, I, 359); „დ უ... მომესმა ცულის ბრახუნი და შემდეგ ქათმის ფრთხიალიც“ (იქვე, 21); „რ ა ხ! რ ა ხ! რ ა ხ! რ ა ხ! — ვთელი მე, თან კი ვცემ წიხლს“ (ლომთ., 262); „— ტ უ კ! ტ უ კ! ტ უ კ!..— ვილაცა მიკაკუნებს“ (იქვე, 143); „დადის“; „— პ რ ა კ“, „პ რ უ კ“, „პ რ ა კ!“ აღარ მიძინებს“ (აკაკი, III, 634); „უბეში დამალულ დამბაჩას იძრობს და... დ უ, დ უ უ. დ უ უ, დ უ უ...“ (გამს., I, 84); „ტ რ ა... ტ ა... ტ ა... ტ ა... ტ რ ა... ტ ა... ტ ა... დ რ... რ... კაკანებენ ტყვიამფრქვევები“ (მისივე, V, 843); „ჰ ა ხ! ჰ ა ხ! — და, ჰა, ტყვიის სეტყვა აშრიალდა, აშიშინდა...“ (გრიშ., I, 345).

დ) დასტურდება ხმაბაძვითი სიტყვები: ადამიანის მეტყველების, ხრიალის, ხველების, ცხვირის დაცემინების, კოცნის, სიცილის, ბავშვის ტირილისა და სხვ.

მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი :

.....მეტი მღელვარებისაგან რალაცნაირად იძახოდა პირიდან: „ბ უ ჰ, ბ უ ჰ, ბ უ ჰ!“ (წერეთ., II, 435); „ელენე — (ანიშნებს, რომ წყალი ასვან) ხ ხ ხ...“ (აკაკი, V, 179); „პ ხ ე, ჰ ხ ე, ჰ ხ ე! — კვლავ დაახველა“ (გაბაშ., II, 337); „მ პ ა!.. — ამ დროს მკაფიოდ მოესმა კოცნის ხა“ (არაგვ., I, 196); (ცხვირის დაცემინება) „ა ც ც... ც ხ ი ი!“ (მგალობ., 122); „— მ მ... — ზმული აუტყდა გურის, მაგრამ ეგიმ სწრაფად დააჩუმა“ (დად., 295); „— ფ ხ უ უ! — წამოცდა მე-დავითნეს, რომელსაც სოფელში დიაკვანს ეძახოდნენ“ (იქვე, 105).

ე) დასტურდება ბუნების მოვლენების ხმაბაძვითი სიტყვები: ქარის, ქუხილის, წვიმის, ზღვის ღელვისა და სხვ.

მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი :

„ზ უ უ უ!.. ქარი კი ზუოდა ამ დროს“ (არაგვ., I, 201); „შ უ უ უ .. ხ ა, ხ ა, ხ ა, ხ ა — მოქშუოდა ნიავი“ (იქვე, 262); „გაიგონა წვეთის ერთნაირი, დამაღონებელი „წკ ა პ“, „წკ ა პ“, „წკ ა პ“, „წკ ა პ“ (ლომ., I, 140); „შ-შ-შ-უ-უ-უჰ!.. ზღვის პაწია ტალღა წამოეპარა მას და გააფრთხილა“ (ლომთ., 315).

დასტურდება სხვადასხვა საგნის მოქმედებით გამოწვეული ხმაბაძვითი სიტყვები: რაიმე საგნის მტვრევის, გატეხის ან გადატეხის, ზარის (დიდი, პატარა), გემის, მატარებლის, ლითონის ფულის, მაკრატლის, მუსიკალური ინსტრუმენტებისა და სხვ.

მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი :

„ტ რ ა ხ!..“ და ამაყი ნაძვის ხე უღონოდ აკოტრიალდა“ (ლომთ., 17); „ჰ ა ხ! — ნეტავი ეს რა მოხდა? ეს რა მტვრევის ხმა აღმოხდა?“ (გრემ., II, 317); „ნ ა უ-ნ ა უ-ნ ა უ! — ოდნავ შეინძრა ზარის ენა“ (გაბაშ., II, 382); „წკ რ რ რ, — ააწკრიალეს ტრამვაის ზარი“ (არაგვ., I, 331); „ტ რ-რ-რ-რ... აკაპასდა ტელეფონი“ (ლომთ., 259); „ბ ე ე, ბ ლავის გემი მეზობლის ვერძივით“ (გამს., I, 79); „და გ-ღ უ გ... და გ-ღ უ გ... და გ-ღ უ გ!.. უ უ უ უ უ!.. ბერიკაცს უნდა უფრო ახლოდან ნახოს, უფრო ახლოს იგრძნოს მატარებელი“ (სულ., 228); „ბ ზ ი ნკ! ბ ზ ი ნკ! (მერე დაჰკეტამს, მოეხვევა ხან ხამფერას, ხან არჩილს, ხან ივანიკას) ნურავის ეტყვიტ ჩემი ფულიანობას“ (ერისთ., 215); „პ ი ი-პ უ! პ ი პ უ! პ უ უ უ! ხელში მიჭირავს ქამან-

ჩა“ (აკაკი, I, 170): „და სადილს უკან იწყება მუსიკის გაკვეთილი: ტ რ ა-ტ ა კ. ტ ი კ-ტ ა კ. ტ ი კ-ტ ა კ!“ (გაბაშ., II, 358): „ტ რ ა, ტ რ ა, ტ რ ა, ტ ა ტ ა! — დაიგრილა დალაბანდმა“ (მისივე, I, 277).

მხატვრულ ლიტერატურაში დადასტურებულია ხმაბაძვითი სიტყვების წინადადების წევრად ქცევის შემთხვევებიც. ჩვენ მიერ მოპოვებული მასალებიდან დავიმოწმებთ ზოგიერთს:

„—მხოლოდ ზარბაზანი განსაზღვრულ დროს გამოსცემდა თავის მოსაწყენ „ბ უ უ“-ს (ლორთქ., I, 168): „იქით კიდევ დედალი სერირობით „კ ა ა ა-კ ა კ ა ს“ ინდოურივით უდარდელად მოსთქვამდა“ (არაგვი, II, 21); „მეფე რომ „პ ი ი პ უ უ-პ ი ი პ უ ს“ დაუკრავს, მაშინ მისი სამეფო „ვ ა ი-ვ ა ი ს“ იმღერებს“ (აკაკი, IV, 100); „ველარ მონენლა ამდენი მსხვერპლი „კუჭიამ“ და შიგნიდანაც დაჩხვლიტეს, „ბ უ ჰო“ ერთი დაიძახა და გასკდა“ (იქვე, 269).

ცნობილია რომ ხმაბაძვითი სიტყვებისაგან იწარმოება სრული მნიშვნელობის მქონე ფორმაცვალებადი სიტყვები: არსებითი სახელები, განსაკუთრებით კი ზმნები.

სახელები დარქმევიათ ფრინველებს მათ მიერ გამოცემული ხმების მსგავსად, მაგალითად, ყვავს, გუგულს, ჩხიკვს, წიწილას, კრუხს და სხვა. ასევე — სხვა სულიერსა და უსულო არსებით სახელებს: ღრუტუნა — ღორს, კიკინა — თხას, ყროყინა — ვირს, ამუნია — ჩაღლს; მაქანელა (თოფი) — მომდინარეობს „ქახ“ ძირისაგან; ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში გვაქვს სიტყვა სარეჭგველა (თავზე დასაცემი მახე) — მომდინარეობს „რეჭგვ“ ძირისაგან. „საწკრიალოს“ ზემო იმერეთში ეძახიან კლდოვან ვერტიკალურ ღრმა ნაპრალებს — მომდინარეობს „წკრ“ ძირისაგან. როგორც ჩანს, სახელი დარქმეულია მასში ჩაგდებული ქვის მიერ გამოცემული ხმის მიმსგავსებით. ამ მხრივ საინტერესო მაგალითს იძლევა ეს წინადადება: „კაჰა“ იმიტომ ჰქვიან, ალბათ, — განაგრძო სულის მოთქმასა და მოთქმას შუა არჩილმა, — რომ, როცა ძვალი ძვალს მოხვდება, ხმას გამოსცემს ხოლმე: კ ა ჰ...კ ა ჰ...კ ა ჰ“ (ქიაჩ., I, 376).

მრავლად დასტურდება ხმაბაძვითი სიტყვებისაგან ნაწარმოები ფუძეგაორკეცებული სახელის მნიშვნელობის მქონე რთული სიტყვები. ფუძეში ერთმანეთს ენაცვლებიან ხმოვნები: (ა-უ) ელარა-ელური, ძაგა-ძუგი. სლაპა-სლუპი, ხრამა-ხრუმი, ყაპა-ყუპი, დაგა-დუგი, ბაკი-ბუკი, ბაგა-ბუგი, რაკა-რუკი, რახა-რუხი და სხვ.

მაგალითები:

„—დანჯღრეულმა ზარმა დააწყო თავისი უგემური ყღარა-
ქღურა“ (ილია, I, 248); „ორთავეს გულს ძაგა-ძუგი გააქვს“
(ყაზბ., IV, 46); „წუხელის სათივეზე შუალამისას გამომეღვიძა და
ქვევიდან სლაპა-სლუპი და ხრამა-ხრუმი შემომესმა“
(გოგ., VI, 319); „მათრახებით აუყენეს ყაპა-ყუპი მის საცო-
დავ ზურგსა და ბეჭებს“ (ლომ., I, 188); „მხოლოდ ნიავს, რომელიც
შეუმჩნევლად მოძრაობდა, მოჰქონდა ხოლმე რაღაცა გვარი და გი-
ღუგი“ (ყაზბ., IV, 189); „ცხვარმაც შესწყვიტა ფრუტუნის
და ფეხების ბაკი-ბუკი“ (არაგვ., I, 97).

უხვადაა წარმოდგენილი აგრეთვე ხმაბაძვითი სიტყვებისაგან
მიღებული ზმნური ფუძეების მქონე სახელები: კრიალი, ღრიალი,
ხრიალი, ფშმუილი, კრული, ღმუილი და სხვ. ფუძეგაორკეცებული
ფორმით — ჩუხჩუხი, ბუყბუყი, ფუსფუსი, ჭუკჭუკ-, ღაღანი, კაკანი,
რაკრაკი, ჩიფჩიფი, ჭიკჭიკი, ხვინჯვანი, ჭიჭყინი და სხვ.

მაგალითები:

„—პატარა მოშორებით კიდევ რამდენიმე ქათმის დროგამოშეე-
ბით კრული და შრიალი მოისმოდა, და ამავე დროს იქი-
დანვე ძროხის ფშმუილი“ (არაგვ., II, 222); „საგუბრიდან საკ-
ვირველი ხმები ისმოდა: ჩუხჩუხი, ჩქერა, შრიალ-ხრია-
ლი, დევთა ბუყბუყი. აღქთ კასკასი, უცნაური წივილ-
ხვილი“ (ბარნ., VIII, 9).

ამგვარად, როგორც ვხედავთ, ხმაბაძვით სიტყვებს ადამიანის
მეტყველებაში განსაზღვრული როლი და ფუნქცია აკისრიათ. წერი-
ლობით ძეგლებში წარმოდგენილი ხმაბაძვითი სიტყვები სტილის-
ტური შესაძლებლობაა. მწერლები თავიანთი მხატვრული შემოქმე-
დების ენობრივ ქსოვილში მას საგნის მოქმედებით გამოწვეული
ბგერითი სინამდვილის დასახასიათებლად იყენებენ, მხატვრულად
აღწერენ საგნების, მოვლენების ბგერით თავისებურებებს, სტილის-
ტურად სრულყოფენ ნაწარმოების ცალკეულ ადგილებს. ამასთან,
ხმაბაძვითი სიტყვები ქართულ ენაში არსებითი სახელების, განსა-
კუთრებით კი ზმნების, წარმოების ერთ-ერთ საუკეთესო საშუალე-
ბას წარმოადგენს.

ზორისდებულთა ლექსიკონი

ა; აა; ა-ა; ა, ა; ააა...

1. განცვიფრება: „— ა! შენ ხარ ცოტნე? ის ცოტნე, რომ არად აგდებს მანგოლსა?“ (აკაკი).

2. სასოწარკვეთილება: „— კოჰოიავ, ოუ! ძვებიავ, ოუ! — თითქო ქვესენელიდან შემოსდახა დაცურებულმა ამხანაგმა.

— ა! მაცია! შენა ხარ... დევილუბეთ, დევილუპოს შენი მტერი! — ჩასდახეს ამათ განწირულებითა“ (ფურც.).

3. მღელვარება: „— რატომ ეხლა გამიჭირდა მტრის მოკვლა? იოლი უნდა იყოს ასეთი საქმე შენთვის! — თითქოს წვიმას შეეპყურებინოს, გარკვევით ჩაესახა თავში გაიოზს, მყისვე მოშორდა სვეტს, მთელი ტანით შექანდა და მჭექარე ხმით შესდახა:

— ა!..

თავისივე ხმამ შეაკრთო“ (ქიაჩ.).

4. სიხარული, გაკვირვება: „— ჰო, მაგისთვის მოვედი, ჯვარი უნდა დავიწეროთ...

— ა?! — სიხარულით და თან გაკვირვებით შეხედა ქალმა ლევანს“ (ლორთქ.).

5. დაძახილი: „— მოსე! ა მოსე! აბა მოდიოთ აქ, ჩემთან! — დავუდახე მე“ (ლომთ.).

6. დასკვნა: „— ა, აგი გვიყო, ასე შეგვაცდინა ბესიამ“ (ნინოშ.).

7. შებრალება: „ა, ბეჩავ, ბეწიკურო, კა ჭენობა არ იცოდი ცხენისა!..“ (ბარნ.).

8. უარყოფა: „— შემოვერტყათ ამ მიდამოს და დავიწყოთ ძებნა.

— ა, ტყვილა გავირჩებით“ (ლორთქ.).

9. მიხვედრა: „შუშანამ მოისპინა ეს ყველაფერი და იკბინა ტუჩებზედ. „ა!“ — იფიქრა იმანა: „ამათ ისევე ხსოვნებით ერთმანეთი!“ (ფურც.).

10. ს ი ხ ა რ უ ლ ი: „— აა! — სიხარულით შესძახა იმან, — ახლაც წამიხვალ?“ (ყაზბ.).

11. გ ა ნ რ ი ს ხ ე ბ ა: „— აა, შე ღდინძალო! აა!.. აჯანყებას აპირობენ, ხედავთ!.. მე ვიცი, თქვენ ვინცა ბრძანდებით!“ (ნინოშ.).

12. ც ნ ო ბ ა, გ ა ხ ს ე ნ ე ბ ა: „— მე გოგი ვარ. ვერც ახლა მიცხო ლიას დეღამ.

— გახსოვთ, ერთხელ რომ...

— აა, გოგი... — ლიას დეღამ არ დამამთავრებინა სათქმელი“ (სულ.).

13. შ ი შ ი: „მეშინიან, მეშინიან... ა-ა!.. — დაიყვირა იმან“... (ყაზბ.).

14. მ ი ს ა ლ მ ე ბ ა: „— აა! ვახლავარ ბატონ ელურიძეს! ელურიძემ თავი დაუკრა“ (ყაზბ.).

15. ნ ი შ ნ ი ს მ ო გ ე ბ ა: „აა! გაწითლდი განა? დაგიკირე... რად მიცქერ? გატყდი, რად გაწითლდი, სთქვი!“ (ლომთ.).

16. ა კ რ ძ ა ლ ვ ა: „— ა, ა, შვილო, წაქეუულ კაცზე მასე ნუ იტყვი... ღმერთი გიწყენს“ (ლორთქ.).

17. მ წ უ ხ ა რ ე ბ ა: „აა, დევიმსე, ნახეთ ახლა რაეა გარდირევა!“ (ერისთ.).

18. კ მ ა ყ ო ფ ი ლ ე ბ ა: „— აა. ეს მართლა კარგია!.. ავაშენა ღმერთმა — ეს კი ძაან გამოგვადგება“ (ლორთქ.).

19. ჩ ე ე ნ ე ბ ა: „აა, ბატონო, რას შერჩოდენ, რომ თავი გამიტეხეს!“ (ნინოშ.).

20. გ ა ბ რ ა ზ ე ბ ა: „აა, შე წაწყმედილო. ქვეყნის მულაპაო, რას შერჩი, რას?!“ (ნინოშ.).

21. დ ა მ უ ქ რ ე ბ ა: „— ააა, დამცნით კიდევ!! დღეის შემდეგ ქართულ წიგნს თვალითაც ვეღარ იხილავთ!“ (მგალობ.).

22. დ ა ც ი ნ ვ ა: „— ააა, მასხარაც ყოფილხარ! კარგია, კარგი, ხანდისხან კიდევ გამართობ!..“ (მგალობ.).

23. ღ ვ ა რ ძ ლ ი ა ნ ო ბ ა, მ ო წ ო დ ე ბ ა: „— შენ, ჩემო ძმაო, ნამეტარი ბევრი გინახავს და გაგიგონია, — საკვირველის ტკბილის და თან გველურის ხმით უთხრა იულონმა, — ააა. ამოიღე შენი ხანჯალი“ (ლორთქ.).

24. ვ ე დ რ ე ბ ა: „ააა, ღმერთმა აღიდოს შენი ძალი, წმინდაო გიორგივ, შენს გასამარჯვებლად მაიხმარი აუშანისძეი გლახუნა, შენდ სამსახურ არ დაუკლავ, ააა, შენს წყალობას ნუ დააყლებ“... (გამს.).

25. ალტაცეზა, განცვიფრება: (ვალი) „— ჩემო სიცოცხლე. ნუ შეკრძალები, ნუ მერიდები!.. მომენდვე და ჩემსავით სხვა გერაინ დაგაფასებს, ვერ შეგიყვარებს! რათა სტირი? ნუ იფარებ მაგ მშვენიერ სახეზე ხელებს! ნუ! ნუ! (ხელებს მოახსნევენებს).

ელენე — ხა! ხა! ხა! ხა! ხა! ხა! ხა!

ვალი — ააა!!!

ელენე — შენ კი გენაცვალოს ელენე!“ (აკაკი).

26. რისხვა: „— ჰმ! ლეკოვი?! — სთქვა გაბტყელებით ბოქა-ულმა.

— ააა, აი ის მოლაღატე?! — იგრილა ხალხმა“ (მგალობ.).

27. გაკვირვება: „— ააა, რას მივაწეროთ, ზღის, რომ მოგ-გონებივარ?! — გაკვირვებით შევეკითხე ზღისლავ პშევალსკის, როდესაც იმან კარი შემოაღო“ (არაგვ.).

28. გაკიცხვა: „— ააა, მშიშარავ, მშიშარავ!.. ჩემმა მახვილ-მა შეგაშინა და ახლა იღუმალად მებაასები!..“ (არაგვ.).

აბა; აბააა; აბა, აბა

1. მოწოდება, ბრძანება: „აბა! — ანიშნა თვალით იქ მყოფ სალდათებს და ერთს წამზედ იმათაც როზგები მოიტანეს“ (ყაზბ.).

2. დასკვნა თქმულის გასაძლიერებლად: „აბა, მაგისტანა მისანია წიგნი“ (ილია): „მამაშენი მწყალობელი იყო ჩემი, ჭირიმე! შენგან კიდევ მეტს მოველი, აბააა.. — შეელაქუცა გვადი“ (ქიაჩ.); „იმისთნა ჩინებული ყმაწვილი მთხოვს შენ თავს, რომ შენ ვერც-კი წარმოიდგენ, აბა, აბა“ (კლდ.): „— აბა, აბა! რაკაი ბიჭი იყო საწყალი“ (ლორთქ.).

აბაბა; აბ, ბა, ბა; აბა-ბა-ბა; აბაბაბააა; აბა-ბა-ბა-ბა-ბაა

1. აკრძალვა: „აბაბა, არ მოიყვანო“ (ერისთ.).

2. კატეგორიული უარყოფა: „აბ, ბა, ბა... შენ არ მომიკვდე, მე ეგ სახლები ხელიდგან აღარ გაუშვა“ (ყაზბ.).

3. გაოცება: „აბა-ბა-ბა, რა ძალი ყოფილა ეგ დალოცვილი!“ (ვაჟა). „აბაბაბააა! — რახელ წაიკითხების ეგრ წმინდად ნაწერი“ (ვაჟა); „აბა-ბა-ბა-ბა-ბა-ბა-ბა! რამოდენა ხალხი წავიდა მართლა“ (ვაჟა).

აბათ

ჩვენებთა, გადაცემა: „აბათ, აპათ, ბალებო!—თან გადმოგვევიროდა პაპაჩემი მრისხანედ, ყველას გვერგო თავისი წილი კვერი“ (ვაჟა).

აბაიმე; აბამე; აბამე-ლა

გაკვირებთა: „—აბაიმე! გაიკვირვა იავომ, — რუსები-საგან არ არიან ისინი დაყენებულნი?“ (ყაზბ.); „აბამე, აბამე რანაირი ღონიერია!..“ (არაგვ.); „აბაიმე-ლა! მაშ შუაჯაცობა საით უნდა მოხერხდეს?“ (ყაზბ.).

აბა, ჰა; აბა და ჰა

მოწოდებთა, ბრძანებთა, წაქეზებთა, გამხნეებთა: „—აბა, ჰა, დაუარე, ბიჭო, დაუარე“ (მგალობ.); „აბა ჰა. არზაყან, აბა ჰა, არზაყან, ამბობდა გვანჯი, აბა შენ იცი, სირცხვილს თუ არ გვაქმევ ინგირსგაღმელებს ზეგ“ (გამს.), „აბა და ჰა, მარჯვედ იყავი, თადეოზ, — დაიყვირა მძლავრად, მამაცად გაბრომ და თან თვალები დაუბრიალა თადეოზას“ (ვაჟა).

აბა, ჰე

იგივე, რაც აბა, ჰა: „აბა, ჰე, ხელი დაგვაბანინეთო“, — ბრძანეს ბატონებმა“ (აკაკი); „აბა, ჰე. ლეგა, შენ იცი, როგორ გოუმასპინძლდები ამელამ კუზიანს“ (წერეთ.).

აგა-გაგ-აა

შეძახილი ძაღლის შესაშინებლად. იქაურობას მოსაშორებლად: „—აგა-გაგ-აა! ნძა, ნძა! აზგამო, აზგამო, შე სამგლე! — გაისმა ვენახიდან მეხვიით შემზარავი ხმა; ვენახს უვლიდა და თან გაჰკიოდა დიდის ხმით ძაღლების შესაშინებლად“ (მგალობ.).

აგამუჩი

შეძახილი ცხვრების გასარეკად: „ნტრიე, ნტრიეე! ამუჩი, აგამუჩი, შე მულდრეგო, რას ეხეტებ-ებეცები?“ (ვაჟა).

აგე; აგრე

ჩვევება: „— აგე, მაღლობის მოქმელი სად არის, — მანოშნა ცისკენ“ (ილია); „აგრე, ჩემი ცხვარიც“ (ყაზბ.).

ადაი (იხ. დადაი); აე

ჩვევება: „— აე, მაცი! — უჩვენა ერთბაშად ყველამ“ (ფურც.).

ავაი; ავაი-მე; ავაჰმე

მწუხარება: „— ავაი! — შესძახა მოხუცმა და თავში ხელი შემოიკრა:

— ჩემი გაჩენილი ღლაპი სამართლით მაშინებს“ (ლორ.).
„— ავაი-მე დაღუპილსა! საით შემოძლიან შენი დალატი“ (ყაზბ.).

„ახადს ტიროდა თმინი

თინიბეჭაის რძალიო:

„ავაჰმე, ჩვენო სახლ-კარო,

ვაჰმე, დამიდგეს თვალიო!“ (ვაყა).

ავ-დადაი; ააავ, დადადაი

მწუხარება: „ცოტა ხანს შემდეგ ვილაცა დედაკაცმა კვნესით და ხმის კანკალით წარმოსთქვა: „ავაი!“ და სახლში დარჩენილთაგან პასუხად მიიღო: „ავ-დადაი“ (ყაზბ.); „— ააავ, დადადაი!..“ რაი შეუძლიან ხალხს გირგოლასთან — ხემწიფის სწორი კაცია!..“ (ყაზბ.).

ავხე

შემოძახილი პურის მკის დროს: „ჰოპუნა! ავხე! ავხე! ბიჰო, ჩემი მკაცა ნახე“ (აკაკი).

აზგამო

შეძახილი ძაღლის შესაშინებლად, იქაურობას მოსაშორებლად: „აზგამო, აზგამო, შე სამგლე — გაისმა ვენახიდან მეხივით შემხარავი ხმა; ვენახს უვლიდა და თან გაჰკიოდა დიდის ხმით ძაღლების შესაშინებლად“ (მგალობ.).

ათფრი

შეძახილი ხარების გასამხნევებლად, გასაჩქარებლად: „ხშირად ისმოდა „ათფრი“, „ჰამოჰო! და ამ სიტყვებთან ერთად, საქონლის გასამხნევებლად მთლად მოძრაობაში მოსული მეურმე პირუტყვებს ზედ გადაეზნიქებოდა ხოლმე...“ (ყაზბ.).

აი; აი, აი; აი, აი, აი

1. გაჯავრება, წყევლა: „— აი, გაგიწყრა შენ ჩემი წმინდა გიორგი! — გაჯავრებით მივატანე“ (წერეთ.).
2. განრისხება: „— აი, შე ეშმაკის ფეხო, შე!.. — მოუღირა მუშტი ეპისკოპოზმა“ (ლორთქ.).
3. გაოცება: „აი, დიდება შენთვის ღმერთო!.. რანაირად ჰგავს იმ ცხონებულსა“ (ლომ.).
4. მისალმება: „— აი, გაგიმარკოს, ჩემო გიორგი!“ (ილია).
5. დალოცვა: „— შენ ქუდი მომაშველე, თორემ ქარი არ დამანებებს! — აი, იცოცხლე!“ (ლორ.).
6. აღტაცება: „— აი, შენი ღვთის ქირიმე, შენი!“ (არაგვ.).
7. დაწყევლა: „აი, მეზიკი დაგეცა!“ (ილია).
8. გაკიცხვა: „— აი, შე უნამუსო აქაო და არავინა მხედავსო“ (ილია).
9. ძლიერებას გამოთქმულ აზრს: „— აბა, ეხლა დაუდგება თვალი დავითსა აი!“ (ილია).
10. თანაგრძნობა: „— ცოლი გარდამეცვალა!.. — მოკლელ მიპასუხა და ღმობიერად შემომხედა. ღვთის წინაშე, გულწრფელად დაფლონდი და: — აი, აი! — წამოვიძახე“ (არაგვ.).
11. შებრალება: „— თქვენ მოგახსენებთ, ხომ მშვიდობით ბრძანდებით? — მიუგო სოფიომ... „აი, აი, აი!“ — ვთქვი თითქოს მეხდაცემულმა და გამოვედი მეორე ოთახში, რომ აღარ გამეგონა სოფიოს შესამე მოკითხვა“ (არდ.).
12. გაწყრომა, საყვედური: „ნინო (თავის ქნევით) აი, აი, აი! რა ზარმაცები ხართ...“ (ყაზბ.).

აიბე

1. განრისხება: „აიბე! (გაიბრძოლება და გაეშვებინება, იძრობს ხანჯალს და მოურავს მივარდება). გითხარ, წერას აუგდისხარ-მეთქი, და მოკვდი, შე ძაღლო!“ (ყაზბ.).

2. გაკვირვება: „— აიბე, მავითანა სკოლაც არი, განა?“ (მგალობ.).

აიმე; აიმე, აიმე

1. დარდი, ნაღველი: „— აიმე ე!.. შენ ჯავრს ჩემს სიცოცხლეში ვერ ამოვიყრი!“ (არაგვ.).

2. თანაგრძნობა: „აიმე, აიმე“.. — შენს ღალატს როგორ ვაგებდავ. თავი რაღათ მინდა ცოცხალი...“ (ყაზბ.).

აიპე

დაწუნება: „— აიპე და, ეგ როგორღაც ჭკუაში მოსატანი არ არის“ (მგალობ.).

აიტ

დაცინვა: „ამ იმედით ჩავედით ქუთაისში... ვისაც ვუთხარით ჩენი ამბავი. — სიცილი დაგვაყარეს: რკინის გზაო და თქვენ გველემშაპათ მოგჩვენებიათო! აიტ, შეგიცხვათ თქვენ ნაქართლობაო!“ (აკაკი).

აი-ტა-ტა-ტა

ნიშნავს ძლივს ძლივობით, გაჭირვებით: „ბერიკას ერთი საშინელი დაეყვინა, ეძრო ხანჯალი და დაძრულიყო სახლისკენა. მორბის და მოსდევს ი წყეული. მორბის და მოსდევს. აი-ტა-ტა-ტა, ცოტა კიდევ, ცოტა კიდევ! — და ამოვა ხათქა-ხუთქით სოფლის პირში“ (მგალობ.).

აიპ

დაწყველა: „აიპ! არ ულხინონ იმის სიყმეს ჩემმა წმინდა სალოცაებმა ჩვენის ცოდვით“... (მგალობ.).

აღჯი (გრანა),

ნიშნავს „ღმერთო“, „აღჯი“ მუსლიმანთა: „—აღჯი! — დონღუზ! ეს ხომ სადილა! სადილა!“ (კასრა).

ალო (ინგლ.)

იხმარება ტელეფონით ლაპარაკის დროს და ნიშნავს: გიხმენთ! მისმინეთ! (ქეგლ).

ამენდე

ნიშნავს აი მანდ: აი აგერ!: „ამენდე! ლეინოც გამომატანეს ხელადით!“ (ბარნ.).

ამპა

ხმარობენ არა-ს მნიშვნელობით: „— ნწუ, ამპა! წყალში როდი იკბინება, შხამი როდი აქ თან“ (აკაკი).

ამუხი (იხ. აგამუხი)

ამფერ

წაქეზება, გამხნეება: „მელაქუდა ტაში დაქკრა: ამფერ, ჩემო დათუნაო! როგორ გშვენის ეგ დაელური, მალაყები და ხტუნეაო“ (აკაკი).

აოი

1. მწუხარება: „— აოი! — გაისმა მთელ ხალხში, — ბიჩინაგა ქვე გადმოაგდ ცხენმ“ (ბარნ.).

2. შიში: „— აოი! რა გიყი აქ? წყედ, მოკლამენ, — სთქვა თრთოლით ქალმა“ (ბარნ.).

აპა; აპაპა; აპაპ

1. კატეგორიული უარი თხოვნაზე, უარყოფა: „ე, გოგო! — დახუნდარამ არყისაგან — აქრელებული თვალეზი მოკჭუტა: — იწამე ღმერთი! დასაყოლებელი მომიბრებინე.

— აპა!“ (ლორა.); „აპაპაპა! მაგ ზარმაცი მოწაფის გამოქომაგებას არ ვიკისრებ!“ (ქეგლ.); „დაუმატეს მეორე, მესამე... აპაპ, შენც არ მომიკვდე, თვალის დაწონვას არაფერი ეშველა“ (ლორა.).

იკრევა. რაც აბა შა: „აჰა, შა! გეზი და ხეულ დილით აღრიან აქანა
რევეს ხუტესი“ (ფურც.).

აპაჰმე

წყენანარევი უარყოფა: „— აპაჰმე! რა დიდი ცნობა
უნდა, შე დალოცვილო, ი შენი შაბმული ზოკი ზედვე აბია და არ-
ხეინად დაფრინავს“ (ვაჟა).

არიქა

საგანგაშო ძახილი საშველად. მისახმარებ-
ლად. გასაფრთხილებლად: „არიქა, მარჯვედ იყავი, არ
წაგვივიდეს!“ (აქაი): „— არიქა, გივარგი, არიქა. თორემ ქუდი
წაილო!“ (ყაზბ.).

ატ

საქონლის გაწყრომის, დატევების შეძახილი:
„ატ! შე სამგლევე, შენა! — ატ, არ ვაბედო!“ (ჭეგლ.).

აუ : აუ

1. მწუხარება: „— ბეკიაუ, დავიღუპეთ!

— რა მოხდა. ჩქარა, ღვთის მადლსა! — მიაშურა მოხვევმ.

— სალექსოდ გამიხდა საქმე!

— აუ! მითხარ, რაი ამბავია, რალასა მლევე?!

— ქალაი გაიტაცეს!“ (ყაზბ.).

2. გაკვირვება: „— ააუ... პირი რამოდენად დაუღია, —
გაიკვირვა იმან“ (ყაზბ.).

3. საყვედური, წყენა: „— რაი გიყო? — გახარებულმა და
მორცხობით უპასუხა ქალმა.

— შენ რომ დამივიწყო?

— აუ! — საყვედურით წამოიძახა ქალმა და წყენით შეხედა“
(ყაზბ.).

4. შვება: „— აუ, გიშველათ ღმერთმა, რო მაგვხედე, ჩემო
საბედავ. თორა ე უბედური დღისა, ლამისაა, ხელიდან გამოგვეცა-
ლოს“ (არაგე.).

5. შეძახილი ძაღლის მისატყეებლად: „აუ, ბასარა, ბასარა, სსი, სსი“ (კასრ.).

6. პასუხი დაძახილზე: „— პასიკია, უუ! — გადასძახა ქალმა.

— ა. უ. უ. — უპასუხა პატარა გოგონამ“ (ლორთქ.).

აუჰ; აუიჰ

1. მწუხარება: „— აუჰ! სიბერემ თუ წამართვა თვალის ჩინი“ (ბარნ.).

2. წუხილის, სინანულის შეძახილი დავიწყებულის საქმის შეუესრულებლობის გამო: „ასე სიცილით და ხალისიანად მიემგზავრებოდნენ ორივენი, რომ უეცრად კირილემ ხელი შუბლზე შემოირტყა, შეაჩერა ცხენი და წამოიძახა:

— აუიჰ!.. — რა იყო? — შეეკითხა პლატონი შემინებით“ (კლდ.).

აფერუმ (სპარს.)

მოწონების, აღტაცების შეძახილი: „აფერუმ, ქვეყნის ერთგულო! კაცი ხარ, კაცურადა სჯი!“ (აკაკი); „— აფერუმ, აფერუმ, — კიჟინით გაჰკიოდნენ დამთვრალი სტუმრები“ (გაბაშ.).

აფსუს (სპარს.)

მწუხარება, დანანება: „აფსუს, რომ ჩემი დარგული ხეხილი სხვას უნდა დარჩეს, ჩემს მოადგილეს“ (ბარნ.).

აფუმე

წუხილი, დანანება: „— აფუმე! ფეხი წამიცლა“ (ბარნ.).

აქშა

შეძახილი ფრინველთა გასაფრთხოებად: „აქშა, აქშა, კივკავებო. ქორიმც ჩავინადირებსა!“ (ვაჟა).

აღუ

ჩვილი ბავშვის პირველი წამოძახილის აღმნიშვნელი სიტყვაა. წარმოთქვამენ დედები მათ

დასამშვიდებლად, დასაწყენარებლად: „ამხელა იყავი, აი: (ხელით უჩვენებს) და ყვიროდით: ალუ! ალუ!“ (აკაკი).

აჩი, აჩი

შეძახილი სახედრის ადგილიდან დასაძრავად, გასაჩქარებლად. ვასარეკად:

ამეიდებ, რასაც ისურვებ.

მომთახი: აჩი, აჩიო!“ (უაყა).

აჩუ

შეძახილი ცხენის ადგილიდან დასაძრავად, გასაჩქარებლად. „აჩუ. მგლის ლუკმავ, რამ დავაყენა?“ (ჭიარ).

აცე

იგივეა, რაც აჩი: „აცე, ვირო! აცე ვირო! შევაძახოთ ჩოქში! ჩოქში!“ (აკაკი).

ახხ

შეძახილი კატის გასაგდებად: „ახხანს კატა უთამაშებს. დედამ შეუძახა: აცხა!“ (ტაბ.).

ახ; აახ; აახ; ახ-მე

1. ალტაცება: „ახ! ქართული სომღერა რა დამატკობელია!“ (არდ.).

2. ნატერა: „ახ. ნეტავ მეც ტოროლად მაქცია ცოტა ხანს!“ (გოგ.).

3. მოწონება: „ახ, რა მშვენიერი ლამბაა!“ (ბარა.).

4. მწუხარება: „— ახ!.. მწარედ ამოიყვნესა ნეტომ და თავი ბალანში უფრო ღრმად ჩაფლა, რომ ეს სამწუხარო სურათი თავიდან წიეშორებინა...“ (არაგე.).

5. განარისხება: „— ახ. შე ღორო, შე ბალაბაკო!.. სტყუის, სტყუის ეს წუწკი!..“ (ლიმთ.).

6. ზიზღი: „ახ, მეზიზღება ამ საზიზღარი ფრინველას ყრანტალი!“ (გამს.).

7. წყლომთა: „ახ! ღმერთო! რა ხართ კაცები! რათ მეუბნებოდით კომპლიმენტებს!“ (ყაზბ.).

8. წუხილი: „— ახ! ვერ შევიძლია მოვიგონო“ (ბარნ.).

9. მიხედვით: „ახ. მიხვდი. მიხვდი! იმას, საათს არაოდეს არ შევარებია — მესმის...“ (ლომთ.).

10. მოგონებთა. გახსენებთა: „ახ. ახლა ყველაფერი მაგონდება!“ (არაგვ.).

11. გაჭავრებთა: „— აახ! რად მატუნე, სატანავ, ბლწო?“ (ბარნ.).

12. ლანძღვა-გინებთა: „ქვეერი გახეთქილიყო და ღვინო გაცლილიყო, — დაიწყო ლანძღვა-გინებთა, ქვეერს სამღურავს უცხადებდა: აახ, ქვეერო. ქვეერო, რა მიყავ. რაზე დამღუპე, შე ოხერო, რად მილალატეო!“ (ვაჟა).

13. სვეწნამუდართა: „ახ! — მიხსენ მე, უფალო, მტერთა ჩემთაგან და მღვეართა ჩემთაგან განმარინე მე“ (ბარნ.).

14. კვენესა: „— აახ! — დაიკვნესა ქალმა და ცრემლთა ნაკადი გადმოსქდა თვალთაგან“ (ბარნ.).

15. სევდა: „— ააახ, რა უდროო დროს მილალატა ბედმა და დამჩაგრა ღმერთმა“ (ვაჟა).

16. დანანებთა: „ააახ, არ ვიცოდი შეგხვდებოდდი, თორემ თან წამოვიღებდი“ (ვაჟა).

17. შიში: „ააახ!.. — უნებურად წამოიკვნესეს სახლში მყოფთ და სისხლის მოძრაობა შეუღდათ, შიშის ზარმა დაურბინათ ტანში“ (არაგვ.).

18. დამუქრებთა: „— ააახ! ვერ უყურებ მაგ მატლებს, მაგათ! მოიცადონ, მე ვაჩვენებ მაგათ სეირს!“ (ვაჟა).

19. ჩივილი: „— ააახ!.. რად არის ადამიანი ისეთი, რომ უთუოდ ყველაფერი უნდა გაიგოს?“ (არაგვ.).

20. ტანჯვა. ტკივილი: „— მისცეს იმას პასუხი და კიდეც გადაჰკრეს მათრახი.

— ახ — მე! — უბოლების ხრკილით და თავის დაქნევით წამოიძახა დაბორკილებულმა“ (ყაზბ.).

ახა

1. ვწუხარებთა: „ახა, ღმერთო ჩემო? ეს რა კირში ჩავეარდი!“ (არდ.).

2. გააკვირვებ: „გაუკვირდა: ახა. ლმერთო!

საღლა არის სამართალი?“ (აკაკი).

3. ლოცვა-ეღბებ: „ახა. ლმერთო. შენ დამითაოე! — შეიტია იოთაჰა და კადანიწერა პირჯვარა“ (ფურც.).

4. გაჯავრება: „ახა, ლმერთო ჩემო! რას გადამკიდებია“ (ილია).

5. კმაყოფილება: „— ახა. ლმერთო ჩემო! კარგია. არა ციოთხე“ (ილია).

6. წუხილი: „ახა, ლმერთო, რომ კაცების არაფერი გამეგება!“ (აკაკი).

ამ: ააჰ; ააჰ; აჰ. აჰ...

1. აღტაცება: „— აჰ, ეს მეტად საინტერესოა. — თავისებური აღტაცებით წარმოთქვა რიაბინინამ“ (დად.).

2. აკრძალვა: „აჰ, მაგი არ შეიძლება, ბატონო!..“ (წერეთ.).

3. მიწოდება: „აჰ. რა ლამაზი ქალია გვანცა“ (გამს.).

4. ნატვრა: „აჰ, ერთხელ კიდევ მაჩვენა კავკასიონის შევერცხ-
ლოლი უნაგირები!“ (გამს.).

5. სენანული: „აჰ, რატომ ჩამბაზობა არ ვისწავლეო, კიდევ
გაულო გუნებაში“ (ვაჟა).

6. გაოცება: „აჰ! ეს ვინ ხეი?“ — შესძახა მან გაოცებით, —
ნუთუ ეს პატარა კომერტილდია?“ (ქეგლ).

7. მორცხობა: „აჰ! — შეერთება ქალი და ცდილობს საჩ-
ქაროდ შეიქრას გული“ (ლორთქ.).

8. მოგონება: „აჰ, ვიცი, ვიცი, მაგონდება...“ (ლომთ.).

9. ცნობა: „აჰ! მართლა... მოიტა... ჩემია...“ (აკაკი).

10. მიხვედრა: „აჰ! დამცინის კიდევ!“ (დად.).

11. მისალმება: „— აჰ, ხაიმა! — მიესალმა კაცი“ (ყაზბ.).

12. დალოცვა: „აჰ, მოგეცა ლუთის წყალობა, — რავე ნას-
წაელნი ისინი იყენებ“ (ერისთ.).

13. მწუხარება: „ააჰ, რა ცუე გაფუქდა. რა ტყუ დაიღუ-
პა!.. აფსუს!“ (ვაჟა).

14. განრისხება: „აააჰ, რაზბონიცი!“ ვადაუტრიალა თვალე-
ბი მიხეილმა“ (ვაჟა).

15. დაცინვა: „აჰ, რა ტუტუტები იყენენ მაშინდელი ქალები“
(გამს.).

16. დარდი. ნალღელი: „აჰ, ამ ერთ კვირას უმსახურობის-თვის ოცი მანეთის ძროხა წამართვა“ (წერეთ).

17. შეშფოთება: „— აჰ!.. წამოიძახა უეცრად. წუთილი გა-ღწაღწა თუ არა და საჩქაროდ წერილის აოლოს დაძახდა. პიონისას ხს კუნდაები აუთამაშდა, ტანი შეერყა და უეცრად სარკმელთან მდგომ სავარძელში ჩავსვა“ (არაგვი).

18. აძლიერებას შეუკითხვას: „გუნმის?... აჰ!.. როგორ მიუ-წონს ეს ამბავი?“ (აკაკი).

19. უარყოფა: „აჰ! აჰ! ნუ გჯერა! ტყუილი უთქვამთ!“ (აკაკი).

20. შიში: აჰ, აჰ, აჰ, აჰ! ვაი!.. აჰ გამომეღვიძა. უეცრად წა-მოვევარდი. მიეხედ-მოეხედდე და მიეხედო, რომ სიზმარში ვიყავი“ (აკაკი).

აჰა; აჰაა; აჰააა; აჰა. აჰა

1. მიხვედრა: „— აჰა, მიეხვდი. უარული რამ კრება გაქვთ?“ (დად.).

2. შეება: „— აჰა. — შეებით თქვა არჩილმა და მალულად გა-დახედა მეზობელს“ (ქიაჩ.).

3. მისალმება, გახარება: „— ბატონი ადღეგრძელოს ღმერთმა! -- მდბლად თავის დაკვრით მოახსენა იმან შესვლას უმაღ.

... აჰა. გირგოლა: -- სიამოვნებით და სიხარულით წარმოსთქვა დაამბეგმა“ (ყაზბ.).

4. წყევლა: „— გაგახმებს ხელი და დაგიდგეს გნა. აჰა!“ (ვაჟა).

5. ჩვენება-მოწოდება: „— აჰა, აჰ მოდიოთ. ბიჭებო. — სთქვა ბურიენსკიმ და თავის ნარზე მიუთითა“ (გაჰს.).

6. გადაცემა: „— აჰა, შე არ-დასაჩჩენო, ამოისხი და ჩაიცი-ვი!“ (ილია).

7. განრისხება: „— აჰააა... — ძლივს ამოქშინა ამ სიტყ-ვებით გაყოფებულმა ქიტუამ“ (არაგვი).

8. მოწოდება: „— აჰაა! რა საინტერესო სუოათია!“ (ქიაჩ.).

9. ნიშნის მოგება: „აჰააა! — ნიშნის მოგებით გააბეს მცველებმა, როგორც კი მიხედნენ ტყვის უეცარი ცვლილების საი-ღუმლოებას“ (ქიაჩ.).

10. დასკვნა: „აჰააა... თუ ასეა, რა ღიღი მიხედვრის კაცი ყოფილა არჩილი, რომ ეაცაში ეშვე შექქონდა და მისი სიყვარული არა სჯეროდა!“ (ქიაჩ.).

1. ჩვენებთ: „ამაზედ უარეს რაღას ძიხამთ, ქალბატონო? აჰა, აჰა (უჩვენებს დახეულ ტანისამოსზედ)“ (ყაზბ.).

აჰაანდე

1. გადაცემა: „აჰაანდე! — მისცა ორი მსხალი და ორიც თამარს ვაღვროა“ (მგალ.).

2. ნიშნის მოგება: „— შენკი გაქრი. აჰაანდე! — ფულუნებდენ ყვაელები, — ხანდახან რომ კისერსაცა გვტეხავ, შე კისერ-მოსატკბო“ (ვაჟა).

აჰაო

ჩვენებთ. გადაცემა: „აჰათ, წაილეთ. საწყლებო, დაძებ-ტ-ო. მე თქვენი არც სახელი მინდა, არც ქება-ღაფება“ (ვაჟა)

აჰაი

1. შექაჩილი ცხოველთა დასატევებლად: „აჰაი! — შექეულა ცეცომ და ხარმა დამფრთხალი ირემივით ბრავგანი ვაღმორტანა ღობიდგან“ (მგალობ.).

2. შექაჩილი ადამიანის მიმართ შესატევად: „— აჰაი. ჯღანავ! აჰაი. ჯღანავ! შეგრაზა. განა! — შემოუტიეს ოთხთა ძმათ ტიტიაშვილებმა“ (ფურც.).

3. ჩვენებთ. მოწოდება: „აი, ჩემი ტყვია, ბატონებო. აჰაი. მეცა — ღმერთგამწყრალი. და მომვალით!“ (ქიაჩ.).

აჰაჰ

ნიშნის: „— აჰაჰ... — დივიულა უყებ ჯეებემ. — მიშველეთ!“ (ქიაჩ.).

აჰაჰაი

მწუხარება: „— აჰაჰაი!.. რა უქნია იმ ურჯულოს! — სწრაფად მოაბრუნა ცხენი და უკან გამოიქანა, ტარიელთან მივარდა“ (ქიაჩ.).

აჰაჰაიტ

შექაჩილი ცხენის ადგილიდან დასაძრავოდ ან გასაჩქარებლად: „მამა ზმას არ იღებდა, ამიტომაც ქუსლი

პერა უეცრად ცხენს, პაპაიტ! — შემოსძახა, ავეყანდებზე წამოიწია. მაგარ-მაგარი აჭამა ულაყს“ (გამს.).

აპი, აპი

ვაბრაზებდა: „— აპი! აპი! გველო, გველო!.. შე ცოფიანო, შენა! ხო ზედავ, შე კელძალლო, შე საფლავძალლო, ვაპიბე!..“ (ფურც.).

აპუ

1. ზინდლი: „— აპუ! — ხელის ჩაქნევით დაიძახა მარინემ, — თქვენ კაცები აღარა ყოფილხართ!“ (ყაზბ.).

2. გაკვირვება: „— აპუ! — გაუკვირდა მოხუცს, — ქალაქი და სოფელი რაი ბედენაა?..“ (ყაზბ.).

3. სინანული: „— აპუ, ამათშიაც მოვტყუვდი“ (ყაზბ.).

4. განრისხება: „— აპუ, ღირსი არ ყოფილხარ მაგ იარადის ტარებისა, და მამ მოკვდი, შე ძაღლო!“ (ყაზბ.).

5. დაძახება: „— აპუ, მაყვალაუ! — კარებიდგანვე დაიძახა იმან“ (ყაზბ.).

აპხ (იხ. ახ; აპ)

ნატვრა: „აპხ! ნეტამც უყო ექიმბაშის კარაბადიმი“ (გრიშ.).

აპპ (იხ. აპ)

ცნობა: „— ჰო, ის არის... შაიცა!.. ეს პეტრეა, მჭახეთ რომ იძახის... მესამე კრ ვერ ვიცან.“

— მესამე... დაწყევლოს ეშმაკმა... აი ჩვენი...

აპპ!.. ისემიანთ ბერიძიანთ ნკუა — სამწი არიან“ (მგალობ.).

ბა, ბა, ბა; ბა, ბა, ბაპ

გაოცება: „— ბა, ბა, ბა! რა მღვცი ვაყვაცი ყოფილა და!“ (მგალობ.); „ბა, ბა, ბაპ! ეს რა ამბავი ყოფილა და! — გაიოტა ყველამ“ (მგალობ.).

ბაიმე

გაოცება გულისტკივილით: „დიდო ძაღლებო! ამის ტოტნი! კუდი! ბაიმე!“ (ყაყა).

ბარაქალა (არაბ.)

მოწონებდა, წაქეზებდა: „— ბარაქალა, ამხანაგო ზოსო-
მე! უჩაღ. მე და ჩემმა ღმერთმა!“ (ქიარ.); „— ბარაქალა, ბარა-
ქალა... შენი ერთგულება მეც არ დამეიწყებოდა“ (ყაზბ.).

ბასტა (იტალ.)

ნოშნავეს „გათავდა“, „მორჩა“: „ვერ მოგართვი! გათავ-
და! ბასტა! გადაუთარგმნე გიორგი!“ (ჯავახ.); „აჰა. შეგხვდი, გი-
ცანი. მიცანი, გაგიცანი და ბასტა“ (კლდ.).

ბელა; ბელაჰ

შეძახილი ცხერის ან თხის გასარეკად: „შეილი
შხიარულებით დაუსხლტა ხელიდგან მამას. გაიქცა თხებიკენ და გაჰ-
კიოდა: „ბელაჰ! ბელაჰ!..“ (წერეთ.).

ბეჩა; ბეჩავ; ბეჩაო; ბეჩაუ; ბეჩა, ბეჩა, ბეჩა

1. გაკვირვება: „— ბეჩა! რაი მოგივიდა?! ველარ მიცანი?“
(ყაზბ.).

2. შებრალება: „ბეჩავ. ბიჭო! ცოდვა არა ხარ ეგრე შე-
ბოჭილ-დაბორკილებული?!“ (ბარნ.).

3. ხვეწნა-მუღარა: „— ბეჩაუ! შითხარ რამე! -- ისეთის
მუღარით უთხრა ირემამ, თითქოს სულის ჩაბრუნებასა სთხოვდა“
(ყაზბ.).

4. თანაგრძნობა: „ბეჩაო. ჩემო! შენ რაღა გიჭირს?“
(ყაზბ.).

5. საყვედური: „— რა იყო, ბეჩა, რომ ჩხუბი არ გაგე-
მართა? -- ესაყვედურებოდა ქმარსა“ (გაბაშ.).

6. გაკვირვება, მოწონება: „ბეჩა! ბეჩა! ბეჩა! კაი
ყოფილა!“ (აკაკი).

ბის (ლათ. bis—ორჯერ)

მაყურებელთა შეძახილი კონცერტზე, თეატრ-
ში და სხვ., როცა პროგრამის რაიმე ნომრის შეს-
რულება მოეწონებათ და შემსრულებელს თხო-

გ ე მ ვ ა ი მ ე ო რ ო ს : „უცებ — იმ დროს, როდესაც ყველას ყური
უნდა დაეგდო — აეტეხე ტაშის-კერა და თან ხმა-მალა შეეღრიალე.
ბრაეო! ბრაეო! ბრაეო! ბ რ ს ს ს ს!..“ (არღ.).

ბიჭოს; ბიჭო

გ ა ე ვ ი ო ე ბ ა : „ბ ი ჭ ო ს. ამას ეს რა ჰქონებია! — გაუკვირდა
გვადის“ (ქიან.); „ბ ი ჭ ო ! მძინარეს ჯიბეები დამაპკრეს!“ (ილია).

ბრაეო

შემოსულია რუსულიდან. გამოხატავს აღტაცებას, შექე-
ბას, მოწონებას: „ბ რ ა ე ო, ბ რ ა ე ო! — ჰყვიროდა მისი სი-
მარდით აღტაცებული ხალხი“ (კლდ.): „— ბ რ ა ე ო. ბ რ ა ე ო! — შეჰ-
ყვირა კირილემ — ბ რ ა ე ო, დარიყო! აი და ყოჩაღ. ქალო, ეგ ნამ-
დელი რჩევაა. შენ ნუ მომიკვდები!“ (კლდ.).

ბრიე-ქხხიე

შეძახილი ცხვრების გასარეკად: „შოლტების ტყლა-
შა-ტყლუში „ბ რ ი ე - ქ ხ ს ი ე ს“ ძახილში ისე ექსოვებოდა, რო-
გორც ჭეჭა-ჭუხილში ელვის რკრციალი“ (ეჟა).

ბსტ. ბსტ (ფულგ.)

მ ო ხ მ ო ბ ა ჩ ა ს ტ ე ე ნ ი თ : „— ბ ს ტ, ბ ს ტ! — დაიძახა იმან
ერთბაშად და მსუქანი, გასიებულ ხელი დაუჭწა იქვე მამაველს
მოსამსახურეს“ (ყაზბ.).

გეში გეში

შეძახილი ძაღლების მისატყეველად, წასაქე-
ზებლად:

„და უძახის გე შ ი! გ ე შ ი!

თითს უშვერს მათ სახლებზედა“ (აკაი).

გლახ (იხ. ვაგლახ)

და, და, და

გ ა ო ც ე ბ ა : „— და, და, და! რა ღვთის გარეგანი ყოფილა, გე-
ნაცვათ!“ — იბერტყავდნენ საყელს მეზობლები“ (ბარნ.).

დადაი; და-და-დაი; და-და-და-დაიი

1. მწუხარების შორისდებულ ი, რომელიც იხ-მარება მიცვალე ბულის დატირების დროს: „მოწინავე წყნარად და მწუხარეს ხმით დაიძახებდა: „დადაი“, და ლოცვებში ცემით სხვები ბანს მისცემდნენ და პატარა ნაბიჯის გადადგმით წინ წაიწვედნენ. ამათ, ლოცვებშივე შემოკვრით და სიტყვებით: „დადაი“. ცხედართან მყოფი ჭირისუფლები უპასუხებდნენ“ (ყაზბ.).

2. მწუხარება. ოხვრა: „— და-და-დაი!“ მარტოკამ რაი უნდა ვქნა ამდენს რუსებში?“ (ყაზბ.). „— უიშე! და-და-და-დაი ი! ჩემი მტერი ჩაეარდეს იმის ხელში! — და თან ღრმად ამოიოხრა“ (ვეა).

დაე; დე; დეე

1. თანხმობა: „დაე, წავიდნენ! კარგია, რომ პატარაობითვე ბატონი და ყმა ერთმანეთს შეეჩვივნენ“ (ილია).

2. გაფრთხილება, მუქარა: „დეე, ამას იქით იცოდნენ, რომ მე ოთარანთ ჭერივს მეძახიანო“ (ილია).

3. მოწოდება: „დეე, თავისუფლების მოსიყვარულე ფრინველი დაფრინავდეს სივრცეში“ (გაბაშ.).

4. დათმობა: „დეე, მათ უყვირონ! მე ვარდის ყვავილებზედ ავიღეღვებ ამ გულსა“ (აკაკი).

5. ნებაართვა: „დაე იცინოს ეშმაკმა, თავზე მაყაროს ქოქოლა!“ (ვეა).

6. მუქარა: „დე, დაგიორგუნოს მტერმა შენმა თავისუფლება, დე, დაგდვას კისრად მძიმე ხუნდი, მძიმე კირთება!“ (ილია).

დახე; დახე, დახე

გაოცება: „— დახე, ყველას დრო სდომებია!..“ (ილია); „— დახე, დახე!.. ჩვენ კი ვიძახდით, თერგსა და ქელს იქით ქვეყანა არათრად ვარგებულაო. აბა ვინ იცოდა, აბა ვინ?“ (გოთ.).

დედა; დედა, დედა

1. სინანული: „— დედა! ვეღარ დავიპირე, ხელიდან გამიშვა“ (წერეთ.);

2. გაოცება: „ჰოჰო! დედა, დედა რა კაცი ყოფილა მკვლ-ბაბიანი და!“ (მგალობ.).

ღია

მოიხეზულია „დედა“ სიტყვის შეცვლით. გამოხატულია გაჭაერება, გაკვირვება: „დედა! რა... ადამიანი ეს? სად ვაგონილა ცოცხალი ადამიანის ტირილი?“ (ჭეგლ.).

ღია, ღია (კუთხ. იმერ.)

ქათმის მოხმობა: „ღია, ღია ვეძახოდით, არ გაგვაგონე კიანი...“ (ჭეგლ.).

დიიდო

შეძახილი ძროხის შესაშინებლად, დასამორჩილებლად: „ძროხას კისერი თხრილზე გადაეწვდინა და აკაციის ტოტეზს კორტნიდა.

— დიიდო, შე სამგლე, — მიაკივლა და თოკი დაუმოკლა“ (ლორ.).

დილიღმე; დილიღეი, ლილიღეი

გახარება: „— დილიღე! — სიხარულით წამოიძახა ერთმა პატარა ბიჭმა და გაეჭანა მტრედს, — დავიჭირე, დავიჭირე“ (ყაზბ.); „ეხლა გეაქლია ჯამაგირი და ყაბლუფლავი შარბათით, თუ რომ იმასაც მივიღებ... დილიღეი, ლილიღეი!“ (ერისთ.).

მი მი; მი მი; მი-მი-... ;

1. სიყვედური: „— ე!.. ყველაფერს რომ მე დამაბრალებს! — უსაყვედურა ცოლმა“... (წერეთ.).

2. დარდი: „მე მეგონა, აქ უფრო შეხალისდებოდი. უფრო ვამხიარულდებოდი და მადაც გაგელვიძებოდა, შენ კი...

მი აღარ ვიცი, რა ეიფიქრო!“ (კლდ.).

3. სინანული: „მე, რა ხანია აქ არ ამოესულვარ, ვინ იცის, რამდენი რამ მიწახავს ამ ბერძუნის ქვეშ“ (ვაჟს.).

4. შეუძლებლობა: „მე, ძნელი საქმეა, ჩემო ბატონო... ბაბუა ჩემიდან გამიგონია, მთელი იმერეთი ეომებოდა. მარა აჯობაო, ახლა რა უნდა ქნათ?“ (ლორთქ.).

5. წაქეზება, შეგულიანება: „— ე ბიკო, ერთი სარმა! — კისრული! — მიდი, ნუ გეშინია! — გაიძახიან კილაობით გაფიცებული ბიჭები“ (ლორ.).

6. შეძახილი საქონლის დასატევებლად: „— სად მივა, ე — და გააწნა პაკომ ურჩ კამეჩს სახრე!“ (მგალობ.).

7. დამუქრება: „— ე ე! ხედავ ამ ხანჯალს? ლუკმა-ლუკმა აგუწუწუ, თუ არ გაჩერებულხარ!“ (ნინოშ.).

8. დანაწება: „— ე ე! შვილოსან, — სტქვა მამაჩემმა. — ჩუმად უნდა მოვსულიყავით... მოგვექრა თმა და მაშინ, რაც გვინდოდა, იმას ეუზამდით“... (ლომ.).

9. გაოცება: „ე ე, თქვენი კირიმეთ, ხალხო, რეებს არ ასწავლიან!“ (არაგვ.).

10. ქება: „— როგორი კაცია?“

— ე ე, ლომია, ლომი!“ (ყაზბ.).

11. სიამოვნება, დალოცვა: „ე ე, შენი მამა ცხონდეს, თეკლე, ე რა გემრიელი რძის კორკოტი გაგიკეთებია!“ (არაგვ.).

12. უკმაყოფილება: „— ე ე... შენ კიდევ კუდს იქნევ!.. — უკმაყოფილოდ წამოიძახა ეთერმა და ფილა გამოცალა“ (არაგვ.).

13. შიშო: „ღედა წამოვარდა და ჩემსკენ გამოქანდა, ლეკვები ფეხდაფეხ მოჰყვნენ. ე ე, ვიფიქრე, ეს არის გამფათრავენ-მეოქი“ (მგალობ.).

14. ჩვენება: „— ე ე, თეთრი რომ აცვია, იგია, — აჩვენა ქალიჯანმა იმ ქალზე“ (ნინოშ.).

15. გაფრთხილება: „სიმინდი არ შექამოთ კი, ე ე, ოხრებო!“ (მგალობ.).

16. დაძახილი: „— სადა ხარ, ე ე? — დაუძახა კარახელმა ცოლს ზოშიას თავისთან“ (ვაჟა).

17. გაკვირვება: „ე, ე, ე! გულთმისანი ყოფილხართ, მე და ჩემმა ღმერთმა“ (ილია).

18. ოხვრა: „ე-ე-ე, მაშინ ცოლს კი არა და შავ ქვას შევირთავ“... — ამოიოხრა, გადაბრუნდა და ძილს მისცა თავი“ (მგალობ.).

19. ჭავრიანობა: „ე ე ე, ბატონო! რას შერებთან ისინი რომ იცოდეთ, ყურებში თითს დაიცობს ადამიანი!“ (მგალობ.).

20. დაწუნება: „— ე ე ე, არც ეგ ვარგა...“ (მგალობ.).

21. წყენა: „ე ე ე! კარგია ერთი, შენს გაზრდას, ქვეყნის საღანანას სახლში როგორღა შემოვუშვებ“ (ყაზბ.).

22. დაძახილი: „პიქო! ბეჯანო, სადა ხარ, ეეე!“ (ვაჟა).

ეაა

დაწუნებდა: „—ეი! მგელს ჩვენი ყურებაც ვერას დააკლებს და ემა კომბალმა რა კისერი უნდა მოუგრიხოს, მერე?“ (მგალობ.).

ეი; ეი, ეი

1. ბრძანებდა, მოწოდებდა: „—ეი! ყაზახებო!—დაიძახა ნაჩალნიკმა და უჩვენ-ვაჟიაზედ, —კაი-კაი მათრახები მაგას!“ (ყაზბ.).

2. მოწინააღმდეგის შეეყენებდა, გაფრთხილებდა: „ეი, შესდექ მანდ! — შესძახა და თოფი დაუმიზნა“ (ჭიაჩ.).

3. მოხმობდა: „ეე, ვინ ხარ მანდ? კარში გამოიხედეთ!“ (ვაბაშ.).

4. შეძახილი გაჯავრებისას ვინმეს მიმართ: „—ეი!.. ვის წინ ჰბედავთ მაგ კაღნიერებას?“ (აკაკი).

5. აღტაცება: „—ერთი ამას შეხედეთ, ბიჭებო, რანაირად მწიფს, ეი! — წამოიძახა სოსოამ...“ (არაგვი).

6. ნატვრა: „ეი, რა შავაშიშხინებლით ამ ქვეერის პირას!“ (არაგვი).

7. უკმაყოფილება: „—ეი, დაწყევლოს ეშმაკი ამისთანა შემოდგომას რა ვუთხრა მე... მაინც რა უფერული რთველი იყო ყველგან“ (ლორთქ.).

8. შეძახილი მოწინააღმდეგის შესაჩერებლად: „ეი ეი! რას მიშვრები!.. ცხვირი მომტეხეთ...“ (აკაკი).

9. დაძახილი მისაშველებლად: „ვაიმე! მიშველეთ! ეი ეი! კარი გამიღეთ! არაეინა ხართ?“ (აკაკი).

10. აკრძალვა, გაფრთხილება: „ეე, ეი! გაჩუმდი და... შენთვის შეინახე... რად ამელავნებ!..“ (აკაკი).

11. დარდი: „ეე, ეე, ჩაიშალა ჩემი ნუგეში“ (ერისთ.).

ეიბე

გაკვირვება: „—ეიბე! რა ადრეული ყოფილა და!“ (მგალობ.).

ეიდა

წყენა, საყვედური: „ეი და, აზნაურო, შენი ნამუსი ლალია და ჩემი ნახშირი?“ (ნინოშ.).

ვილა ჰაა

დანანება: „ვილა ჰაა! რანაირ გულა გვერჩოდა!“ (მგალობ.).

ეინწ, ეინწ, ეინწ

შეძახილი ღორის მოსახმობად: „ეინწ, ეინწ, ეინწ“... — მისძახის ხათუნა ტახს“ (გამს.).

ეიპე, ეიპე

1. გაჯავრება, ვაოცება: „— ეიპე, ეიპე. რა თვალზმაქცი ყოფილა, შენი ჰირიმე, ი დედაკაცი... — დაიძახა აღელვებით დათუამ“ (ლომ.).

2. სიხარული: „— ეიპე, ეიპე, — წამოიძახა ერთმა მათგანმა, — ერთი შეხედეთ, როგორი მოწმენდილია ე დალოცვილი ცაი-და“ (ლომ.).

ეიპაი

ჩივილი: „ეიპაი, ბიჭო, სად არის პირი და ერთობა!“ (ნინოშ.).

ეიპ, ეიპ, ეი; ეიპ, ეიპ, ეიპ

სევდა წუხილი: „— ეიპ!.. ეიპ!.. ეი!.. რას იზამ, ძმავ... უნდა შეფოთსა და ბოროტს ერიღებოდეს კაცი, — სთქვა იმანა და გასწია შინისაკენ“ (ფურც.).

2. გაჯავრება: „ამითანა ურწმუნო ადამიანი იქნება, როგორიც ეს ქოფაკი დედაკაცია... ეიპ, ეიპ, ეიპ!“ (ფურც.).

ემაგრე, ემაგრე

წაქეზება, გამხნეება: „— ემაგრე, ემაგრე, ბიჭებო, ამხანაგებო!“ (ლომ.).

ემანდე; ენდე

იგივეა, რაც ამენდე: „— ემანდე, ეგ იყო ირემი, ვახსენეთ და ვნახეთ კიდეც!“ (ვაჟა); „— ენდე, როგორ მომხიოაოულდი! პატარა ადრე დაგეღია, ის არა სჯობდა!“ (არაგვ.).

ერიჰა; ერიჰაა

1. გაჯავრება, გაკვირვება: „—ერიჰა! აი თურმე რაები ხდება ჩემს სახლში!“ (ლომთ.).

2. დანანება, ჩივილი: „—ერიჰა! დავბერდი, დაჯვარე ფიქრთა სიფხიზლე, მომიცედა ფხა გონებისა...“ (ბარნ.).

3. წყენა, გაკვირვება: „—ერიჰა! — შესძახა მან, — ერიჰა! რა დავარდნილი მე მნახე!“ (კლდ.).

4. იტყვიან წყენით იმ ადამიანის მიმართ, რომელიც იჩენს საქმისადმი უდარდელ, უსულგულო დამოკიდებულებას: „სამხრის ხარს ჩარეკავდა წყალზე, დაეძინებოდა და ერიჰაა! — გუთნეულს გაუშვებდა ღვთის ანაბარს!“ (მგალობ.).

ეში

შეძახილი ხარების გასარეკად: „ბებერმა გამოხსნა ხარები... და „ეში, ეშის“ ძახილით გზას გაუდგა“ (ლორთქ.).

ეჩა

იგივეა, რაც ბეჩა; გაკვირვება: „ეჩა! რა უქნია და!“ (მგალობ.).

ეხ; ეეხ; ეხ, ეხ; ეხ, ეხ, ეხ

1. განრისხება: „—ეხ, თქვე როსკიებო, ურცხეებო... თქვე როსკიებო, რა გინდათ თქვენ აქ? — დაიღრიალა სატუსაღომ და ყველაზე მეტს ვყვიროდი მე“ (ლომთ.).

2. დარდი: „ეხ, ვის ვუთხრა ჩემი დარდი, ფიქრი ვილას განუშვებო“ (გრიშ.).

3. მწუხარება: „—ეხ, ძმაო! — დაიძახა მესამემ თავის ქექით, — აღარც რა ღმერთი ყოფილა საწყალი კაცისათვის“ (ლომ.).

4. დანანება: „—ეეხ, გაგვასწრო! — დანანებით სთქვა მოურავმა“ (ბარნ.).

5. ოხვრა: „—ეხ, ეხ! — ამოიოხრა სვიმონმა, — იქნება მართლაც გუბერნატორიც ვყოფილიყავი, მაგრამ უსწავლელობამ გზა შემიკრა“ (გაბაშ.).

ბ. სევდა, სინანული: „ეხ! ეხ! ეხ! რა მოწყენილობაა“
(აქაკი).

ეჭა

გაკვირვება: „— მგელი არ იქნება და ავ კაცს გაუნაჰყავ
თავსა. — უთხრა მამამ.

— ეჭა! რაებს ამბობს ე. მამაი, ე!“ (მგალობ.).

ეჭ; ეეჭ; ეჭ, ეჭ

1. ჩივილი: „ეჭ, რა არის ხელცარიელი კაცის მუშაობა! ხარი
არსად გავაჩნია და კამეჩი“ (გაბაშ.).

2. სასოწარკვეთილება: „— ეჭ! ჩვენი მხსნელი და პატ-
რონი სადაა? — სასოწარკვეთილებით წამოიძახა ქალმა“ (ლორთქ.).

3. კმაყოფილება: „ეჭ, ახლა კი კარგად გამოვსძეხი“ (აქაკი).

4. უკმაყოფილება: „— ეჭ, ძმობილო! — ვუთხარი გულ-
ნატყენად — შენშია მოვსტყუედი“ (ილია).

5. გაჭავრება: „ეჭ, ერთი შენც კიდევ! — გაჭავრებით თქვა
მოხუცებულმა კაცმა“ (კლდ.).

6. ნუგეში, თანაგრძნობა: „ეჭ, რას იზამ კაცი, — ნუ-
გეშის კილოთი დაიწყო ანტონ ზურაბიჩმა. — სიკვდილი ყველას
ხედრია“ (არაგვ.).

7. ნატყრა: „ეჭ, ერთი ნეტავი დედიჩემის საფლავზე მიმიყვა-
ნა...“ (ლომთ.).

8. დაყვედრება: „— ეჭ, წელანდელი არ იყოს, მტყუანი
ხარ და არა სტყდები, — უთხრა ყვედრებით დარეჯანსა“ (ილია).

9. თანხმობა: „ეჭ, რაღა გაეწყობა! თქვენი ნება გახლდესთ!“
(აქაკი).

10. გაბედვა. გადაწყვეტილება: „— ცხრაზე რას
იტყვი?

— არა. ათი.

— ეჭ, ჯანი გავარდეს; ათი იყოს“ (ილია).

11. დაცინვა, გაკიცხვა: „ეჭ, რა ლაჩარი ხარ! აბა თუ გა-
მელაპარაკო, თუ გაბედო!“ (ლომთ.).

12. აკრძალვა: „ეჭ, კარგია ერთი, თავი დაანებე მაგდენ ხუმ-
რობას“ (აქაკი).

13. ს ი ნ ა ნ უ ლ ი: „ე ე ჰ, შეილო ისიდორე, სადღაა ის დრო, როდესაც ბატონი და მისი ყმა, ერთად ხელჩაკიდებულნი, ძმურად იბრძოდნენ მამულის დასაცველად“ (მგალობ.).

14. მ წ უ ხ ა რ ე ბ ა: „— ე ე ჰ!.. — გული, გული! — მწუხარე კილოთი შემომძახა სიკომ და მხარზე ხელი დამარტყა“ (არაგვ.).

15. წ ყ ე ნ ა: „— ე ე ჰ, შეილო, ჩემი სიტყვა შენ ყოველთვის გაზვიადებულად გეჩვენება ხოლმე! — გულ-ნატყენად მიპასუხა დედამ“ (არაგვ.).

16. ს ა ყ ვ ე დ უ რ ი: „ე ჰ, ე ჰ! წუთისოფელო, ერთ დროს არავის შეარჩენ!“ (გაბაშ.).

17: ჩ ვ ე ნ ე ბ ა: „ე ჰ... ე ჰ, ბატონო!.. წამოპლაკულა და ბაყბაყ-დევივითა ხვრინავს!“ (აკაკი).

ე ჰ ა

1. დ ა ნ ა ნ ე ბ ა: „ე ჰ ა, სადღაა სვიანი ქალაქი ან მშვენება ამაყი სასახლისა, რომლის ზეთავზე ფრიალებდა ოდესღაც დროშა ლომის-პირიანი!“ (გამს.).

2. გ ა ხ ა რ ე ბ ა: „ე ჰ ა, ვიპოვე სანატრი ჩემი!“ (ბარნ.).

3. მ ო წ ო დ ე ბ ა: „ე ჰ ა, ამ დღისთვის გაგიზარდე, მამულო, შეილი!“ (ილია).

4. ტ ა ნ ჯ ვ ა: „ეს ყოფა!?. ე ჰ ა!! ცავ, გასკდი!.. მეუფევე, სული ამომხდა!“ (ყაზბ.).

5. ჩ ი ვ ი ლ ი: „ე ჰ ა, ღმერთო, რად დამჩაგრე, მითხარ შენთან მაქვს რა ბრალი“ (ყაზბ.).

6. ა ღ ტ ა ც ე ბ ა: „და იქ სამი კაცის
სიტყვებს მოკვარ ყური:
„ე ჰ ა, რა დარია,
— თქვეს მათ — საამური“ (ტაბ.).

7. ვ ე დ რ ე ბ ა: „— ე ჰ ა, შემეხე! მოგანიჭო ნეტარება მოუსპობელი, უამთ დენაზედ უფრო გრძელი, დაუშრეტელი, შემახე ბაგე“ (ბარნ.).

ე ჰ დ ა ე ჰ

დ ა ნ ა ნ ე ბ ა: „ე ჰ დ ა ე ჰ! წავიდნენ დრონი, ნაქებნი მტკბარად!“ (მგალობ.).

ეჭე; ეჭე

1. გაკვირვება: „ეჭე, როგორ გაიგო, კაცო, მკითხავი ხომ არა ხარ?!“ (ვაჟა).

2. ნიშნის მოგება: „ეჭე, გაები, ჩიტო ლამაზო, ჩვენს დაგებულსა ძუის მახეში!“ (გოგ.).

3. გაკიცხვა, საყვედური: „— ეჭე, არ ახსოვს! მე რას მიპალავ? თურმე არც ერთი გოგო არ დაგიტიებია, რომ...“ (ნინოშ.).

4. გაფრთხილება: „— ეჭე, ე მანდ რო წამოუწეკი, ხელი არ ახლო, თორემ!.. — დამიყვირა დედა-ჩემმა“ (ერისთ.).

5. მოწოდება: „ეჭე, ბიჭებო, ალექსანდერი მოდის, დავიშალოთ!“ (ქეგლ.).

6. ალტაცება: „ეჭე, დაჰკრა სამძივარისთვისაც ალტაცების წამმა“ (ბარნ.).

7. შევება: „ეჭე, საქმე კარგად არის-მეთქი! — წამოვიძახე და წელში გავიმართე“ (არაგვ.).

8. აკრძალვა: „— ეჭე!.. — თავი გაიქნ-გამოიქნია და ხელი მხარზე დამადო, რომ ახლოს არ მივეში“ (არაგვ.).

9. მიხვედრა: „— ეჭე, ეხლა მივხედი, განზრახ ჩამიმღერა დავრიშ-გიგუამ“ (ბარნ.).

10. ჩვენება: „ეჭე, იმ მთიდან გამოდისო რიონი“ (გამს.).

11. გაჯავრება: „— ეჭე, — სთქვა ერთმა, — როგორა ბურტყუნებს ეგ მუღრეგი!“ (ვაჟა).

12. წუხილი: „ეჭე ე, მგონია დავიბენი“, — გაიფიქრა მწარედ მთისკაცმა“ (ქიჩ.).

13. საყვედური: „ეჭე ე, რას გვიშვრება ი დალოცვილი ღმერთი, აილო ჩვენზე ხელი!“ (ვაჟა).

14. აძლიერებას გამოთქმულ აზრს: „ეჭე ე, დიდი ძალა აქვს სოფელსა; თუ მოინდომა. მალე ყირაზე გადაგატარებს!“ (ვაჟა).

ეჭე-ეჭ

წყრომა: „ეჭე-ეჭ! აგრე სწრაფად ვინ მოგვით ჩემზედ უფლება“ (არდ.).

ეჭვი

1. გაოცება: „— ეჭვი! ი რჯულდაეარდნილები, რა ჭირითი ჰქონათ და!..“ (მგალობ.).

2. წყენა: „ეჭვი, რამდენ ფულსა ლუპავენ ჩვენი კნიაზები!“ (ქეგლ.).

3. მწუხარება: „— ეჭვი! რა ცეცხლია და! ამას რაღა მომაგონებდა...“ (ფურც.).

4. დამუქრება: „— ეჭვი, იორამ, გალღებულო იორამ! ნუ გგონია, სხვებივით დამჯაბნო, ნუ გგონივარ სხვათა მებრძოლთა წესითა!“ (ბარნ.).

5. დაძახილი: „ძახილი განმეორდა, მაგრამ ვერ გაიგო, რომელი მხრიდან იძახდნენ.

ეჭვი!“ (სულ.).

6. დაძახილი შორს მანძილზე ვინმეს შესაჩერებლად, შესაყენებლად: „ის იყო, გული ვიჯერე და ახალუხის უბეს ვიხსნიდი, რომ მომესმა მქაზე ძახილი: — ეჭვი! ეჭვი! აბა ერთი მანდ დამიცადეთ!“ (ბარნ.).

ეჭვი-ჰე

დანანება: „— ეჭვი-ჰე! — გაისმა ხალხში, — ჰაი დედასა! ამ ათი წლის წინათ ყვეარს, კაი თარაქამულს იყიდდა კაცი მაგ ფასათა“ (მგალობ.).

ეჭეჭე; ე, ჰე, ჰე

1. გაკვირვება: „პირუტყვებმა სთქვეს: „ეჭეჭე!“

სულ სხვა ყოფილა ვირიო!..“ (აკაკი).

2. გახარება: „— ეჭეჭე, სოუს აქ რა უნდა? — გაუხარდა უცხოს, რომ ერთბაშად დაიჭირა ტყუილში მთისკაცი“ (ქიან.).

3. აღტაცება: „ეჭეჭე... რა დრო დგება!...“ (ლორთქ.).

4. ოხერა, მწუხარება „— მე... ჩემი დღენი გავლიე, სამარეში ფეხი ჩავდგი, ბევრი ვადამხდენია თავზედ, მაგრამ შენ კი ეხლა შედიხარ ცხოვრებაში... ვინ იცის, რა იღბალი მომელის... ე, ჰე, ჰე!.. ღმერთი დიდია, — გაათავა ოხერით მოხუცმა“ (ყაზბ.).

ეპეჰეი

სევდანარევი ირონია (იტყვიან დაფიქრების შემდეგ): „ეპეჰეი!.. ნათქვამია: ერთი ღრო არავის შერჩებაო“ (ქეგლ).

ეპი

წუხილი, დანანება: „— ეპი! ეგ კი ველარ მომაგონდა“ (მგალ).

ეპუ; ე, ჰუ

1. ჰმუნეა, დარდი: „— ეჰუ! აქროლდა ქარი, გზას ჩამიქოლავს“ (ბარნ).

2. იტყვიან ძნელად შესასრულებელ საქმეზე: „მაგას თუ გამოვდგომოდი, ე, ჰუ!.. ეგ შორს წავიდოდა“ (წერეთ).

ეპჰე (იხ. ეჰე)

წყენა, საყვედური: „ეჰჰე, რაებს მალაპარაკებ?! რაც ცხადია, რაც ნათელია, იმას ახსნა-განმარტება უნდა?“ (არაგვ).

ეპ, ჰე, ჰე...

1. მწუხარება: „— ეპ, ჰე, ჰე. ჩემო ძმავ! — მწუხარებით წამოიძახა მთხოვარა გლახამ და ამოიოხრა“ (ყაზბ.).

2. ღვარძლიანი სიცილი: „— სიცოცხლით რაღას ვაამებ? — თუ ეხლა არა, შემდეგში შეგიძლიან აამო.

— შემდეგში? — იკითხა იმან და მწარედ ჩაიციინა — შემდეგში! ეპ, ჰე, ჰე, ჰე!“ (ყაზბ.).

ვა; ვაა; ვა, ვა...

გაოცება: „ვა, შენი ვინმე ხომ არ არის, რომ აგრე ცხარობ?“ (გაბაშ.);

„ვაა, რა ღმერთი გამიწყრა! — გაიფიქრა ალექსამ და მიიხედ-მოიხედა“ (არაგვ.); „ვა! ვა! ვა! ვა! მერე მაგდენი ფული ვის ექნება...“ (ფურც.).

გლახ; ვაგლახ; ვაგლახზე

მწუხარება, დანანება, ჩივილი: „გლახ ბედისაგან ესრეთ დასჯილი იმედოვნებას ვუწოდებ ფარად, მე იგივე ვარ მარად

და მარად“ (ჭავჭავ.); „ვაგლახ, ვაგლახ, ბევრი რამ დაგიკარგავს. ჩემო მაიკო“ (გამს.); „ვაგლახმე!.. ამოვარდნილ გრივალს ჩემი საწუთროს ბედის ტოტეები შეუწყვეტია!“ (არაგვ.).

ვაი; ვაი, ვაი; ვაი, ვაი, ვაი; ვაიმე; ვაიმე, ვაიმე

1. ჩივილი: „ვაი, როგორ გაძაღლებით გავატარე წუთი-სოფელი! — ამოიოხრა ასმათმა“ (წერეთ.).

2. ქადილი: „ვაი, ერთი შემხვედროდა“ (ქეგლ.).

3. ნატვრა: „ვაი, ნეტავი ეხლა ჩემი თამრო დამანახვა“ (ილია).

4. გაკვირვება: „ვაი, ბეჩა, საყვარელო, რა კაი ყოფილა ბატონობა!“ (აკაკი).

5. აღტაცება, მოწონება: „ვაი. რა ლამაზი იყო იმ მშვენიერს დილას ის მშვენიერი ქალი!“ (ილია).

6. უძლურება, წუხილი: „— ვაი, რომ არ შემიძლიან ვსთქვა: „მე მისთვის ვკვდები, იგი ჩემთვისა“ (ბარნ.).

7. სასოწარკვეთილებება: „ვაი, მიშველეთ!.. — დაიწვილა სასოწარკვეთილებით ანამ და ისტერიული ქვითინი აუვარდა“ (არაგვ.).

8. დაწყევლა: „— ვაი, რაც გიჭამია, იგი არ შეგარგოს ღმერთმა...“ (ლომთ.).

9. ტაყვა: „ვაი... ვაჰმე, დედავ, ვკვდები, ვკვდები!“ (ვაჟა).

10. გაკიცხვა: „ვაი, რა უშნოდ გაუზრდიხართ გოგოსავით!“ (ბარნ.).

11. გაოცება: „— ვაი, ვაი! მეტი არა? — იკითხეს გაოცებით ყველამა“ (მგალობ.).

12. გაჯავრება: „— ვაი, ვაი, რა ხალხნი ხართ! — ამბობდა გაჯავრებული გიგოლა, — თქვენი რა იმედი უნდა ჰქონდეს კაცსა!“ (ვაჟა).

13. დაცინვა: „— ვაი, ვაი, შენს პატრონს!.. ეხლა მამა-შენი ფიქრობს, შეილი უნივერსიტეტში მყავს, მეცნიერი ჩამომივალ!.. — სიცილით უთხრა გაბომ“ (არაგვ.).

14. ხვეწნა, ტკივილი: „ვაი, ვაი! ნუ მკლავ, ნუ მცემ, დედილო“ (ერისთ.).

15. შებრალება: „— ვაი, ვაი! სად დაჰბლაუქებიხარ, შე საცოდავო!“ (მგალობ.).

16. ტკივილი: „ვაი, ვაი, ჰვლები, ჰვლები აღარ მაძლევენ მოსვენებას“ (წერეთ.).

17. სინანული: „ვაი, ვაი, ვაი! რა მარჯვე დრო დაგვარგეთ და რა კარგი!“ (ფურც.).

18. აღტაცება: „—ვაი! ვაი! ვაი! აჟი ვენაცვალე იმას იენა-პირში“ (ვაჟა).

19. დაღონება: „—ვაი, ვაი, ვაი!.. მომწყდა წელი. მას ფულს ველარას ვუნახავთ. სულ გაფანტული იქნება! — თქვა დაღონებით მდივანბეგმა“ (წერეთ.).

20. მწუხარება: „ვაიმე, დავილუპე, მგონია! იქნება, ანდროც შეპყრობილია!“ (ქიან.).

21. შიში: „—ვაიმე, დედავ, ცოფიანი ძაღლი, შიშით წამოვიძახე ხმაშალა“ (გოგ.).

22. წუხილი: „—ვაიმე, ამის ხურდა რომ არ მექნება, ბატონო!“ (დად.).

23. დარდი: „ვაიმე, რა გვეშველება, ქართული რომ არ გვეხერხება. რა ვქნათ!..“ (მგალობ.).

24. საყვედური: „—ვაიმე, ვაიმე! ნათლი, მაგას რათ მიბრძანებ. შენი ჭირიმე!“ (მგალობ.).

25. ხვეწნა. გაფრთხილება: „—ვაიმე, ვაიმე!.. ვალიდა! არ დამლუპო, ბედი არ დაკარგო“ (წერეთ.).

ვაი, დედასა

მწუხარება, სინანული: „ვაი, დედასა! ისიც ასე იქნება გამოწყობილი, — გაუელვა თავში გიოს, რომელმაც კარგად იცოდა ლევანის მკვლელის წარჩინება“ (ქიან.).

ვაჟო; ვეჟო

(იხმარება მიმართვისას) 1. გაოცება: „ვაჟო! მე ვარისნებ დმერთსაო? — გეტყოდათ გაოცებით ლუარსაბი“ (ილია).

2. გაჯავრება: „ვეჟო, მინამ თავს არ დაადგები და კარგად არ დასჷყივლებ. ხელს კი არ გასძრავს და გაგონილა!“ (ილია).

ვაშა

